F 5534
F1191 N12329

# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№13 (578) ◆ 27 მარტი – 2 აპრილი. 2006 წ. ◆ ფასი 60 თეთრი ◆ დაარსებულია 1995



„შესაძლებელია, შევარდნაძისა და აბაშიძის საუბრის ფარული ჩანაწერის გამოჩენა თავად ხელისუფლების მიერ ჩაგდებული ანკესი იყო.“

სასურველია, თუ ასეთი კითხვები შემდგომში არც ხელისუფლების მიმართ გაჩნდება და არც ოპოზიციის...

გვ.3

## „ბაჩო ახალაიამ რუსთავის ციხიდან ძლივს გამოასწრო“

„ახალაია წესრიგის დამყარებას ისეთი მეთოდებით ცდილობს, რაც ჩემთვის მიუღებელია“

გვ.5



## „დარწმუნებული ვარ, არც ისეთი ჩანაწერი დაიმალებოდა, თუ ქვეყნის საზიანოდ ვილაპარაკებდი...“



„ეს ძალზე მტკივნეული თემაა ჩემთვის, როგორც ადამიანისათვის, როგორც დედისთვის და როგორც პარლამენტის თავმჯდომარისთვის“

გვ.6

„ქვეყნის პირველი პირები ხშირად ისეთ თემებზე საუბრობენ, რაც არ უნდა გახდეს სხვა ქვეყნისთვის ხელმისაწვდომი. ის პირები, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას ფლობენ, არ უნდა ისმინებოდნენ... ეს მართლაც სერიოზული საკითხია და მას ხელისუფლებამ უნდა მიაქციოს ყურადღება – უნდა გაირკვეს, რასთან გვაქვს საქმე.“

## „ასეთი დანაშაულისთვის ყველა უნდა დაისაჯოს“



„ხელისუფლებაში ერთმანეთს ფარულად დღესაც უსმენენ“

„ნინო ბურჯანაძის გადმობირების გეგმები ოპოზიციას არ აქვს“

...თუ ქალბატონი ნინო დაინახავს, რომ სააკაშვილის ხელისუფლების საქმე ცუდად წავიდა, ალბათ, საპარლამენტო ან საპრეზიდენტო არჩევნების წინ იმ ტრიუკს გაიმეორებს, რაც შევარდნაძის დროს გააკეთა...

გვ.6

## ეკონომიკა

## ახალი ენერგეტიკული იმედი

გვ.27

რა სარგებელს მიიღებს საქართველო ახალი გაზსადენით?

## ქალთა კოლონიაში თუ მამაკაცთა საკანში?

„დარცხვენილი“ კლიენტები საქვეყნოდ გამოაშკარავებას ერიდებიან“

გვ.5



„მომეწონა, ის ღიპიანი რომ გაწბილებული დავტოვე“.

## „რუში“ სტრატეგია...

## ხელისუფლება თამაშის წესებს ცვლის



მერაბიშვილი უშიშროებაში, ოქრუაშვილი შსს-ში, ალასანია თავდაცვაში?!

განხეთქილება – დავითაშვილმა რომ ამჯერად წყალი ბურჯანაძის წისქვილზე დაასხა, სალომე ზურაბიშვილსაც არ გამოჰპარვია და არადიპლომატიური პირდაპირობით მიახალა – ამ მანევრით ბურჯანაძე წარმოაჩინე კარგადო...

გვ.7

## „პასუხი უნდა აგონ იმ თანამდებობის პირებმა, ვინც პროექტი შეითანხმა“

„დანგრეულ სახლი და თან ჩამიტანონ, ქუჩაში ცხოვრებას არ ვაპირებ“

## „კომპენსაციები იმ მთავრობას მოჰკითხეთ“(?!)



გვ.11



„სახლში მივარდებიან, თანაც მეუბნებიან, ამას თქვენი კეთილდღეობის გამო ვაკეთებთ, უნდა გადაგარჩინოთო“.

„სახელმწიფო ჩინოვნიკის მიერ ჩადენილ დანაშაულზე პასუხს სახელმწიფო აგებს და ვალდებულია, აანაზღაუროს მოქალაქისთვის მიყენებული ზარალი“

## „ბოლოს და ბოლოს, გაგვაგებინეთ, ვის მიუჯაჭვულებს ეძებენ“

სასოწარკვეთილ დედებს

გვ.10,15

### აღარაფრის ეშინიათ...

უშიშროების სამინისტრომ იმ ხანებში ერთხელაც „წამოკრიფა“ „კულინარიელები“, მაგრამ საბოლოოდ ერთი მათგანიც „ვერ დაიჭირა“. ასე რომ, იმხანად ქალაქში გავრცელებულ ჭორს, რომელიც ამ საქმისადმი სამართალდამცავთა ანგარებიან დამოკიდებულებაზე მიანიშნებდა, ნამდვილად ჰქონდა საფუძველი...

რა გახდა გახმაურებული საქმის გახსნისადმი დანაშაულებრივი წაყრუების მიზეზი?

## „გაცოცხლებული სახარება“

გვ.18

უფლის გზაზე სიარული ნუ მოგვიწყალოს ღმერთმა...

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სააკაშვილი მარნეულს ეწვია



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მარნეულის რაიონს ეწვია, მოსახლეობას ნოვრუზ-ბაირამის დღესასწაული მიულოცა და აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხის მეგობრობაზე ისაუბრა.

„აზერბაიჯანელი ერი ერთ-ერთი ყველაზე ერთგული და შრომისმოყვარეა. საქართველოსთვის გაჭირვების ჟამს, როდესაც გაზის მიწოდება შეგვიწყდა, ჩვენმა და ჩემმა პირადმა მეგობარმა ილჰამ ალიევმა ნახევარ აზერბაიჯანს გაზის მიწოდება შეუზღუდა და გაზი ჩვენც გაგვინაწილა“, — განაცხადა პრეზიდენტმა. მიხეილ სააკაშვილი აზერბაიჯანელი ეროვნების საქართველოს მოქალაქეებს კიდევ ერთხელ დაჰპირდა, რომ ქართული ენის შესწავლის შემთხვევაში ხელს შეუწყობს მათ მაღალ თანამდებობებზე დანიშვნას.

მარნეულში ვიზიტისას მიხეილ სააკაშვილმა რაიონის ცენტრში ძიუდოს დარბაზი გახსნა, შემდეგ კი „სახალხო ბანკის“ მარნეულის ფილიალი მოინახულა, პენსიონერებს პენსიის 5 ლარით მომატება მიულოცა და აღნიშნა, რომ პენსიების ზრდა მომავალშიც გაგრძელდება.

## აფხაზებმა ქართველი ჟურნალისტები გაათავისუფლეს

აფხაზური ადმინისტრაციის გალის საკრებულოს თავმჯდომარემ რუსლან ქიშმარიამ ქართველი ჟურნალისტები თეა შარია, ტარიელ სოხაძე და გია ელიავა ქართულ მხარეს ენგურის ხიდთან გადასცა.

ქართველი ჟურნალისტების გათავისუფლება კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლის, ირაკლი ალასანიას ჩარევის შედეგად გახდა შესაძლებელი. თავის მხრივ, აფხაზური ადმინისტრაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ დაკავებულების გათავისუფლება შესაძლებელი გახდა სერგეი ბაღაფშის ძალისხმევით. ამ ფაქტს აფხაზური მხარე განიხილავს როგორც ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში ნდობის ფაქტორის აღდგენას.

ქართველი კინოდოკუმენტალისტები აფხაზმა სამართალდამცავებმა საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით(?!) 5 მარტს დააკავეს. ისინი ოჩამჩირისა და გალის რაიონის საზღვარზე მდებარე ბედიის ტაძრის შესახებ დოკუმენტური ფილმის გადაღებას აპირებდნენ. ჟურნალისტები სოხუმის იზოლატორში იმყოფებოდნენ და მათ საქმეს აფხაზეთის უშიშროების სამსახური იძიებდა.

## ბელორუსიაში ქართველებს ცუდად შეხვდნენ



მინსკში საზოგადოებრივი ტელევიზიის ჟურნალისტი ნინო გოგრიჭიანი და ოპერატორი გიორგი ლალიძე მაშინ დააკავეს, როდესაც ოპოზიციის ლიდერებთან ინტერვიუს იღებდნენ. ბელორუსმა სამართალდამცველებმა მათ ბრალად ხულიგნობა დასდეს. ჟურნალისტები იზოლატორში გადაიყვანეს და მათი ნახვა საქართველოს კონსულსაც კი [illegible]. საზოგადოებრივი ტელევიზიის ხელმძღვანელის, თამარ კინწურაშვილის თქმით, [illegible]. დაკავებულების ბედი დღემდე გაურკვეველია.

მანამდე ბელორუსიის უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებმა [illegible] ქართველი პარლამენტარები [illegible] ქვეყნის ტერიტორიაზე, [illegible] მინსკში გამართულ საპროტესტო აქციაზე [illegible] ბასილ კობახიძე, [illegible] გიორგი [illegible] დააკავეს [illegible]. ბასილ კობახიძის თქმით, [illegible]. სამი ქართველი ბელორუსიის ხელისუფლებამ [illegible] და ხუთი წლის განმავლობაში ბელორუსიის ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალა.

## სალომე ზურაბიშვილი განზე გადგა



ოპოზიციურმა პარტიამ ერთიანი [illegible]

„ხელისუფლებას [illegible], რომ ოპოზიცია ერთიანია და [illegible]“, — აცხადებს სალომე ზურაბიშვილი.

## ექსპრეზიდენტი აუდიოჩანაწერის მთლიანად გამოქვეყნებას ითხოვს

კონსერვატიულმა პარტიამ ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძისა და აჭარის ყოფილი ლიდერის, ასლან აბაშიძის სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერი გამოაქვეყნა, რომელიც სავარაუდოდ 2003 წლის 2 ან 6 ნოემბერს შედგა. ჩანაწერში შევარდნაძე აბაშიძეს ურჩევს, სიტუაციის გამწვავებისას განაცხადოს, რომ ოპოზიციის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში აჭარა საქართველოს გამოეყოფა. იქვე ექსპრეზიდენტი აღნიშნავს, რომ იგი, რა თქმა უნდა, ამას არ დაუშვებს და ყველა ლოზუნგი საქართველოს ერთიანობისკენ და გაძლიერებისკენ იქნება მიმართული. ჩანაწერის საფუძველზე კონსერვატიულმა პარტიამ ედუარდ შევარდნაძის დაპატიმრება და გასამართლება მოითხოვა.

ექსპრეზიდენტის თქმით, მასსა და ასლან აბაშიძეს შორის სატელეფონო საუბარი მართლაც გაიმართა, სადაც აჭარის ლიდერი მზადყოფნას გამოთქვამდა აქციებზე ასეულობით კაცით დახმარებოდა.



„რაც ახლა ხდება, ამის მოთმენა შეუძლებელია, თქვენ ამ ყველაფერს პასუხი უნდა გასცეთო, მეუბნებოდა ასლან აბაშიძე, თუმცა მე ვურჩევდი — შეგიძლია, ილაპარაკო გადადგომაზე, ზონიდან გასვლაზე, მაგრამ ეს არც შენთვის და არც ქვეყნისთვის მომგებიანი არ არის. უნდა დაარწმუნო საქართველო, რომ არსად გამსვლელი არ ხარ და ერთგული ხარ საქართველოსი“, — განმარტავს ედუარდ შევარდნაძე. ამასთან, ექსპრეზიდენტმა დასძინა, რომ პრეზიდენტის სატელეფონო საუბრის მოსმენა კანონით ისჯება.

## ბოკერიას ოპოზიციის ტონი არ მოსწონს

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერს გიგა ბოკერიას არ მოსწონს, რომ ოპოზიცია დეპუტატ ვალერი გელაშვილის ბიზნესინტერესების შესწავლას ისტერიული ტონით შეხვდა და ხელისუფლებას დაემუქრა.

ბოკერიას თქმით, გაუგებარია, რას გულისხმობს ოპოზიციონერთა განცხადება იმის თაობაზე, რომ თუ გელაშვილი პარლამენტს დატოვებს, ისინი გადამჭრელ ზომებს მიიღებენ.

„ოპოზიციონერებს ცოტა მეტი დაკვირვება მართებთ, როდესაც მსგავსი ხასიათის განცხადებებს აკეთებენ. თუ ოპოზიცია ხელისუფლებასთან მუქარითა და შანტაჟის ენით აპირებს ლაპარაკს (რისი ნიშნებიც უკვე არსებობს), ეს მას კარგს არაფერს მოუტანს“, — განაცხადა ბოკერიამ.

## ახალი უნივერსიტეტის რექტორად გიგი თევზაძე დაინიშნა

გაერთიანებული ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი გიგი თევზაძე იქნება. პრეზიდენტმა ხელი უკვე მოაწერა შესაბამის ბრძანებას. გიგი თევზაძე აქამდე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტ „ილია ჭავჭავაძის“ ხელმძღვანელი იყო.

ორი უნივერსიტეტის ინტეგრაციის პროცესი პედაგოგიურ უნივერსიტეტში გააპროტესტეს — გაერთიანების შედეგად პედაგოგიური უნივერსიტეტის სტატუსი გაუქმდებაო. განათლების და მეცნიერების სამინისტროს არგუმენტები კი ამჯერადაც იმედისმომცემი იყო — სამინისტროს წარმომადგენლების თქმით, პედაგოგიურ უნივერსიტეტს სტატუსსაც შეუნარჩუნებენ და საჭიროების შემთხვევაში სხვა პრიორიტეტებსაც დაუსახავენ.

## კოკო გამსახურდია გამოძიებას მოითხოვს



პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების“ ლიდერი 1993 წლის ბოლოსა და 1994 წლის დასაწყისში საქართველოში ადმირალ ბალტინის მეთაურობით რუსეთიდან სამხედრო ფორმირების შემოსვლისა და შემდეგ ქართულ მხარესთან გამართული შეტაკებების ამსახველი ფაქტების გამოძიებას მოითხოვს. როგორც კოკო გამსახურდია აცხადებს, იურიდიულად ეს საკითხი უკვე შესწავლილია და არსებობს ფაქტობრივი მონაცემები, რის საფუძველზეც შეიძლება გამოძიების დაწყება. გამსახურდიას თქმით, ის არავის დასჯას არ მოითხოვს, თუმცა არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ ადმირალ ბალტინის საქართველოში შემოსვლა კონსტიტუციის გვერდის ავლითა და ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ნებართვით განხორციელდა. გამსახურდიას მოთხოვნას კონსერვატორი კობა დავითაშვილიც შეუერთდა და განაცხადა, რომ შევარდნაძე აუცილებლად უნდა დაისაჯოს. როგორც ადვოკატი იოსებ ბარათაშვილი აცხადებს, გენერალური პროკურატურა ვალდებულია სისხლის სამართლის საქმე აღძრას და გამოძიება დაიწყოს, რადგან აღნიშნულ პერიოდში ადგილი ჰქონდა ორგანიზებულ მკვლელობასა და სამშობლოს ღალატს.

## სარიშვილი კვლავ წინასწარმეტყველებს



„ედუარდ შევარდნაძისა და ასლან აბაშიძის ვარდების რევოლუციის დროინდელი შეთანხმების წინა პლანზე წამოწევა იმ ვითარებაში, როდესაც ხელისუფლება ბენვის ხიდზე დგას, აშკარად ხელისუფლების წისქვილზე წყლის დასხმაა“, — განაცხადა ირინა სარიშვილმა. მისი თქმით, ამ თემის წამოწევა სალარო-აპარატების საკითხის, გირგვლიანის მკვლელობის, შინაგან საქმეთა მინისტრის გადაყენების მოთხოვნის ჩაფარცხვის მცდელობაა. ირინა სარიშვილს ოპოზიციისთვის ჩანაწერის გადამცემ წყაროდ დღევანდელი ხელისუფლება მიაჩნია. „ძალიან არ მინდა ვიფიქრო, რომ დავითაშვილსა და ძიძიგურს მოქმედი ხელისუფლება ეხმარება, მაგრამ ამ ტიპის ჩანაწერის მოპოვება მხოლოდ ხელისუფლების დახმარებით არის შესაძლებელი. სხვა ასეთი ჩანაწერის მოპოვებას ვერ შეძლებდა,“, — აღნიშნა ირინა სარიშვილმა.

## საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალიის აღდგენა აღნიშნა

საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და წმინდა მეფე დიმიტრი თავდადებულის ხსენების დღე აღნიშნა. I საუკუნეში წმინდა მოციქულების: ანდრია პირველწოდებულის, სვიმონ კანანელისა და ბართლომეს ნაქადაგები ქრისტიანული სარწმუნოება მე-4 საუკუნეში წმინდა ნინოს ღვაწლით, მეფე-დედოფალ მირიანისა და ნანას თაოსნობით სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. მე-19 საუკუნის დასაწყისში, 1801 წელს, რუსეთის იმპერატორის მანიფესტით საქართველომ ჯერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაკარგა, 10 წლის შემდეგ კი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა. მეოცე საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებმა ქართველ სამღვდელოებასთან ერთად დაიწყეს ზრუნვა ავტოკეფალიის აღდგენაზე.

1917 წლის 25 მარტს სვეტიცხოველში ქართველმა სამღვდელოებამ საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენა გამოაცხადა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია რუსეთის ეკლესიამ 1943 წელს ცნო, ხოლო მსოფლიო საპატრიარქომ — 1989 წელს.

## ტელეკომპანია „202“-ის დამფუძნებლები განაჩენს ელიან

თბილისის საქალაქო სასამართლო ტელეკომპანია „202“-ის დამფუძნებლებს შალვა რამიშვილსა და დავით კოხრეიძეს განაჩენს 29 მარტს გამოუტანს, თუმც დაკავებულები აცხადებენ, ვერდიქტი დიდი ხნის წინ გამოგვიტანეს და 4 წლით თავისუფლების აღკვეთას მოგვისჯიანო.

პროკურატურა კოხრეიძისა და რამიშვილისთვის სასჯელის ზომად ხუთწლიან პატიმრობას ითხოვს.

## გელა ჩარკვიანი დიდ ბრიტანეთში საქართველოს ელჩი იქნება



საქართველოს პარლამენტი ამ კვირას დიდ ბრიტანეთში საქართველოს ელჩად პრეზიდენტის პრესსპიკერს, გელა ჩარკვიანს დაამტკიცებს.

საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტს ოთხი ელჩის დამტკიცების მოთხოვნით მიმართა. მათ შორისაა მოთხოვნა დიდ ბრიტანეთში, ჩრდილოეთ ირლანდიასა და ირლანდიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად გელა ჩარკვიანის დანიშვნის შესახებ.

დიდ ბრიტანეთში საქართველოს ელჩი ამირან კავაძე შვედეთის სამეფოსა და ფინეთში საქართველოს ელჩად დაინიშნება. საქართველოს პრეზიდენტმა საკანონმდებლო ორგანოს დანიასა და ნორვეგიის სამეფოში ელჩის პოსტზე დავით კერესელიძის, ხოლო ესპანეთში ზურაბ პოლოლიკაშვილის კანდიდატურები წარუდგინა.

პრეზიდენტის პრესსპიკერის პოსტზე კულუარებში ჟურნალისტი ნუგზარ რუხაძე სახელდება.

## პატიმრებს ტელევიზორებს ვეღარ წაართმევენ

საქართველოში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ პატიმარს ადმინისტრაცია ტელევიზორებს ვეღარ წაართმევს. ეს საკითხი კანონმდებლობით დარეგულირდება.

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მხარი დაუჭირა პატიმრების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანას. ცვლილებების მიხედვით, პატიმარს შესაძლებლობა ექნება, საკანში ჰქონდეს ტელევიზორი, რადიო და გაეცნოს პრესას. კანონით დარეგულირდება აგრეთვე პატიმრის სატელეფონო საუბრები (ადმინისტრაციის კონტროლით), აგრეთვე მიმოწერის საშუალება. როგორც პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე დეპუტატმა ნაზი არონიამ განაცხადა, კანონის შემუშავება განპირობებულია იმით, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში სერიოზული რეფორმები მიმდინარეობს. ამ პროცესში გამოვლინდა, რომ აღნიშნულ დაწესებულებებში მოთავსებულ პირთაგან ძალიან დიდ ნაწილს აქვს საკნებში მასობრივი ინფორმაციის ელექტრონული საშუალებები, რადიოები და ტელევიზორები. „პატიმრებისთვის ამ ნივთების ჩამორთმევა მათი ადმინისტრაციული წესით დასჯის ხასიათს ატარებდა“, — აცხადებს არონია, რომელსაც მიაჩნია, რომ პატიმარს უნდა ჰქონდეს უფლება გაეცნოს ბეჭდვით საინფორმაციო საშუალებებს და თვალი ადევნოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს.

## გალში სათვალთვალო მოწყობილობებს ამონტაჟებენ

ქალაქ გალსა და მის მიმდებარე რამდენიმე სოფელში ფარულად გადაღებული ვიდეოკადრები და ფოტოსურათები გავრცელდა. ფოტოსურათებზე ასახულია რუსეთის სამშვიდობო ძალების ქმედებები გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებსა და ქალაქ გალში. კერძოდ, როგორ ამონტაჟებენ რუსი მშვიდობისმყოფელები „სტრატეგიული დანიშნულების“ ობიექტებზე სხვადასხვა დანადგარს, ძირითადად, სათვალთვალო მოწყობილობებს. როგორც ადგილობრივი მოსახლეობა იუწყება, მათ შორის არის ასევე საზენიტო დანადგარები. ჯერჯერობით უცნობია, რა მიზნით ამონტაჟებენ დანადგარებსა და სათვალთვალო მოწყობილობებს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ამ პირებს ტანთ რუსი მშვიდობისმყოფელების სამხედრო ფორმები აცვიათ.

## „უკრაინაში არჩევნები სამართლიანად ჩატარდა“




უკრაინაში საპარლამენტო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნები გაიმართა. რადაში მოსახვედრად 45 პოლიტიკური პარტია და ბლოკი იბრძოდა. კიევში ქალაქის მერიც აირჩიეს. ამ თანამდებობაზე პრეტენზიას 37 კანდიდატი აცხადებდა, მათ შორის მსოფლიო ჩემპიონი პროფესიულ კრივში ვიტალი კლიჩკო.

არჩევნების წინ უკრაინელებს პრეზიდენტმა იუშჩენკომ მიმართა და გარანტია მისცა, რომ არჩევნები დემოკრატიულად და ევროპული სტანდარტების სრული დაცვით ჩატარდებოდა.

ექსპერტების განცხადებით, წარმატების მოპოვების შანსი მხოლოდ ხუთ პოლიტიკურ ძალას ჰქონდა. რუსული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, უკრაინამ რუსეთსა და დასავლეთს შორის უნდა გააკეთოს არჩევანი. საერთაშორისო დამკვირვებლების განცხადებით, უკრაინაში არჩევნები სამართლიანად ჩატარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიქტატორს მხარდამჭერი დემონსტრაციები არ სჭირდება

## ეჭვები მინიმუმ კომპეტენტურობაზე, მაქსიმუმ კი კეთილსინდისიერებაზე გაჩნდა



...არც ერთი იყო დაბადებიდან ბაპტისტი და არც მეორე რეფორმატორი მღვდელი — ორივე ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ.... ალბათ, ბელორუსიის უშიშროების მიერ ბასილ კობახიძისა და მალხაზ სონღულაშვილის დაპატიმრების ამბავს ყველაზე მეტად მამლუქების სევდიანი ისტორია შეესაბამება, მაგრამ ლუკაშენკოზე ვერც ქართველების შეგონებამ გაჭრა და ვერც ევროპა-ამერიკის მუქარამ. როგორც ჩანს, ევროპის უკანასკნელი დიქტატორი თავის ტიტულს კიდევ დიდხანს შეინარჩუნებს. სანამ ქართველი დეპუტატები ინტერნაციონალურ ვალს მინსკის აეროპორტის სასტუმროში იხდიდნენ, კოკოითი არ დაბნეულა და მოსკოვში მორიგი საგანგებო პრესკონფერენცია გამართა — ოსი სეპარატისტების ლიდერი რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავს, რომლის თანახმადაც, თურმე ცხინვალი ოდითგანვე რუსეთის განუყოფელი ნაწილი ყოფილა... სასამართლოს დადგენილება ჯერჯერობით უცნობია, რუსული მედია კი ინიციატივას დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურა. კოკოითისგან განსხვავებით, თბილისთან კეთილი ნების გამოჩენაზე საუბრობდნენ აფხაზი სეპარატისტები, რომლებმაც გასულ კვირას ქართული გადამღები ჯგუფი ხანგრძლივი ტყვეობიდან გაათავისუფლეს. სამართალდამცავების ცნობით ალბათ თავისუფლებასთან დამშვიდობება მოუწევს კომპიუტერული ტექნიკით მოვაჭრე ფირმის „კომპლექს პროს“ ხელმძღვანელობასაც, რომელსაც ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ფინანსურმა პოლიციამ სეიფში მილიონი დოლარი აღმოუჩინა. ერთი მხრივ, უკანონობასთან საბრძოლველად ამგვარი შემართება მოსაწონი და მისაღები გახლავთ, თუმცა მეორე მხრივ, ყოველმა ასეთმა ფაქტმა ქართველი კანონმდებლები საგადასახადო სისტემის მაქსიმალურად გამარტივებასა და შემსუბუქებაზე უნდა დააფიქროს, თორემ მხოლოდ სპეცრაზმელებით ეკონომიკის გაჯანსაღება ძალზე ძნელი იქნება. კვირის მნიშვნელოვანი მოვლენების მიმოხილვას პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძესთან** ცხინვალის თემით დავიწყებთ:

**— „საერთაშორისო“ დონეზე რუსეთისთვის „სიყვარულის ახსნას“ ოსი სეპარატისტები არც ადრე ერიდებოდნენ. თუმცა გასულ კვირაში კოკოითის აქტივობამ ამ მიმართულებით ალბათ პიკს მიაღწია — მისი განცხადებით, სამხრეთ ოსეთი არასოდეს გამოსულა რუსეთის შემადგენლობიდან და ახლა ისტორიული სამართლიანობის აღდგენისთვის მხოლოდ ფორმალობის მოგვარება ყოფილა საჭირო... ნიშანდობლივია ისიც, რომ სეპარატისტის იდეებს მხურვალედ უჭერენ მხარს და ანგაჟირებას უწევენ რუსული მედია და რუსი პოლიტიკოსებიც. გაისმა მოსაზრებები, რომ თურმე სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის 95% რუსეთის მოქალაქე ყოფილა. კოსოვოს მაგალითის გათვალისწინებით, ორი — სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთი — ერთ რესპუბლიკად, ალანიად უნდა გაერთიანდეს...**

[illegible]

გავხდებით სერიოზული ცვლილებებისა. მართალია, რუსული პოლიტიკის მორალსა და ეთიკაზე, ისევე როგორც შორსმჭვრეტელობაზე ფიქრი ცოტა არ იყოს, ფუჭია, მაგრამ, გავიმეორებ, თუ ეს მაინც მოხდება, საქართველოს დასაკარგავი აღარაფერი ექნება, რუსეთს კი მისივე ტერიტორიაზე უამრავი და უმართავი პრობლემა შეექმნება. პრობლემები შეექმნება ევროპასაც. ასე რომ, შეცდომა არა მხოლოდ რუსულ პოლიტიკურ ისტორიაში, ევროპულშიც ჩაიწერება...

**— გასულ კვირას აფხაზურმა მხარემ ხანგრძლივი ტყვეობის შემდეგ ქართველი ჟურნალისტები გაათავისუფლა. მომხდარს ქართული მხარე აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების აქტიურობის შედეგად მიიჩნევს, მეორე მხრივ კი აფხაზები ქართული გადამღები ჯგუფის გათავისუფლებას უშუალოდ სერგეი ბაღაფშის კეთილ ნებას მიაწერენ... ყველაზე მეტ კომპლიმენტს ამ შემთხვევაში იმსახურებენ თავად ჟურნალისტები, რომლებსაც მძიმე ტყვეობის შემდეგ თავი საკმაოდ ღირსეულად და მხნედ ეჭირათ...**

— პროცესის მშვიდობიანად დასრულებაში დამსახურებას რაც შეეხება, შეიძლება ითქვას, რომ ერთი მეორეს არ გამორიცხავს — ერთი მხრივ, ჟურნალისტების გათავისუფლებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ალასანიას აქტიურობამ და მეორე მხრივ, როგორც ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან ჩანს, თავად აფხაზებიც ხვდებიან, რომ ამ დონეზე დაპირისპირება და ქართული მხარის გაღიზიანება მათ კარგს არაფერს მოუტანს. თუ გახსოვთ, დათმობის გარკვეული ელემენტები აფხაზების მხრიდან ადრეც გამოჩნდა, ამიტომ ვფიქრობ, ამ მხრივ იმედი არ უნდა დავკარგოთ. ამდენი ხნის განმავლობაში იმდენი ბოროტება დაგროვდა, თავად აფხაზებისა და ოსებისთვისაც ასეთი სახის დაპირისპირებები მძიმე ტვირთად იქცა, ალბათ აქედან უნდა მოდიოდეს კეთილ ნებაზე ლაპარაკიც. როგორც ჩანს, აფხაზური მხარე აქტიურად ცდილობს საქართველოსთან ურთიერთობაში ისეთი ფორმა გამონახოს, რომელიც არც მის ღირსებას შელახავს და თბილისისთვისაც მისაღები იქნება. თუ ცენტრი კონფლიქტურ რეგიონებს აჩვენებს, რომ ამ ინიციატივებს გაგებითა და მოწონებით ხვდება, ეს, ჩემი აზრით, ორივე მხარისთვის დადებითი შედეგის მომტანი იქნება, თუმცა მესამე ძალის ფაქტორიც გასაგებია და ისიც, რომ კონფლიქტის აღმოცენებიდან დღემდე უამრავი დანაშაული და ბოროტმოქმედება მოხდა. მიუხედავად ყველაფრისა, ყველაზე სასარგებლო და შედეგის მომტანი მაინც ურთიერთგაგებასა და ნდობაზე აგებული პოლიტიკა იქნება. ასეთ შემთხვევაში აფხაზ და ოს მოსახლეობას იმის ფიქრის საფუძველი მაინც აღარ ექნება, რომ შურისმაძიებელი საქართველოს აგრესიისგან ხსნა მეზობელ რუსეთში ეძებონ — ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ წლების მანძილზე პროპაგანდა სწორედ ამ კუთხით მიმდინარეობდა... რასაკვირველია, მშვიდობის დამყარებაზე ლაპარაკი გაცილებით იოლია, ვიდრე მოქმედება, მაგრამ ცდა მაინც საჭიროა. ამ მიმართულებაში თუნდაც გასული კვირის ბოლოს მომხდარი ფაქტი — ქართული გადამღები ჯგუფის უვნებლად გათავისუფლება დიდ როლს შეასრულებს...

**— ყოფილი პრეზიდენტის, შევარდნაძის მიმართ სერიოზული ბრალდებები გაისმა. აბაშიძესთან დიალოგის გამოქვეყნება და კოკო გამსახურდიას ბრალდება რუსული ჯარების შემოყვანასთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, კვირის სკანდალად იქცა. მეორე მხრივ, გაჩნდა მოსაზრებებიც, — შექმნილ სიტუაციაში, როდესაც ხელისუფლებას დღეს „ცოცხალი“, საკმაოდ მწვავე პრობლემები, ხოლო ოპოზიციას არცთუ უსაფუძვლო არგუმენტები აქვს, უკვე საარქივოდ განკუთვნილი პოლიტიკური არგუმენტების ამოწევა ოპოზიციისთვის არცთუ მომგებიანი იყო...**

— მეც სწორედ მათ შორის ვარ, ვინც ასეთი ნაბიჯი შეცდომად შეაფასა. კარგად გახსოვთ, რომ უკანასკნელ პერიოდში, დღევანდელი მტკივნეული პრობლემების მთელი კასკადი არსებობდა — გნებავთ, სოციალური, გნებავთ, კრიმინალური და გნებავთ, პოლიტიკური ხასიათისა. გავიხსენოთ ისიც, რომ მედიისა და საზოგადოების აქტივობიდან გამომდინარე, ხელისუფლებას საკმაოდ დაძაბულ რეჟიმში უწევდა უამრავ, ღიად დარჩენილ კითხვაზე პასუხის გაცემა. ამ სიტუაციაში ძველი, მართლაც საარქივო პრობლემების წამოწევამ ერთგვარად განმუხტა კიდეც დღეს არსებული პრობლემების ნიადაგზე აღმოცენებული დაძაბულობა. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ასეთი მოსაზრების გაჩენა, — შესაძლებელია, შევარდნაძისა და აბაშიძის საუბრის ფარული ჩანაწერის გამოჩენა თავად ხელისუფლების მიერ ჩაგდებული ანკესი იყო, რომელზეც ოპოზიცია წამოეგო. არის უფრო რადიკალური ბრალდებებიც — ოპოზიცია არ არის ნამდვილი ოპოზიცია და ეს მხოლოდ შეთანხმებული თამაშია დაპირისპირების წარმოსახვითი სპექტაკლის დასადგმელად. ასეა თუ ისე, თავისთავად ასეთი შეფასებების არსებობა ცხადყოფს, რომ ამ საკითხების გააქტიურებას ოპოზიციის წისქვილზე წყალი ნამდვილად არ დაუსხამს. ეჭვები მინიმუმ კომპეტენტურობაზე, მაქსიმუმ კი კეთილსინდისიერებაზე გაჩნდა. სასურველია, თუ ასეთი კითხვები შემდგომში არც ხელისუფლების მიმართ გაჩნდება და არც ოპოზიციისა...

**— გასულ კვირას, საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღება „რევოლუციის მორიგი კერისკენ“, ბელორუსიისა და მინსკისკენ იყო მიმართული. თუმცა, ევროპა-ამერიკის აქტიური ძალისხმევის მიუხედავად, რევოლუცია არ შედგა. ბოლო მომენტში ოპოზიციის მიტინგზე ბელორუსიაში აკრედიტებული ევროპელი ელჩებიც კი მივიდნენ, თუმცა ათასგვარი სალანძღავი პოლიტეპითეტით შემკული ლუკაშენკო კვლავაც ძლევამოსილ პრეზიდენტად დარჩა...**

— მიუხედავად იმისა, რომ ლუკაშენკოზე მხოლოდ ანეკდოტებითა და მკვეთრად უარყოფითი ეპითეტებით საუბრობენ, თანამედროვე პოლიტიკაში იგი ამოუხსნელ ფენომენად იქცა. მას არცთუ მაღალი ინტელექტი, გნებავთ, პოლიტიკური ალღო და გამჭრიახობა აქვს, მაგრამ ევროპის უკანასკნელი დიქტატორი კვლავაც დიქტატორად რჩება. ევროპელები და ამერიკელები, რომლებიც დემოკრატიის დამყარებასა და დიქტატთან ბრძოლას შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებშიც კი ახერხებენ, მეზობელ სახელმწიფოში უძლურები აღმოჩნდნენ. სხვათა შორის, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თავად ბელორუსიის ოპოზიციაც არჩევნების გაყალბებაზე, ძალისმიერ მეთოდებზე, კონკრეტულ ციფრებზე ლაპარაკობდა, თორემ ლუკაშენკოს ფაქტობრივი გამარჯვება ეჭვქვეშ არ დაუყენებია. ფაქტი ფაქტად რჩება — ბელორუსიის მოსახლეობის მინიმუმ ორმოცდაათს პლუს ერთმა პროცენტმა დიქტატორულ რეჟიმს დაუჭირა მხარი. მასების პოლიტიკური განწყობილების შეცვლაზე ვერც ამერიკულმა გრანტებმა იმოქმედა და ვერც ევროპულმა პროპაგანდამ. საგულისხმოა ისიც, რომ ლუკაშენკოს რეჟიმის მდგრადობა არც მის ქარიზმას და პატრიოტულ მოტივს ემყარება — იგი ოფიციალურად ლაპარაკობდა რუსეთთან შეერთებაზე, ოღონდ კი ძალაუფლება შეენარჩუნებინა. საკითხავია, როგორღა მოახერხა მან, მასების კეთილგანწყობის მოპოვება ან თუნდაც მისი ქმედუნარიანობის დაქვეითება? მეთოდი მარტივი, მაგრამ ეფექტური იყო — სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. ეს ფაქტორი ბევრისთვის და პირველ რიგში, ჩვენი ხელისუფლებისთვის უნდა იყოს საყურადღებო. როგორც ვხედავთ, თუკი ხალხს სოციალურ ეფექტებს დაანახვებ და ელემენტარულ საყოფაცხოვრებო პირობებს შეუქმნი, დემოკრატიულ ღირებულებებზე სიტყვასაც არ დაძრავს. გამოდის, რომ თუ ქვეყანაში გამოჩნდება ადამიანი ან ძალა, რომელიც მოსახლეობას ცხოვრებას მცირედით მაინც გაუუმჯობესებს, შესაძლებელია, ხალხი მის მხარდასაჭერად ქუჩაში არ გამოვიდეს და მიტინგები არ გამართოს, მაგრამ არც აქტიურად დაუპირისპირდება. დიქტატორს კი მხარდამჭერი დემონსტრაციები არ სჭირდება, დიქტატი სხვა ძალაზე იგება და მისთვის მთავარია, მასები ქუჩაში არ გამოვიდნენ, თორემ პოლიციისა და სამხედროების დახმარებით დანარჩენს თავად მიხედავს და არც უმცირესობაში დარჩენილი საღი აზრის მოშთობა გაუჭირდება... როგორც ხედავთ, ლუკაშენკომ სწორედ ამის გაკეთება მოახერხა. ასე რომ, იგი მსოფლიოს პოლიტიკურ ანთოლოგიაში შევა არა მხოლოდ როგორც უკანასკნელი დიქტატორი, არამედ ერთგვარი სამაგალითო პიროვნებაც. ასე რომ, პოლიტიკოსებმა ბევრი რამ უნდა გაითვალისწინონ და ისწავლონ მისგან. როგორც ჩანს, სანამ მაღალ ღირებულებებსა და დემოკრატიის დამყარებაზე დაიწყებდე ზრუნვას, ისეთი მარტივი პრობლემა უნდა გქონდეს მოგვარებული, როგორიც ყველი და პურია, თორემ ნებისმიერი „ა-ლა ლუკაშენკო“ შეძლებს მართვის სადავეების ხელში ჩაგდებას — ამისთვის მხოლოდ ადმინისტრაციული ალღო და მცირედი ინვესტიცია იქნება საჭირო დაინტერესებული ქვეყნიდან...

**— ცივილიზებულ მსოფლიოსთან ერთად, ბელორუსიაში დემოკრატიის გამარჯვებისთვის ბრძოლა და ბელორუსი ხალხის გონების გახსნა ქართველებმაც სცადეს. თუმცა დემოკრატიული ღირებულებებით აღჭურვილ ქართულ დელეგაციას ლუკაშენკოს მზაკვრობის გამო მინსკში შესვლის საშუალება არ მიეცა და ქართველების თავდადებული ინტერნაციონალიზმი აეროპორტის სასტუმროს არ გასცდენია. ბელორუსიის დედაქალაქში ქართული დროშები მაინც ფრიალებდა — დიქტატის საუფლოში კობახიძე-სონღულაშვილის დუეტის სახით ქართველებმა მაინც შეაღწიეს. რა როლი შეიძლება შეასრულონ მსოფლიო დემოკრატიის განმტკიცებაში სასულიერო პირებმა?**

— ქართველი საზოგადოება თქვენ მიერ ნახსენებ ორივე ადამიანს იცნობს. კობახიძე და სონღულაშვილი მართალია კონფესიური მსოფლმხედველობით ერთმანეთისგან განსხვავდებიან (ერთი ბაპტისტია, მეორე კი რეფორმატორი-მართლმადიდებელი), თუმცა ერთმანეთთან მათ დემოკრატიისა და პიროვნების თავისუფლებისთვის ბრძოლა აკავშირებთ. როგორც ჩანს, ეს ღირებულებები მათთვის იმდენად მნიშვნელოვანი გამოდგა, რომ მათი დაცვა შორეული ბელორუსიის მიწაზეც გადაწყვიტეს. სხვათა შორის, ისინი უკრაინაშიც იყვნენ და ნარინჯისფერ რევოლუციას თანაუგრძნობდნენ. შესაძლებელია, საეკლესიო მორალის თვალსაზრისით ეს გაკვირვებასაც იწვევდეს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მათი მოსაზრებები საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ოფიციალური მოსაზრებებისგან არცთუ იშვიათად საკმაოდ შორს დგას, მათი მხრიდან ღვთისმსახურებასთან დემოკრატიის სამსახურის შეთავსება დიდად გასაკვირი არ უნდა იყოს.

*დაჩი გრძელიშვილი*

როგორც ჩანს, სანამ მაღალ ღირებულებებსა და დემოკრატიის დამყარებაზე დაიწყებდე ზრუნვას, ისეთი მარტივი პრობლემა უნდა გქონდეს მოგვარებული, როგორიც ყველი და პურია, თორემ ნებისმიერი „ა-ლა ლუკაშენკო“ შეძლებს მართვის სადავეების ხელში ჩაგდებას – ამისთვის მხოლოდ ადმინისტრაციული ალღო და მცირედი ინვესტიცია იქნება საჭირო დაინტერესებული ქვეყნიდან...

ხელისუფლებას საკმაოდ დაძაბულ რეჟიმში უწევდა უამრავ, ღიად დარჩენილ კითხვაზე პასუხის გაცემა. ამ სიტუაციაში ძველი, მართლაც საარქივო პრობლემების წამოწევამ ერთგვარად განმუხტა კიდეც დღეს არსებული პრობლემების ნიადაგზე აღმოცენებული დაძაბულობა. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ასეთი მოსაზრების გაჩენა, – შესაძლებელია, შევარდნაძისა და აბაშიძის საუბრის ფარული ჩანაწერის გამოჩენა თავად ხელისუფლების მიერ ჩაგდებული ანკესი იყო, რომელზეც ოპოზიცია წამოეგო.

# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

*გაზეთ „კვირის პალიტრის“ მე-12(577) ნომერში გამოქვეყნდა ინფორმაცია, თითქოს „მეცნიერებათა ეროვნული აკადემია შემოვიდა წინადადებით, რომ სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა აკადემ-ქალაქის ტერიტორია დატოვონ“.*

*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ „აკადემია“ ამგვარი წინადადებით არსად შესულა, ასეთი განცხადება არ გაუკეთებია და არც შეეძლო გაეკეთებინა, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის — „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების შესახებ“ — შესაბამისად ამჟამად მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერებათა აკადემიისაგან დამოუკიდებლად საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ჩამოყალიბების პროცესი და მას ამის უფლებამოსილება არ გააჩნია.*

*ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ყოველთვის წინააღმდეგი იყო საერთოდ კვლევითი ინსტიტუტების აკადემიიდან გასვლისა, რაზედაც ჩვენს პრესასა და მასმედიაში არაერთი წერილი დაწერილა და განცხადება გაკეთებულა, და მით უმეტეს წინააღმდეგია ამჟამად ამ ინსტიტუტების მათ მიერ დაკავებული შენობებიდან გასახლებისა; ეს აქცია მით უფრო ძნელად წარმოსადგენი და საქმისათვის უაღრესად საზიანოა იმის გამო, რომ ახლა უკვე „ყოფილ აკადემიურ ინსტიტუტებში“ მოთავსებულია უმდიდრესი სამეცნიერო ბიბლიოთეკები და განთავსებულია ურთულესი სპეციალური დანადგარები... „აკადემიას“ მიაჩნია, რომ ყოველივე ეს დიდ ზიანს მიაყენებს ჩვენს ეროვნულ მეცნიერებასა და უმაღლეს განათლებას.*

## ფოტო უკომენტაროდ...



# „დღეს მაქვს პატარა ყვავილებიანი ეზო და ვხატავ...“


თენგიზ მარი

საუკუნე-ნახევრის წინ შოტლანდიელმა იაკობ მარმა შავი ზღვა გადმოლახა და მაღალმთიან გურიაში პატარა ოდა ჩაიდგა. არავინ იცის, შორეული ქვეყნიდან ლტოლვილი წუთისოფლის ამაოებას გაურბოდა, თუ ბუნების სილამაზით ტკბებოდა მშვენიერ გურიაში... მაგრამ ერთი რამ ცხადია, ჩვენს მიწაზე ჩამოსახლებულ სხვა უცხოტომელებს მარების თუნდაც მეასედი სიკეთე რომ მოეტანათ, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. იაკობის ერთ-ერთი ვაჟი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ენათმეცნიერი, აკადემიკოსი ნიკო მარი საქართველოს ტკივილებს ექცა მალამოდ. მართალია, გურულივით ფიცხი ხასიათის გამო ზოგჯერ ბევრთან კამათიც მოსვლია, მაგრამ ამას ქვეყნისათვის არაფერი უვნია, პირიქით კი იყო... იაკობ მარის შთამომავლები — ნიჭიერებით გამორჩეული მარები დღესაც ცხოვრობენ საქართველოში, უმთავრესად გურიაში. მართალია, თავისი გვარის ცნობილი წარმომადგენლის, ნიკო მარის დარად ხმაურიანად არა, მაგრამ საქართველოს ერთგულად ემსახურებიან... თუმცაღა ამ ბოლო დროს ქართულ ხელოვნებაში ნიკო მარის ძმის შვილიშვილი, მხატვარი თენგიზ მარი გამოჩნდა. ახლახან სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიხსნა მისი ნახატების გამოფენა. შოტლანდიელივით ქერა, ცისფერთვალება თენგიზ მარი საინტერესოდ



წარდგა საზოგადოების წინაშე — მისი ნამუშევრები თან კლასიკურია, თან ჰიპერრეალისტური. 21-ე საუკუნის მარი ცხოვრებას გვერდიდან უყურებს, მაგრამ სინამდვილეში ცხოვრების შუაგულშია, იმ ცხოვრებისა, რომლის სიდუხჭირის გამო ბევრმა ნიჭიერმა მხატვარმა ფუნჯი მიატოვა, ბევრიც უცხოეთში გადაიხვეწა. ბატონ თენგიზს აზრადაც არ მოსვლია შორეული წინაპრის გზას უკან დასდგომოდა... მის ნახატებს სიმშვიდე მოაქვს. ამ მხატვრობაზე ვისაუბრეთ ჯერ ხელოვნებათმცოდნე *ქეთევან კინწურაშვილთან*, მერე ცნობილ მოღვაწეებთან.

*— ქალბატონო ქეთევან, ბატონ თენგიზს სრულიად ახალი სტილი აქვს, ხომ არ ვცდები?*

— შეამჩნიეთ, არა? იმდენი სიმშვიდე მოდის ამ ნახატებიდან, ორი-სამი საუკუნის წინანდელ



მხატვრობას მაგონებს, თანაც ყველაფერი თანამედროვეობასთან არის შერწყმული, თან „გაჩერებულია“ ნახატი, თანაც „მოძრაობს“. თენგიზი ინდივიდუალური მხატვარია...

*სერგო კენჭაძე*, მხატვარი: — მის ნახატებში მარადიულობაა. შეიძლება ეს გადაჭარბებულ ნათქ-



ვამად ჩანდეს, მაგრამ როცა ხელოვნების ნიმუში გამშვიდებს და მხატვრობის ხაზი თავისუფალია, სწორედ მაშინ იგრძნობა, რომ სამყარო მარადიულია. თენგიზის „ხაზი“ კი თავისუფალია და ეს ბედნიერებაა. საერთოდაც, ბედნიერებაა იყო ხელოვანი, — ფოთლების ხმაური გესმოდეს ან ცის სილურჯით ტკბებოდე...

*ნუგზარ რუხაძე*, ჟურნალისტი: — ხელოვნება არა მხოლოდ გასამრჯელოსთვის იქმნება. გალაკტიონი სულაც რომ მშიერი ყოფილიყო, მის ლექსებს ამოუხეთქავად რა გააჩერებდა. მართალია, არ გვაქვს მდიდარი ქვეყანა, ხელმომჭირნედ ცხოვრობს ხელოვანთა უმეტესობა და ბევრიც გვჭირდება მსოფლიოში აღიარებულ კეთილდღეობის სტანდარტებს რომ მივაღწიოთ... მაგრამ, იცით, რა საამაყოა, რომ ეს ჩვენი პატარა ქვეყანა კულტურით არათუ ჩამორჩება უმდიდრეს ქვეყნებს, პირიქით, წინაც კი უსწრებს. მსოფლიო მოვიარე და ვერსად ვიპოვე ამ კულტურის შემცვლელი... როცა ასეთი ხელოვნება გაქვს, შეუძლებელია უცხოეთში ეძებო ბედნიერება... მოვა დრო და იმ დასკვნამდეც მიხვალ, რომ ბოლოს და ბოლოს, არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორი აბაზანა გაქვს ან როდის გამოირთვება შუქი. მთავარია, ამ ხელოვნების, ამ კულტურის შემქმნელ ადამიანებთან ურთიერთობით დავტკბეთ და ერთმანეთს სიკეთე გავუნაწილოთ. ისე კი გული იმაზე მწყდება, რომ თენგიზ მარის ოსტატობის ხილვის შესაძლებლობა უცხოელ მდიდარ ინვესტორებს არა აქვთ. მათ რომ ენახათ, ეს ნახატები ბევრ ქვეყანას მოივლიდნენ...

*გია ჩიქვანაია*, მხატვარი: — ძალიან ღელავდა თენგიზი გამოფენის გახსნის წინ... მისთვის ხატვა ყოველთვის ყველაფერი იყო — სულიერად და თქვენ წარმოიდგინეთ, მატერიალურადაც კი... ახალგაზრდობაში, რაც ხელში მოხვდებოდა, ყველაფერზე ხატავდა, მათ შორის ზეწარზეც... მერე სხვებივით ვერ მიატოვა მხატვრობა. ეს მისი ცხოვრებაა... საერთოდ, ყველა ხელოვანის ნამუშევარში იკითხება მისი ავტორის ხასიათი, მაგრამ ჩემი მეგობრის ნახატებში — განსაკუთრებულად. ასე გგონია, ამ ნახატებში თავად თენგიზია — თავის თავში ჩაღრმავებული და ჩაფიქრებული... იმ ნახატებშიც კი, რომელიც ერთი შეხედვით აბსტრაქტულია, მიუახლოვდები თუ არა, ქართულ შტრიხებს და ხასიათს წაიკითხავ...

*გივი კასრაძე*, მხატვარი: — ეს განსაკუთრებული მხატვრობაა, როცა ნახატზე დეტალები უფრო ზუსტად ჩანს, ვიდრე ფოტოზე. თუმცა ეს არ არის ფოტო, ეს ხელოვნებაა... ჩვენს ქვეყანაში მხატვრებს არ გვილხინს, მაგრამ მაინც ვხატავთ... ხელოვანი იმას ხომ ვერ დაელოდება, მთავრობა როდის მომხედავსო. ჩვენზე, ბევრისგან განსხვავებით, არც ასაკი მოქმედებს. პიკასო და სალვადორ დალი 90 წლისანი გარდაიცვალნენ და საუკეთესო ნახატები სიცოცხლის ბოლო ათწლეულში შექმნეს...

*გურამ ფირცხალავა*, მსახიობი: — ვუყურებ მის ნახატებს და ვფიქრობ, — კაცო, ამისთანა ნიჭიერ კაცს მხატვრობაში უფრო მეტი ამბიცია რატომ არა აქვს-მეთქი... ამ გამოფენამ ცოტა ხნით მთელი ჩემი პრობლემები და გასაჭირი დამავიწყდა... და ასე რამდენს დამართვია, ვინ იცის...

*თენგიზ მარი*: — ის, რომ ქვეყანაში ნაკლებად სცალიათ ხელოვანისთვის, ვფიქრობ, უფრო მეტი პასუხისმგებლობის წინაშე გვაყენებს — ხელოვანმა მაინც არ უნდა მიატოვოს ხელოვნება. მთელი ცხოვრება იმისთვის ვშრომობდი, რომ ხატვისთვის როგორმე შემექმნა პირობები. დღეს მაქვს პატარა ყვავილებიანი ეზო და ვხატავ... ვერც იმას ვიტყვი, ჩემი ნახატები არ იყიდება-მეთქი. მართალია, სიმბოლურ ფასად, მაგრამ მაინც იყიდება... ესეც საკმარისია... სხვა რა გითხრათ...

*ეთერ ერაძე*


გამოვიდა აპრილის ნომერი




თქვენ ხომ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ბაჩო ახალაიამ რუსთავის კოლონიიდან ძლივს გამოასწრო“




ბოლო ერთი თვის განმავლობაში საქართველოში მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ოპოზიცია, არასამთავრობო ორგანიზაციები და თვით ზომიერებით გამორჩეული სახალხო დამცველიც კი ერთდროულად ლაპარაკობენ ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ ქვეყანაში შექმნილ არცთუ სახარბიელო მდგომარეობაზე. ამ ფონზე გაძლიერებული ყურადღების ცენტრში მოექცა ახალაიების ოჯახი. სანდრო გირგვლიანის მკვლელობის სკანდალური საქმის პარალელურად, სადაც დათა ახალაია ერთ-ერთ მთავარ მოქმედ პირად დასახელდა, კომპრომატები გავრცელდა ახალაიას მამაზე და მის კიდევ ერთ ვაჟზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეზე ბაჩო ახალაიაზეც. მას ექსპერტიზის ბიუროს ხელმძღვანელის, ირაკლი კლდიაშვილის ცემაც კი დაბრალდა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის სისასტიკეზე თავდაპირველად ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა გაავრცელეს ინფორმაცია, ბოლო დროს კი არასამთავრობო ორგანიზაციები პრესკონფერენციას პრესკონფერენციაზე აწყობენ და ახალ-ახალ ფაქტებს ახმაურებენ. ბაჩო ახალაიას საქმიანობით უკმაყოფილოა სახალხო დამცველი სოზარ სუბარიც, რომელიც ციხეში არსებულ მძიმე პირობებზე ხშირად ლაპარაკობს.

სახალხო დამცველის ალაპარაკება შემთხვევით არ უნდა ხდებოდეს. როგორც გვახსოვს, მისი დაჟინებული მოთხოვნით დაატოვებინეს თანამდებობები ჯერ დონაძეს და შემდეგ დანარჩენი მაღალჩინოსნებიც გადადგნენ. რას უნდა ველოდოთ ამ შემთხვევაში...

**სოზარ სუბარი** (ომბუდსმენი):

— მეშვიდე საპყრობილეში ძალზე მკაცრი რეჟიმია. ოდნავ ხმაურისთვის, ვთქვათ, გადაძახილისთვის ან სხვა დარღვევისთვის პატიმრებს ადმინისტრაციული სასჯელით კი არ სჯიან, სცემენ. სამწუხაროდ, პატიმრები ცემის ფაქტებს ხშირად მალავენ. გაიძახიან, რა აზრი აქვს ლაპარაკსო. მხოლოდ მიგანიშნებენ, რომ ნაცემები არიან. ამიტომ ძნელია რაიმე ზომის მიღება. სამაგიეროდ, თამამად ლაპარაკობენ იმ შემზარავ პირობებზე, რომელიც საპყრობილეში მართლაც იყო. საკნებში ნათურები ჩამოხსნეს, გარეთ დააყენეს და საკნები ჩააბნელეს. მოგვიანებით ეს პრობლემა მოგვარდა, მაგრამ ადვოკატებს ციხეში შესვლა ჯერ კიდევ უძნელდებათ.

არც მეხუთე საპყრობილეშია სახარბიელო მდგომარეობა. პატიმრები თვეების განმავლობაში სასეირნოდ არ გაჰყავთ. მართალია, იქ ახლა რემონტი აქვთ, მაგრამ ეს პატიმრების გასეირნებას ხელს არ უშლის.

ბათუმში მომხდარ ფაქტსაც გავიხსენებ. როგორც პატიმრები ამბობენ, ერთ დღეს დილაუთენია ცემა-ტყეპით გამოყარეს საკნებიდან ეზოში. იმ დღეს თოვლჭყაპი იყო და მთელი ოთხი საათის განმავლობაში პატიმრები ღია ცის ქვეშ ამყოფეს. ეს ფაქტი ადმინისტრაციამაც დაადასტურა, თუმცა ირწმუნებოდნენ, ეს მხოლოდ ორ საათს გაგრძელდა. შევიტყვეთ, რომ პატიმრებს იარაღი ჰქონდათ, მაგრამ ინფორმაცია არ დადასტურდაო. ეს აქცია მაშინ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ ჩაატარა...

**— ამბობენ, პატიმრებს გაშიშვლებას უბრძანებენ, ვინც მოთხოვნას არ დაემორჩილება, სასტიკად უსწორდებიანო...**

— მეშვიდე საპყრობილეში ეს ფაქტი ადმინისტრაციამაც აღიარა. თქვეს, ჩვენ ყველას გავხადეთ ტანზე, რათა გვენახა, რაიმე აკრძალული ნივთი ხომ არ ჰქონდათ გადამალულიო. ერთ-ერთი პატიმარი სასტიკად სცემეს სწორედ იმიტომ, რომ ადმინისტრაციის მოთხოვნას არ დაემორჩილა. თქვა, მირჩევნია ყოველ ჯერზე მცემონ, ვიდრე ღირსების შელახვა ავიტანოო.

**— პატიმარი წიქვაძე რატომღა სცემეს?**

— როგორც თავად ამბობს, ციხის უფროსმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, მანაც უპასუხა. ამის გამო ჯერ უფროსს დაურტყამს, შემდეგ კი მას ბადრაგი და სპეცრაზმი წაშველებია და ხელკეტებით, წიხლებითა და მუშტებით უცემიათ. პატიმარს ცემის კვალი სახეზე ეტყობა.

**— ამ ბოლო დროს ახალაიების ოჯახის წევრ თანამდებობის პირებზე ნაირ-ნაირი ბრალდება ვრცელდება. ერთდროულად გააქტიურდნენ ოპოზიცია, არასამთავრობო ორგანიზაციები და სახალხო დამცველის ოფისიც.**

— სხვათა შორის, ბევრ რამეში, რაც ციხეში კეთდება, ახალაიას ვეთანხმები. ქურდის საკანი არ იკეტებოდა, „ობშჩიაკი“ გროვდებოდა (ახლაც გროვდება, მაგრამ მაშინ ადმინისტრაცია წილში იჯდა, ახლა კი ებრძვის), ნარკოტიკების შეტანა დოზირებული(?!) და კონტროლირებადი იყო, ახალაია ამას სასტიკად ებრძვის. შემიძლია თავი დავდო, რომ ახალაია კორუფციაში არ გაერევა. ის საკმაოდ დიდი საფრთხის წინაშეც დგას. ეს მედლის ერთი მხარეა, მაგრამ ახალაია ციხეში წესრიგის დამყარებას ისეთი მეთოდებით ცდილობს, რაც ჩემთვის მიუღებელია. უმნიშვნელო მიზეზის გამო ბადრაგი პატიმრებს სასტიკად სცემს, მაშინ როცა არ აქვთ ფიზიკური ძალის გამოყენების უფლება, თუ ფიზიკურ წინააღმდეგობას არ აქვს ადგილი.

- მიუხედავად ამისა, ციხიდან გამოსული ესა თუ ის ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს და ეს არაერთხელ მითქვამს. ამისთვის ხშირად მაკრიტიკებენ კიდეც. რაც რუსთავის კოლონიაში მოხდა, იმაში ბაჩო ახალაიას ნამდვილად ვერ დავადანაშაულებდი. ავრცელებდნენ ინფორმაციას, თითქოს ციხეში ქალების თანხლებით მივიდა, შამპანურის ბოთლებს პატიმრებს თავზე ამსხვრევდა და სხვა... მაშინ არც მითქვამს ყველაფერი, რაც იქ მოხდა... სინამდვილეში ბაჩო ახალაიამ და იმ 10-15-მა კაცმა, რომლებიც კოლონიაში ე. წ. „მაყურებლების“ ოთახის დემონტაჟის გამო შევიდნენ, ძლივს გამოასწრეს იქიდან. რომ იტყვიან, უკანმოუხედავად მოცოცხეს. შეეძლოთ იოლად შეეჩერებინათ პატიმრები, უფლება ჰქონდათ, იარაღიც გამოეყენებინათ, მაგრამ ეს არ გააკეთეს, გამოქცევა ამჯობინეს, მაგრამ მერე შევიდა სპეცრაზმი, რომელმაც ხელკეტებითა და ორიოდე რეზინის ტყვიის გასროლის შემდეგ სწრაფად დაამყარა წესრიგი. ბაჩო ახალაიას არ ვიცავ, მაგრამ არც ის მინდა, ტყუილად დაიჩაგროს. ორი დღის წინ პოლიტიკოსებმა, ადვოკატებმა დამირეკეს, თითქოს მეხუთე საპყრობილეში ყოფილი პოლიციელი პატიმრები და ე.წ. შავები გვერდიგვერდ საკნებში მოათავსეს, მათ საკნებს შორის კედლებია დანგრეული, სიტუაციას ამზადებენ, ესენი რომ ერთმანეთს დააჯახონ და სისხლი დაიღვაროსო... ახალაიას კი ამ დროს, თითქოს სპეცნაზი მზადყოფნაში ჰყავდა, რომ შეჯახების შემდეგ შეეყვანაო. სინამდვილეში ახალაიას ამ დროს სრულიად სხვა საპყრობილიდან პატიმრები გადაჰყავდა ქუთაისის ციხეში, მეხუთე საპყრობილეში კი კანალიზაციის მილი გასკდა ორ საკანში და სანამ შეაკეთებდნენ, პატიმრები სადმე ხომ უნდა გადაეყვანათ? შეჯახების არანაირი საფრთხე არ არსებობდა, თუმცა მე მოვალე ვიყავი, მაინც გადამემოწმებინა. ასეთი დეზინფორმაციები სრულიად შეგნებულად ვრცელდება, რადგან ბევრს არ უნდა ციხეში წესრიგის დამყარება. ისე, არც იმას გამოვრიცხავ, როცა ამდენი ტყუილ-მართალი ინფორმაცია ვრცელდება, ყველაფრის გადამოწმება ვერც ჩვენ მოვახერხოთ და შეცდომა დავუშვათ, თუმცა, მაინც მირჩევნია, ამ კუთხით დავუშვა შეცდომა, ვიდრე პირიქით, შეცდომის შიშით რაღაცაზე ხმა არ ამოვიღოთ.

# „მომეწონა, ის ლიპიანი რომ გაწბილებული დავტოვე“

## „დარცხვენილი“ კლიენტები საქვეყნოდ გამოაშკარავებას ერიდებიან“

თბილისის საქალაქო სასამართლო ერთ საკმაოდ ორიგინალურ სისხლის სამართლის საქმეს იხილავს. იურიდიული თვალსაზრისით საქმე ჩვეულებრივ ძარცვას ეხება, მაგრამ სასამართლოს ის ვერ გაურკვევია, ბრალდებული ქალების სიაში ჩარიცხოს თუ მამაკაცების. ძარცვაში ბრალდებული ალექსანდრე ოდოევსკი თავს ტრანსექსუალად მიიჩნევს და მამაკაცად დაბადებული მანდილოსნობაზე ოცნებობს.

ოდოევსკის ბრალად კლიენტის ძარცვა ედება. გამოძიებით დადგენილია, რომ ალექსანდრე ოდოევსკი სექსუალური მომსახურების მიზნით კლიენტმა ქუჩაში აიყვანა, ოდოევსკიმ კი იგი ჯერ გათიშა, შემდეგ კი გაძარცვა. ამ შემთხვევიდან რამდენიმე დღეში იგი დააპატიმრეს. მომჩივან კლიენტს კი (რომლის სახელსა და გვარს შეგნებულად არ ვასახელებთ) ამ ინციდენტის გამო ოჯახი დაენგრა. ამიტომ გაძარცული კლიენტი ოდოევსკის მორალური კომპენსაციის სახით 10.000 ლარს სთხოვს. როგორც დაზარალებული ირწმუნება, ოდოევსკიმ მას „სამსუნგის“ მარკის მობილური ტელეფონი, ოქროს სამაჯური, ძვირად ღირებული საათი, 50 დოლარი და 115 ლარი უგონო მდგომარეობაში მყოფსააცალა. საკმაოდ უცნაურ თავგადასავალს დაზარალებული ასე იხსენებს:

„იმ საღამოს მეგობართან ერთად ვიქეიფე. სახლში ტაქსით ვბრუნდებოდი. მეგობარი ტაქსიდან ჩამოვსვი და გზა გავაგრძელე. უცებ ისეთი კარგი ქალი შევნიშნე — მაღალი, ქერა. ღამე იყო და სახე მაინცდამაინც არ უჩანდა... მანქანა გავუჩერე, ისიც ჩაჯდა... შემომთავაზა, ბარში ჩავიდეთ, ცოტა დავლიოთო. ბარი „ცირკის“ მიმდებარე ტერიტორიაზეა. ხილის ასორტი შეუკვეთა თავისი ხარჯით... ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, ასორტი საკმაოდ ძვირი, 15-16 ლარი ღირდა. ვიფიქრე, თუ ისე უჭირს, რომ პანელზე დგას, თავისი ხარჯით შეკვეთას რატომ აძლევს-მეთქი. მოკლედ, ბარმენს უთხრა, ორი ჭიქა წვენი გააკეთე, ისეთი, ჩვენ რომ ვიცითო. მაშინ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. წვენი დავლიეთ. მოგვიანებით სასტუმროში წასვლა შემომთავაზა. სასტუმროში რომ მივედით, სასმელი და ერთი ბოთლი „კოკა-კოლა“ ამოატანინა. „კოკა-კოლა“ დავლიე... უეცრად თვალში მომხვდა ქალისთვის არაბუნებრივად დიდი ფეხი, თვალის შევლება კი ვცადე, მაგრამ მერე თითქმის აღარაფერი მახსოვს. ბუნდოვნად მაგონდება, რომ ვიღაც ჩემი ხელიდან სამაჯურის მოხსნას ცდილობდა. ამის მეტს ვერაფერს ვიხსენებ. როცა გონზე მოვედი, გათენებული იყო. ერთიანად ტალახში მოთხვრილი დილომში, თხრილში ვეგდე. თან არც ოქროს სამაჯური მქონდა, არც „სამსუნგის“ მარკის მობილური ტელეფონი და აღარც ფული. ძლივს ამოვხოხდი თხრილიდან. ბორდიურზე დავჯექი... პატრულის მანქანამ შემამჩნია და პოლიციის განყოფილებაში მიმიყვანეს. როცა თავს გადახდენილი ისტორია მოვყევი, პოლიციელებმა მითხრეს, გული გაიმაგრე, შენი „ნაშა“ ქალი კი არა, კაციაო. პოლიციაში ისიც მითხრეს, რა „წვენით“ შეიძლებოდა ესარგებლა მძარცველს. მას „კლოფელინის სითხე“ ჰქვია. ეჭვი მაქვს, რომ ამ საქმიანობაში საკმაოდ ბევრი პირია ჩართული — ბარის მეპატრონის, ბარმენისა და სასტუმროს მომსახურე პერსონალის სახით“.

ეტყობა, ალექსანდრე ოდოევსკი ამგვარ ქმედებაში პოლიციას ადრეც ჰყავდა შემჩნეული, მაგრამ როგორც ჩანს, „დარცხვენილი“ კლიენტები თავიანთი ცოდვებისა თუ შერცხვენის საქვეყნოდ გამოაშკარავებას ერიდებოდნენ, ამიტომაც ოდოევსკის მომჩივანები ამ კონკრეტულ შემთხვევამდე არ ჰყოლია. ოდოევსკი პოლიციამ თავისი სახლიდან აიყვანა. მასვე აღმოაჩნდა ნაძარცვი „სამსუნგის“ მარკის მობილური ტელეფონიც, თუმცა ოქროს სამაჯურის, საათისა და ფულის გზა-კვალს პოლიციამ ვერ მიაგნო. ალექსანდრე ოდოევსკი გამოძიებამ ძარცვაში დაადანაშაულა. ბრალის დადასტურების შემთხვევაში, მას სამიდან ექვს წლამდე პატიმრობა ემუქრება, თუმცა თავად ოდოევსკი დანაშაულს არ აღიარებს. მისი მტკიცებით, კლიენტმა მას ფული არ გადაუხადა, რის შემდეგაც ნებაყოფლობით მისცა მობილური და თანხის მიტანას შეჰპირდა. მიუხედავად ამისა, ოდოევსკის მონათხრობში ეჭვის შეტანა შეიძლება. მას მეტსახელად „სექსო“(?!) ჰქვია და ოთხი წლის წინ თავის „ბიზნესსაქმიანობაზე“ ერთ-ერთ ჟურნალს ინტერვიუც კი მისცა. მაშინ „სექსოს“ სამი მამაკაცი დაესხა თავს და ცემა დაუწყო. ქალის ცემით აღშფოთებულ შემთხვევით გამვლელ ჟურნალისტს ხელში ქერაპარიკიანი, ქალის სამოსში გამოწყობილი მამაკაცი შერჩა.

„სექსო“ მაშინ ჟურნალისტს ბორისად გაეცნო, თუმცა მეტსახელი არ დაუმალავს. მისი ნაამბობიდან: „კაცებთან ურთიერთობისგან ღმერთმა დამიფაროს, სრულფასოვანი მამაკაცი ვარ. ეს ხელობა ერთ ხუმრობას უკავშირდება. მეგობარი ქალი მყავდა, ერთხელ მისი პარიკი მოვირგე და აღმოვაჩინე, რომ სარკიდან მშვენიერი „ქალი“ მიყურებდა. იმ დღეებში ჩემი მეგობრის დაბადების დღე იყო და საჩუქრად კეკლუცი ქალი გავუგზავნე. ის „ქალი“, რა თქმა უნდა, მე ვიყავი. ამაზე ბევრი ვიმხიარულეთ. მოგვიანებით მეგობრების წრეში „ჯოკერი“ ვითამაშეთ. სანაძლეო ასეთი იყო: ვინც წააგებდა, ქალის სამოსი უნდა ჩაეცვა და ქუჩაში დამდგარიყო. ყველა ჩემს „ჩაძირვას“ ცდილობდა და ბუნებრივია, წავაგე. გამოვეწყვე უწინდებურად. ქუჩაში გავედი თუ არა, შედეგმაც არ დააყოვნა. პირველი მანქანაც გაჩერდა. ფასზე მოვრიგდით. მანქანაში მოვკალათდი. სანაძლეო კი




მოგებული მქონდა, მაგრამ დავინტერესდი, როგორ განვითარდებოდა მოვლენები. ჯერ რესტორანში დამპატიჟა, ფული წინასწარ გადამიხადა და სასტუმროშიც წამიყვანა. ნომერში ტუალეტი არ იყო, ამ საბაბით დერეფანში გამოვედი და კისრისტეხით გამოვიქეცი. მომეწონა, ის ლიპიანი კლიენტი რომ გაწბილებული დავტოვე და მალე მოვუხშირე ღამის გასვლებს. თუმცა ახლა საქმე სასტუმრომდე აღარ მიმყავს — ბარშივე დავათრობ და მერე ვასუფთავებ. მთვრალ კაცს ჩემს ბამბის მკერდს გავუხახუნებ და ისიც ფულს არ იშურებს. ბარის მეპატრონეც კმაყოფილია და მეც. ერთი საიმედო ადგილი მაქვს შერჩეული. თუ კლიენტი ძნელად თვრება, სასმელში ცოტაოდენ „საჭირო“ სითხეს გავურევ და მორჩა“.

როგორც ჩანს, „სექსოსა“ და ბარის მეპატრონის ბიზნესსაქმიანობის შესახებ პოლიციამ თავის დროზე ყველაფერი იცოდა და მის „ანცობას“ ჯიბის გასქელების მიზნით მანამდე იყენებდა, ვიდრე ერთ-ერთმა კლიენტმა ოდოევსკის არ უჩივლა. პოლიციას მისი აყვანა არ გასჭირვებია, თუმცა ბარის ან სასტუმროს მეპატრონის ამ საქმესთან კავშირი ვერ დადგინდა. თავად ოდოევსკი კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს.

**ძეთი ჯაყელი** (ოდოევსკის ადვოკატი): „ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს გამოძიებამ ძარცვის ბრალდება უნდა მოუხსნას. მას არც სამაჯური მოუხსნია კლიენტისთვის და არც ფული წაუღია. ის შეიძლება თაღლითობაში დაადანაშაულონ, რადგან არ გაამხილა, რომ ქალი კი არა, კაცი იყო“.

სასამართლო საგონებელშია ჩავარდნილი, ვერ გაურკვევია, ტრანსექსუალი სად უნდა მოათავსოს — ქალთა კოლონიაში თუ მამაკაცების საკანში...

P.S. ე. წ. „კლოფელინს“ მძარცველები ხშირად იყენებენ. მისი გამოყენების ტექნოლოგია დიდი ხანია, ნაცნობია (ადრე „კლოფელინს“ მატარებლის მძარცველებიც იყენებდნენ). როგორც გავარკვიეთ, ეს საშუალება საკმაოდ მავნებელია მათთვის, ვისაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებები აწუხებთ, — „კლოფელინით“ გათიშვა შესაძლოა საბედისწერო აღმოჩნდეს — მისი დიდი დოზით გამოყენების შემთხვევაში სიკვდილიც არ არის გამორიცხული.

***გვერდი მოამზადა ხათუნა პაიჭაძემ***

# დარწმუნებული ვარ, არც ისეთი ჩანაწერი დაიმალებოდა, თუ ქვეყნის საზიანოდ ვილაპარაკებდი



**„ეს ძალზე მტკივნეული თემაა ჩემთვის, როგორც ადამიანისათვის, როგორც დედისთვის და როგორც პარლამენტის თავმჯდომარისთვის“**

ვფიქრობ, რომ ეს კონკრეტული საკითხი უნდა გამოიძიონ. ქვეყნის პირველი პირები ხშირად ისეთ თემებზე საუბრობენ, რაც არ უნდა გახდეს სხვა ქვეყნისთვის ხელმისაწვდომი. ის პირები, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას ფლობენ, არ უნდა ისმინებოდნენ. არის ინფორმაცია, რომელიც განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში დახურული უნდა იყოს. ასე რომ, ეს მართლაც სერიოზული საკითხია და მას ხელისუფლებამ უნდა მიაქციოს ყურადღება — უნდა გაირკვეს, რასთან გვაქვს საქმე.

მაშინ, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარის საუბრის ფარულ ჩანაწერს კონსერვატორები მედიას აცნობდნენ, **ნინო ბურჯანაძე** ლიონელებისა და ქუთაისელების დასაძმობილებლად საფრანგეთში იმყოფებოდა ვიზიტით. პარლამენტის თავმჯდომარეს არც ის მოუსმენია, როგორ დააბრალა სალომე ზურაბიშვილმა ზოგიერთ ოპოზიციონერს ბურჯანაძის სასარგებლოდ მუშაობა. პარლამენტის თავმჯდომარე საფრანგეთიდან სულ რამდენიმე საათის ჩამოსული იყო, როდესაც „კვირის პალიტრას“ შეხვდა. საუბარი საფრანგეთის ვიზიტით დავიწყეთ:

— საფრანგეთში პოზიტიური ვიზიტი გვქონდა. ამ ქვეყანასთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება ძალზე მნიშვნელოვანია იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც ევროსტრუქტურებთან დაახლოებასა და ნატოში გაწევრებას ფიქრობს.

პირველი ოფიციალური სამუშაო დღე ლიონში გვქონდა. ეს ეკონომიკურად ძალზე ძლიერი რეგიონია და მინდოდა იმერეთის რეგიონთან დამეძმობილებინა. ლიონის მხარის ხელმძღვანელობა ქუთაისის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაში, აბრეშუმკომბინატის ამოქმედებაში, ელექტროენერგიის ობიექტებისა და გადამცემი ხაზების აღდგენაში დახმარებას დაგვპირდა. საგანგებო შეხვედრა გვქონდა ლიონის უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელობასთან. გადაწყდა, რომ სექტემბრიდან სასწავლო პროგრამებით ქუთაისელი და ლიონელი ახალგაზრდების გაცვლა დაიწყება.

ფრანგ პოლიტიკოსებს ვუამბეთ იმ რეფორმებზე, რომლებიც საქართველოში ბოლო ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობს. მასპინძლებმა აღგვითქვეს, რომ აქტიურად დაუჭერენ მხარს საქართველოს ნატოში გაწევრებას, მათ ერთმნიშვნელოვნად განაცხადეს — ჩვენთვის მიუღებელია აფხაზეთსა და სამაჩაბლოში გაყინული კონფლიქტების არსებობა, რადგან ეს არასტაბილურობის წყაროაო.

საინტერესო შეხვედრა გვქონდა პარიზის სამრეწველო-სავაჭრო პალატაში, სადაც მეტად სასიამოვნო რამ შემოგვთავაზეს — მე-19 საუკუნეში აშენებულ ულამაზეს შენობაში, რომელიც დაახლოებით საქართველოს პარლამენტისოდენაა, 2007 წლის დამდეგს საქართველოს დღეები ჩატარდება. ამ ღონისძიებაზე მიწვეულნი იქნებიან ის პირები, რომლებიც დღეს ევროპის ეკონომიკას განაგებენ.

ამასთან, სენატის თავმჯდომარეს, კრისტიან პონსლეს ვთხოვე, რომ ლუქსემბურგის სასახლეში ჩვენი სამუზეუმო ექსპონატების გამოფენა მოეწყოს. გვქონდა შეხვედრა იუნესკოშიც. ვისაუბრეთ კონკრეტულ პროექტებზე, რომლებიც გულისხმობს არა მარტო საქართველოს იურისდიქციაში მყოფ ტერიტორიაზე არსებული ძეგლების რესტავრაციას, არამედ იმ ძეგლების

სამაჩაბლოშია. გვქონდა საუბრები გელათის 900 წლისთავისა და ჯვრის მონასტრის 1500 წლის იუბილის აღნიშვნაზეც.

— **ფრანგული სოფლის ნახვისას გითქვამთ, ნეტავ ქართველ გლეხებსაც ასეთ პირობებში უწევდეთ მუშაობაო.**

— ლიონი მელვინეობით განთქმული რეგიონია. ძალიან მინდა, საქართველოშიც მალე მოვიდეს ის დრო, როდესაც ადამიანები თავიანთი შრომის შესაბამისად იცხოვრებენ. ქვეყანაში არსებული სიტუაციის გამო ჯეროვნად ვერ ფასდება ადამიანის შრომა და ის ისე ვერ ცხოვრობს, როგორც ეკადრება. ამის მოგვარებას დრო სჭირდება. დღევანდელ დონემდე მისასვლელად საფრანგეთსაც დიდი ძალისხმევა დასჭირდა, მაგრამ ჩვენ გვინდა, რაც შეიძლება დავაჩქაროთ ეს პროცესი და ამიტომაც ვეძებთ ევროპული ქვეყნების დახმარებას.

მართალია, განვიცდი, როდესაც მოქალაქეები პრობლემების ან პოლიტიკური კონიუნქტურის გამო ქუჩაში გამოდიან პროტესტის გამოსახატავად, მაგრამ ეს ნორმალური პროცესია და სწორად არ მიმაჩნია ამის დრამატიზება. საქართველოზე მძიმე აქციები მიმდინარეობდა საფრანგეთში. თავად ვნახე, რაოდენ მწვავე დაპირისპირება მოჰყვა საფრანგეთის ხელისუფლების ერთ-ერთ გადაწყვეტილებას (იგულისხმება ბოლოდროინდელი სტუდენტთა საპროტესტო აქციები საფრანგეთში. — ავტ.). ქუჩის აქციები კარგი არ არის, მაგრამ ეს დემოკრატიულ ქვეყნებში ნორმალური მოვლენაა. მეორე მხრივ იმასაც ვიტყვი, რომ ხელისუფლებას უთუოდ მართებს პრობლემაზე რეაგირება. როდესაც მოსახლეობა რაციონალურ აზრს სთავაზობს, ხელისუფლებამ ეს უნდა გაითვალისწინოს. არ არსებობს ისეთი რეფორმა, რომელიც ყველას მოეწონება.

— **ქალბატონო ნინო, იმ მოვლენებზეც ვისაუბროთ, რაც ბოლო დროს ქართველ საზოგადოებას აწუხებს. სანდრო გირგვლიანის მკვლელობა დიდი ვნებათაღელვისა და საპროტესტო აქციების მიზეზი გახდა. ამ დანაშაულის გამო კონკრეტული პირები დაისაჯნენ, მაგრამ საზოგადოებამ ჩათვალა, რომ ეს ხელისუფლების მიერ გატარებული ნახევარზომა იყო.**

— ეს ძალზე მტკივნეული თემაა ჩემთვის, როგორც ადამიანისათვის, როგორც დედისთვის და როგორც პარლამენტის თავმჯდომარისთვის. ეს არის თემა, რომელიც ხელისუფლებისგან ადეკვატურ პასუხებს მოითხოვს ყველა იმ კითხვაზე, რაც არსებობს. ხელისუფლების ადეკვატური პასუხი კი იმ პირთა ადეკვატური დასჯა იქნება, რომელთაც დასაბუთებულ და არგუმენტირებულ ბრალდებას წაუყენებენ. სანამ გამოძიება მიმდინარეობს, მასში ჩარევის უფლებას თავს არ მივცემ.

ჩატარდება და ყველა კითხვას პასუხი გაეცემა. შესაძლოა, გამოძიების დასკვნა დაემთხვეს საზოგადოების მოლოდინს, შესაძლოა — არა. მთავარი ის არის, რომ გამოძიების შედეგი და პასუხი კომპეტენტური და ობიექტური იყოს.

— **შს მინისტრის პარლამენტში მისვლაც იმით იყო გამოწვეული, რომ თქვენ კონკრეტული კითხვები გქონდათ?**

— ეს ტრაგედია გულთან მივიტანე, მაგრამ ამის გამოსახატავად არ არის აუცილებელი ხმამაღალი ლაპარაკი. ვიმეორებ, ამ საქმის ობიექტური გამოძიება ძალზე მნიშვნელოვანია, ეს არა მარტო ადამიანურად, არამედ პოლიტიკურადაც პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხია ხელისუფლებისათვის. კითხვები ყველას გვაქვს და ვისურვებდი, რომ გამოძიების დასრულებამდე ამ საკითხის პოლიტიზება არ მომხდარიყო. ვფიქრობ, გამოძიების დასრულებამდე ყველა პოლიტიკურმა ჯგუფმა უნდა შეიკავოს თავი კომენტარების გაკეთებისგან. ამ საქმის გამოძიება შს მინისტრისა და გენერალური პროკურორის ღირსების საკითხია.

— **გასულ კვირას ოპოზიციამ გაავრცელა თქვენი და ასლან აბაშიძის საუბრის ჩანაწერი, სადაც აჭარის ავტონომიის დამოუკიდებლობაზეა ლაპარაკი.**

— რამდენიმე საათის წინ დავბრუნდი საქართველოში და არ ვიცი, კონკრეტულად რომელ საუბარს გულისხმობთ, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ყველგან — დაფარულადაც, საჯაროდაც და სატელეფონო საუბარშიც იმას ვამბობ, რაც ჩემს ქვეყანას სჭირდება.

— **მაშინ კონკრეტულად მოსმენის ფაქტზე გთხოვთ კომენტარს. ნორმალურია, რომ თურმე ქვეყნის პირველ პირებს უსმენენ?**

— არც ქვეყნის პირველ პირს უნდა უსმენდნენ, არც მეორეს, არც მესამეს და არც რიგით მოქალაქეს. არსებობს კონკრეტული კანონი და ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში მას უნდა იცავდნენ. კანონის დაცვით ნებისმიერი პირის მოსმენა შეიძლება, მაგრამ კანონის დარღვევით არც ერთ პირს არ უნდა მოუსმინონ. როდესაც ქვეყანაში სატელეფონო საუბრებს კანონდარღვევით უსმენენ, ეს ძალზე სერიოზული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ბევრ დეტალს არ ვიცნობ, მათ შორის იმ თემასაც, რის გამოც ეს კითხვა დამისვით. თუმცა ვიტყვი, რომ ქვეყანაში ყველა მოქალაქე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ კანონით არის დაცული. ნორმალური სახელმწიფოს აშენება მხოლოდ ამ გზით შეიძლება; ხოლო თუ გვინდა, ვილაცას კანონდარღვევით ვუსმინოთ — ეს ნორმალური სახელმწიფოს აშენების წინა პირობა ვერ იქნება. სჯობია, ავირჩიოთ ის გზა, რომელიც რთულია, ნაკლებკომფორტული, მაგრამ კანონიერია და სამართლიანი.

რა თქმა უნდა, არ არის ნორმალური, როცა ქვეყნის პირველ პირს უსმენენ. პოლიტიკოსების უფლებები ხშირად არა მარტო მოსმენებით, არამედ უსამართლო ბრალდებებითაც ილახება, ასეთია პოლიტიკოსთა ცხოვრება. თუმც ვფიქრობ, რომ ეს კონკრეტული საკითხი უნდა გამოიძიონ. ქვეყნის პირველი პირები ხშირად ისეთ თემებზე საუბრობენ, რაც არ უნდა გახდეს სხვა ქვეყნისთვის ხელმისაწვდომი. ის პირები, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას ფლობენ, არ უნდა ისმინებოდნენ. არის ინფორმაცია, რომელიც განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში დახურული უნდა იყოს. ასე რომ, ეს მართლაც სერიოზული საკითხია და მას ხელისუფლებამ უნდა მიაქციოს ყურადღება — უნდა გაირკვეს, რასთან გვაქვს საქმე.

— **სხვათა შორის, ითქვა, რომ ამ ჩანაწერის გახმაურებით კობა დავითაშვილი თქვენს სასარგებლოდ გაისარჯა.**

— მართლა? ძალიან საინტერესოა, ვერაფერს ვიტყვი... ვფიქრობ, მან ის ინფორმაცია წარმოადგინა, რაც ჰქონდა. დარწმუნებული ვარ, არც ისეთი ჩანაწერი დაიმალებოდა, თუ ქვეყნის საზიანოდ ვილაპარაკებდი.

მაშინ, როდესაც გირგვლიანის მკვლელობისა და სალაროაპარატების თემით გაგულისებული მოსახლეობა მღელვარებას ძლივს იოკებდა, კონსერვატორებმა საზოგადოებას განსხვავებული, თუმც არანაკლებ მნიშვნელოვანი თემა შესთავაზეს. ფარული ჩანაწერი, რომელიც მათ ინკოგნიტო ინფორმატორმა მიაწოდა, ედუარდ შევარდნაძისა და ასლან აბაშიძის, ასევე ნინო ბურჯანაძისა და აჭარის მეთაურის დიალოგს შეიცავს. კონსერვატორები ამ ჩანაწერის საფუძველზე ექსპრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხს სვამენ.

კონსერვატორების საქციელი საზოგადოებამაც და პოლიტიკურმა სპექტრმაც არაერთგვაროვნად მიიღო. ზოგიერთმა ეს სვლა საზოგადოების ყურადღების გადატანის მცდელობად აღიქვა, ზოგმაც კი, პარლამენტის თავმჯდომარის სასარგებლო პიარაქციად. რას ფიქრობენ ამ მითქმა-მოთქმაზე კონსერვატორები, **ზვიად ძიძიგურთან** ინტერვიუდან შეიტყობთ:

# „ასეთი დანაშაულისთვის ყველა უნდა დაისაჯოს“



**ხელისუფლებაში ერთმანეთს ფარულად დღესაც უსმენენ**

**„ნინო ბურჯანაძის გადმობირების გეგმები ოპოზიციას არ აქვს“**

— ჩანაწერი, რომელიც გამოვაქვეყნეთ, 2003 წლის ნოემბერში, რევოლუციისწინა პერიოდშია გაკეთებული. ჩანაწერში დაფიქსირებულია, როგორ სთავაზობდა ედუარდ შევარდნაძე ასლან აბაშიძეს აჭარის დამოუკიდებლობის თემით მანიპულირებას, რითაც ისინი თავიანთ პოლიტიკურ ძალაუფლებას უფრო განიმტკიცებდნენ.

— **მაგრამ რატომ გამოქვეყნდა ჩანაწერი მაშინ, როდესაც საზოგადოება აქციებს სულ სხვა რამის გამო მართავდა. გარკვეულწილად, ეს გაგებულ იქნა როგორც საზოგადოების ყურადღების გადატანა სხვა თემაზე.**

— ჩანაწერი რამდენიმე დღის წინ მოგვიტანეს და მეორე დღესვე გამოვაქვეყნეთ. იმდენად მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ, ვიფიქრეთ, რომ უსათუოდ უნდა მიგვეტანა საზოგადოებამდე. მას თვითონ უნდა შეეფასებინა იგი და გაეკეთებინა დასკვნა, როგორ ქვეყანაში ვცხოვრობთ, როგორ იქცევიან ქვეყნის პირველი პირები და რამდენად დაუცველია მოსახლეობა.

რომელ სახელმწიფოზეა ლაპარაკი, როდესაც ქვეყნის პირველი პირები ასე აბურთავებენ სახელმწიფო ინტერესებს, როდესაც ზოგიერთი სახელმწიფო დაწესებულება ქვეყნის მაღალი რანგის პირებს უსმენს, ჩანაწერებს აკეთებს და შემდეგ ისინი ოპოზიციური პარტიების ლიდერებთან ხვდება.

ჩანაწერი რომ არ გამოგვექვეყნებინა, მერე გვკითხავდნენ, რატომ არ გამოაქვეყნეთო. გაცილებით უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით, თუ პასუხად ის გვექნებოდა, ეს თემა მაშინ აქტუალური არ იყო, საზოგადოების ყურადღება სხვა საკითხზე იყო გადატანილიო.

ასეთი დანაშაულისთვის (რაზეც ჩანაწერი მეტყველებს) ყველა უნდა დაისაჯოს, მიუხედავად იმისა, რა თანამდებობა ექნება. თუ გვინდა, სახელმწიფო ავაშენოთ, ყველა თანამდებობის პირმა უნდა იცოდეს, რომ სამშობლოს ღალატის მცდელობაც კი არ დარჩება დაუსჯელი.

ეს მანიპულირებაა აჭარის დამო-

ამაში სამშობლოს ღალატის ნიშნებიც არის. ქვეყნის მთლიანობა სავარძლის შენარჩუნებისთვის საფრთხის ქვეშ არ უნდა დააყენო. დარწმუნებული ვარ, თავის დროზე, 1993 წელს, ასევე მანიპულირებდა შევარდნაძე აფხაზეთის თემით, რაც ძალზე ძვირი დაუჯდა ჩვენს ქვეყანას. შესაძლოა, არც მაშინ უნდოდა შევარდნაძეს აფხაზეთის დაკარგვა, მაგრამ ხომ დაკარგა?

— **კონსერვატორებს რაიმე ჩანაწერი კიდევ ხომ არ გაქვთ?**

— რაც გვქონდა, ყველაფერი გამოვაქვეყნეთ და თუ მსგავსი შინაარსის (ან დონის) ჩანაწერი კვლავ ჩაგვივარდება ხელთ, იმასაც გამოვაქვეყნებთ. დარწმუნებულიც ვარ, რომ ჩაგვივარდება.

— **რატომ ხართ დარწმუნებული?**

— იმიტომ, რომ ჩვენ ყოველთვის ვიცავთ პირობას და არ ვასახელებთ ინფორმაციის წყაროს. ამ პირობას ახლაც დავიცავთ და მერეც.

როგორც ხედავთ, მოსმენების საკითხი აქამდეც მოუწესრიგებელი იყო და ახლაც ასეა. წინა ხელისუფლების დროს ვისაც ვისი მოსმენა უნდოდა, უპრობლემოდ უსმენდა. ახლაც ანალოგიური ვითარება რომ არის, ამაზე კეზერაშვილისა და მისი თანამშრომლების საუბრის ჩანაწერები მეტყველებს, რომელიც საზოგადოებამდე ჩვენ მივიტანეთ. გარწმუნებთ, ეს ჩანაწერები ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს არ გაუკეთებიათ. ხელისუფლებაში ერთმანეთს ფარულად უსმენენ და თანაც სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. ეს იმის ნიშანია, რომ ქვეყანაში არავინ და არაფერია დაცული. ეს ძალზე საგანგაშო თემაა, რომელზეც უთუოდ უნდა ამოიღოს საზოგადოებამ ხმა. სხვაგვარად ნორმალურ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ.

ალბათ, გახსოვთ, აშშ-ის პრეზიდენტი ნიქსონი გადაჰყვა ჟურნალისტების მოსმენის ფაქტს. ამიტომ აუცილებელია, საქართველოშიც აგონ პასუხი მათ, ვინც უკანონო მოსმენებს აწარმოებს. ხომ ცხადია, რომ ჩანაწერი, რომელიც ჩვენთან აღმოჩნდა, ვილაცამ საკუთარი ინტერესებისთვის გააკეთა. ქვეყნის პირველი პირების საუბრების მოსმენა შემთხვევით არ ხდება. ასეთ რამეს სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების დავალებით აკეთებენ და სწორედ ამიტომ არის აუცილებელი ლუსტრაციის კანონის მიღება.

— **ჩანაწერში, რომელიც თქვენ გამოაქვეყნეთ, დადებით კონტექსტში ფიგურირებს პარლამენტის თავმჯდომარე. ითქვა, ოპოზიცია ბურჯანაძის თავის რიგებში გადაყვანას ცდილობს და ამ ჟესტით სცადა მისი გულის მოგებაო.**

— ჩვენ რაც ჩაგვივარდა ხელში, ის გამოვაქვეყნეთ და არ დაგვიწყია კორექტირება, რა გაგვეშვა და რა — არა. თქვენს არგუმენტსაც აქვს არსებობის უფლება, მაგრამ ბურჯანაძის ოპოზიციაში გადასვლა არარეალურია. ის სააკაშვილის ხელისუფლებასთან არის ჩახუტებული და ხშირად თვალს ხუჭავს მის დანაშაულებრივ ქმედებებზე. თუ ქალბატონი ნინო დაინახავს, რომ სააკაშვილის ხელისუფლების საქმე ცუდად წავიდა, ალბათ, საპარლამენტო ან საპრეზიდენტო არჩევნების წინ იმ ტრიუკს გაიმეორებს, რაც შევარდნაძის დროს გააკეთა — ეტყობა, მაშინ იფიქრებს ოპოზიციაში გადასვლაზე. დღეს კი ძალიან კარგად არის და სააკაშვილს მასზე უკეთესი ადვოკატი არც ჰყავს. ასე რომ, ნინო ბურჯანაძის გადმობირების გეგმები და პოლიტიკაზე ილუზორული წარმოდგენა ოპოზიციას არ აქვს.

# „ჩუმი“ სტრატეგია... ხელისუფლება თამაშის წესებს ცვლის

## საშემოდგომოდ მთავარ რაუნდს დაველოდოთ

ძალა რომ ერთობაშია, ეს პოლიტიკოსებმა კარგად იციან, მაგრამ ქართულ სინამდვილეში ამ აქსიომის ხორცშესხმა ყოველთვის ჭირდა. დღეს ქართულ პოლიტრინგზე, სადაც ჯერჯერობით მხოლოდ ოპოზიცია იქნევს მუშტებს, უჩვეულო ვითარებაა. ერთი შეხედვით ჩანს, რომ ოპოზიციური სპექტრის სიჭრელე ნაირფეროვნებისკენ მისი მიდრეკილების მიზეზი სულაც არ არის. უბრალოდ, ერთად დგომა დრომ და გარემოებებმა მოითხოვა, თორემ გუშინ არ იყო, მემარჯვენეები მემარცხენეებზე რომ ამბობდნენ, აბა, ჩვენ ერთად რა გვინდაო. ნესით, ახლა ოპოზიციურ ფლანგზე კრილოვის ერთი იგავ-არაკის სიუჟეტი უნდა გათამაშდეს, როდესაც ყველა თავ-თავის მხარეს დაიწყებს ქაჩვას, მაგრამ ეს მაშინ მოხდება, როდესაც ერთ უღელში შეებმებიან, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჯერ „მეუღლეობაზე“ ლაპარაკი ზედმეტია და ამიტომაც არიან ერთად.

როდის იყო საკუთრების დამცველ ახალ მემარჯვენეებს ლეიბორისტული „უტოპიური სოციალიზმის“ ან თუნდაც უფასო ჯანდაცვისა სჯეროდათ. ისე, ნესით, ახლა ყველაზე კომფორტულ მდგომარეობაში კონსერვატორები უნდა იყვნენ, რადგანაც მემარჯვენე იდეოლოგიას მემარცხენე იდეებთან სინქრონულად და ოსტატურად ათავსებდნენ. ოპოზიციურ ველზე რამდენი ძაფის გორგალი დაგორავს, ჯერ მკაფიოდ არ ჩანს, მაგრამ ერთის ბოლო რომ კობა დავითაშვილს უჭირავს, გასულ კვირას დავრწმუნდით.

გასულ კვირებში პოლიტიკური თონე გვარიანად გახურდა — სოციალური თემატიკა პოლიტიკური მოთხოვნებით შეიცვალა. პარლამენტთან აზვირთებული აქციის ტალღა კანცელარიასაც მისწვდა. მიტინგზე გახმაურებული მოთხოვნების რეალურად შესრულება რომ ვინმეს ნდომოდა, ამ თონეში უთუოდ ფიჩხს ჩაუკიდებდა, მაგრამ პირიქით მოხდა — გახურებულ ნაკვერცხალს წყალი კონსერვატორთა ლიდერმა გადაასხა და შეეცადა პროტესტის ტალღა კანცელარიის ნაცვლად კრწანისისკენ მიემართა — შევარდნაძე ასლან აბაშიძეს აჭარის საქართველოსგან გამოყოფისკენ აქეზებდაო, გვამცნო კონსერვატორების ლიდერმა და დოკუმენტიც წარმოადგინა. მასში შევარდნაძე აჭარას აბაშიძეს „აძლევს“, ბურჯანაძე კი აბაშიძეს ეუბნება, აჭარის საქართველოდან გამოყოფის უფლება არავის აქვს, ეგ მეორედ აღარ თქვათო. ამით ცხადი შეიქნა, რომ კეთილმა და სამართლიანმა სააკაშვილმა საშინელი შევარდნაძე და აბაშიძე მოგვაცილა, რომლებიც თავიანთი სავარძლების გადასარჩენად აჭარას გლეჯდნენ საქართველოს. ცხადი შეიქნა ისიც, რომ პარლამენტის თავმჯდომარე „ბოროტთა შეთქმულებაში“ არ გაერია და სამშობლოს უერთგულა. ისინი, ვინც პრეზიდენტისა და კობა დავითაშვილის ძველი მეგობრობის ამბავი იციან, ირწმუნებოდნენ, კობას და მიშას დაპირისპირების არ გვჯერაო, ახლა ნამდვილად გაიმართნენ წელში — ხომ გეუბნებოდით, ახლაც არ გჯერათო?!

დავითაშვილმა რომ ამჯერად წყალი ბურჯანაძის წისქვილზე დაასხა, სალომე ზურაბიშვილსაც არ გამოჰპარვია და არადიპლომატიური პირდაპირობით მიახალა დავითაშვილს — ამ მანევრით ბურჯანაძე წარმოაჩინე კარგადო. ზურაბიშვილი კი, მოგეხსენებათ, ამით კმაყოფილი ვერაფრით დარჩებოდა და ამიტომ ოპოზიციის ერთობლივ მემორანდუმსაც აღარ მოაწერა ხელი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ გაპოლიტიკოსებული დიპლომატი სახელისუფლებო ნიავის ქროლას ოპოზიციის რიგებში მანამდეც გრძნობდა და ეს აღნიშნა კიდეც ჩვენთან საუბრისას.

დაკვირვებული თვალი კობა დავითაშვილს სხვა საინტერესო რამესაც უთუოდ შეამჩნევდა (ის ნაკლებად ხმაურობს) — კერძოდ, ის მაისაშვილი-ზურაბიშვილის ტანდემს უპირისპირდება. ჯერ იყო და, ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერით გამოსვლისას მაისაშვილი რამდენჯერმე გააკრიტიკა, გასულ კვირას კი „ხალხოსნის“ იმიჯის მქონე კონსერვატორი პარიზელ ქალბატონს სხვა კუთხიდანაც მისწვდა და უკადრისობა დასწამა — დანარჩენ ოპოზიციონერებთან არ კადრულობს თანამშრომლობასო. ამით კი ყველას მიანიშნა, ქართველი ემიგრანტების შთამომავალი თავს გვამეტებს, მაგის ხელისუფლებაში მიშვება როგორ იქნებაო. სხვათა შორის, თუ გავითვალისწინებთ კულუარებში გავრცელებულ ხმას — დასავლეთის განსაზღვრული წრეები სააკაშვილს ურჩევენ, პარლამენტის (შესაძლოა, ვადამდელი არჩევნების შემდეგ არჩეულის) თავმჯდომარედ სალომე ზურაბიშვილი დასვას, პრემიერ-მინისტრის პორტფელი კი გია მაისაშვილს ჩააბაროსო, უაზრო და გაუთვლელი დავითაშვილს საქციელი ნამდვილად აღარ ჩანს. ამ მოსაზრების კონტექსტში კარგად ეწერება ნინო ბურჯანაძის ეუთოს პრეზიდენტობის შესაძლო შანსიც.



### ქართულ პოლიტრინგზე ჯერ მხოლოდ ოპოზიცია იქნევს მუშტებს

მიტინგებზე გაირკვა, რომ ოპოზიცია ერთ ხმაში არ მღერის. ზოგი იტყვის, ქართული სიმღერა მრავალხმიანი რომ არის, იმიტომაცაა საამოდ მოსასმენიო, მაგრამ პოლიტიკური მრავალხმიანობა რამდენად გაამართლებს, ძნელი სათქმელია.

შალვა ნათელაშვილს სააკაშვილის წასვლა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები უნდა, კოკო გამსახურდიას — 1991-92 წლების მოვლენების ჯეროვნად შეფასება, სალომე ზურაბიშვილისთვის გირგვლიანის მკვლელობის ფაქტია უმთავრესი, რესპუბლიკელები ყველაფერში აკრიტიკებენ ხელისუფლებას და არჩევნების გზით შეცვლას უპირებენ, კონსერვატორები მთავრობის გადადგომას მოითხოვენ, „სახალხო ფორუმი“ სააკაშვილს მოუწოდებს, ხალხის ნებას დაემორჩილოს და თბილისს დანიშნული უგულავა მოაშოროს, „ახალი მემარჯვენეები“ კი სააკაშვილის სკამზე დავით გამყრელიძეს ხედავენ. ერთადერთი საკითხი, რაშიც ყველა თანხმდება, ვანო მერაბიშვილის მოხსნაა... სააკაშვილს ამ შემთხვევაში წინამორბედის მაგალითის გახსენება უთუოდ მოუწევს. შევარდნაძის დასუსტება ხომ სწორედ კახა თარგამაძის მოხსნით დაიწყო, რამდენად დაასუსტებს სააკაშვილს მერაბიშვილის მოხსნა? შევარდნაძეს თარგამაძის საპირწონე არ ჰყავდა — ნარჩემაშვილმა მინისტრად ვერ ივარგა, სააკაშვილს კი ოქრუაშვილი ჰყავს. სხვათა შორის, კულუარებში ისევ ლაპარაკობენ უშიშროებისა და შს სამინისტროების შესაძლო გამიჯვნაზე — შს სამინისტროში ოქრუაშვილი დაბრუნდება, უშიშროებაში — მერაბიშვილი გადავაო. ამ ვარიანტის გათამაშების შემთხვევაში თავდაცვის სამინისტროს თავკაცობას ირაკლი ალასანიას უწინასწარმეტყველებენ, რომელიც ერთხანს იყო კიდეც თავდაცვის მინისტრის მოადგილე და როგორც ამბობენ, ამ სტრუქტურას კარგად აულო ალღო. მაშინ, როდესაც ქუჩაში ემოციები დუღს, ხელისუფლებამ მოულოდნელად დუმილის ტაქტიკა აირჩია — არც ოპოზიციას ელაპარაკება და არც ხალხს. უცნაურია, რატომ თმობს ხელისუფლება ასპარეზს, როდესაც კარგად იცის, ბრძოლის ველის დატოვების მერე „ძველი დიდებით“ მასზე დაბრუნება ძალზე ძნელია. უფრო სარწმუნო ის უნდა იყოს, რომ ხელისუფლებას ალბათ აღარც უნდა იმ მოედანზე ასპარეზობა, სადაც ოპოზიციამ გვარიანად გაიმყარა პოზიციები და გაცლა ამიტომ ამჯობინა. სავარაუდოდ, ის სხვა მოედანზე დაიწყებს თამაშს და სხვა თემებით ეცდება მანიპულირებას. სახელისუფლებო ბანაკის უმოქმედობის ფონზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გააქტიურება ამის მანიშნებელი უნდა იყოს. როცა სალარო-აპარატების შემოღების გამო მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა, ლომაიამ აკადემქალაქიდან მეცნიერებათა აკადემიის „გამოსახლებაზე“ დაიწყო ლაპარაკი, რაც იმთავითვე ნათელი იყო, რომ დიდ ვნებათაღელვას გამოიწვევდა. პარალელურად ცხადდება პედაგოგიური და უცხო ენათა უნივერსიტეტების გაერთიანების შესახებ ინფორმაცია, რასაც ასევე სტუდენტთა პროტესტი მოჰყვა. როგორც ჩანს, ხელისუფლება ამ ეტაპზე ამ თემითაც აპირებს მანიპულირებას (სხვა თემაზე კონცენტრირებულ საზოგადოებას განათლების სისტემის რეფორმებისთვის თვალყურის მიდევნება გაუჭირდება) — ეს ხომ წაუგებელი თამაშია... ჯერ ერთი, განათლების რეფორმის შედეგებს წლების შემდეგ ვიხილავთ, ამასთან მინისტრიც გვარწმუნებს — შედეგი მართლაც შთამბეჭდავი იქნებაო...

მოგეხსენებათ, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან. საქართველოში კი მართლაც ცხელ შემოდგომას ველით. როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ოპოზიცია და ხელისუფლება ერთმანეთს ძალებს მოუსინჯავენ. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, საშემოდგომოდ მთავარ რაუნდს დაველოდოთ.

*იზო რუკაძე*


## BP საქართველოს საზაფხულო სტაჟირების პროგრამა 2006

bp

**BP** საქართველო იწყებს სტაჟირების პირველ საზაფხულო პროგრამას, რომელიც ნიჭიერი სტუდენტების მცირერიცხოვან ჯგუფს მისცემს მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ენერგოკომპანიაში სამუშაო გამოცდილების შეძენის საშუალებას.

პროგრამაში მონაწილეობისათვის შეირჩევიან საინჟინრო-ტექნიკური, ბიზნესის, ეკონომიკური, საფინანსო, იურიდიული და საერთაშორისო ურთიერთობების განხრების ბაკალავრიატის ბოლო კურსის ან მაგისტრატურის აკადემიური მოსწრებით გამორჩეული სტუდენტები, რომლებიც გაივლიან 4-თვიან სტაჟირებას შემდეგ სფეროებში:

მილსადენის ექსპლუატაცია და უსაფრთხოება

მაწისა და მიწის რეგულირების საკითხები

კომუნიკაციები და საგარეო ურთიერთობები

შესყიდვები

ფინანსები და საბუღალტრო საქმე

**მოთხოვნები:**

**კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და სწავლობდეს ბაკალავრიატის ბოლო კურსზე ან მაგისტრატურაში.**

**კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ აკადემიური მიღწევები და კარგად ფლობდნენ ინგლისურ ენას.**

**შერჩევა მოხდება გასაუბრებისა და ინგლისურ ენაში ტესტირების საფუძველზე.**

**განცხადების, ანკეტების და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია BP-ს საქართველოს ოფისში, მისამართზე: თბილისი, საბურთალოს ქ. 38**

**შევსებული ანკეტების ჩაბარება იწარმოებს ზემოთ აღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 21 აპრილამდე**

# თურმე პრეზიდენტების ტელეფონებიც ისმინება...



Definity-ს ბაზაზე შექმნილი სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სისტემა

ქვეყნის პირველი პირები ისევე აგებენ პასუხს თითოეულ სიტყვაზე, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე. თუმცა პრეზიდენტებს ბევრად უფრო მეტი მოეთხოვებათ, რადგან მათმა ნათქვამმა რევოლუცია თუ არა, საერთო სახალხო მღელვარება მაინც შეიძლება გამოიწვიოს.

ამ სტატიის თემა არ არის შევარდნაძე-აბაშიძის სატელეფონო საუბრის იმ ჩანაწერების პოლიტიკური განხილვა, რომელიც ოპოზიციამ საქვეყნოდ გაავრცელა.

მთავარია იმის გაგება, თუ რატომ შეიძლება ქვეყნის პირველი პირის ასე ადვილად მოსმენა და შემდეგ მისი გავრცელება. შეიძლება არ მოგწონდეს შენი ქვეყნის მეთაური, მაგრამ არც ერთი პატრიოტი არ ისურვებს, მისი სამშობლოს პრეზიდენტის საუბრებს ვინმე უსმენდეს.

არსებობს სამი ვერსია, თუ როგორ იქნა ჩაწერილი შევარდნაძე-აბაშიძის 2003 წლის ნოემბრის სატელეფონო საუბარი წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით.

პირველი ვერსიით, ამ სატელეფონო საუბრების (როგორც შევარდნაძესთან, ისე ბურჯანაძესთან) ჩაწერის ინიციატორი თავად ასლან აბაშიძე გახლდათ, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა დიდი ეჭვიანობით და ამაზე ბევრად ნაკლებმნიშვნელოვან საუბრებსაც კი აწერინებდა თავის ხალხს. აბაშიძის რეჟიმის დამხობის შემდეგ საუბრების ჩამწერმა პირმა (ან პირთა ჯგუფმა) კასეტა გარკვეული მოსაზრებით ოპოზიციის ლიდერებს გადასცა.

მეორე ვერსიის თანახმად, შევარდნაძე აბაშიძეს ჩვეულებრივი ან მობილური ტელეფონით ესაუბრებოდა, რომელთა მოსმენა ადვილია და ამის შესაძლებლობები საქართველოში სპეცსამსახურებს კი არა, ზოგიერთ კერძო დაცვის სტრუქტურებსაც აქვთ.

თუმცა ვისაც ექსპრეზიდენტ შევარდნაძის გარემოცვაში დიდხანს უმუშავია, ემახსოვრება, რომ შევარდნაძე, ეტყობა, ძველი ჩვევის გამო ძირითადად BЧ-ს სისტემის (მაღალი სიხშირის კავშირი) ტელეფონს იყენებდა.

ამიტომაც შესაძლებელია, რომ შევარდნაძე და აბაშიძე 2003 წლის „ცხელ" ნოემბერში სწორედ მაღალი სიხშირის კავშირის სატელეფონო ხაზით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს.

მესამე ვერსია ასეთია: მათი საუბარი ჩაიწერა BЧ-ს კომუტატორზე თბილისში ან ბათუმში. თუკი ეს თბილისში მოხდა, მაშინ ეჭვქვეშ დგება მაშინდელი უშიშროების სამინისტროს პირველი სართულის ის ოთახი, სადაც ეს კომუტატორია განთავსებული.

(პრინციპში, არსებობს მეოთხე, მაგრამ თითქმის დაუჯერებელი ვერსიაც. შევარდნაძისა და აბაშიძის „პირით" იმიტატორებმა სპეციალურად დაწერილი ტექსტით ისაუბრეს. ასეთ შემთხვევაში გამოძიებამ, თუკი იგი დაიწყო, უნდა დაჰკითხოს საქვეყნოდ ცნობილი ის ქართველი პაროდისტებიც, რომლებსაც „იუმორინაში" არაერთხელ გაუშარჟებიათ შევარდნაძე და აბაშიძე).

„კვირის პალიტრა" „ვარდების" რევოლუციამდე კარგა ხნით ადრე, წერდა მაღალი სიხშირის კავშირის დაუცველობაზე, რასაც ობიექტური და სუბიექტური მიზეზები ჰქონდა.




BЧ-ს სისტემის (მაღალი სიხშირის კავშირი) ტელეფონი

თბილისის ომის ბოლო დღეებში მაშინდელი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ყოფილი შენობის დაწვის გამო განადგურდა BЧ-ს ცენტრალური სადგურიც. მოგვიანებით მოხერხდა BЧ-სისტემის ნაწილობრივ აღდგენა, რაც გამორიცხავდა ქვეყნის უმაღლესი პირების სატელეფონო საუბრების სრულად დახურვას.

მაგრამ ერთია, თუკი პრეზიდენტის სატელეფონო საუბრის ჩაწერა მოხდა BЧ-ს ხაზის დაუხურავ მონაკვეთზე (რაც შეიძლება უცხო ქვეყნის რადიოელექტრონული დაზვერვის სამსახურსაც გაეკეთებინა, რომლებიც უცხოეთის ქვეყნების საელჩოების საფარით თბილისში დიდი ხანია აქტიურად მოქმედებენ) და უფრო შემაშფოთებელია, თუ მოსმენა უშუალოდ მაღალი სიხშირის კავშირის კომუტატორზე და ისიც უშიშროების სამინისტროს შენობაში განხორციელდა.

ეს თემა დღესაც ძალიან აქტუალურია, რადგან ისევე შეიძლება მოუსმინონ პრეზიდენტ სააკაშვილს, როგორც მის წინამორბედს უსმენდნენ.

თუმცა დღეს ამის ალბათობა მნიშვნელოვნად შემცირებულია, რადგან უკვე ამოქმედდა Definity-ს ბაზაზე შექმნილი სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სისტემა (შარშან „კვირის პალიტრამ" ამ სისტემის შესახებ დაწვრილებითი ექსკლუზიური მასალა გამოაქვეყნა), რომელსაც საბჭოთა დროის მაღალი სიხშირის კავშირისგან განსხვავებით ბევრად მეტი დაცულობის ხარისხი აქვს.

ინფორმაციისთვის: პრეზიდენტი შევარდნაძე პირველი გახლდათ, რომელსაც „დეფინიტის" სატელეფონო აპარატი ჯერ კიდევ ექვსი წლის წინ დაუყენეს კაბინეტში, მაგრამ იგი მისით იშვიათად სარგებლობდა; თანაც შევარდნაძე აბაშიძესთან საუბარში „დეფინიტს" უბრალოდ იმიტომაც ვერ გამოიყენებდა, რომ „აჭარის ლომს" ანალოგიური სატელეფონო აპარატი არ ჰქონდა.

პრეზიდენტების სატელეფონო მოსმენის პრაქტიკა არახალია. სხვათა შორის, საქართველოს „ვარდების" რევოლუციის წლისთავზე კიევში, უკრაინის „ნარინჯისფერი" რევოლუციის დროს, პრეზიდენტ კუჩმას სატელეფონო საუბრებსაც (ისევ BЧ-ს ხაზებიდან თუ კომუტატორიდან) იწერდნენ, რომელთა ნაწილი მოგვიანებით გამოქვეყნდა კიდეც.

მსოფლიოში ყველაზე დიდ „სატელეფონო მოსმენის" სკანდალად კი კვლავ ყბადაღებული „უოტერგეიტი" რჩება, რის გამოც თავის დროზე პრეზიდენტმა ნიქსონმა სავარძელი დატოვა.

# NATO შავ ზღვაში მკვიდრდება...

## თურქეთი არ ეთანხმება აშშ-ის ინიციატივას, შავ ზღვაში მორიგი ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყების შესახებ



NATO-ს საზღვაო პატრული სატვირთო გემის შემოწმების დროს

ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ნახევარსაუკუნოვანი და ერთ-ერთი მთავარი წევრი, თურქეთი, ეწინააღმდეგება თავის სტრატეგიულ პარტნიორს — აშშ-ს და ამის გამო რუსეთის გვერდით აღმოჩნდა, მაგრამ ეს სინამდვილეა.

ასეთი საკმაოდ „საინტერესო" სიტუაცია NATO-ში მას შემდეგ შეიქმნა, რაც აშშ გამოვიდა ინიციატივით, საერთაშორისო ანტიტერორისტული ოპერაცია „აქტიური ქმედება" (Operation Active Endeavour) ხმელთაშუა ზღვის გარდა შავ ზღვაშიც განხორციელებულიყო.

ყველაფერი 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ დაიწყო. იმავე წლის ბოლოდან, ვაშინგტონის მოთხოვნით, NATO-ს წევრი ქვეყნების სამხედრო-საზღვაო პატრულებმა ხელი მოჰკიდეს გიბრალტარისა და სუეცის სრუტეების კონტროლს, რათა საერთაშორისო ტერორისტებს საზღვაო ხომალდებით არ გადაეტანათ ასაფეთქებელი მასალები და იარაღი.

11 სექტემბრის შემდეგ ამერიკული სპეცსამსახურების ანალიტიკოსებმა მორიგი ტერორისტული დარტყმის სავარაუდო სამიზნედ აშშ-ის საზღვაო პორტები მიიჩნიეს, სადაც ყოველდღიურად ჩამოიტვირთება ახლო აღმოსავლეთიდან და ევროპიდან გამოგზავნილი ათასობით საზღვაო კონტეინერი.

ყველა საზღვაო კონტეინერის საგულდაგულოდ შემოწმება ძალიან ძნელია. არადა „ჭუჭყიანი" ბომბის (რადიოაქტიური ნარჩენების შემცველი ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომლის ინიცირებას, მართალია, არ მოჰყვება ჯაჭვური რეაქცია, მაგრამ მაღალი რადიოაქტიური გამოსხივების ნარჩენები შეიძლება რამდენიმე ათეული მეტრის რადიუსში მიმოიფანტოს), კონტეინერში დამალვა ადვილია. მისი აფეთქების შემდეგ რადიოაქტიური გამოსხივების ნარჩენებისგან გასაწმენდად საზღვაო პორტი რამდენიმე კვირით ან თვითაც კი შეიძლება დაიკეტოს.

2001 წლის შემდეგ ანტიტერორისტული ოპერაციის ფარგლებში ათასობით გემი შემოწმდა და NATO-ელმა სამხედრო მეზღვაურებმა საკმაო რაოდენობის კონტრაბანდული იარაღი და ნარკოტიკები ამოიღეს. ასევე, დააკავეს საერთაშორისო ტერორისტების დახმარებაში ეჭვმიტანილი პირებიც.

2004 წლიდან „აქტიურმა ქმედებამ" უკვე მთელი ხმელთაშუა ზღვა მოიცვა. შესაბამისად, გაიზარდა NATO-ს საკონტროლო ტერიტორიის არეალიც. ამ დღეებში გავრცელდა NATO-ს გენერალური მდივნის იაპ დე ჰოპ სჰეფერის გამონათქვამი, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შიდაშეხვედრებზე განიხილება საკითხი — შესაძლებელია, ანტიტერორისტულმა ოპერაციამ, „აქტიური ქმედება", გააფართოოს საზღვრები და უკვე მთელი შავი ზღვა მოიცვას.

სწორედ ეს ინიციატივა (რომელიც, სავარაუდოდ, ასევე ვაშინგტონის ნაკარნახევია) გახდა ოფიციალური ანკარის აქტიური პროტესტის საბაბი.

— 2001 წლიდან შავ ზღვაში მოქმედებს Blackseufor-ის ოპერატიული ურთიერთობის სამხედრო-საზღვაო ჯგუფი. ასევე დაწყებულია „შავი ზღვის ჰარმონიის" ოპერაცია ნაოსნობის გასაკონტროლებლად, რომელიც „აქტიური ქმედების" ანალოგიურ ფუნქციას ასრულებს და სულაც არ არის საჭირო ახალი ინიციატივები შავი ზღვის აკვატორიაში, — ამბობს თურქეთის ხელისუფლება.

საგულისხმო კი ის არის, რომ ამ პოზიციის გამო თურქეთი რუსეთის გვერდით აღმოჩნდა, რადგან მოსკოვი დღემდე კატეგორიულად წინააღმდეგია შავ ზღვაში ახალი ძალის (გარდა შავი ზღვისპირა ქვეყნებისა) გამოჩენისა — იგულისხმება აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების არმადა.

გამდიდის, რომ ამერიკელი სამხედრო მეზღვაურების შავ ზღვაში ცურვის დიდი მომხრე არც თურქეთია. ანკარაში მიაჩნიათ, რომ „აქტიური ქმედების" შავ ზღვაში გადმოტანა დაარღვევს 1936 წლის მონტრეს ხელშეკრულებას. მასში ნათლად ჩანს ანკარის სტრატეგიული ინტერესები, რადგან მონტრეს ხელშეკრულების თანახმად, სწორედ თურქეთი აკონტროლებს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს, რომლებითაც შავი ზღვა ხმელთაშუა ზღვას უერთდება.

დიდი მისახვედრი არ არის, რომ ანკარას ამ შემთხვევაში ყველაზე ნაკლებად აღელვებს რუსეთის ინტერესების დაცვა შავ ზღვაში. პირიქით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის შავი ზღვის ფლოტი დღითი დღე კარგავს ძლიერებას, რის გამოც შავ ზღვაზე დღეს სწორედ თურქეთის სამხედრო ფლოტი წარმოადგენს ყველაზე ანგარიშგასაწევ ძალას.

ამიტომაც გასაგებია, რომ ანკარას არ უნდა შავ ზღვაში ვაშინგტონიდან გამოგზავნილი, მართალია, მოკავშირის, მაგრამ მაინც ოკეანისგაღმელი ქვეყნის კრეისერები და წყალქვეშა ნავები იხილოს.

შავ ზღვაში ჰეგემონობაზე ბრძოლა ხომ საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ თურქეთს დიდი ხნის ოცნების ახდენის რეალური შანსი გაუჩნდა.

თუმცა ასე არ ფიქრობენ რუსეთში და ბულგარეთში, ისევე, როგორც უკრაინა და, იმდენად, საქართველოც. საქართველოს სტრატეგიული ინტერესებისთვის უმჯობესი უნდა იყოს, შავი ზღვის ქართულ ნაპირებთან, ჩვენ კატარღებთან ერთად, ამერიკულმა ფრეგატებმა იცურონ, ვიდრე თურქულმა და, მით უმეტეს, რუსულმა.

ანტიტერორისტული ოპერაციის, „აქტიური ქმედების" შავ ზღვაში გადმონაცვლება სეპარატისტული სოხუმის ფაქტორის გამოც არის მისაღები ოფიციალური თბილისისთვის. ათ წელზე მეტია, საქართველოს სანაპირო ზოლის აფხაზეთის მონაკვეთი რეალურად ველარ კონტროლდება და, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის სანაპირო წყლები ცურვისთვის დახურულია, იქიდან შეუმოწმებელი ტვირთები შავ ზღვაში რეგულარულად გადის.

აფხაზეთში ომის დროს და მას შემდეგ თავი მოიყარა ათასი ჯურის გაურკვეველმა პირმა, ბევრ მათგანზე საერთაშორისო ძებნაცაა გამოცხადებული. მათ ხელთაა ათასობით სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი და ასეულ კილოგრამობით ასაფეთქებელი ნივთიერება. ამას დაუმატეთ ის რადიოაქტიური ნივთიერებები და მათი შემცველი ხელსაწყოები, რომლებიც საკმარისად იყო სოხუმის საავადმყოფოებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში (მაგალითად, რადიოაქტიური ნივთიერებების შემცველი სოხუმის საერთაშორისო ინსტიტუტები), ამიტომაც არ არის გამორიცხული, ყოველივე ზემოხსენებული ტერორისტული მიზნებისთვისაც იქნეს გამოყენებული.

„აქტიური ქმედების" ოპერაციის შავ ზღვაში ამოქმედებისთანავე საქართველოს ეძლევა ბრწყინვალე შანსი, უკეთესად გააკონტროლოს, მათ შორის NATO-ს საზღვაო პატრულის დახმარებითაც, ყველა ის მცურავი საშუალება, რომლებიც ნაოსნობისთვის აკრძალულ აფხაზეთის სანაპირო ზოლს უახლოვდებიან ან მას ტოვებენ. ეს, თავის მხრივ, მკვეთრად შეამცირებს კონტრაბანდული საქონლის აფხაზეთის პორტებში შესვლას და, შესაბამისად, დასავლეთ საქართველოში გავრცელებას.

თუკი „აქტიური ქმედების" ოპერაციაში NATO-ს საპატრულო საზღვაო ჯგუფებში ქართული კატარღები და მეზღვაურებიც ჩაერთვებიან (და ასეც უნდა იყოს), ეს დადებითად იმოქმედებს აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესზე.

# საქართველო-სომხეთის საზღვართანაც რუსები?

ბოლო დღეებში რუსული მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ამბავი, შესაძლებელია საქართველო-სომხეთის საზღვრის დაცვა სომხეთის მხრიდან რუსმა მესაზღვრეებმა იტვირთონო.

ეს დოკუმენტი სულაც არ არის, რადგან როგორც ოფიციალური დღემდე საბჭოთა მესაზღვრეები თურქეთის საზღვარზე, დღესაც ისევ დგანან, ოღონდ სომეხ კოლეგებთან ერთად ახლა რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის ეგიდით იცავენ სომხეთ-თურქეთის საზღვარს.

ოფიციალური ერევანს, ეჭვით, არც უფიქრია საქართველოსთან მიმართებით — თურქეთთან — საზღვარზე მარტო დარჩენა. ეს სომხეთის ხელისუფლების და ალბათ საზოგადოების დიდი ნაწილის არჩევანი და მათი საქმეა.

მაგრამ რა აუცილებელია საქართველო-სომხეთის დაახლოებით 260 კმ სიგრძის საზღვარზე მესამე ძალის ჩაყენება?

საბედნიეროდ, ორ მეზობელ ქვეყანას შორის ისიც არ არის დაძაბული ურთიერთობა, რომ გამშვებელი გჭირდებოდეს. არც ტერორიზმი საზღვარი ნარკოდილერი ისეთ დაძაბულობის კერას ან საერთაშორისო ტერორისტების თუ კონტრაბანდის ტრანსს, რომ მის საიმედო ჩაკეტვას რუსი მესაზღვრეების მონდვა ყოფილიყო აუცილებელი.

მაგრამ რა შეიძლება მოხდეს, თუკი ახალციხექისა და ნინოწმინდის საზღვრისპირა რაიონებში რამე პროვოკაცია განხორციელდა, განსაკუთრებით იქიდან 62-ე რუსული სამხედრო ბაზის გამოყვანის პროცესში?

აი, მაშინ კი საქართველო-სომხეთის საზღვრის სიიდულზე ჩაკეტვა აუცილებელი გახდება და, პირველ რიგში, თბილისისთვის, რათა ქვეყნის საზღვრების გარედან არ მოხდეს პროვოკაციის კერების გაღვივება.

ჯერჯერობით კი, სომხეთში რუსეთის სასაზღვრო სამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი სერგეი ბოლდირევი უარყოფს საქართველო-სომხეთის საზღვარზე რუსი მესაზღვრეების ჩაყენების შესაძლებლობას. სომხეთს მესაზღვრეები 14 საგუშაგო მოაწყვეს და თავისი ძალებით კარგად აკონტროლებენ სომხეთ-საქართველოს საზღვარს, — აცხადებს რუსი გენერალი, თუმცა უმატებს, რომ „თუკი სამშობლო უბრძანებს, ისინი ყოველთვის მზად იქნებიან".

სანამ გაირკვევა საკითხი საქართველო-სომხეთის საზღვარზე სომხეთის მხრიდან რუსი მესაზღვრეების ჩადგომის რეალობაზე, საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩრდილო ოსეთის მონაკვეთზე, კურტატინის ხეობის ახლოს, რუსეთის სასაზღვრო სამსახურმა გახსნა ახალი საგუშაგო, რომელიც თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი (მათ შორის კომპიუტერი რადიოკავშირით). ამ საგუშაგოზე მხოლოდ კონტრაქტით გაწვეული პირები და ისიც კაზაკები იმსახურებენ. გასული წლის აგვისტოში ასეთივე სასაზღვრო საგუშაგო ძინაგაში გაიხსნა.

საგულისხმოა, რომ რუსეთი ბოლო დროს გულმოდგინედ ამაგრებს „თავის" საზღვრებს საქართველოსთან. გასაგები მიზეზების გამო, საბჭოთა დროში მესაზღვრეები, რა თქმა უნდა, არ იდგნენ კავკასიის ქედზე, მაგრამ დღეს მოსკოვს რეალობის გათვალისწინება უწევს.

საკითხავი ის არის, რამდენად შეუშლიან ხელს ეს ახალი რუსული სასაზღვრო საგუშაგოები ათასი ჯურის შეიარაღებული პირის გადმოსვლის მცდელობას ჯავის რაიონში, თუკი ცხინვალის რეჟიმში სიტუაცია დაიძაბა. ან იქნებ ეს საგუშაგოები ერთგვარი დამხმარე პუნქტები გახდება საქართველოს ტერიტორიაზე სეპარატისტების მხარდამჭერების შემოსაგზავნად.

## პენტაგონმა სვირინგთა „ომი" წააგო და დანებდა

აშშ-ის შეიარაღებული ძალების მეთაურობამ გამოსცა ახალი ბრძანება, რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ ამერიკელი გენერლები იძულებული გახდნენ, დასთანხმებოდნენ არმიაში კონტრაქტით იმ პირების მიღებას, ვისაც სხეულის ღია ნაწილები მოსვირინგებული აქვთ.

აქამდე პენტაგონს ეს დაუშვებლად მიაჩნდა. ახლა პოზიცია იმიტომ შეარბილა, რომ ჯარში კონტრაქტით მსახურის მსურველი შემოაკლდა. ამერიკელ სოციოლოგთა გამოკვლევით, აშშ-ის ახალგაზრდობის 58%-ს ხელებსა და კისერზე სვირინგი აქვს გამოსახული.

ამჟამად პენტაგონი თანახმაა, კონტრაქტი გააფორმოს იმ პირებთანაც, ვისაც სვირინგი ხელებსა და კისერზე აქვთ, ოღონდ ნახატი ყურის ბიბილოების წარმოსახვითი შემაერთებელი ხაზის ზემოთ არ უნდა იყოს.

კვლავ ტაბუდადებული რჩებიან ის „სვირინგისტები", ვისაც სხეულზე ექსტრემისტული, რასისტული ან სექსუალური მინიშნების მქონე ნახატები აქვთ. მანდილოსანი-მეკონტრაქტეების სვირინგი კი სექსუალურად არ უნდა აღაგზნებდეს კოლეგა-მამაკაცებს.

# ამერიკელებმა რუს მზვერავებს დეზინფორმაცია „მიუგდეს"...



ამერიკული ჯარების შეტევის დრო და მიმართულებები სადამ ჰუსეინმა რუსეთის დაზვერვისგან გაიგო, მაგრამ ეს შეიძლება დეზინფორმაცია უფრო ყოფილიყო...

ერაყში ომის დაწყებიდან მესამე წლისთავზე პენტაგონის ხელმძღვანელობამ ერთ ძალიან მნიშვნელოვან საიდუმლოს ახადა ფარდა.

პენტაგონის მტკიცებით, 2003 წლის მარტის დასაწყისში, რუსეთის დაზვერვა კოალიციური ძალების შტაბში მოიპოვებდა ინფორმაციას ერაყზე შეტევის დაწყებისა და შეტევის მიმართულებების შესახებ და ამ მონაცემებს ბაღდადში რუსეთის ელჩის მეშვეობით გადასცემდა სადამ ჰუსეინის რეჟიმს.

როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, სადამ ჰუსეინს ვერც ამან უშველა, მისი რეჟიმი ფორმალურად სამ კვირაში დაემხო.

გამოდის, რომ მან ვერ გამოიყენა რუსი მზვერავების „თავგანწირვა" და ეფექტიანად ვერ მოაწყო თავდაცვის ზღუდეები. სხვათა შორის, პენტაგონიც აკეთებს აქცენტს, რომ სადამ ჰუსეინი სუსტი სტრატეგი გამოდგა. თუმცა რატომღაც იმაზე არ იღებს ხმას, რომ რუს მზვერავებს დეზინფორმაცია „მიუგდეს", მათ კი, თავის მხრივ, ჰუსეინი შეიყვანეს შეცდომაში.

თუკი ეს მოსაზრება სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ ამერიკულ სპეცსამსახურებს და პენტაგონს მართლაც პროფესიონალურად წაუმუშავებიათ, რადგან არცთუ ხელწამოსაკრავი მოსკოვის საიდუმლო აგენტების გაცურება შეძლეს.

სავარაუდოდ 1991 წელს, ჯერ კიდევ ბუში უფროსის დროს ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხლის" ჩატარებისას, საბჭოთა სამხედრო დაზვერვა ინფორმაციას, კოალიციური ძალების ერაყზე შეტევის შესახებ საქართველოს ციდან აგროვებდა. იანვარში, როდესაც გამსახურდიას ხელისუფლება საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად ემზადებოდა, ქართულ ცაში მაღალ სიმაღლეზე საბჭოთა მზვერავი — ადრეული რადიოლოკაციური აღმოჩენისა და მართვის თვითმფრინავი A-50 — ზიგზაგებით დაფრინავდა, შორეული ერაყის საჰაერო სივრცეში კოალიციის თვითმფრინავებს სათითაოდ ითვლიდა და ალბათ მოსკოვის „გავლით" ბაღდადის ბუნკერში შეყუჟულ სადამ ჰუსეინს „უკაკლავდა".

რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა

არსენალი

# ქართულ ცაში ახლა Су-34-ები შემოიჭრებიან?

**რუსეთი შეიარაღებაში ახალ საფრონტო ბომბდამშენს იღებს**



ამ დღეებში რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, 2010 წლამდე Су-34 ტიპის ახალი, საფრონტო ბომბდამშენების ერთი პოლკის შეძენის შესახებ. ეს კი 24 ცალი საკმაოდ ძვირად ღირებული თვითმფრინავია.

Су-34-ებმა რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებში აქამდე შეიარაღებაში არსებული შედარებით მოძველებული Су-24M ტიპის საფრონტო ბომბდამშენები უნდა შეცვალოს. მოსკოვი ბოლო დრომდე სწორედ ამ ბომბდამშენებს იყენებდა ჩეჩნური ქალაქებისა და სოფლების დასაბომბავად. არსებობს დიდი ეჭვი, რომ რამდენჯერმე საქართველოს საჰაერო სივრცე ღამით სწორედ რუსულმა Су-24M-ებმა დაარღვიეს და ერთხელ პანკისის ხეობის შემოგარენი დაბომბეს, რასაც ერთი იქაური მოსახლის სიცოცხლეც შეეწირა.

აქედან გამომდინარე, სულაც არ არის გამორიცხული, Су-24M-ებმა მალე ეს საშიში „ესტაფეტა" Су-34-ს გადააბარონ.

სტატიის ავტორს 7 წლის წინ ჰქონდა შესაძლებლობა, ახლოდან დაეთვალიერებინა Су-34, რომელსაც მაშინ გრიფი „საიდუმლო" ახალი მოხსნილი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ დაცვა თვითმფრინავთან ახლოს არავის უშვებდა, „კვირის პალიტრამ" მაინც მოახერხა ვიდეოკამერის ობიექტივით ქვემოდან „შეეჭყიტა" თანამედროვე რუსული ბომბდამშენის ეკიპაჟის კაბინაში.

ქვემოდან იმიტომ, რომ ორივე პილოტი კაბინაში ზემოდან კი არა, წინა შასიზე დამაგრებული დასაკეცი კიბით ქვემოდან ადის. კაბინაში ისინი გვერდიგვერდ სხედან ისევე, როგორც Су-24M-ში, თუმცა ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, Су-34-ის პილოტებს საშუალება აქვთ, ფრენის დროს წამოდგნენ, მინიბუფეტში საჭმელი გააცხელონ და ბიოტუალეტითაც კი ისარგებლონ. მანამდე ეს წარმოუდგენელი იყო, რადგან ამ ზომის ბომბდამშენებში ტუალეტები საერთოდ არ იყო გათვალისწინებული. უფრო დიდ Ту-22M3-ში (NATO-ს კლასიფიკაციის Buckfire) ეკიპაჟის ოთხივე წევრისთვის (რომელთაც ფრენის დროს სავარძლებიდან წამოდგომა არ შეუძლიათ) სპეციალური გოფრირებული მილები იყო გათვალისწინებული „მცირე პრობლემების" მოსაგვარებლად. თუმცა, მფრინავები ამ მილებით სარგებლობას უკადრისობდნენ.

Су-34 ფაქტობრივად, კარგად ცნობილი Су-27 ტიპის გამანადგურებლის, უფრო სწორად კი, წინამორბედი ორადგილიანი Су-27ИБ-ს მოდიფიცირებული ვარიანტია. მისი განმასხვავებელი ნიშანია კარგი აეროდინამიკის მქონე კაბინა, რომელიც 17 მმ სისქის ტიტანისგანაა დამზადებული. თვითმფრინავი აღჭურვილია ამ დროისათვის ყველაზე თანამედროვე რუსული რადიოელექტრონული აპარატურით, რომელიც მოწინაალმდეგის თვითმფრინავს 200-250 კმ სიშორიდან აღმოაჩენს. ბომბდამშენის სანავიგაციო კომპლექსი 1 მ სიზუსტით აფიქსირებს კოორდინატებს მიწაზე, შესაბამისად, ძალიან მაღალია რაკეტებისა და ბომბების მოხვედრის სიზუსტეც. შეუძლია რელიეფის გასწვრივ დაბალ სიმაღლეზე დიდი სიჩქარით ფრენა ღამითაც და ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებშიც.

ასაფრენად გამზადებული Су-34 44 ტ-ზე მეტს იწონის, აქედან 8 ტ სხვადასხვა ტიპის რაკეტებსა და ბომბებზე მოდის. თვითმფრინავის მაქსიმალურმა სიჩქარემ შეიძლება 1900 კმ/სთ-ს მიაღწიოს, ფრენის უკიდურესმა სიმაღლემ კი 14კმ-ს.

რუსი სამხედრო ექსპერტების გათვლით, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს თითო Су-34 დაახლოებით 1 მლრდ რუბლი ანუ 35 მლნ დოლარზე მეტი დაუჯდება.




# „ბოლოს და ბოლოს, გაგვაგებინეთ, ვის მიცვალებულებს ვტირით“

## სასოწარკვეთილ დედებს არაფრის ეშინიათ...

თერთმეტი წლის წინ, 1995 წლის 4 მარტს, საღამოს, თბილისში, კუტუზოვის ქუჩაზე მდებარე უშიშროების სამსახურის მაღალჩინოსნების საცხოვრებელი სახლის ეზოში გასასეირნებლად ჩავიდნენ და უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ იმავე სახლში მცხოვრები 18 წლის კუსა (ალექსანდრე) თოხმაიდი და 14 წლის ბექა რეხვიაშვილი. ორმოცი დღის შემდეგ მშობლებს აცნობეს, რომ ლისის ტბის ტერიტორიაზე აღმოჩენილია მათი შვილების გვამები. გასაგები მიზეზების გამო ჭირდა მათთან მიახლოება. დაღუპულების ერთ-ერთი ახლობელი მზად იყო მორგში მისულიყო გვამების ამოსაცნობად, მაგრამ მშობლების თქმით, სამართალდამცავებმა მათ ამის საშუალება არ მისცეს. მეორე დღეს კი მშობლებს ცხედრები თუთიის დალუქული კონტეინერებით ბინაში მიუტანეს. გაიმართა სამოქალაქო პანაშვიდები. იყო გლოვა და ზარი. მერე დედებმა ერთხანს სასაფლაოზე დაიდეს ბინა და ღმერთს მადლობას სწირავდნენ, რომ შვილების საფლავები მაინც ჰქონდათ, ამასთან, იმედს არ კარგავდნენ, რომ გამოძიება მკვლელებსაც იპოვიდა.

ასე გრძელდებოდა წელიწადი და რვა თვე. მერე და მერე კი ისეთი ეჭვი გაჩნდა, რომ მშობლები სრულ გაურკვევლობაში აღმოჩნდნენ.

**მანანა რეხვიაშვილი**, ბექა რეხვიაშვილის დედა:

„გამოძიებამ და ექსპერტებმა ისე აურ-დაურიეს ყველაფერი, დარწმუნებული არ ვარ, რომ იქ ჩემი შვილია დაკრძალული“(?!).

იმავეს იმეორებს კუსა თოხმაიდის დედა თამარ გარსევანიშვილი. ასე რომ, პირველ ტრაგედიას მეორეც დაერთო და თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ დანაშაული დღემდე გაუხსნელია, გასაგები იქნება, რა დღეში არიან დაზარალებული ოჯახები.

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

ბიჭები საღამოს, დაახლოებით რვა საათზე ჩადიან ეზოში. მარტის დამდეგს ამ დროს ახალი შებინდებულია.

**თამარ გარსევანიშვილი**, კუსა თოხმაიდის დედა: „ხუთი წუთის შემდეგ მეც დაბლა ჩავდივარ და ვხედავ, ძალიან ბევრი ბიჭი ირევა ეზოში. ხალხმრავლობით ყოველთვის გამოირჩეოდა ჩვენი ეზო, მაგრამ ამდენი ერთად არასოდეს მინახავს. კუსა დანარჩენებს გამოეყო და სად მიდიხარო, მკითხა. ვუთხარი, მეზობელ სადარბაზოში ნანა დეიდასთან ავალ და ახლავე ჩამოვალ-მეთქი. უკან რომ დავბრუნდი, ეზოში აღარც ერთი ბიჭი აღარ იდგა. ცუდად მეწიშნა ეს“.

**პაატა რეხვიაშვილი**, ბექა რეხვიაშვილის უფროსი ძმა: „ბექას გასვლიდან ცოტა ხნის შემდეგ დედას ვთხოვე, ცოტა ხნით მეც გავივლი ეზოში და ბექასთან ერთად ამოვალ-მეთქი. რომ ჩავედი, მარტო ჩვენი მეზობელი გოგა ბარკალაია დამხვდა. ვკითხე, ბექა ხომ არ გინახავს-მეთქი. არა, არ მინახავს. თუ გინდა, ჩემთან ავიდეთ, ბიჭები ჯოკერს თამაშობენო, მითხრა. იქ ნიკა ქანთარია და ზაზა ხაჩიძე დამხვდნენ. მალე კუსას დედა, დეიდა თამარი მოვიდა და კუსა იკითხა“.

**თამარ გარსევანიშვილი**: „გოგა ბარკალაიამ რაღაც დამფრთხალი თვალებით შემომხედა და დაბნეულმა მითხრა, კუსა და ბექა მზესუმზირის საყიდლად წავიდნენ, რომ დააგვიანდათ, საძებნელად წავედით, მაგრამ იქ აღარ დაგვიხვდნენო. ამ დროისთვის კუსას ეზოში ჩასვლიდან ოცი-ოცდახუთი წუთი იყო გასული. ბუნებრივია, მებადება ლოგიკური კითხვა — რატომ დაუწყეს ძებნა ბიჭებმა კუსასა და ბექას?..“

**პაატა რეხვიაშვილი**: „მეც ავფორიაქდი, რატომ მითხრა გოგამ, ბექა არ მინახავსო. მას ჩემთვის არ უთქვამს, ბექა და კუსა ვეძებეთო. რა საჭირო იყო ამის დამალვა, ასე რომ მცოდნოდა, სახლში ხომ აღარ ავყვებოდი? მეტიც, ვიდრე კარტის თამაში გრძელდებოდა, გოგამ იკითხა, „კულინარიელები“ ხომ არაფერს უზამენ ბიჭებსო და ქანთარიამ უპასუხა, არა, ბიჭო, რა უნდა უქნანო (ცნობისათვის: თოხმაიდის გარდა, ამ ისტორიასთან მეტ-ნაკლებად დაკავშირებული თითქმის ყველა ახალგაზრდა უშიშროების სამინისტროს მაღალჩინოსნების შვილები არიან. დღეს კი ბევრი მათგანი ამ სამინისტროს თანამშრომელია. — ავტ.).

**მანანა რეხვიაშვილი**: „მზესუმზირის გამყიდველი ქალის სახლი ჩვენგან სულ რაღაც ორმოც მეტრში იყო და მე და თამარი მალე მივედით მასთან. საბრალო, ავადმყოფი სომხის ქალი იყო. გვითხრა, არა, არ ყოფილან ბიჭები, მით უმეტეს, რომ დღეს მთელი დღე არ მქონია მზესუმზირა და ჭიშკარიც ადრე დავკეტე, ზედმეტად რომ არ შევეწუხებინე ვინმესო. ესეც ახალი ეჭვის საბაბი. უკან დავბრუნდით და ვხედავ, სადარბაზოში გოგა ბარკალაიას უფროსი ძმა ზაზა ადის. ეს ბიჭი ეზოში ლიდერობდა. თამარმა სთხოვა და დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, როგორც იქნა, გამოგვყვა. მზესუმზირის გამყიდველი ქალის სახლთან რომ მივედით, გვითხრა, მანქანიდან ნუ გადმოხვალთ, მე თვითონ დაველაპარაკებიო. ჩვენ ზაზასთვის არ გვითქვამს, რომ აქ უკვე ვიყავით. მალე დაბრუნდა უკან და გვითხრა, კი, აქ ყოფილანო. მისმა ნათქვამმა ეჭვი კიდევ უფრო გაგვიძლიერა. ამის შემდეგ ზაზა ბარკალაიას ველარ ვენდობოდით და დასახმარებლად კუსას ბავშვობის მეგობარს, თემურ ავიძბას მივმართეთ. ის ამ დროს უკვე სახელმწიფო უშიშროების სისტემაში მუშაობდა. არც იმ ღამით, არც მეორე დილით თემური გარეთ არ გამოსულა, დღის თორმეტ საათზე კი ეზოს ბიჭებს მისი ბინიდან მთელი ტომარა იარაღი ჩამოაქვთ, ერთმანეთში არიგებენ და ბექასა და კუსას ძებნას იწყებენ. ეძებენ სარდაფებში, კანალიზაციის ჭებში, სახლების სხვენებზე, მერე კი ლისის ტბის მიდამოებში. ორშაბათს, 6 მარტს, საბურთალოს რაიონის პოლიციას მივმართეთ. ერთადერთი, რაც გააკეთეს, ის იყო, რომ თანამშრომლები ლისის ტბის მიდამოების დაუყოვნებლივ გაგზავნეს. ჩვენ აქეთ ლობეყორეს ვედებით. სასოწარკვეთილები ნაცნობის რჩევით მივდივართ მკითხავთან, რომელიც გვეუბნება: ბავშვები ლისის ტბის მიდამოებში რომ მიტოვებული კატერებია, იქ ჰყავთ გადამალული გამტაცებლებს. უჭირთ და დროზე უნდა მიეშველოთ, მაგრამ თქვენ რას გახდებით, უშიშროების მინისტრს, იგორ გიორგაძეს ჩემი სახელი უხსენეთ და ყველაფერს გააკეთებსო. ისიც უთხარით, კვირაიაც ჩართოს საქმეშიო. იგორ გიორგაძე ჩვენს სახლში, ჩემი ბინის თავზე ცხოვრობდა და იმავე საღამოს მივადექი. მანამდე ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს სადარბაზოში, ლიფტთან, ეზოში... როცა ყველაფერი მოვახსენე, ტელეფონს მივარდა და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსს, დემურ მიქაძეს ელაპარაკებოდა.

**დემურ მიქაძე**, პოლიციის გენერალი: „ასეთი საუბარი ჩვენ შორის არ შემდგარა. მსგავსი ღონისძიებები ასე სპონტანურად არ იგეგმება და ეს თვითონ გიორგაძესაც კარგად მოეხსენებოდა“...

მკითხველს პატიებას ვთხოვთ, დეტალებს რომ ჩავკირკიტებთ, მაგრამ ამ საქმეში იმდენი აბსურდული ფაქტია, რომ გვეეჭვება ვინმემ დაიჯეროს დანაშაულებრივი გულგრილობის, მეტიც, ცინიზმის ის მასშტაბები, რაც ამის შემდეგ განვითარდა საქმის „ძიების“ პროცესში და რაც „წარმატებით“ გრძელდებოდა თერთმეტი წლის განმავლობაში.

და მაინც, რა გახდა საქმის გახსნისადმი დანაშაულებრივი წაყრუების მიზეზი, ან სად იღებს სათავეს ეს დანაშაული? ვისი კომპეტენციაც არის ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ყველა დუმილს არჩევს. თუმცა მოძიებული დოკუმენტების საშუალებით მაინც შესაძლებელია მოვლენებისთვის თვალის მიდევნება.

1994 წელს, ბიჭების გაუჩინარებამდე ზუსტად ერთი წლით ადრე, უშიშროების სამინისტრომ დააკავა ეგრეთ წოდებული „კულინართა საძმოს“ წევრები, რომლებიც ქალაქის უშიშროების სამმართველოში წაიყვანეს. იმავე დღეს დააკავეს ჩვიდმეტი წლის კუსა, იგივე ალექსანდრე თოხმაიდი, რომელსაც „კულინარიელებთან“ მხოლოდ ის აკავშირებდა, რომ პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში რამდენიმე მათგანთან ერთად სწავლობდა.

ქალაქის უშიშროების სამმართველოს შენობაში „კულინარიელები“ „შემთხვევით“ დაინახავენ კუსას, რომელიც ამ დროს „ჩვენებას“ აძლევს ერთ-ერთ თანამშრომელს (სპეცსამსახურებისთვის კარგად ცნობილი და მეტად ვერაგი ფანდია. — ავტ.). აქედან ჩნდება ეჭვი, რომ კუსა თოხმაიდიმ ბიჭები ჩაუშვა. მალე ცნობილი ხდება, რომ იმ დღეს ზეწოლის შედეგად კუსას ხელწერილიც დააწერინეს საიდუმლო თანამშრომლობის შესახებ, რაც კანონის უხეში დარღვევაა — კატეგორიულად აკრძალულია თვრამეტ წლამდე მოზარდის სათანამშრომლოდ გადაბირება.

**თამარ გარსევანიშვილი**: „კუსამ მიამბო, რაც თავს გადახდა უშიშროების სამინისტროში. მთხოვა, როგორმე დამეხსნა, რადგან მისგან ინფორმაციებს ითხოვდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ კუსა ჩვენს მეზობელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ თანამშრომელს, ბატონ მიხეილ ოსაძეს ესტუმრა და გახარებული დაბრუნდა შინ — ძია მიშამ ჩემი თანდასწრებით დაურეკა ვიღაცას და მითხრა, აღარ შეგაწუხებენო. ამისთვის დღემდე მისი მადლობელი ვარ“.

აი, როგორ იხსენებს იმავე ფაქტს ბატონი **მიხეილ ოსაძე**: „კუსა თოხმაიდიმ მიამბო, რომ წინადღეს, მთელი ღამის განმავლობაში, უშიშროების თბილისის სამმართველოში ჰყოლიათ დაკავებული. თურმე რომელიღაც თანამშრომელმა იძულებით დააწერინა ხელწერილი თანამშრომლობაზე. ვკითხე, სურდა თუ არა თანამშრომლობა, რაზეც კატეგორიული უარი თქვა. მკითხა, როგორ მოვიქცეო. ავუხსენი, იმ თანამშრომელს დაუკავშირდი და იგივე განუცხადე-მეთქი. ამის შემდეგ მე კუსასთან ამ თემაზე აღარ მისაუბრია. მე არც არავინ შემიწუხებია და არც არავისთვის დამირეკავს“...

ცოტა უცნაურია — თოხმაიდები ამტკიცებენ, ბატონმა მიშამ ვიღაცას დაურეკა და ამის შემდეგ კუსას თავი დაანებესო. გენერალი კი აცხადებს, არც არავისთვის დამირეკავს და არც არავინ შემიწუხებიაო.

სხვათა შორის, უშიშროების სამინისტრომ იმ ხანებში ერთხელაც „წამოკრიფა“ „კულინარიელები“, მაგრამ საბოლოოდ ერთი მათგანიც „ვერ დაიჭირა“. ასე რომ, იმხანად ქალაქში გავრცელებულ ჭორს, რომელიც ამ საქმისადმი სამართალდამცავთა ანგარებიან დამოკიდებულებაზე მიანიშნებდა, ნამდვილად ჰქონდა საფუძველი; ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ თოხმაიდის ან სხვათა „აგენტობა“ მაზანდის ასაწევად ყოფილა საჭირო. ვფიქრობთ, სულაც არ არის აუცილებელი იმის მტკიცება, რომ არც ერთი ჭკუათამყოფელი, თუნდაც „ვაითანამშრომელი“, სისულელეს არ ჩაიდენს და საფრთხეს არ შეუქმნის საქმის ნამდვილ მიმცემს. როგორც წესი, ასეთი რამ არ ხდება, მით უმეტეს, რომ გარდა სასკოლო ურთიერთობისა, კუსა თოხმაიდის „კულინარიელებთან“ არაფერი აკავშირებდა.

ამონაწერი საბურთალოს რაიონის პოლიციის უფროსის წერილიდან (სტილი დაცულია): „თბილისის პროკურატურის საგამოძიებლო ნაწილის უფროს გამომძიებელს, ბატონ გ. გოგოლაძეს, თქვენი... წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ე. წ. „კულინართა საძმოს“ დაჯგუფებაში შემავალი პირები სისტემატურად ეწეოდნენ დანაშაულებრივ ქმედებებს და ანტისაზოგადოებრივ ცხოვრებას... ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით ე. წ. „კულინართა საძმოს“ წევრებს რაიმე კონფლიქტი ა. ა. თოხმაიდთან და ბ. ნ. რეხვიაშვილთან არ ჰქონიათ...

დანართი. ე. წ. „კულინართა საძმოში“ შემავალ პირთა სია“.

წერილი დათარიღებულია 1998 წლის 2 თებერვლით და მას ხელს აწერს სამმართველოს უფროსი ა. ტაბატაძე.

„კულინარიელთა“ ოცდათექვსმეტკაციან სიაში არსად ფიგურირებს არც თოხმაიდის, მით უმეტეს, არც რეხვიაშვილის გვარი. გატაცების დღეს, 18 წლის კუსა თოხმაიდი მილიციის აკადემიის კურსანტი იყო, 14 წლის ბექა რეხვიაშვილი კი ფეხბურთში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი.

საგაზეთო პუბლიკაციის მიზანი არ არის გადაჭრით რაიმის მტკიცება, მაგრამ ჩვენი ვარაუდით, თუნდაც ვერსიის დონეზე, ძნელი საფიქრებელია, რომ „კულინარიელთა“ ორგანიზებულ დაჯგუფებას მომავალი პოლიციელისათვის თავისი საქმიანობის შესახებ რაიმე ინფორმაცია მიეცა. აქედან გამომდინარე, დაღუპულთა ოჯახებს აქვთ საფუძველი იფიქრონ, რომ „საძმოს“ წევრებს არ შეეძლოთ დაეჯერებინათ და შესაბამისად, შური ეძიათ ერთი წლის შემდეგ.

**მანანა რეხვიაშვილი**: „ბიჭების გაუჩინარების პირველ დღეებში განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენდა მეზობლის გონებრივად არცთუ ისე სრულყოფილი ბიჭი გოგა ივანოვი. სულ გვეკითხებოდა, სად დავდიოდით, ვის ვხვდებოდით ბექასა და კუსას მშობლები. 16 მარტს, ბიჭების დაკარგვიდან მეთორმეტე დღეს, გოგა ივანოვი ეზოში აცხადებს, რომ დილით ლისის ტბაზე ნახეს კუსასა და ბექას გვამები, რომ ახლა „არამიანცის“ საავადმყოფოს მორგში არიან და ზუსტად მიუთითებს გვამებზე არსებულ ნატყვიარ ადგილებს“...



კუსა თოხმაიდი

ბექა რეხვიაშვილი

ერთი თვის შემდეგ ლისის ტბაზე გვამებს მართლაც პოულობენ და ზედმიწევნით მართლდება ივანოვის „წინასწარმეტყველება“. მანამდე კი დაზარალებული მხარე ივანოვის მშობლებს მიმართავს თხოვნით, მიხედონ შვილს, აუკრძალონ ჭორების გავრცელება.

გოგას მამამ მკაცრად დატუქსა შვილი და ატირებულმა ცხრამეტი წლის ბიჭმა შემდეგი დაწერა (სტილი დაცულია):

„Ребята меня направляли к Рехвиашвили. Гиги Арабидзе сказал, что как-будто были Кулинары, а на самом деле это было не правда. Потом меня послал Заза Баркалая и просил, узнай, кто где бегает...“

ჩემი ხელით არი დაწერილი, რაზედაც მე ხელს ვაწერ.

Иванов Гога.“

ასე ჩნდება ეჭვი საქმეში ეზოს ბიჭების მონაწილეობის შესახებ, რომელთაგან დაზარალებულთა ვარაუდით წინა პლანზე ეს ოთხეულია: ზაზა ბარკალაია, ირაკლი ალასანია, თემურ ავიძბა და გიგი არაბიძე.

**თამარ გარსევანიშვილი**: „ერთ დღეს ზაზა ბარკალაიამ მითხრა, — მე და თქვენი კუსა კუტუზოვის ქუჩაზე მოვდიოდით მანქანით. წინ „კულინარიელები“ გადაგვიდგნენ. კუსა მანქანიდან გადაიყვანეს და გაიტაცეს. მერე მე ირაკლი ალასანია წავიყვანე და „კულინარიელების“ ფაცხაში მივედით, სადაც კუსა ჰყავდათ. იქ ორმოცდაათამდე შეიარაღებული ბიჭი იყო. ალასანიამ გალახული კუსა გამოიყვანა და რესპუბლიკურ საავადმყოფოში წავიყვანეთ რენტგენზეო. აშკარად ცრუობდა, რადგან მე, დედას, არ შეიძლებოდა შვილის სხეულზე ცემის კვალი გამომპარვოდა. მოგვიანებით კი მეუბნება, — თამრიკო დეიდა, „კულინარიელებს“ კუსა რომ არ გაულახავთ(?!), ებრაელი ბიჭი შალომა დაადასტურებსო“.

**ნუგზარ რეხვიაშვილი**, ბექას მამა: „ხშირად დავდიოდი საბურთალოს რაიონის უშიშროების განყოფილებაში. იქ კი მეუბნებოდნენ, რომ ირაკლი ალასანია ჩვენს საქმეში ზედმეტ ყურადღებას იჩენდა და ამის გამო უშიშროების განყოფილების მაშინდელმა უფროსმა გააფრთხილა კიდეც, — შეწყვიტე თვითნებური კვლევაო.

ერთი კვირის შემდეგ კი მითხრეს, არ გინდა ყოველდღე სიარული, ალასანიას ჩავრთავთ საქმეში, როგორც ახალგაზრდა პერსპექტიულ გამომძიებელსო.

**მანანა რეხვიაშვილი**: „სწორედ ირაკლი ალასანია გვარწმუნებდა, მე და ჩემმა მეუღლემ ვნახეთ თალთან, კუსა და ბექა მზესუმზირაზე რომ მიდიოდნენო. გოგა ივანოვი კი, რომელიც ამჟამად რუსეთში ცხოვრობს, ამტკიცებდა, რომ კუსა და ბექა ეზოდან მას შემდეგ წავიდნენ, რაც ალასანია და მისი მეუღლე ეზოში შემოვიდნენო. შემდეგ ირაკლიმ გვითხრა, ჩემი ცოლის ბიძამ დაინახა, წითელ ბალთან როგორ მიჰყავდა რამდენიმე ბიჭს ყელზე დანამიბჯენილი ორი ახალგაზრდაო. ჯერ დაახვავებდა მცდარ ვერსიებს, მერე კი მოვიდოდა და გვეტყოდა, გაუგებრობას ჰქონდა ადგილიო.

იმხანად ჩვიდმეტი წლის ჯარგაუვლელი თემურ ავიძბა უშიშროების ლეიტენანტის მოწმობით იწონებდა თავს. ამგვარ მოწმობას კი იმ დროს გიორგაძის შიშით ვერავინ გასცემდა. მაინტერესებს, რისთვის, რა დამსახურებისათვის უბოძეს მას ეს მოწმობა? 1997 წელს ავიძბა უკრაინაში გაგზავნეს სასწავლებლად საქართველოს სასაზღვრო ჯარებიდან, მაგრამ იქიდან დაბრუნებული სასწრაფოდ დაითხოვეს სამსახურიდან. როგორც ითქვა, საქმე ნარკოტიკების მოხმარებას ეხებოდა. დღეს ავიძბა უშიშრად გრძნობს თავს აფხაზეთის უშიშროების დეპარტამენტში. ოთხეულში შედარებით სუსტი წერტილი გიგი არაბიძე იყო. სულ ეშინოდა, არაფერი წამოსცდენოდა. სწორედ ეს სამეული: ალასანია, ავიძბა და ბარკალაია შეუცვივდნენ აწ გარდაცვლილ გამომძიებელს გია ნატროშვილს და დაემუქრნენ, ცუდ დღეს დაგაყრით, გიგი არაბიძეს თუ თავს არ დაანებებო“...

ჩვენ შევეცადეთ გავსაუბრებოდით ამ ოთხეულს, თუმცა ისინი (მათ შორის ირაკლი ალასანიაც) თავს იკავებენ კომენტარისაგან — ამბობენ, რა უნდა ვამტკიცოთ, გაუბედურებულ დედებს როგორ ვედაოთო. დედები კი აცხადებენ, არც ისე გავბოროტებულვართ, ვინმეზე დაუმსახურებელი ეჭვი გამოვთქვათო...

გავიდა ხანი და 1995 წლის 14 აპრილს ლისის ტბაზე გვამები იპოვეს. შემთხვევის ადგილზე მცხეთის პროკურორის თანაშემწე თენგიზ მესხი მივიდა. ჯგუფში პოლიციისა და პროკურატურის რვა თანამშრომლის გარდა სამი მოწმეც შედიოდა. გვამების აღმოჩენის ადგილიდან ერთი კილომეტრის რადიუსში გაიჩხრიკა ტერიტორია, თუმცა გარდა გვამებისა და ერთ-ერთი მათგანის მხრებქვეშ აღმოჩენილი ნივთმტკიცებისა, ვერაფერი იპოვეს.

(გაგრძელება იხ. გვ. 15)

მაიორმა სათვალე მოირგო:
— გიორგაძე ალექსანდრე ოთხჯერ არის ნასამართლევი ქურდობისთვის, უკანასკნელად, ხუთი წლის წინ — ძარცვისათვის. 15-წლიანი პატიმრობა აქვს შეფარდებული. კანონიერი ქურდი არ არის, მაგრამ სისხლის სამართლის დამნაშავეთა შორის დიდი გავლენით სარგებლობს. ამჟამად სასჯელს შორეულ ჩრდილოეთში, შრომა-გასწორებით კოლონიაში იხდის...

ქურნალ „გზაში“!
მონანიება

# „პასუხი უნდა აგონ იმ თანამდებობის პირებმა, ვინც პროექტი შეითანხმა“



## „დაანგრიონ სახლი და თან ჩამიტანონ, ქუჩაში ცხოვრებას არ ვაპირებ“

## „კომპენსაციები იმ მთავრობას მოჰკითხეთ“(?!)

*„საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. მისი შეზღუდვა ან ჩამორთმევა დაუშვებელია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც არსებობს აუცილებელი საჭიროება. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევა შესაძლებელია მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით“.*

*საქართველოს კონსტიტუცია*

ალბათ, ძნელად მოიძებნება საქართველოში ჩინოვნიკი, რომელსაც კონსტიტუციის ზემოხსენებული მუხლი წაკითხული არ აქვს. თუმცა ბოლო დროს რჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლების ზოგიერთი წევრის ქმედებას კანონი კი არ განსაზღვრავს, არამედ სწორედ მათი ქმედებაა კანონი და კონსტიტუციაც. დაპირისპირება ამჯერად თა-

> „ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ სახლიდან გამოგდებასაც თუ დამიპირებდნენ, აღარ მეგონა. წარმოგიდგენიათ, სახლში მივარდებიან, თანაც მეუბნებიან, ამას თქვენი კეთილდღეობის გამო ვაკეთებთ, უნდა გადაგარჩინოთო.

ბუკაშვილის ქუჩის №50-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მობინადრეებსა და მერიის შესაბამის სამსახურებს შორის მოხდა. სკანდალი მას შემდეგ დაიწყო, რაც ცნობილი გახდა, რომ მერიას სახლის დანგრევა ჰქონია განზრახული, თანაც ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე. დანგრევის მიზეზად სახლის ავარიული, არადამაკმაყოფილებელი სეისმომედეგური მდგომარეობა და უსახური არქიტექტურული იერი დასახელდა. ჩნდება ლოგიკური კითხვა — ნახევრად დანგრეული უსახური კოშკებით სავსე ქალაქში რატომ დადგა სწორედ „იმელის“ უკან მდებარე ახალაშენებული კორპუსის დანგრევა დღის წესრიგში. მართალია, ამ კითხვაზე პასუხი მერიას აქვს (მათი განმარტებით, სახლის დემონტაჟი მოსახლეობის უსაფრთხოების კეთილშობილურ მიზანს ემსახურება), სამაგიეროდ, მრავალსართულიანი სახლის მობინადრეებს ჯერ კიდევ ვერ გაურკვევიათ, რომელი გავლენიანი პერსონის ინტერესის სფეროში მოხვდა ტერიტორია, რომელზეც მათი საკმაოდ ძვირად ღირებული კორპუსი აღმოჩნდა განთავსებული.

**ლაშა მაქაცარია** თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი (სტილი დაცულია): — სახლის დემონტაჟის შესახებ გადაწყვეტილება ჯერჯერობით არ მიგვილია. პირველ რვა სართულს არანაირი პრობლემა არ აქვს. სხვა მხრივ კი, კერძოდ, სეისმომედეგობისა და იურიდიული თვალსაზრისით უფრო რთულადაა საქმე. სეისმური თვალსაზრისით მდგრადია თუ არა შენობა, ამის დასადგენი ლაბორატორია მე არ მაქვს. მე წერილის სახით მქონდა მიცემული შეკვეთა ექსპერტიზის ბიუროსა და დამოუკიდებელი ინსტიტუტებისთვის. ჩემი სპეციალისტებიც ჩაერთვნენ საქმეში და სწორედ ამის საფუძველზე გავაკეთე დასკვნა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გადით ქუჩაში და ჰკითხეთ ნებისმიერ თბილისელს, არქიტექტურული თვალსაზრისით, როგორ ჯდება ეს შენობა ქალაქის იერში. ამაზე უსახური შენობა თბილისში არ არსებობს. ვიმეორებ, ვიდრე კონკრეტული გადაწყვეტილება არ




იქნება მიღებული, ვერაფერს მოვიმოქმედებ. ჯერჯერობით ეს საკითხი შესწავლის პროცესშია. ჩემი სამსახური ამ საკითხთან დაკავშირებით ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. ეს მთლიანად ქალაქის მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს.

სისულელეა იმაზე ლაპარაკი, რომ თუ ზედა სართულები მოინგრევა, ქვედა სართულებს ბზარები გაუჩნდებაო და ა.შ. ჩვენ და ის ფირმა, რომელიც ხუთი სართულის დემონტაჟს განახორციელებს, სრულ პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ ქვედა რვა სართულს არაფერი მოუვა. ზედა სართულების მოსახლეობას რაც შეეხება, დიდი შანსია, რომ კომპენსაცია მშენებელმა ფირმამ გაიღოს ან მან, ვისი ბრალეულობის შედეგადაც (ნებართვის გამცემი) ხალხი დაზარალდა. ეს უფრო უპრიანი იქნება, ვიდრე ამაზე სახელმწიფომ დიდი თანხები გამოყოს. მთავარი მოსახლეობის უსაფრთხოებაა.

**— თბილისში უამრავი ავარიული სახლია. მოსახლეობა იხვეწება, გვიშველეთ, სახლები თავზე გვენგრევაო, მაგრამ თავს მაინცდამაინც არავინ იწუხებს. ცოტა უცნაურია ასეთი სიტუაციაში სწორედ იმ სახლის მოსახლეობის უსაფრთხოებაზე ზრუნვა, რომელსაც სახლის ავარიულობაზე პრეტენზია არ აქვს.**

— არაფერი არ არის უცნაური. ჟურნალისტებმა წამოჭერით საკითხი, თითქოს ამ ტერიტორიით ვილაც იყოს დაინტერესებული. ლაპარაკია მხოლოდ ხუთი სართულის დემონტაჟზე და რა ტერიტორიულ ინტერესზეა ლაპარაკი, გაუგებარია.

**— მოსახლეობის თქმით, ხუთი სართულის დემონტაჟს კი არა, მთლიანად სახლის დანგრევას აპირებენ. თქვენი სამსახურის წარმომადგენლები ემუქრებიან, თუ ნებით არ გახვალთ სახლებიდან, სპეცრაზმს მოვიყვანთ და ძალით გაგიყვანთო.**

— ამას, ჩემს მოადგილე გიორგი საგინაშვილს აბრალებენ. მსგავსი არაფერი ყოფილა.

**— თუ არსებობს ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ადასტურებს სახლის მძიმე სეისმომედეგურ მდგომარეობას?**

— ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დასკვნის მიხედვით, სახლის ბოლო ორი სართულია ავარიული. სახლი ელემენტარულად ექსპლუატაციაში არ არის შესული, ნებართვები არ აქვთ(?!) და სხვ. ეს ჩემი ხუშტური არ არის. ოფიციალურად დებულებაში მიწერია და რა ვქნა?

**— თქვენ რომ გქონდეთ იმ სახლში ბინა, როგორ მოიქცეოდით?**

— ჯერ ერთი მე არ ვიყიდდი მანდ ბინას და თუ ვიყიდდი, კომპენსაციას მათ მოვთხოვდი, ვისაც ფული გადავუხადე. აქ სახელმწიფო არაფერ შუაშია და თუ იყო კიდეც მაშინ ნებართვის გამცემი კონკრეტული ჩინოვნიკი, დღევანდელი სახელმწიფო არაფერ შუაში არ არის(?!)...

*ამ მეტად უცნაურ და გაუგებარ სიტუაციაში საპირისპიროს ამტკიცებს მობინადრეთა ადვოკატი დიმიტრი გაბუნია. მისი თქმით, თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში უსინდისოდ ცრუობენ, რადგან ამხანაგობას ყველა საბუთი და ნებართვა ხელთ აქვს.*

**დიმიტრი გაბუნია:** — სახლი ყველა კანონის დაცვით აშენდა თბილისის მთავარი არქიტექტორის 1993 წლის ბრძანების საფუძველზე. მშენებლობის დაწყების ნებართვა 1998 წელს არის გაცემული. 2001 წელს შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებულ კორექტირებულ პროექტს ხელს აწერს მამუკა ჩხაიძე, ხოლო ბრძანება კორექტირებული პროექტის შეთანხმების თაობაზე 2003 წელს გაცემული აქვს ირაკლი როსტომაშვილს. ჩანს, ზედამხედველობის სამსახურს ეს ბრძანება არ აქვს ან არ უნდა რომ ჰქონდეს. მოსახლეობას ყველანაირი ადმინისტრაციული აქტი ხელთ აქვს. თბილისის მთავარი არქიტექტორის იურიდიულმა სამსახურმა მომწერა წერილი, გამოცხადდით პროექტის მიზანშეწონილობის საკითხის განსახილველად, რამდენად კანონიერია ბოლო კორექტივებიო. საინტერესოა, თუ არ არსებობს მშენებლობის ნებართვა, რის განსახილველად იბარებენ ამხანაგობას? როგორც ვიცი, არქიტექტურის სამსახურმა სახლის ბოლო ხუთ სართულზე მშენებლობის ნებართვა ძალადაკარგულად უნდა ცნოს. ახლა, სამი წლის შემდეგ გაახსენდათ 2003 წელს შეთანხმებული მშენებლობის კანონიერების საკითხი? რას გადაწყვეტს არქიტექტურის სამსახური, ნაკლებად მნიშვნელოვანია. ჩვენ საქმის სასამართლოში გასაჩივრების უფლება გვაქვს. თუ სასამართლო იტყვის, რომ პროექტი არაკანონიერად იქნა შეთანხმებული, კი ბატონო, მოანგრიონ სართულები, მაგრამ ამაზე პასუხი უნდა აგონ იმ თანამდებობის პირებმა, ვინც პროექტი შეითანხმა. სახელმწიფო ჩინოვნიკის მიერ ჩადენილ დანაშაულზე პასუხს სახელმწიფო აგებს და ვალდებულია, აანაზღაუროს მოქალაქისთვის მიყენებული ზარალი.

საინტერესოა, გამოიკვლია ვინმემ ხუთი სართულის დანგრევის შემთხვევაში, რა მოუვა დანარჩენ რვას? როცა ეს შეკითხვა დავსვი, ზედამხედველობის სამსახურში, მიპასუხეს, არ არის გამორიცხული, ბზარები გაჩნდეს და სახლი მთლიანად გახდეს დასანგრევიო. ისიც გვითხრეს, ხუთი სართულის დემონტაჟის შემდეგ კედლებიდან სინჯები უნდა ავიღოთ და თუ დადგინდება, რომ შენობა არამდგრადია, შეიძლება მთლიანად დავანგრიოთო.

**— ვთქვათ დადგინდა სახლის ავარიულობა, თუ არის ცნობილი, სად დასახლდებიან მობინადრეები?**

— ქუჩაში... მერიის წარმომადგენლებმა პირდაპირ თქვეს, თუ დამტკიცდა შენობის ავარიულობა, მშენებლებს მოსთხოვეთ პასუხიო... თუ სახლის დანგრევა მაინც გადაწყდა, მოქალაქეებს სხვა გზა არ აქვთ, სასამართლოს უნდა მიმართონ. შესაძლოა, სასამართლომ დააკისროს კიდეც სახელმწიფოს ზარალის ანაზღაურება, მაგრამ რამდენად აღსრულდება სასამართლოს გადაწყვეტილება (იმ ნორმებიდან გამომდინარე, რაც დღეს კანონში გვაქვს), ძნელი სათქმელია...

*მიუხედავად მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის დაპირებისა, რომ რვა სართულს საფრთხე არ ემუქრება, თაბუკაშვილის ქუჩაზე მცხოვრებ მოსახლეობას მისი არ სჯერა. მობინადრეები დარწმუნებულნი არიან, რომ ამ ტერიტორიით გავლენიანი პირები არიან დაინტერესებულნი.*

**ლევან ასათიანი,** მობინადრე: „ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ სახლიდან გამოგდებასაც თუ დამიპირებდნენ, აღარ მეგონა. წარმოგიდგენიათ, სახლში მივარდებიან, თანაც მეუბნებიან, ამას თქვენი კეთილდღეობის გამო ვაკეთებთ, უნდა გადაგარჩინოთო. თბილისში უამრავი ავარიული, მართლა გადასარჩენი სახლია, რალა ჩვენს ბინას მოადგნენ. თავიდან ვეჭვობდით, რომ ტერიტორია „სილქ როუდ გრუპის“ ინტერესის სფეროში მოხვდა. ეს გადავამოწმეთ და არ დადასტურდა. ერთ-ერთი ინფორმაციით კი ამ ტერიტორიით კახა ბენდუქიძე ყოფილა დაინტერესებული. მეთორმეტე-მეცამეტე სართულზე ერთი ყაზახი ცხოვრობს. კაცი გაგიჟებულია, უამრავ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, მაგრამ ასეთი რამ ჯერ არსად მინახავს და გამიგონიაო. თუ სახლი აუცილებელი საჭიროების გამო უნდა დაინგრეს, კი ბატონო, რა პრობლემაა, მაგრამ კომპენსაციის გადახდაც კი არ უნდათ. გვეუბნებიან, წადით, პასუხი წინა მთავრობას მოსთხოვეთ, ჩვენ რა შუაში ვართო! სასოწარკვეთილებაში ვართ. ყველა საბუთი ხელთა გვაქვს და გვაინტერესებს, თუ თავის დროზე რაიმე არასწორად გააკეთეს სახელმწიფო ჩინოვნიკებმა, ამის გამო ჩვენ რატომ უნდა ვაგოთ პასუხი?! მე არსად წამსვლელი არ ვარ. დაანგრიონ სახლი და თან ჩამიტანონ, ქუჩაში ცხოვრებას არ ვაპირებ“.

*P. S. მართალია, ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი ირწმუნება, რომ მას მხოლოდ მოსახლეობის უსაფრთხოება, ქალაქის იერი და კეთილშობილური მიზნები ამოძრავებს და საბუთად კი ზავრიევის სახელობის ინსტიტუტის მიერ გაცემული ცნობაც მოჰყავს, მაგრამ გავბედავთ და ეჭვს შევიტანთ ბატონი მაქაცარიას სიტყვების ჭეშმარიტებაში, რადგან ე. წ. „ზავრიევის ცნობაში“ არსად წერია, რომ სახლის ზედა ორი სართული „საფრთხეს წარმოადგენს“(!). აქვე გვინდა შევახსენოთ „იმ“ მთავრობის სამართალმემკვიდრე ამ მთავრობის ჩინოვნიკებს, რომ კანონით სამართალმემკვიდრეობის საკითხი ზუსტად არის განსაზღვრული და „ძველი“ მთავრობის ჩინოვნიკების შეცოდებებზე თუნდაც ახალი წყობის სახელმწიფო მთელი სიმკაცრით აგებს პასუხს.*

**ხათუნა პაიჭაძე**


## ლაქტო-G

### სრულყოფილი და უალტერნატივო კომბინაცია დისბაქტერიოზის სამკურნალოდ

არსებობს მოსაზრება, რომ მიკრობები ყოველთვის ზიანს აყენებენ ორგანიზმს, ვინაიდან სწორედ მათთან არის დაკავშირებული მრავალი საშიში ინფექციური დაავადების განვითარება; მაგრამ ამავე დროს მიკროორგანიზმები ხშირად სასიცოცხლოდ აუცილებელიცაა ორგანიზმისთვის და ამის ნათელი მაგალითია საჭმლის მონელებაში მონაწილე ორგანოთა ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მიკროორგანიზმების არსებობა.

კუჭ-ნაწლავის ტრაქტი და მასში დასახლებული ბაქტერიები ქმნიან ორგანიზმის ერთგვარ ეკოლოგიურ სისტემას, რომელიც ყოველდღიურად ეწინააღმდეგება იმ ნეგატიურ ფაქტორებს, რომლებიც ჩვენი ცხობრების წესთან არის დაკავშირებული: არარაციონალური კვება, სტრესები, გარემოს, სასმელი წყლის, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ცოცხალი ორგანიზმისთვის საშიში ქიმიური შენაერთებით.

დისბაქტერიოზის განვითარების ყველაზე ხშირი მიზეზია სამკურნალო პრეპარატების, მათ შორის ანტიბიოტიკების, გამოყენება რომლებიც ვერ ანსხვავებენ მავნე და მეგობარ ბაქტერიებს და გულმოდგინედ „ანადგურებენ“ მათ. ამიტომ ჯანმრთელობის შენარჩუნების საბაზისო, ძირითად მექანიზმს წარმოადგენს ნორმალური მოკროფლორის ბალანსის ფორმირება, შენარჩუნება და მისი აღდგენა.

ინოვაციური ტექნოლოგიის საფუძველზე შეიქმნა 5 კომპონენტიანი ბუნებრივი პრეპარატი ლაქტო-G, რომელიც დისბაქტერიოზის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის სრულყოფილ კომბინაციას წარმოადგენს. ლაქტო-G სავსებით უსაფრთხოა ხანგრძლივად გამოყენების შემთხვევაში და არ გააჩნია ასაკობრივი შეზღუდვა.

ლაქტო-G-ის შემადგენლობაში შემავალი პრობიოტიკები („სასარგებლო“ ბაქტერიები) წარმოდგენილია ლაქტობაქტერიების (Lactobacillus acidophilus) და 3 სახეობა ბიფიდობაქტერიების (Bifidobacterium longum, B. bifidum, B.infantis) სახით. პრეპარატში შემავალი ბაქტერიების ასეთი მრავალფეროვნება და მათი ოპტიმალურად შერჩეული რაოდენობები უზრუნველყოფს თითოეული ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელი ბაქტერიების დეფიციტის აღმოფხვრას.

ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული მრავალი პრეპარატის (მაგ.: ლინექსი, ენტენორმი, ენტეროფლორიდი, ბიფიკოლი და სხვ.) პრინციპული ნაკლია ამ პრეპარატების შემადგენლობაში პირობით-პათოგენური ბაქტერიების შტამების არსებობა (მაგ.: ენტეროკოკი, სტრეპტოკოკი, E.coli და სხვ.), აღნიშნულ ბაქტერიებს დასუსტებულ ორგანიზმში საშიში ჩირქოვან-ანთებითი პროცესების გამოწვევის პოტენციური უნარი გააჩნიათ. ვინაიდან დისბაქტერიოზის განვითარება ხშირ შემთხვევაში სწორედ იმუნიტეტის დაქვეითებასთანაა დაკავშირებული, ამგვარი პრეპარატების გამოყენების შესაძლებლობები შეზღუდულია; აღნიშნული გარემოება აქტუალურია ბავშვთა ასაკშიც, რადგან ბავშვის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი კუჭ-ნაწლავის ტრაქტი მეტად მგრძნობიარეა პირობით-პათოგენური ბაქტერიების მიმართ.

ლაქტო-G-ს მთავარი უპირატესობა მის შემადგენლობაში სპეციალური ნიადაგის ფრუქტოოლიგოსაქარიდის არსებობაა, რომელიც კუჭ-ნაწლავის ტრაქტში არსებული და პრეპარატთან ერთად მიღებული რძემჟავა ბაქტერიების ზრდასა და გამრავლებას უზრუნველყოფს.

ლაქტო-G ბოლო თაობის 5კომპონენტიანი პრეპარატია, რომელსაც ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული მრავალფეროვნების მიუხედავად, თავისი შინაარსისა და შემადგენლობის გამო ეფექტურობის თვალსაზრისით დისბაქტერიოზის მკურნალობაში ალტერნატივა არ გააჩნია.

PSP ჩემი ოჯახის აფთიაქი ადვაშინებლის 14811

საწარმო GMP ფლობს საერთაშორისო ხარისხის სერტიფიკატს "ISO 9001-2000"

GMP ჯი-ემ-პი

# ვანის გათხრები ისევ გრძელდება...

## „უნიკალურ ვერცხლის ქამარს მსოფლიოში ანალოგი არ აქვს“


ვერცხლის ფიალა

წელს 110 წელი გადის მას შემდეგ, რაც ვანში პირველი სამარხი გაითხარა. მაშინ ექსპედიციას თვით ექვთიმე თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა. მას შემდეგ ვანში არაერთი ექსპედიცია მოეწყო. ბოლო ორი წელიწადი განსაკუთრებული აღმოჩენების წელი იყო. ჩვენი გაზეთი თვალყურს ადევნებს ვანში მიმდინარე არქეოლოგიურ გათხრებს. უნიკალური ოქროს სამკაულის შესახებ კარგა ხნის წინ გიამბეთ, დღეს კი გაგაცნობთ იმ აღმოჩენებს, რომლებიც ფართო საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ უცნობია და რომლებმაც უკვე აალაპარაკა მსოფლიო არქეოლოგები. ორიოდ თვეში საზოგადოებას საშუალება მიეცემა, რომ მუზეუმში იხილოს ვანის ექსპონატები, მანამ კი მნიშვნელოვანი აღმოჩენის შესახებ ფოტოებსა და ინფორმაციას შემოგთავაზებთ.

გვესაუბრება ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი ქალბატონი **დარეჯან კაჭარავა**:

— ვანის სამარხებში ძალზე საინტერესო ვერცხლის ნივთები, სამკაულები, ქამრები, ფიალები და სარწყული აღმოჩნდა. სარწყულს მოძრავი რკალი აქვს — სახელური, რომელიც ორი ლომის გამოსახულებით ბოლოვდება. ლომები გარეული ტახის ფიგურებზე დგანან. ყურის რკალიც ორნამენტირებულია.

საინტერესო ნივთია ვერცხლის ქამარი, რომელიც შემკულია ჩიტისებური გამოსახულებებით, სამკუთხედებით. აქვს ნახვრეტები, როგორც ჩანს, ქამარი ტყავზე ან ქსოვილზე იყო დაკერებული. ზოგიერთ ნახვრეტში გაყრილი იყო ზარაკები. ყველაზე მნიშვნელოვანი ექსპონატია მეორე ვერცხლის ქამარი. მასზე სხვა საინტერესო ფიგურებს შორის (ის ხარისა და ლომისთავებიანი სფინქსებითაა შემკული) გამოსახულია მამაკაცი, რომელსაც ახურავს ქუდი, უკეთია საყურე და ყელსაბამი, აცვია სამოსი. ხელში ფიალა უჭირავს, გვერდით მერიქიფე უდგას, იქვე დგას ჭურჭელი, ალბათ, ღვინით სავსე. სიმპოზიუმის (ქეიფის, ნადიმობის) სცენა უცხო არ არის იმდროინდელი კულტურისათვის, ის გავრცელებული იყო უფრო ადრეულ ხანაშიც, მაგრამ ამ ქამრის გამოსახულება განსხვავებულია, მას მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება.

**— რით გამოიხატება ეს განსხვავება?**

— როგორც მოგახსენეთ, კაცი ჩაცმულია, საბერძნეთში კი იმ პერიოდში წელს ზემოთ შიშველ მოქეიფეებს გამოსახავდნენ. აღმოსავლეთში სხეულის სიშიშვლე სირცხვილად ითვლებოდა. ამიტომ სავარაუდოდ, ქამარი აღმოსავლეთში უნდა იყოს გაკეთებული. გარდა ამისა, საყურე ბერძნული სამყაროსთვის უცხოა, აღმოსავლურისთვის კი დამახასიათებელი. ქამარი 340-330 წლებით თარიღდება.

ჩვენმა აღმოჩენამ მეცნიერთა დიდი დაინტერესება გამოიწვია. გვთხოვენ გერმანულ ჟურნალში გამოვაქვეყნოთ ინფორმაცია. ამ აღმოჩენებზე სტატია უკვე დაიბეჭდა ფრანგულ არქეოლოგიურ ჟურნალში. ცნობილი ფრანგი


ვერცხლის ქამრის ფრაგმენტი

არქეოლოგი პიერ ლოვეკი ქართული კულტურის დიდი მოამაგე გახლდათ. მისი თაოსნობით შუქდებოდა ვანის გათხრები საფრანგეთში და სავსებით სამართლიანი იყო, თუ პირველი ცნობები ამ უნიკალური აღმოჩენების შესახებ სწორედ მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ ჟურნალში დაიბეჭდა.

**— რომელი საუკუნეებით თარიღდება ნაპოვნი სხვა ნივთები?**

— სამარხი ჩვ. წ. აღ-მდე IV საუკუნისაა. ყველაზე „ახალი“ ნივთი — პანტიკაპეონის ვერცხლის მონეტაა. პანტიკაპეონი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული ქალაქი იყო. იქაური მონეტა ყველაზე ახალია, თორემ სამარხში ბევრად უფრო ძველი ნივთებიც აღმოჩნდა: ახალბაბილონური, ანუ ახალასურული ქალცედონის საბეჭდავი, რომელზეც გამოსახულია ორი სტილოსი — ღვთაება ნედოს სიმბოლო და ერთი შუბი, ღვთაება მარდუქის სიმბოლო. საკურთხეველთან ორი მლოცველი დგას. აქემენიდური ვერცხლის ჩამჩა ჩვ. წ. აღმდე IV საუკუნის პირველ ათწლეულს განეკუთვნება, ამავე პერიოდისაა ოქროს სამკუთხა სასაფეთქლეც.

**— შესაძლებლად მიგაჩნიათ, რომ იმ პერიოდში ვანის ტერიტორიაზე ყოფილიყო სახელოსნოები, რომლებშიც ასეთი მაღალი დონის სამკაული და ნივთები შეიქმნებოდა?**

— დიახ, ოქრომჭედლობის ნიმუშების უდიდესი და ვერცხლის ნივთების ერთი ნაწილიც აქაური ნაკეთობაა. ფიალებიც ადგილობრივ ოსტატთა ნახელავი უნდა იყოს, რადგან მსგავსი რამ აქემენიდურ სამყაროში ძალზე იშვიათად გვხვდება. ვანის კულტურა ერთი მხრივ, აქემენიდურ, მეორე მხრივ კი ბერძნულ კულტურებს არაფრით ჩამოუვარდება. ერთ-ერთი მაღალგანვითარებული და მაღალმხატვრულია.

**— არის თუ არა შემორჩენილი ჩონჩხები იმ სამარხებში, რომლებშიც ასეთი საგანძური აღმოჩნდა?**

— სამარხში დაკრძალულთა რაოდენობას სამკაულებისა და სხვა ნივთების განლაგების მიხედვით განვსაზღვრავთ. აღმოჩენილ სამარხში ხუთი ფიალის, ვერცხლის ქამრის, სარწყულისა და ლარნაკის გარდა აღმოჩნდა ხუთი ვერცხლის ბეჭედი, რომელიც ე. წ. ძირითად მიცვალებულს ეკეთა, მსახურებს კი (სულ სამი მსახური უნდა ყოფილიყო დამარხული) ხატის უღელი (ვერცხლის რკალი — ყელის სამკაული). ჩვენამდე ამ სამარხის არც ერთი ჩონჩხი არ მოღწეულა. ვანში ისეთი ნესტიანი კლიმატია, მხოლოდ კბილები ინახება მიწაში, ჩონჩხი იშვიათად გვხვდება. 28 სამარხი გვაქვს გათხრილი და ჩონჩხი მხოლოდ ორ მათგანში ვიპოვეთ.

საინტერესოა ბრინჯაოს ადამიანის ფიგურებიც. ისინი კრამიტზე ეწყო, ზემოდან მეორე კრამიტი დაუფარებიათ და მიწა წაუყრიათ. როგორც ჩანს, დაკრძალვის მსგავსი რიტუალი შესრულდა.

**— კიდევ დაგრჩათ გასათხრელი სამარხები?**

— იქ ჯერ კიდევ ულევი სამუშაოა. სამარხები ჯგუფებად არის განლაგებული. აქ საკულტო ადგილი იყო, რაც შეეხება საცხოვრებელ ადგილს, ხალხი მოშორებით ცხოვრობდა... ელინისტურ ხანაში, ვანიდან ერთ კილომეტრში, საყანჩიას ტერიტორიაზე იყო დასახლებული პუნქტი. რა ერქვა ამ ადგილს, ძნელი სათქმელია. წყაროები არაფერს გვეუბნება. ვანში აღმოჩნდა ბერძნული ფრაგმენტული წარწერაც, რომელშიც სხვებთან ერთად ნახსენებია ტოპონიმი სურიმი, მაგრამ ამით ნათელ სურათს მაინც ვერ მივიღებთ. ისე კი ცხადია, რომ ეს არქეოლოგიური ძეგლი მსოფლიო მნიშვნელობისაა.

P. S. ქართული არქეოლოგია ერთ-ერთი ის დარგია (თუ ერთადერთი არა), რომლის მონაპოვრებს დიდი ინტერესით ელოდება მსოფლიო. საქართველოს არქეოლოგიური კვლევის ცენტრში არაერთ აღმოჩენაზე მუშაობენ, თუმცა ამ ავარიულ შენობაში მუშაობის კი არა, შესვლისაც შეეშინდება კაცს...






## რას გვეტყვი, მამაო?

**— ტრადიციულად, მისამძიმრებისას ქალები მიდიან წინ, უკან კი მამაკაცები მიჰყვებიან. ახლახან მითხრეს, ეს ეკლესიურად გაუმართლებელია — წინ მამაკაცი უნდა მიდიოდეს, ქალი კი უკან მიჰყვებოდესო... თქვენ რას გვეტყვით, მამაო?**

— ყოფით საქმეებში არ არსებობს ქალის თუ კაცის უპირატესობა, უფრო მეტიც, სარწმუნოებაშიც კი არ არის — „არ არს მამაკაცობა, არ არს დედაკაცობა“. ამგვარი იერარქიულობის დაცვა მხოლოდ ეკლესიური მსახურების აღსრულების დროს გამოიხატება, ისიც იმის გამო, რომ მამაკაცია რელიგიური მემკვიდრეობის მატარებელი, თუნდაც ის ფაქტი, რომ სასულიერო პირები მხოლოდ მამაკაცები არიან, ესეც ამ გარემოებას უსვამს ხაზს.

**— „ჭორი არს მონაგონი ბოროტთაგან“ — განმარტავს სულხან-საბა. სწორედ ჭორი მომიგონა სისხლით ახლო ნათესავმა ადამიანმა, რომელიც ეკლესიაში დადის, მარხულობს. კონფუცი გვაფრთხილებს: სიკეთეს სიკეთით უნდა გადავუხადოთ, ბოროტებას კი — სამართლით. „სამართლით“ როგორ გავიგოთ? რას მირჩევთ?**

— კონფუცი შორს არის იმ უმაღლესი სულიერი სიბრძნისგან, რაც განკაცებულმა ღმერთმა ადამიანებს მოუტანა: „გიყვარდეთ თქვენი მტრები... დალოცეთ თქვენი მაწყევრები“. იმაზე თუ გიფიქრიათ, რომ თქვენს ნათესავს უარესის გაკეთება შეეძლო, ეკლესიაში რომ არ ევლო? მიუტევეთ ახლობელს და მამა ღმერთი თქვენს ცოდვებს მიგიტევებთ. ნუ წარმოიდგენთ თავს სრულყოფილ, უცოდველ ადამიანად!

**— მართლმადიდებლური კანონიკით კონკრეტულად რომელ დღეებში იკრძალება ცოლქმრული ურთიერთობა?**

— პავლე მოციქული ამბობს: „სიძვის თავიდან ასაცილებლად ყოველ მამაკაცს ჰყავდეს თავისი ცოლი და ყოველ დედაკაცს — თავისი ქმარი. ქმარმა ჯეროვანი პატივი უნდა სცეს ცოლს. აგრეთვე ცოლმაც ქმარს. ცოლი არ უფლობს თავის სხეულზე, არამედ ქმარი; ასევე ქმარიც არ უფლობს თავის სხეულზე, არამედ ცოლი. ნუ განშორდებით ერთმანეთს (იგულისხმება ცოლქმრული ურთიერთობა), გარდა შეთანხმებისა, დროებით, რომ მოიცალოთ ლოცვისთვის, და კვლავ ერთად იყოთ, რათა არ გამოგცადოთ სატანამ თქვენი თავშეკავებულობით“ (I კორ. 7,1-5).

**— საეკლესიო და საერო პრესაში ხშირად შეცდომით იბეჭდება: „კათოლიკოს-პატრიარქი“. ხომ სწორი იქნება დაიბეჭდოს „კათალიკოს-პატრიარქი“.**

— სრულიად გამართლებულად იბეჭდება „კათოლიკოს-პატრიარქის“ ტიტული. დროთა განმავლობაში ენაში კორექცია მიმდინარეობს. ეს ენის ჩვეული, ბუნებრივი მოვლენაა. უწინ თუ იყო „კომლი“, დღეისთვის მივიღეთ „კვამლი“, ანდა „ამენ“ — დღეს „ამინ“. ე. ი. „ქართლის ცხოვრების“ გვიანდელ რედაქციებში (XVIIIს.) თუკი უმაღლესი მღვდელმთავარი „კათალიკოსად“ იხსენიება, დღევანდელი სალიტერატურო ნორმის მიხედვით იგი „კათოლიკოსად“ არის მიღებული, რაც უფრო სწორია, რადგან იგი სიტყვა „კათოლიკე“ ანუ საყოველთაოდან მომდინარეობს.

**— ერთხელ, დილით ადრე მივედი ეკლესიაში, ჩემს მეტი იქ არავინ იყო, არც სანთლები ენთო ხატებთან. მე შევიძინე სანთელი და ხატის წინ ავანთე ჩემი ჯიბის სანთებელათი, რაზეც მღვდელმა შენიშვნა მომცა, სანთებელათი სანთლის ანთება ცოდვააო, აუცილებლად ასანთით უნდა მოუკიდო სანთელს ცეცხლიო. გთხოვთ მიპასუხოთ, რამდენად სწორი იყო მოძღვრის შენიშვნა?**

— გირჩევთ ნაკლები ამბიციით შეხვიდეთ ეკლესიაში და მეტი მოკრძალება და სიმდაბლე გამოხატოთ სასულიერო პირებისადმი. როგორც არ შეიძლება და ცოდვაა საკუთარი ენით ბილწსიტყვაობა და იმავე ენით ღვთისადმი ლოცვების აღვლენა, ასევე არ შეიძლება სიგარეტისთვის ნაყიდი სანთებელათი სანთლის დანთება. ხოლო თუკი მხოლოდ სანთლების ასანთებად შეიძენთ სანთებელას, მაშინ არანაირი დაბრკოლება არ არსებობს.

**— რამდენი სანთელი შეიძლება დავანთოთ ტაძარში ცოცხალთათვის და მიცვალებულთათვის?**

— სანთლის რაოდენობას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, იგი შესაწირის ფორმაა და თქვენს შეძლებასა და გულმოწყალებაზეა დამოკიდებული.

**— რა არის საჭირო პანაშვიდის გადახდისთვის?**

— პირველ რიგში, სურვილი. სხვა დანარჩენი, ეს იქნება საკურთხი თუ ფული, რომელიც შესაწირია, თქვენს შესაძლებლობაზეა დამოკიდებული.

**— დიდმარხვაში თევზის ჭამა თუ შეიძლება?**

— დიდი მარხვა შედარებით მძიმე მარხვაა და ჩვენი ეკლესიის ტრადიციით და მისი საჭეთმპყრობელის ლოცვა-კურთხევით თევზი არ იჭმება. თევზით მხოლოდ ხსნილია ხარებას, ლაზარეს შაბათს და ბზობას.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

## საბედნიეროდ, მალე ტყეში თევზი გაწყდება

### „კვირის პალიტრის“ შუამდგომლობამ გაჭრა


აქ მალე ველარ „ითევზავებენ“

საქართველოს ხელისუფლება (და არა მარტო ხელისუფლება) რომ ილიასეული მონოდების მიხედვით ყოველდღე თავს ეკითხებოდეს — აბა, დღეს მე ვის რა ვარგე, იოლი წარმოსადგენია, ქვეყანაში რა იდილია დამყარდებოდა — აღარც უკმაყოფილო ხალხის საპროტესტო აქციები წალეკავდა ქვეყანას და არც მთავრობას ექნებოდა სასაყვედურო მასმედიისთვის — მხოლოდ მოუგვარებელ პრობლემებს რატომ აშუქებთო. არადა სამწუხარო ფაქტია, რომ ხშირად ურმის გადაბრუნებამდე თავს არ იწუხებენ. ამას ერთი კონკრეტული ფაქტიც ადასტურებს, რომელთან დაკავშირებითაც ლაგოდეხელებმა „კვირის პალიტრას“ არაერთხელ სთხოვეს პრეზიდენტთან შუამდგომლობა — საქმე ეხებოდა ალაზნისპირა ჭიაურის ტყის გადარჩენას. როგორც ლაგოდეხელები ამბობენ, ჩვენმა ახალგაზრდა (ასაკით) მთავრობამ ხელი გაანძრია და მიუხედავად იმისა, რომ ზარალი კოლოსალურია (რასაც მხოლოდ მათ ვერ დავაბრალებთ), გამოუსწორებელი შედეგის თავიდან აცილების შანსი გაჩნდა. ჭიაურის ტყის გადასარჩენად ხელისუფლება მხოლოდ პრეზიდენტის მეორე განკარგულების შემდეგ გაისარჯა.

წყალში ჩაძირულ ტყესა და მასთან დაკავშირებულ პერსპექტივებზე საქართველოს პარლამენტის წევრი, ლაგოდეხელი **გურამ კაკალაშვილი** გვესაუბრა, ლაგოდეხელების სახელით (თვითონაც ამ რაიონის მკვიდრია) პირველად სწორედ მან მოგვმართა პრობლემის საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოსატანად.

— გადაჭარბებად ვერავინ ჩამითვლის, თუ ვიტყვი, რომ ჭიაურის ტყის საკითხი „კვირის პალიტრის“ წყალობით გახდა აქტუალური. ტყის განადგურება კვლავაც გაგრძელდებოდა, მასმედია რომ გვერდით არ დაგვდგომოდა და იმ ხალხისთვის, ვისაც ამაზე ზრუნვა ევალებოდა, არ დაენახვებინა მათი მოვალეობის შესრულების აუცილებლობა. პრობლემის სალიკვიდაციოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 490.000 ლარი გამოიყო, რაც საკმარისი არ არის პრობლემის მოსაგვარებლად, მაგრამ ამ თანხას დაემატება ფული, რომელიც წყალში ჩაძირული ტყის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული კერძო სანადირო მეურნეობების მეპატრონეებმა გაიღეს. გარდა ამისა, ზოგიერთი ორგანიზაცია შეღავათს გვიწევს, ზოგი კი უსასყიდლოდაც გვაძლევს მუშახელს.

**— ალბათ რეაბილიტაცია რამდენიმე ეტაპად განხორციელდება.**

— დიახ, უპირველესად იქ, სადაც წყალი შეგუბებულია და ტყე ერთიანად დაჭაობებული, საწრეტი არხი გაკეთდება, რათა წყალი მთლიანად დაიწრიტოს. შემდეგ დაიწყება მდინარე კაბალის 16-კილომეტრიანი კალაპოტის გაწმენდა. იცით, ალბათ, რამდენიმე წლის წინ მდინარემ ახალი კალაპოტი გაიკეთა. შედეგად ტყე 2500 ჰექტარზე განადგურდა, სულ კი 4000 ჰექტარია დატბორილი. პირველ ეტაპზე საწრეტ არხს სამონადირეო მეურნეობის მეპატრონეები გაჭრიან თავიანთი ხარჯით. საბიუჯეტო თანხები კი მხოლოდ მას შემდეგ ჩაერთვება, რაც კაბალის გაწმენდაზე ტენდერი გამოცხადდება და გამარჯვებული ორგანიზაცია გამოვლინდება. ამ საკითხს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო კურირებს.

წელს ტყე მთლიანად უნდა გაიწმინდოს წყლისგან, რათა მომავალი წლის გაზაფხულზე ახალი სიცოცხლის დასაწყებად ხელსაყრელი პირობები შეიქმნას. სამწუხაროდ, დატბორვამ ნიადაგის სტრუქტურა შეცვალა და ამიტომ ხეებიც გახმა. გაჩნდა მალარიის კოღო. 21-ე საუკუნეში მალარიის პრობლემა რომ შეგვექმნება, სამარცხვინოა. საბედნიეროდ, დანარჩენ საქართველოსთან ლაგოდეხის დამაკავშირებელი გზა გადარჩა, მაგრამ მთლიანად განადგურდა მაგისტრალური გაზსადენი, რომლითაც მთელი რაიონი მარაგდებოდა ბუნებრივი აირით. ვიმედოვნებთ, მთავრობა ამ პრობლემის მოსაგვარებლადაც გამოყოფს სახსრებს. რაიონს გაზმომარაგება აუცილებლად უნდა აღუდგეს. ასე რომ, წყლის დაშრობა და ტყის ხელახლა გაშენება რაიონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა.

P.S. ვიმედოვნებთ, ლაგოდეხელებს გული აღარ დასწყდებათ, თუ ზაფხულში ჭიაურის ტყეში ველარ ითევზავებენ. ამ პრობლემაზე პირველი საგაზეთო სტატიის მომზადებისას ლაგოდეხელებმა გვითხრეს, კახური ღვინით იმ კაცის სადღეგრძელოს დავლევთ, ვინც ამ ტყეში თევზს გაწყვეტს და ნადირ-ფრინველს დააბრუნებსო. ვიმედოვნებთ, დადგა ლაგოდეხელების დანაპირების ასრულების დრო.

პრიორიტეტების ძიებაში

# ხელისუფლებამ ფუნქცია უნდა მიანიჭოს თითოეულ მოქალაქეს

## სკოლის კედლებს არ უნდა აკადრო ასეთი შინაარსის პროკლამაციების გაკვრა

„კვირის პალიტრის“ დღევანდელმა რესპონდენტმა მოთხრობების წერაზე დროებით უარი თქვა, რადგან სკოლის დირექტორია და 1500 მოსწავლეზე უწევს ზრუნვა.

**ზაალ სამადაშვილი** ამბობს, ოპტიმისტი ვარო და მიაჩნია, რომ ქვეყანაში არც ისე მუქი ფერებია, როგორც ამას ზოგიერთი ხედავს. ის ქუჩის მოხშირებულ აქციებსაც უძებნის ახსნას, პრეზიდენტის იმედიან განცხადებებსაც და ჩანს, იმაზეც უფიქრია, რა არის ქვეყნისთვის პრიორიტეტული:

— ხელისუფლების მიმართ ხალხის დამოკიდებულება, განწყობილება, ცხადია, შეიცვლებოდა და ისეთი აღარ იქნებოდა, როგორიც 2,5 წლის წინ იყო. ზოგჯერ ხელისუფლებას სახიფათოდ ეჩვენება საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა, მაგრამ ჩემი აზრით, ეს საშიში სულაც არ არის. მას ძალზე სერიოზული, ძირეული ცვლილებების განხორციელება უწევს. არც ერთმა ხელისუფლებამ არ დაიტრაბახოს, რომ ფუნდამენტურ და ინსტიტუციურ ცვლილებებს ჩაუდგება სათავეში და ეს არ გამოიწვევს საზოგადოებაში არათუ იმედგაცრუებას, არამედ ხშირად წინააღმდეგობასაც კი. წარმოუდგენელია ასეთი მასშტაბის ცვლილებები ისე განახორციელო, რომ შეცდომა არ დაუშვა.

პარლამენტსა და მთავრობაში სულ სოლომონ ბრძენები რომ გვყავდნენ, ისინიც უსათუოდ დაუშვებდნენ შეცდომას. ძირეულ ფუნდამენტურ ცვლილებებს ვერც 300 და ვერც 3 ათასი კაცი განახორციელებს, მასში მთელი საზოგადოება უნდა იყოს ჩართული. ჩვენს ისტორიას რომ გადავხედავ ხოლმე, სამწუხაროდ, მილიონი კაცის საკეთებელ საქმეს ათასები ეჭიდებოდნენ და ეს იყო ჩვენი პრობლემა. ათასი კაცი მილიონის გასაკეთებელს ვერასოდეს გააკეთებს როგორი მონდომებული, გამრჯე, ჭკვიანი და პატიოსანიც უნდა იყოს.

ბუნებით ოპტიმისტი ვარ და ვთვლი, რომ იმ ცვლილებებში ვარ ჩართული, რაც ხდება ქვეყანაში. საიმისო არაფერი მიჭირდა, რომ 50 წლის კაცს გვერდზე გადამედო ჩემი ძირითადი საქმე და ახალი საქმიანობა დამეწყო. თავიდან ვამბობდი — მოთხრობების წერისთვის თავი არ დამინებებია-მეთქი, მაგრამ სკოლის დირექტორობისა და მწერლობის შეთავსება შეუძლებელი აღმოჩნდა. ამჯერად ის საქმე, რომელიც აქამდე მთავარი იყო ჩემთვის, გადადებული მაქვს, რადგან ვთვლი, რომ ახლა სკოლაში ვარ საჭირო. თუმცა ეს გაცილებით დიდი ტვირთი აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან მეგონა.

ერთი წელია ჩავერთე ამ ცვლილებებში, რაღაცის გაკეთება მოვახერხე, რაღაცის — ვერა. ზოგი რამის განხორციელება, რისი იმედიც მქონდა, რომ გავაკეთებდი, ვერ შევძელი. ასეა ხელისუფლებაც... ჩემი გამოცდილებით გეუბნებით, როდესაც რაღაცას აკეთებ, შეცდომებისგანაც არ ხარ დაზღვეული. მთავარია, შეცდომა უპასუხისმგებლობით, გულგრილობითა და პრობლემისადმი ზერელე მიდგომით არ იყოს გამოწვეული.

რევოლუციის დროს ველოდით, რომ გარდატეხა მოხდებოდა და საქმის კეთებას დავიწყებდით. მთავარია, ეს იდეა, განწყობილება შევინარჩუნოთ და არ უნდა შეგვეშინდეს იმის, რომ ასეთ დროს ბევრი განაწყენებულიც გაჩნდება. სხვაგვარად არც იქნებოდა, რადგან ბევრს ცვლილებები ძალზე მტკივნეულად შეეხო.

როდესაც ადამიანის ბედთან გაქვს საქმე, დიდი სიფრთხილეა საჭირო.

**— სიახლის დანერგვას სტრატეგიის განსაზღვრა სჭირდება. რამდენად სწორად გამოიკვეთა პრიორიტეტები?**

— პრიორიტეტებიდან უპირველესად განათლებულობას გამოვყოფდი. შეცდომებისაგან უფრო მეტად დაზღვეული სწორედ განათლებული კაცია, რომელიც ბუნებით შემწყნარებელი იქნება და პასუხისმგებლობის გრძნობაც ექნება განვითარებული. ვინც ეცდება ამ მიმართულებით იფიქროს და საქმიანობაში ამ სამ სვეტს — განათლებას, შემწყნარებლობასა და პასუხისმგებლობას დაეყრდნობა, შანსი აქვს, რაღაცას მიაღწიოს.

ხშირად ბევრი პრობლემის თუ კონფლიქტის სათავე შეუწყნარებლობა, განსხვავებული აზრის მიუღებლობაა. შემწყნარებლობა ყოფით დონეზეც კი გვაკლია, არაფერს ვამბობ, როდესაც საქმე უფრო დიდი მნიშვნელობის საკითხებს ეხება.

ხშირად ვკითხულობ პრესაში ან ტელევიზიით ვხედავ ადამიანებს, რომლებიც ექსპერტებად გვევლინებიან და ლაპარაკობენ ისეთ საკითხებზე, რომლებსაც მხოლოდ ზერელედ, „გარედან“ უყურებენ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს ხალხი მხარ-თეძოზე წამოწოლილი აკვირდება ყველაფერს და მერე აკეთებს დასკვნებს, რომელიც შესაძლოა საინტერესოც იყოს, მაგრამ ნაკლებად ღირებულია ჩემთვის. ახლა ლაპარაკის კი არა, საქმის კეთების დროა. კეთილი ინებე და ჩაერთე პროცესში, პასუხისმგებლობა აიღე პრობლემის მოგვარებაზე და მერე გამოიტანე ვერდიქტი.

სამი პრიორიტეტი დაგისახელეთ — განათლება, შემწყნარებლობა და პასუხისმგებლობა და



აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ მათი საპირისპირო სამი თვისება — გაუნათლებლობა, შეუწყნარებლობა და უპასუხისმგებლობაა უმეტესწილად ჩვენი პრობლემების სათავე. ასე მგონია, პარლამენტის წინ აქციებზე ხალხის მისვლაც უმეტესწილად მათი არაინფორმირებულობით იყო გამოწვეული. ხალხმა არ იცოდა, რა ხდებოდა მათ თავს, არც არავინ აუხსნა და ისინიც ქუჩაში გამოვიდნენ. ხშირად ველაპარაკები და ვხვდები ხალხს. როდესაც ქუჩაში უკმაყოფილო ადამიანები დავინახე, ვიკითხე, ამიხსენით, რა ხდება-მეთქი და ბუნდოვანი პასუხი გამცეს. მივხვდი, რომ არ იცოდნენ, რას მოუტანდათ სალარო-აპარატების შემოღება. თუ ცვლილება წამალივით საჭიროა, მაშინ ის აუცილებლად უნდა დავლიოთ, რომ გამოვჯანმრთელდეთ. ხალხს უნდა უთხრან, ეს მტკივნეული პროცესი უსათუოდ უნდა გადავიტანოთ, რომ მერე უკეთ იყოთ, ქვეყანაში რაღაც მოწესრიგდეს და გაჯანსაღდესო. ამ შემთხვევაში ხელისუფლებამ შეცდომა იმ კუთხით დაუშვა, რომ მოსახლეობას სრული ინფორმაცია არ მიაწოდა.

ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებზე, იქნება ეს ეკონომიკის, განათლების თუ კულტურის სფეროში, საზოგადოება ინფორმირებული უნდა იყოს. რაც მეტი დიალოგი ექნება ხელისუფლებას საზოგადოებასთან, მით ნაკლები ადამიანი აღმოჩნდება გაურკვევლობაში და ნაკლები განაწყენდება. და კიდევ, თუკი საზოგადოებას ინფორმაციის მიღების შემდეგ გაუჩნდება კითხვა, მან ის უსათუოდ უნდა დასვას და პასუხიც უნდა მიიღოს. თუ ეს სისტემა დროულად აეწყობა, არ ვამბობ, ქვეყანაში სრული ჰარმონია დამყარდება-მეთქი, მაგრამ გაცილებით უმტკივნეულოდ მოგვარდება ბევრი პრობლემა. ხელისუფლება უნდა ეცადოს, ბუნდოვანება და ბურუსი გაფანტოს იმ გზაზე, რომლითაც ხალხს უკავშირდება.

რევოლუციის დროს და მის შემდეგაც იმიტომ იყო ხელისუფლებისადმი დიდი ნდობა, რომ ხალხმა, რომელმაც პასუხისმგებლობა აიღო ცვლილებების განხორციელებაზე, საკმარისი ინფორმაცია მიაწოდა საზოგადოებას. უთხრა, მოვდივარ იმიტომ, რომ ამოვაშრო ჭაობი, რომელშიც ვიხრჩობითო. ჭაობის ამოშრობა ყველას გვინდოდა, მაგრამ ის არ გვეგონა, რომ მისი ამოშრობისას დავზარალდებოდით. ეს მტკივნეული ცვლილებები მეტ-ნაკლებად ყველას შეეხო, შეუძლებელიცაა ასეთმა გარდაქმნამ ვინმეს გვერდი ისე აუაროს, რომ საერთოდ არ შეეხოს. არ ვლაპარაკობ იმ გაბრაზებულ ხალხზე, რომლებიც სრულიად დამსახურებულად აღმოჩნდნენ თამაშგარე მდგომარეობაში და ათწლეულების განმავლობაში შეკოწიწებული ნაჭუჭები დაემსხვრათ, მე ჩვენზე გესაუბრებით.

**— გარკვეული წესების დაცვა ყველა საქმეში აუცილებელია და მათ შორის, პოლიტიკაშიც. როდესაც პოლიტიკურ თამაშს ამას წინათ სკოლის შენობა შეეწირა, თქვენ, სკოლის დირექტორს, როგორი რეაქცია გქონდათ?**

— სკოლის დაწვა ცუდი საქციელია — ასეთია მთელი საზოგადოების დამოკიდებულება მომხდართან. თუ დააკვირდით, ხანძრის შემდეგ 84-ე სკოლის კედლებზე გაჩნდა პაწია პროკლამაციები — ვითომ ბავშვის ხელით დაწერილი ტექსტი (ვალერი გელაშვილის ფოტოზე მიწერილი „ამან სკოლა დაგვიწვა“. — ავტ.) ამის შემდეგ განათლების და მეცნიერების სამინისტრომ გააკეთა განცხადება, რომ ბავშვების ჩართვა პოლიტიკაში დაუშვებელია; ანუ სკოლა პოლიტიკური თამაშებისაგან დაცული უნდა იყოს. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ეს პოზიცია იყო. ასეთი ქმედება და პოზიცია ჩემთვის სახელმწიფოებრივი აზროვნების ნიმუშია. ოპოზიციის საწინააღმდეგოდ იქნება ეს თუ ხელისუფლების სასიამოვნოდ — სკოლის კედლებს არ უნდა აკადრო ასეთი შინაარსის პროკლამაციების გაკვრა. უფროსებმა რაც გნებავთ, ის აკეთეთ, რაც გნებავთ, ის თამაშები ითამაშეთ — სკოლა ხელშეუხებელია.

**— ზემოთ ბრძანეთ, არაინფორმირებულობაა პრობლემების სათავეო. ოპოზიციისგან ხშირად გვესმის — პრეზიდენტი არ არის ჯეროვნად ინფორმირებული, გარემოცვა პრობლემებს უმალავს და ამიტომაც ლაპარაკობს ის მხოლოდ წარმატებებსა და ქვეყნის წინსვლაზეო. მართლაც ასეა, თუ პრეზიდენტი ხალხს ამხნევებს.**

— ამაზე პასუხი თქვენსავე კითხვაშია... მოძველდა მოდელი — პრეზიდენტს გარემოცვა სიმართლეს უმალავსო — ეს უკვე გავიარეთ. ჯვარი გვწერია, რომ მთელ მოსახლეობას მოსწონდეს პრეზიდენტის გამოსვლა — ესეც გავლილი ეტაპია. პრეზიდენტიც ჩვეულებრივი ადამიანია, ზოგი გამოსვლა კარგი გამოუვა, ზოგიც — უარესი. თუმცა მის სიტყვებში ყოველთვის ვხედავ სურვილს, იმედი, მხნეობა შთაბეროს საზოგადოებას, განაწყოს საიმისოდ, რომ დიდ საქმეებს შეეჭიდონ. ჩემი აზრით, ადამიანს უპირველესად საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს და პასუხისმგებლობას არ უნდა გაექცეს. საქვეყნო საქმეებში მთელი საზოგადოება უნდა ჩაერთოს. ქვეყანა გვაქვს ასაშენებელი და რა უნდა იყოს ამაზე მნიშვნელოვანი მიზანი? გასაკეთებელია ყველაფერი, უამრავი პრობლემაა და მათი განახევრებაც უკვე საქმე იქნება. ქვეყნის აშენება ერთი ზოგადი მიზანია. ახლა ამ მიზნის პატარ-პატარა მიზნებად დანაწევრებაა საჭირო, რათა უფრო მკაფიო გახდეს თითოეული მოქალაქისთვის. ეს ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს, უნდა უთხრას ხალხს, ეს არის შენი გასაკეთებელიო. ხელისუფლებამ ფუნქცია უნდა მიანიჭოს თითოეულ მოქალაქეს და რაღაც ფორმით ჩართოს ქვეყნის აღმშენებლობაში — ესაა ახლა საშური საქმე.

***მარი ზანდუკელი***

ონიქსი
გრანიტი
პარკეტი
მარმარილო
რბილი იატაკი
ხელოვნური ქვა
ხალიჩები
კერამოგრანიტი
კაუჩუკის იატაკები

თბილისი 0160, ყაზბეგის გამზ. 12ა
ტელ.: +995 32 339 777
ფაქსი: +995 32 335 888
E-mail: info@phoenix.ge

შ.პ.ს. ფენიქსი
www.phoenix.ge




## ჩვენი კლასიკოსები

### ნიკო ლორთქიფანიძე

*ალბათ ყველას გახსოვთ ნიკო ლორთქიფანიძის „იყიდება საქართველო". ამჯერად ტკივილიან „ბედნიერებაზე" გიამბობთ.*

*ამ ორი მოთხრობის დაწერიდან ლამის საუკუნე მიილია, ტკივილი კი...*

# ბედნიერება



სუფრაზე თუ საწოლ ოთახში მუდამ ისმოდა დედ-მამის თუ სტუმრების:

— მთელი ბაზარი დავიარე — ყველს ვერ მიეკარები, კვერცხი გაძვირებულა, ხორცი არც მიკითხავს — რათ გინდა, შეშას ვერ აუხვალ...

მეზობლების ბავშვებმა პაწია დუქანი გახსნეს: ჰყიდიდენ ვაშლებს, ძველ ფოლაქებს, ჭრელ კოლოფებს.

პატარა დიტომაც დიდი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა... მოსძებნა დაჟანგული ლურსმნები, ფეხმოტეხილი სათამაშო ცხენი, ნახევარი ჯანჯუხი და ქიშკარზე დაჯდა... იმედი ჰქონდა, რაღაცას გაყიდიდა... მერე ერთ დიდ ქათამს იყიდიდა და დედას ეტყოდა: — აწი კვერცხი ბევრი, ბევრი გვექნებაო.

იჯდა მოთმინებით.

დრო მიდიოდა.

გამვლელებს ბევრს ელიმებოდა, ბევრი კი მწუხარებით უყურებდა ჩაფიქრებულს და შემდეგ და შემდეგ ძლიერ დარდიან ბავშვს...

დედა უძახოდა:

— შემოდი, ბიჭო, გაცივდები...

გვიან, საღამოს შემოვიდა... ალერლილი, გულჩამკვდარი იმედი, პატარა ბავშვის პატარა იმედი, გაცუდდა... მოიმიზეზა რაღაც, დაიწყო ტირილი; ტიროდა დიდხანს, სანამ არ მიეძინა...

გახდა უქეიფოთ, მერე ავათ...

— დედა, რძე...

— დახუჭე ჩემო კარგო ბიჭო, თვალი, თავი მხარზე მომაყრდნე, მე ზღაპარს გიამბობ და შენ ნელ-ნელა დაიძინე...

— დედა, პური მაინც...

— ხვალ, ჩემო ბიჭუნა, ხვალ ნამალსაც მოგიტან, პურსაც და რძესაც... დამიგდე აბა ყური:

„ოსმალეთის ერთ სოფელში ცხოვრობდა ცოლ-ქმარი; სიბერემდი არ ჰყავდათ შვილი. იმედი რომ დაეკარგათ, მაშინ შეეძინათ ქალი. სიხარულის აღსანიშნავათ „ბედნიერება" დაარქვეს. ბავშვი მშვენიერი იყო, მხოლოდ თვალები არ ჰქონდა, ე.ი. უპეები არ ილებოდა.

მშობლები სწუხდენ, რადგან ბრმა ეგონათ,

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს შეამჩნიეს, რომ გოგონას თვალი თავზე ჰქონდა — დიდი, ლურჯი თვალი, რომელშიაც უკუკრთებოდა ცა, რადგან მუდამ პირდაპირ ცას უყურებდა. ამ დღიდან ისინი სრულიად კმაყოფილი იყვენ.

„ბედნიერება" გაიზარდა და სანდომიანი ქალიშვილი დადგა; იგი მიათხოვეს კარგ კაცს და მასაც ეყოლა ბავშვი, რომელიც მეტად უყვარდა: ხშირათ აიყვანდა ბავშვს მაღლა-მაღლა ცისკენ, თავის ზევით, რომ დამტკბარიყო მისი ცქერით, ჩაიკრავდა გულში და კოცნიდა..."

— შენ გამოიგონე, დედა, ეს თქმულება? — დაეკითხა ავადმყოფი დედას.

— არა, შვილო, არა, — ქალის ფერმკრთალ სახეს ღიმმა გადაჰკრა, თითქოს შემოდგომის ღრუბლიან დღეს ყვითელ ფოთლებზე მზის ნაზმა სხივმა გადირბინაო, — შენ რომ ღამეებს გითევდი, შჩეპკინა-კუპერნიკის მოთხრობა გამოვართვი დიასახლისს დროის გასატარებლად, და იქ ამოვიკითხე... გადავთარგმნე და დავიმახსოვრე შენთვის, ჩემო ბიჭუნა...

— მერე, მერე, დედა... განაგრძე.

„...ერთხელ დედა საქმეზე სადღაც წავიდა, ბავშვი სახლში დატოვა.

როცა დაბრუნდა — საშინელება დახვდა — ბავშვი შინ აღარ იყო. დედის სხვაგან ყოფნის დროს, ბოშებს გაეტაცნათ ბავშვი და არავინ იცოდა, საით წავიდნენ ისინი. გიჟივით გავარდა სახლიდან „ბედნიერება" ბავშვის საძებრათ.

მას შემდეგ დღემდე დაძრწის „ბედნიერება" ქვეყნიერებაზე. ვისაც კი შეეჯახება, სტაცებს ხელს, აიყვანს მაღლა-მაღლა ცისკენ... ამაოთ! — იგი ვერ პოულობს შვილს... სასოწარკვეთილი „ბედნიერება" ხელიდან გააგდებს ზეაყვანილს და გარბის"...

— მე რომ არ მინახავს, დედა „ბედნიერება"?

— აი, მორჩები, დიდი კაცი შეიქნები, ბედსაც ეწევი და წარმატებასაც...

— ბევრი პური, თაფლი, რძე გვექნება, ხომ დედა?

— კი, შვილო, კი!..

ბავშვი მიიძინებს.

თვლემს დედაც... ტანჯული ქალის დაღლილი თვალიდან მოჟონავს ცრემლი.

ბავშვი შეკრთება და გამოიღვიძებს.

— დედა, რა საშინელი ზღაპარი მიამბე: სულ მესიზმრება, წამლის წყაროები, პურის მთები, რძის მდინარენი, მაგრამ მე და შენ რომ მივალთ, ყველაფერი ქრება...

— თვალი კი დამიდგა! — დედა ნელ-ნელა ერკვევა ბურუსიდან.

— რატომ, ვინ გვართმევს? — გაუგებრათ ამბობს იგი და იხუტებს ბავშვს.

**1922**

## წუთისოფლისა




### ხალხური

***

წუთია წუთის ქვეყანა,
წუთის წუთობით იწყება,
ზოგი ლხინსაა, თამაშსა,
ზოგი უცეცხლოდ იწვება.

***

ვინც მოკვდა, თავსა მოუკვდა,
ცოცხალი გონიერია,
წავა და ყველგან დარჩება,
სოფელი ღონიერია.

*გვერდი მოამზადა მანანა ჯანელიძემ*


216 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: 5 ლ.

ახალი




ალმოაჩინე ქართული კვალი რუსულ ბესტსელერში

მკითხველმა, რომელიც ბორის აკუნინის (გრიგორი ჩხარტიშვილის) წიგნის კითხვას შეუდგება, წინასწარ უნდა იცოდეს, რომ ყველანაირ საქმეს მოსწყდება, ვერც ერთ ტელეგადაცემას ველარ ნახავს და ვერც დაიძინებს ზუსტად დროის იმ მონაკვეთში, რომელიც დეტექტივის უკანასკნელ სტრიქონამდე წასაკითხად დასჭირდება.

## „კვირის პალიტრის" საგამომცემლო სახლის წიგნები

წიგნში შეკრებილია „კვირის პალიტრაში" წლების განმავლობაში გამოქვეყნებული კითხვები რელიგიურ თემაზე, რომელთაც მართლმადიდებელი მამები პასუხობენ.




336 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: 5 ლ.

წიგნში შევიდა ოტია იოსელიანის თორმეტი ახალი ზღაპარი.

წიგნი საუკეთესო საჩუქარი იქნება თქვენი პატარებისთვის...




124 გვერდი, მაგარი გარეკანი, ფასი: 8 ლ.

უცნაური შემთხვევის წყალობით თბილისელი ბიჭი — „ჭკუა" განსაკუთრებულ ნიჭს შეიძენს. მისი ფათერაკებით სავსე თავგადასავალი სიყვარულზე, ბანდიტებთან ბრძოლასა და მეგობრებისთვის ჩადენილ გმირობაზე




320 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: 5 ლ.

წიგნი მოიცავს ენციკლოპედიურ მონაცემებს იმ თემებზე, რაც კი შეიძლება ადამიანს ცხოვრებაში დასჭირდეს. ის საუკეთესო მეგზური იქნება, როგორც თქვენთვის, ისე თქვენი შვილებისთვის...




884 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: 12 ლ.

კრებულში თავმოყრილია საუკეთესო მინიატურები გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან. „ანტიდეპრესანტები" კარგ გუნებაზე დაგაყენებთ და ბევრ საინტერესო რამეს გამცნობთ იუმორითა და მსუბუქი სტილით...




288 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: 5 ლ.

წიგნების შეძენა შეგიძლიათ წიგნის მაღაზიებში და პრესის გამავრცელებლებთან

ან

დაუკავშირდით „ელვასერვისს" და მიიღეთ წიგნები სახლში, ფასნამატის გარეშე. ტელ: 42-43-40; 33-26-73

ცხელი წიგნები

## ცხელი წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე!

| გამომცემლობა „კვირის პალიტრა" | |
|---|---|
| ბორის აკუნინი – „თურქული გამბიტი" | 5 |
| ამირან ჭიჭინაძე – „ჭკუა" | 5 |
| „რას გვეტყვი, მამაო" | 5 |
| თემურ ყიფიანი – საოჯახო ენციკლოპედია: „ყველაფერი ყველაფერზე" | 12 |
| ოტია იოსელიანი – „ზღაპრად გაუგონარი ზღაპრები" (მ.ყდ) | 8 |
| აკაკი გეგეჭავა – მოგზაურის დღიურები | 5 |
| ყველაზე სასაცილო (კურიოზების კრებული) | 5 |
| გოჩა დვალი – ანტიდეპრესანტი | 5 |

| გამომცემლობა „საბავშვო ენციკლოპედია" | |
|---|---|
| საბავშვო თემატური ენციკლოპედიების „რა არის რა" 50 ტომი | |
| ინდიელები მე-5 ტომი | 16 |
| მსოფლიოს 7 საოცრება 21-ე ტომი | 16 |
| ძველი ჩინეთი 42-ე ტომი | 16 |
| ვულკანები 50-ე ტომი | 16 |

| | |
|---|---|
| გუჯა ბერიშვილი „სპორტის ენციკლოპედია" | 85 |

| გამომცემლობა „ლიტერა" | |
|---|---|
| უილიამ შექსპირი – „ჰამლეტი" „ოტელო" „მაკბეტი" „მეფე ლირი" | სულ 12 |
| რობინზონ კრუზო | 7 |
| ალექსანდრე მაკედონელი | 7 |
| იულიუს კეისარი | 7 |
| ტროას ომი | 7 |
| ოდისევსის თავგადასავალი | 7 |
| გულივერის მოგზაურობა | 7 |
| რობინ ჰუდი | 7 |
| ჰერაკლე | 7 |

| გამომცემლობა „დიოგენე" | |
|---|---|
| კარლ გუსტავ იუნგი – „ფსიქოლოგია და ალქიმია" | 19 |
| ზაქარია კიკნაძე – „თბილისის ჰერალდიკა" | 5.50 |
| სანდრა რულოვსი – „იდეალისტის ნაამბობი" | 12 |
| ასტრიდ ლინდგრენი – „პეპი გრძელწინდა" | 15 |
| ვახუშტი კოტეტიშვილი – „მოუკრეფავნი" | 6 |

| „ელფის" გამომცემლობა | |
|---|---|
| „საქართველოს დიდი მეფეები" | 16 |
| „ჩემი საქართველო" | 20 |
| „მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები ფეხბურთში" | 7 |
| 10 საუკეთესო ქართული ზღაპარი<br>10 საუკეთესო ქართული მოთხრობა<br>მსოფლიოს 10 საუკეთესო ზღაპარი<br>100 საუკეთესო იგავ-არაკი<br>100 საუკეთესო ქართული ლექსი | სულ 20 |

| ბაქურ სულაკაურის გამომცემლობა | |
|---|---|
| **საბავშვო** | |
| მხატვრობა მოსწავლეთათვის | 23 |
| ბავშვის ალბომი | 29 |
| ჰარი პოტერი I ნაწილი | 5 |
| ჰარი პოტერი II ნაწილი | 9 |
| ჰარი პოტერი III ნაწილი | 12 |
| ჰარი პოტერი V ნაწილი | 19 |
| **პროზა** | |
| ბიბისი პიერი – „ვერნონ გენიოს ლითლი" | 12 |
| აკა მორჩილაძე – „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები | 5 |
| „მოგზაურობა ყარაბაღში" | 9 |
| პაოლო კოელიო – „ალქიმიკოსი" | 6 |
| „თერთმეტი წუთი" | 11 |

| გამომცემლობა „საქართველოს მაცნე" | |
|---|---|
| **ლექსიკონები** | |
| ი. გვარჯალაძე – ინგლ.-ქართ.–ქართ.-ინგლ. (80 000 სიტყვა) | 28 |
| ქართ.-ფრანგული (50 000 სიტყვა) | 16.00 |

| გამომცემლობა „თბილისელები" | |
|---|---|
| გოჩა მანველიძე – „მგლები I" | 7 |
| „მგლები II" | 7 |
| „სარანგი" | 7 |
| „საკონტროლო გასროლა" | 7 |
| „იდუმალი ორდენი" | 7 |
| ნინო წულუკიძე – „ილუზიები" | 7 |
| „სულის ყვირილი" | 7 |

| | |
|---|---|
| ბესიკ ალადაშვილი – „სპეცსამსახურები და შპიონაჟი" | 10 |

| გამომცემლობა „ლოგოს პრესი" | |
|---|---|
| ირაკლი ჩარკვიანი – მშვიდი ცურვა | 7.50 |
| ენდრიუ ჰეივუდი – პოლიტიკური იდეოლოგიები | 12 |
| ქართული მითების სამყარო | 7.80 |

| გამომცემლობა „ცხოვრება" | |
|---|---|
| სამკურნალო წიგნი | 10 |
| ტიბეტური მედიცინა | 5 |

ტელ: 42-43-40 33-26-73

(დასაწყისი იხ. გვ. 10)

საქმეში არსებული ერთმანეთის გამომრიცხავი სხვა დოკუმენტებისაგან განსხვავებით ამ დროს შედგენილი ოქმი ის იშვიათი დოკუმენტია, რომლის სისწორეში ეჭვის შეტანის საფუძველი დღემდე არ არსებობს. იქ კი ვკითხულობთ, რომ ერთ-ერთ გვამს, სავარაუდოდ თოხმაიდის, მხრებქვეშ ამოდებული ჰქონდა თავისივე ქუდი, რომელშიც იდო საათი და ცხვირსახოცი, ხოლო გულის ჯიბეში, მარცხენა მხარეს — პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. ამ ნივთებს სისხლის წვეთიც არ აცხია და ეს მაშინ, როცა გულის არეში ცამეტი ტყვიაა გავლილი. გვამები და ტანსაცმელი ერთიანად ტალახშია ამოსვრილი, ცხვირსახოცი კი ისეა გატკიცინებული, ზედმეტი ნაკეციც არსად ეტყობა. ბუნებრივია, ეს გარემოება თავისთავად წარმოშობს საფუძვლიან ეჭვს იმის თაობაზე, რომ სადღაც სხვაგან დახოცილთა გვამები მოგვიანებით გადაიტანეს ტბის ტერიტორიაზე.

მეორე დღეს იგორ გიორგაძის დავალებით შემთხვევის ადგილს ათვალიერებენ უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები, მაგრამ საპროცესო კოდექსის დარღვევით, რადგან საქმეზე პროკურატურა მუშაობს და უშიშროება უფლებამოსილი არ არის ჩაერიოს მის კომპეტენციაში, ან გნებავთ, ზედამხედველობა დაუწესოს მას. საზედამხედველო ფუნქცია ჯერჯერობით პროკურატურის პრეროგატივაა და აქამდე არავის უცდია მისი გადახედვა.

ოქმიდან ირკვევა, რომ ის, რაც შემთხვევის ადგილზე მისულმა თერთმეტმა კაცმა ვერ ნახა, მეორე დღეს უშიშროების სამინისტროს ორმა ჩინოსანმა (მოგვიანებით ირკვევა, რომ მეორე იქ არ ყოფილა) და ორმა მოწმემ ალმოაჩინეს. კერძოდ, იპოვეს თოხმაიდის კუთვნილი ჯვრის ნატეხი და „მაკაროვის" სისტემის პისტოლეტის თერთმეტი ცალი მასრა. ოქმს ხელს აწერენ სახელმწიფო უშიშროების სამსახურის საგამოძიებო სამმართველოს განყოფილების უფროსი მალხაზ სალაყაია და სპეცდანაყოფ „ალფას" თანამშრომელი გელა პაპუაშვილი; ასევე, მოწმეები — ზაზა ზურაბის ძე ქირიკაშვილი და ვიაჩესლავ იურის ძე ლეშაკოვი.

ასეთ დროს, როგორც წესი, ოქმის შემდგენი უწყების თანამშრომლის გამოყენება მოწმის სახით კატეგორიულად დაუშვებელია. ამ შემთხვევაში კი ირკვევა, რომ ზაზა ქირიკაშვილი ნეიტრალური პირი კი არა, გიორგაძის დაცვის წევრია, მამამისსაც ზურაბი კი არა, ჯემალი ჰქვია; ხოლო ვიაჩესლავ ლეშაკოვი სპეცდანაყოფ „ალფას" თანამშრომელია და ცხოვრობს არა მოსკოვის გამზირზე, როგორც ეს ოქმშია მითითებული, არამედ მარჯანიშვილის ქუჩაზე.

**მალხაზ სალაყაია**: „გიორგაძემ დამირეკა და მითხრა, ეტყობა, მცხეთის რაიონის პროკურატურამ სრულყოფილად ვერ დაათვალიერა შემთხვევის ადგილი და დამატებით გულდასმით დაათვალიერეთო. თან დასძინა, რომ ჩემთან მისი დაცვის თანამშრომლები მოდიოდნენ პაპუაშვილის ხელმძღვანელობით. დაახლოებით 11 საათზე მოვიდნენ. პაპუაშვილთან ერთად შემთხვევის ადგილის დასათვალიერებლად გავემგზავრე. სხვა თანამშრომლები უკან მოგვყვებოდნენ. იქაურობა გულდასმით დავათვალიერე, რის დროსაც ხის ჯვარი ვიპოვე. ბორცვის თავზე ეგდო გამოშიგნული მაცივარი, რომელსაც ნატყვიარის კვალი ეტყობოდა. ერთ-ერთ გვერდზე იყო გაჭედილი ტყვიის გულაც, რომელიც ამოვიღე და იქვე ნაპოვნ მასრებთან ერთად დავლუქე".

# „ბოლოს და ბოლოს, გაგვაგებინეთ, ვის მიცვალებულებს ვტირით"

## სასოწარკვეთილ დედებს არაფრის ეშინიათ...

ახლა მოვუსმინოთ **გელა პაპუაშვილს**: „გიორგაძემ დამავალა, რომ ქალაქის სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად მიმეღო მონაწილეობა დანაშაულის გახსნაში. ჩემს ხალხთან ერთად ავედი ლისის ტბაზე, მაგრამ ისინი (მალხაზ სალაყაია და მისი ხალხი. — ავტ.) არ მოვიდნენ(?!) და იძულებული გავხდი, ტერიტორია დამეთვალიერებინა. ვიპოვეთ ხის პატარა ჯვრის ზედა ნაწილი. დაახლოებით ხუთ მეტრში მიწაზე ეყარა შვიდი ცალი მასრა. ეგდო ძველი მაცივარი, რომელშიც გაჭედილი ტყვიის გულა ვიპოვეთ. იქვე ეყარა ოთხი ცალი მასრა. ყველაფერი დავაფიქსირეთ. ხელი არაფრისთვის გვიხლია. ჩამოვედი სამმართველოში, ყველაფერი მოვყევი და საყვედურიც გამოვთქვი, სამმართველოს ბიჭები რატომ არ ამოვიდნენ-მეთქი. ამის შემდეგ ხელმეორედ ავედი ლისის ტბაზე უკვე ქალაქის სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად. მათ შორის იყო მალხაზ სალაყაიაც, რომელმაც ჩანახაზებიც კი გააკეთა. ერთად ამოვიღეთ ნანახი ნივთმტკიცებები, რის თაობაზე შემდეგ ოქმიც კი შედგა".

**ვიაჩესლავ ლეშაკოვი**: „ერთ-ერთმა ჩვენგანმა სამარხიდან დაახლოებით ათ მეტრში ჯერ ერთი მასრა იპოვა, შემდეგ კი, როცა დაგვიძახა, დანარჩენებიც ვიპოვეთ. იმ თანამშრომლის სახელი არ მახსოვს... შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას სალაყაია ჩვენთან არ ყოფილა. ნივთმტკიცებები მას კაბინეტში გადავეცით, სადაც მან შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი შეადგინა".

**ზაზა ქირიკაშვილი**: „იმ დროს, როდესაც შემთხვევის ადგილი დავათვალიერეთ, მალხაზ სალაყაია ჩვენთან არ ყოფილა. ოქმი სალაყაიას კაბინეტში, ორი დღის შემდეგ დაიწერა, რადგან როცა ლისის ტბიდან დავბრუნდით, უკვე ბინდდებოდა. მეორე დღეს კი სალაყაია ვერ ვნახეთ, ხოლო მესამე დღეს, 12 საათისთვის, ოქმი მის კაბინეტში, ჩვენი თანდასწრებით დაიწერა, რაც დავადასტურეთ კიდეც ხელმოწერებით. ნაპოვნი ნივთმტკიცებები, დაახლოებით 10 მასრა, ტყვიის გულა და ჯვარი მე და ლეშაკოვმა გელა პაპუაშვილს შემთხვევის ადგილზე გადავეცით. როცა მალხაზ სალაყაიას კაბინეტში შევედით, მას უკვე მაგიდაზე ედო ნივთმტკიცებები".

ისევ **მალხაზ სალაყაიას** მოვუსმინოთ: „რა თქმა უნდა, ოქმი ყველა საპროცესო მოთხოვნის დაცვით იქნა შედგენილი და გადაეგზავნა გამოძიების მწარმოებელ ორგანოს".

ალბათ, მკითხველი ჩვენი კომენტარის გარეშეც მიხვდება, რამდენადაა დაცული საპროცესო მოთხოვნები. ყოველივე ეს კი დაზარალებულ მხარეს კიდევ უფრო უმძაფრებს ეჭვს იმის შესახებ, რომ მკვლელობა ლისის ტბაზე არ მომხდარა, შესაძლოა იქ გვამები შემდეგ მიიტანეს. თუმცა ეს კიდევ არ არის მთავარი. მას შემდეგ, რაც გვამები იპოვეს, დადგა მათი ამოცნობის საკითხიც (სამართლისათვის ბევრს არაფერს ნიშნავს მოკლულის მხრებქვეშ ამოდებული ნივთები ან სამოსი. — ავტ.). როგორც ზემოთ ითქვა, ნათესავთაგან ამ საქმეში (ამოცნობა) მონაწილეობის თანხმობა გამოთქვა კუსა თოხმაიდის დეიდის ქმარმა, მაგრამ უშიშროების სამინისტროს მაღალჩინოსნებს (ამ შემთხვევაში დაღუპულთა მეზობლების გადაწყვეტილებით) ბოლო მომენტში იგი მორგში მიმავალი მანქანიდან გადმოჰყავთ იმ მოტივით, რომ ამჯერად ის სახლში უფროა საჭირო. უთხრეს, ყველაფერს თვითონ გავაკეთებთო, მაგრამ ბოლო მომენტში გული უხდებათ ცუდად(?!) და მათ ნაცვლად მორგში ეზოს ბიჭები შედიან. რაკი გვამების ხანდაზმულობის გამო სახეების ამოცნობა ფაქტობრივად შეუძლებელია, გამოძიება იმას სჯერდება, რომ მეგობრებმა ამოიცნეს... ტალახში ამოვლებული, დაობებული და სანახევროდ დამპალი ტანსაცმელი... და ეს არც არის გასაკვირი — არავის ეგონა, თუ ორმოცი დღის შემდეგ აღმოჩენილი გვამების იდენტურობა ეჭვქვეშ დადგებოდა, მით უმეტეს, რომ დაღუპულთაგან ერთ-ერთს პირადი ნივთები მხრებქვეშ ედო. ასე რომ, კონტეინერები დაიხურა და ცხედრები საბურთალოს სასაფლაოზე დაკრძალეს, მაგრამ მერე და მერე, როცა კითხვები გაჩნდა, თოხმაიდები და რეხვიაშვილები გვამების იდენტურობის დასაზუსტებლად მათ ექსჰუმაციას ითხოვენ.

საფლავებიდან კონტეინერები 1996 წლის 24 ოქტომბერს, დასაფლავებიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ, ხუთშაბათ დღეს ამოთხარეს.

**მანანა რეხვიაშვილი**: „მიუხედავად იმისა, რომ მანქანის ფული წინასწარ გვქონდა გადახდილი, ისიც კი არ იკადრეს, რომ გაუბედურებული დედები მარტოდმარტო არ მივეტოვებინეთ კუბოებთან. მოხუც მესაფლავეს შევებრალე. მითხრა, არ შეგეშინდეს, შვილო, ვიდრე არ მოვლენ, შენთან ვიქნებიო. როგორც იქნა, სამ საათზე მორგამდე მივაღწიეთ. ცოტა ხანში ვილაც თეთრხალათიანი გამოდის და გვეუბნება, დღეს არაფერი გაკეთდება, მზეა გადასულიო(?!)... პარასკევს საღამოს ექვს საათამდე გვაყურყუტეს და ახლა გამომძიებელი აღარ მოვიდა. შაბათის თერთმეტი საათია. გამომძიებელიც მოვიდა. საცაა უნდა დაიწყონ, მაგრამ პირობას გვიყენებენ — ბარემ გვითხარით, ბიჭებს სიცოცხლეში რა სჭირდათო. ის დღე ასე დამთავრდა. მეორე დღეს, 27 ოქტომბერს იგივე გაგვიმეორეს. არადა არსებობდა გამომძიებლის დადგენილება ექსჰუმაციის შესახებ, სადაც ყველაფერი დაწვრილებითაა დაფიქსირებული. ატყდა ჩხუბი. მესმის, როგორ კივის თამარი — არ გეტყვით, არ გეტყვითო. ამასობაში წვიმა დაიწყო. ჩამობნელდა. ისეთი გამწარებულები ვართ, რომ აღარაფრის თავი აღარ გვაქვს. მოკლედ, გაგვტეხეს... კუსას ლავიწის ძვალი ჰქონდა გადატეხილი და შემდეგ არასწორად შეხორცებული-მეთქი, — ვუთხარი. ექსპერტებმა შვებით ამოისუნთქეს. ახლა შენსას რა სჭირდაო, მიადგნენ თამარს. არაფერიც არ სჭირდა, დამანებეთ თავიო, იკივლა სიმწრისაგან. მოკლედ აღარც წვიმას, აღარც სიბნელეს ხელი აღარ შეუშლია ექსჰუმაციისათვის".

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ვერც ამ, ვერც 1998 წლის ივლისში განმეორებით ჩატარებულმა ექსჰუმაციამ კუსა თოხმაიდის სავარაუდო გვამზე ლავიწის ძვლის მოტეხილობა ვერ დაადასტურა. გარდა ამისა, მცხეთაში ჩატარებული ექსპერტიზისა და შემდეგ ამ ორი ექსჰუმაციის დასკვნები იმდენად ურთიერთგამომრიცხავია, რომ კაცი იფიქრებს, ექსპერტები სხვადასხვა გვამს სწავლობდნენო.

**თამარ გარსევანიშვილი**: „მაქვს საბუთი, რომ კუსას გატეხილი ჰქონდა ლავიწის ძვალი, რომლის შეხორცების ადგილას კორძი ჰქონდა. თავის დროზე ექიმის დასკვნაში გარკვევით წერია, რომ შეხორცება არასწორია".

ასე რომ, მესამე ექსპერტიზამაც ვერ გასცა პასუხი კითხვას — აღინიშნება თუ არა თოხმაიდის ლავიწის ძვალზე ძველი მოტეხილობა? არც არა უთქვამთ და არც — ჰო. ასე უფრო ადვილია, პასუხს მკაცრად ვერავინ მოსთხოვს. არადა მშობლები ითხოვენ პასუხს — ბოლოს და ბოლოს, ვისია მიცვალებულები?

**თამარ გარსევანიშვილი**: „საქმეში მეგობრები ჩავრიეთ და როგორც იქნა, გვაჩვენეს ექსპერტიზის დასკვნა. ცარიელი იყო გრაფა, სადაც სისხლის ანალიზის პასუხი უნდა ყოფილიყო. ექსპერტიზის ლაბორანტმა გააკეთა ანალიზი და კუსა თოხმაიდის პირველი დადებითი ჯგუფის სისხლი აქვსო, დაასკვნა. არადა, ოჯახის ყველა წევრი რეზუსუარყოფითიანია. მე მაქვს ბავშვთა პირველი კლინიკური საავადმყოფოს მიერ გაცემული ცნობა, რომ კუსას უარყოფითი, მესამე ჯგუფის სისხლი ჰქონდა"...

**მანანა რეხვიაშვილი**: „მეც იგივე დასკვნა მომცეს — პირველი დადებითი. არადა ბექას მეორე ჯგუფის დადებითი სისხლი ჰქონდა. ვიფიქრეთ, იქნებ იმ ქალს გასამრჯელოს იმედი ჰქონდა და ამიტომ ჰაიჰარად მოგვცა-თქო დასკვნა. არადა აღფრთოვანებული იყო — ასეთი დამაჯერებელი პასუხი ჯერ არ მიმიღიაო. არავისთვის არაფერი გვითქვამს. გამომძიებელ ჯაოშვილს ვთხოვეთ, იქნებ როგორმე სისხლის ანალიზის პასუხი გაგვიგო-თქო და იმასაც იგივე პასუხები მისცეს. ბოლოს და ბოლოს, ექსპერტმა გია ცინცაძემ გვითხრა, სისხლი არ ედრება, რაღას აწვალებთ ამ მიცვალებულებს. ვეღარ დარწმუნდით, რომ თქვენი შვილები არ არიანო. ახლა გია ცინცაძე ამას უარყოფს, მაგრამ თამარიც დამიდასტურებს, რომ სწორედ ასე გვითხრა".

არც გვამების ამოცნობა, არც ძვლის მოტეხილობა, აღარც სისხლის ანალიზი. რჩებოდა ერთადერთი, დახოცილების ტანსაცმელი, რომელიც მცხეთის პროკურორის თანაშემწესთან, ან გარდაცვლილ მესხთან ინახებოდა. არადა, ამ უკანასკნელისგან დაზარალებულებმა იცოდნენ, რომ საქმესთან ერთად მესხმა ტანსაცმელი გენერალურ პროკურატურას გადასცა. დედები მაინც ჩავიდნენ მცხეთაში და ტანსაცმლის ადგილსამყოფელი მოიკითხეს. იქ კი ზრდილობიანად უთხრეს, რომ ტანსაცმელი გარეცხეს, მერე ეზოში გასაშრობად ბუჩქებზე გადაკიდეს და ვილაცამ მოიპარა(?!)... მერე იყო მუქარა ტელეფონით — თუ ამ საქმეს არ შეეშვებით, უარესს დაგმართებთო, მაგრამ დედებს აღარაფრის ეშინიათ. იციან, რომ არსებობს კიდევ ერთი გამოსავალი — დნმ-ის შედარება, მაგრამ, სამწუხაროდ, ვეღარავის ენდობიან, თუმცა გაჩერებას არ აპირებენ.

*ვაჟა გავაშელი*

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

[illegible] 31, ტელ: 442828 www.telecom.ge

# სამხრეთ ოსეთმა საქართველოდან გასვლის გზა გამონახა

Коммерсантъ

ვლადიკავკაზში ჩატარდა სამხრეთ და ჩრდილო ოსეთის მთავრობების გაერთიანებული სხდომა, რომელზეც სამხრეთ ოსეთის აულიარებელი რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ განაცხადა, რომ რფ-ის შემადგენლობაში რესპუბლიკის მიღების თაობაზე აპირებს მიმართოს რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს, რადგან: „არსებობს დოკუმენტი, რომ ერთიანი ოსეთი 1774 წელს შევიდა რუსეთის შემადგენლობაში, მაგრამ არ არსებობს საბუთი მისი არც რუსეთის იმპერიიდან და არც რუსეთის ფედერაციიდან გამოსვლის თაობაზე. რატომ უნდა ვაყენებდეთ ახლა საკითხს რუსეთის შემადგენლობაში შესვლაზე, თუ




იქიდან არასოდეს გამოვსულვართ? ოსეთ-ოსეთის საზღვრების არსებობა ჩვენი ტრაგედიაა. ყველაფერს ვილონებთ საიმისოდ, რომ მაქსიმალურად გავაიოლოთ ამ საზღვარზე მიმოსვლა. სამხრეთ ოსეთი მხარს უჭერს თავის ძმებს აფხაზეთსა და დნესტრისპირეთში — არ არსებობს აულიარებელი რესპუბლიკები! არიან თვითგამორკვეული რესპუბლიკები". კოკითის მხარი აუბა ჩრდილო ოსეთის მეთაურმა თეიმურაზ მამსუროვმა: — ორივე ოსეთის მცხოვრებლები ფაქტობრივად ერთი სახელმწიფოს — რუსეთის მოქალაქეები არიანო. „შეხედეთ, რა ხდება დნესტრისპირეთში, რუსეთი იძულებულია, ჰუმანიტარული ტვირთი გაუგზავნოს იქაურ მოსახლეობას. რა გარანტია გვაქვს, რომ იგივე არ ელის სამხრეთ ოსეთს. ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ", — მიმართა მან ერთობლივი სხდომის წევრებს.

ოსთა თავყრილობას რფ-ის პრემიერ-მინისტრის თანაშემწე გენადი ბუკაევიც ესწრებოდა, რომელმაც განაცხადა, — კრემლს პრინციპულად აქვს გადაწყვეტილი სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში მიღებაო. სხდომის მონაწილეთა ტაშის გრიალში მოსკოველმა მალალჩინოსანმა პირობა დადო, რომ მალე ბოლო მოეღება ოსი ხალხის ცალ-ცალკე ყოფნას და რუკაზე გაჩნდება რფ-ის ერთიანი რესპუბლიკა, რომლის სახელი მსოფლიომ ისედაც შესანიშნავად იცის — ალანია!

ამ განცხადებამ მოსკოვი გააოგნა. რფ-ის მთავრობის ანონიმური ჩინოსნის თქმით, ბუკაევს ამის თქმის უფლება არ ჰქონდა.

საგულისხმოა, რომ გაერთიანებულ სხდომაზე ედუარდ კოკოითის განცხადებას მოსკოვში აჟიოტაჟი არ მოჰყოლია. რფ-ის საკონსტიტუციო სასამართლოს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ანა მალიშევამ თქვა, რომ სამხრეთ ოსეთის რფ-ის შემადგენლობაში შესვლაზე ჯერ მათთვის არავის მიუმართავს და, საერთოდ, არც ამ საკითხის შესახებ შეიძლება რაიმეს თქმა, რადგან გაუგებარია, რა ფორმით იქნება შედგენილი სარჩელი და რომელი საკანონმდებლო აქტები იქნება საკამათო. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე თამარა მორშაკოვა კი აცხადებს, რომ სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს საქმე კი არა, საერთაშორისო სამართლის პრობლემაა. „სამხრეთოსური საკითხის" გადაწყვეტის სირთულეზე ლაპარაკობს საკონსტიტუციო სასამართლოში ფედერაციის საბჭოს წარმომადგენელი იური შარანდინი. რუსეთის იმპერიის 1774 წლის ამ აქტის იურიდიული უფლებამოსილების ცნობა იმ ფაქტების გამოკვლევებსაც გამოიწვევს, რომლებიც დიდი ხანია ისტორიას ჩაბარდა. მაგალითად, 1917 წლის შემდგომ კერძო საკუთრების ნაციონალიზაციისას. თავის მხრივ, ის კი მიესალმებოდა სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლას, მაგრამ რფ-ის საკონსტიტუციო სასამართლოში განცხადების შეტანას ეფექტიან ინსტრუმენტად არ მიიჩნევს. სენატორის აზრით, მსგავსი გეოპოლიტიკური საკითხები სახალხო რეფერენდუმით უნდა გადაწყდეს.

ამასთან დაკავშირებით პარტია „ჩვენი არჩევანის" ლიდერმა, ირინა ხაკამადამ განაცხადა: „ფაქტია, რომ სამხრეთ ოსეთის ხალხს გულწრფელად სურს რფ-ში შემოსვლა. სხვა საქმეა, შეგნებული აქვთ თუ არა, რომ ამის იურიდიული უფლება არ გააჩნიათ. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კი არ უნდა მიემართა, არამედ საერთაშორისო ინსტანციებისთვის; მაგრამ ყველა შემთხვევაში ეს ნაბიჯი პოლიტიკურად რისკიანია. ღმერთმა ნუ ქნას, კავკასიაში ომი დაიწყოს. რუსეთი მის შეჩერებას ვერ შეძლებს."

დუმის თავმჯდომარის მოადგილე სერგეი ბაბურინი ამბობს: „თუკი ორ ნათესავ ხალხს ერთად ყოფნა სურს, ამას წინ ვერავინ აღუდგება. სამხრეთ ოსეთი უნდა შეუერთდეს ჩვენს ჩრდილო ოსეთს, მაგრამ ისე არა, როგორც ამას აპირებენ. რა შუაშია რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლო! სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ პეტიციები კი არ უნდა წეროს, ჩრდილო ოსეთთან უნდა გაერთიანდეს, რუსეთმა კი უნდა ცნოს ერთიანი ოსეთი...

ჩვენ საქართველოსთან მშვიდობიანი ურთიერთობა უნდა დავამყაროთ, მაგრამ თუ არ მოისვენებს, ჭკუა უნდა ვასწავლოთ."

ედუარდ კოკოითის განცხადებების თაობაზე თბილისს უფრო მკვეთრი რეაქცია ჰქონდა. სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთის მიმართვა რფ-ის კონსტიტუციურ სასამართლოში საერთაშორისო სამართლის დარღვევაა და ამ განცხადებას „არასერიოზული" უწოდა. ცხინვალის მთავრობის ასეთსავე მიმართვაზე 2004 წელს გოსდუმამ ნათელი და მკაფიო დასკვნა გააკეთა რფ-ის შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის შესვლის შეუძლებლობის შესახებ. სახელმწიფო მინისტრი იმედოვნებს, რომ მოსკოვში ამ საკითხს ოფიციალურ დონეზე არც განიხილავენ: — „ყოველივე ეს პოლიტიკას მიტმასნულთა ფუთფუთია. ცხინვალისა და მოსკოვის გარკვეული წრეები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ჩაშლას ცდილობენ".

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ურჩევს ამგვარი დისკუსიების მოყვარულთ, ბარემ რომის იმპერიის დროინდელ რუკებსაც გადახედონ. ხოლო რუსეთის ხელმძღვანელობას მიმართავს: — „მაინცდამაინც ნუ აგაღელვებთ ოსეთის ბედი — ალანია რფ-ის შემადგენლობაშია და მის ხელყოფას არავინ აპირებს, ხოლო რაც შეეხება სამხრეთ ოსეთად წოდებულ ცხინვალის რეგიონს, ეს გეოგრაფიული წარმონაქმნი 1922 წელს გაჩნდა ბოლშევიკების წყალობით".

„კოკოითის ყველაფრის თქმა შეუძლია, მაგრამ მისი განცხადებები არაფერს შეცვლის. მსოფლიო საზოგადოებრიობა სამხრეთ ოსეთს საქართველოს ნაწილად თვლის, მისი ტერიტორია კი ისტორიულად საქართველოს განუყოფელი ნაწილია" — განაცხადა საქართველოს პარლამენტის საერთაშორისო საქმეების კომიტეტის თავმჯდომარემ კონსტანტინე გაბაშვილმა.

როგორც ცნობილი გახდა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საპროტესტო ნოტა გაუგზავნა მოსკოვს ვლადიკავკაზში ჩატარებული სამხრეთ და ჩრდილო ოსეთის მთავრობების ერთობლივი თათბირის გამო. ქართველი დიპლომატების აზრით, რუსეთის ტერიტორიაზე ამგვარი შეკრების ჩატარება საქართველოს სუვერენიტეტის შელახვას ნიშნავს.

დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ ამ ბოლო დროს მოსკოვმა უფრო გამოკვეთა თავისი პოზიციები აულიარებელი რესპუბლიკების მიმართ და აშკარად დაიკავა მათი მხარე. ამაზე მეტყველებს არა მარტო მათი დამოკიდებულება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისადმი, არამედ დნესტრისპირეთის ბოლოდროინდელი მოვლენებიც. მეთვალყურეების აზრით, რუსული პოლიტიკა აღარ შემოიფარგლება აულიარებელი რესპუბლიკების მხოლოდ პოლიტიკური მხარდაჭერით და თავის შემადგენლობაში მათ ფაქტობრივ ინტეგრირებაზე გადავა. თუ ეს ტენდენცია საბოლოოდ გაფორმდება, მაშინ თბილისს აღარ უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ ცხინვალის თხოვნა, რუსეთში შესვლის თაობაზე, ისეთივე პასუხით დასრულდება, როგორითაც 2004 წელს.

# საქართველო ნატოსკენ მისწრაფვის

BBC



გასულ კვირას საქართველოს სამთავრობო დელეგაცია ამერიკის შეერთებულ შტატებს ეწვია. სტუმრები შეეცადნენ დაერწმუნებინათ ვაშინგტონის ადმინისტრაცია, რომ დასავლეთის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის ესოდენ მნიშვნელოვან რეგიონში, სამხრეთ კავკასიაში, სტაბილურობას მხოლოდ საქართველოს ნატოში სასწრაფოდ შესვლა უზრუნველყოფს.

კენედის სახელობის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტში გამოსვლისას თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, მამუკა კუდავამ, განაცხადა, რომ საქართველომ წარმატებით დაასრულა ნატოში შესვლის პირველი ეტაპი — ნატოს სტანდარტების შესაბამისი შეიარაღებული ძალების რეფორმა. თბილისის აზრით, სამხედრო რეფორმა ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში სწრაფი ინტეგრაციის წინა პირობაა. დელეგაციის წევრებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს უკვე ამ წლის ბოლოსთვის ალიანსთან მიერთების იმედი აქვს და ახლა დასავლეთისგან კონკრეტული პასუხის მიღება უნდა — არის თუ არა ეს შესაძლებელი. „საქართველო კრიტიკულ გზასაყარზეა; აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, რა მანძილი გვაშორებს ნატოს და რამდენად სწრაფად გავხდებით ალიანსის წევრები", — განაცხადა კუდავამ. დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი მანჯგალაძემ, კენედის ცენტრში მყოფ ექსპერტებს და ჟურნალისტებს შეახსენა საქართველოს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მდებარეობისა და მის ტერიტორიაზე გამავალი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის შესახებ. თქვა, თბილისი, მოსკოვისგან განსხვავებით, ენერგომატარებლების ტრანსპორტირების დარგში საიმედო პარტნიორიაო...

ცნობილია რომ ნატო ცდილობს ალიანსში არ მიიღოს ისეთი ქვეყნები, რომელთაც მოუწესრიგებელი ტერიტორიული პრობლემები აქვთ. 1949 წლის ვარშავის ხელშეკრულების თანახმად, ბლოკის წევრები ერთობლივად წყვეტენ ნატოს ხელშეკრულების ნებისმიერი წევრის წინაშე წარმოქმნილ უსაფრთხოების პრობლემებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ალიანსში საქართველოს მიღების შემთხვევაში, შესაძლოა მისმა კონფლიქტმა თვითაღიარებულ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, რომელთაც მოსკოვი უჭერს მხარს, ნატო რუსეთთან ფართომასშტაბიანი ომის წინაშე დააყენოს. თუმცა, დელეგაციის წევრები შეეცადნენ დაემტკიცებინათ, რომ საქართველოს ალიანსში შესვლა ავტომატურად გამოიწვევს რეგიონული კონფლიქტების გადაწყვეტას — ამით, ეტყობა, უნდოდათ მიენიშნებინათ, რომ მოსკოვი არ მოინდომებს ნატოსთან კონფრონტაციას და უარს იტყვის თვითაღიარებული რესპუბლიკების მხარდაჭერაზე. მიუხედავად ამისა, საქართველოს ესმის, რომ მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დასავლეთის აქტიური მონაწილეობის დიდი იმედი არ უნდა იქონიოს და თავად ეძებოს რუსეთზე ზეწოლის სხვა ბერკეტები. როგორც თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ, ნიკა რურუამ თქვა, საქართველოს შეუძლია დაბლოკოს რუსეთის საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლა. „ჩვენ, ჩვენს ხელთ არსებული ყველა პოლიტიკური გავლენის ინსტრუმენტებს გამოვიყენებთ და ეს არავის უნდა გაუკვირდეს," — განაცხადა მან.

# აფხაზეთი და ჯავახქი ითხოვენ...

REGNUM



სოჭში ფონდ „თავისუფალი ევროპის" მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე, „შავი ზღვისპირეთ-კავკასიის რეგიონში სტაბილურობის მოდელები", აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ განაცხადა: „აფხაზეთი საქართველოსთან პოლიტიკურ სტატუსზე მოლაპარაკებებს არ აწარმოებს, რადგან ეს საკითხი ისედაც დაფიქსირებულია აფხაზეთის კონსტიტუციით. ახლა მთავარია, აფხაზეთსა და საქართველოს მომავალი ურთიერთობის პრინციპების განსაზღვრა. ჩვენს ყურადღებას იპყრობს ზოგიერთი დასავლური ქვეყნის სამხედრო პერსონალის საქართველოში ყოფნა. იქაურ რევანშისტულ წრეებს აფხაზეთის პრობლემის ძალისმიერი გზით მოგვარების იმედი აქვთ. საქართველოს მილიტარიზაცია მთელი რეგიონის მილიტარიზაციას იწვევს." როგორც შამბა აღნიშნავს, „დასავლურ გამოწვევას" აფხაზეთი რუსეთის ევრაზიულ სტრატეგიაში ჩაბმის მცდელობით პასუხობს. „უდავოა, რომ დღეს პრიორიტეტი რუსეთს ეკუთვნის. აფხაზეთის ევროპიზაცია ადრეც რუსეთის საშუალებით ხდებოდა. დასავლეთი კი გზას ევროპისკენ საქართველოს გავლით გვთავაზობს, რაც ყოვლად მიუღებელია. რუსეთი ჩვენი და მთელი რეგიონის უმთავრესი ეკონომიკური პარტნიორია. სწორედ რუსეთს მიიჩნევს აფხაზეთის მოსახლეობა გარეშე ძალების მუქარისაგან დამცველ ძალად. ცხრა წელია რუსეთის სამშვიდობო ძალები მშვიდობის გარანტად გვევლინება. შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთი ფაქტობრივად რუსეთის პროტექტორატის ქვეშაა და, იმედი გვაქვს, რომ ის მთელ მსოფლიოს მტკიცედ განუცხადებს, რომ არც ახლა და არც მომავალში აფხაზეთი არ შეიძლება იყოს საქართველოს „შინა" პრობლემა".

კონფერენციაზე სიტყვით გამოსულმა ჯავახქის არარეგისტრირებული პარტიის „ვირქის" თანათავმჯდომარემ, დავიდ რსტაკიანმა კი ჯავახქის (სამცხე-ჯავახეთის) ავტონომიის შექმნაზე ილაპარაკა — „ავტონომიის იდეა აქტიურად მუშავდება ჯავახქის საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და მას მხარს უჭერს მთელი სომხური მოსახლეობა, — თქვა მან, — თუ შევარდნაძის მმართველობის დროს მთავრობის პოლიტიკა ჯავახქის სომხების მიმართ ეროვნული კატასტროფის მოლოდინში სრულიად პასიური იყო, ახლანდელი პერიოდი აქტიური პოლიტიკით გამოირჩევა, რომელიც ნელა მიმდინარე ეთნიკურ წმენდაში გამოიხატება. ამ მხარის სომხები კარგა ხანია საქართველოს ხელისუფლებისგან სასიკეთოს არაფერს ელიან". რსტაკიანმა ისიც აღნიშნა, რომ საქართველოს პოლიტიკურმა ძალებმა და საზოგადოებრიობამ უარყოფითად აღიქვეს მხარის ავტონომიის იდეა, მაგრამ როგორც ის ამბობს, „არც ერთი პოლიტიკური ძალა არ დაინტერესდა, გაერკვია, რა იყო ასეთი მოთხოვნის მიზეზი". რსტაკიანი თვლის, რომ ჯავახქის სომხურმა ორგანიზაციებმა უნდა ისარგებლონ საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ მინიჭებული ყველა უფლებით, რათა დააკანონონ ჯავახქში და, საერთოდ, მთელ საქართველოში მცხოვრები სომხების უფლებები.

***გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***

# აშშ-მა სამხრეთ ოსეთის გადაწყვეტილება დაგმო

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაგმო სამხრეთ ოსეთის ლიდერის ედუარდ კოკოითის გადაწყვეტილება, აულიარებელი რესპუბლიკის რუსეთთან მიერთების შესახებ.

ეუთოში აშშ-ის წარმომადგენლის, ჯული ფინლის განცხადებით, ჯორჯ ბუშის ადმინის-

ლოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და კონფლიქტურ რეგიონებში პრობლემების მოგვარების მხოლოდ მშვიდობიან გზებს მიესალმება.

ქალბატონი ფინლი კიდევ ერთხელ მოუწოდებს თბილისსა და ცხინვალს დიალოგისკენ.


მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯარა და ვიტრაჟი
საუკეთესო ხარისხის
სამ და ოთხკამერიანი
ყველაზე რეალური ფასები
38-37-47 899-17-70-80



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!
კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები ყველგან

5 წლის **მარიამ არჩემაშვილს** დედა ასწავლის რუსულს.

— გუგული არის Кукушка!

მეორე დღეს მარიამს ეკითხებიან:

— როგორ არის რუსულად გუგული?

—კუკული!.. — უპასუხა მარიამმა.

***

3 წლის **ლულუ რუხაია** თავის საყვარელ შავ კატას თავს ევლებოდა. ერთ დღეს დაინახა მის ეზოში თეთრი კატა როგორ გადმოძვრა, გაოცებული დედასთან გაიქცა და ეუბნება:

— დედი, ნახე, ჩვენს კატას თეთრი კაბა შეუკერავს.

## II ანა, გამოიცანი

**1. რომელია ზედმეტი?**

ა) დონდლო; ბ) ზანტი; გ) ცქვიტი; დ) დუნე.

**2. როგორი ადამიანი არ არსებობს?**

ა) გულღრძო; ბ) გულჩვილი; გ) გულჩათხრობილი; დ) გულმახინჯი.

**3. მხატვრობის დარგი, რომელიც ძირითადად ხაზებით, შტრიხებით და უსაღებავოდ ხატვას წარმოადგენს, არის:**

ა) გრაფიკი; ბ) გრაფიტი; გ) გრაფინი; დ) გრაფიკა.

**4. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ ქართველ მეფეს არ მიუღია დიდი ძალდატანების მიუხედავად მაჰმადიანობა?**

ა) ვახტანგ V-ს; ბ) არჩილ II-ს; გ) ლუარსაბ II-ს; დ) ერეკლე I-ს.

**5. რომელი ცხოველია ხორცის მჭამელი?**

ა) სპილო; ბ) კურდღელი; გ) ჯიხვი; დ) ტურა.




შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: **„წელიწადის დროებს შორის კეკლუცია ყველაზე, მწვანედ მოსავს მთას და მინდორს, სურნელს აფრქვევს უნაზესს".**

## III გამოცანა

უენოა, მაგრამ უხმოდ,
ბევრი რამ კარგის მთქმელია,
უგნურის დაწუნებული
ჭკვიანის სანატრელია.

## I



## IV რომელი ფრაგმენტები უნდა ჩაისვას კითხვის ნიშნების ნაცვლად?







## ჭიანჭველა და ფუტკარი

არაკები

ჭიანჭველას წამოეკიდა ოთხი თავისოდენა ტვირთი, მიათრევდა და ჩიოდა:

— ჩემოდენა ჯაფაში სულდგმული არ არის, მაგრამ ქება კი არავისგან მესმის. აი, უღონო და ბზუილა ფუტკარი მარტო ყვავილებზე დაფრიალებს, მაგრამ ყველა იმის ქებაშია. მეტი უსამართლობა კიდევ იქნებაო?!

ფუტკარმა ეს გაიგონა და უპასუხა:

— ძმაო, შენ მარტო შენი თავისთვის ზრუნავ, ჩემი შრომა კი ადამიანისთვისაც სასარგებლოა. ამიტომაც მაქებს მე ქვეყანა და შენ კი არავინ არაფრად გაგდებსო.

## მზე და წვიმა

ერთხელ მზე და წვიმა წაიჩხუბნენ.

— მე სულ ვაშუქებ და ვაშუქებ, — თქვა მზემ.

— მე კი სულ ვაწვიმებ და ვრწყავ დედამიწას, — თქვა წვიმამ.

— შენი წვიმა ატალახებს ყველაფერს და სიცივესაც აჩენს.

— შენ კი, როდესაც დიდხანს აშუქებ, ყველაფერს წვავ.

— განა მე არ ვახარებ და ვამწიფებ ხილეულობას? — იწყინა მზემ.

— მერე რა, რომ ამწიფებ? — უჩემოდ გადახმებოდა ბაღები და ბოსტნები და რაღას გაახარებდი?

დიდხანს ჩხუბობდნენ მზე და წვიმა და ბოლოს შეთანხმდნენ იმაზე, რომ რიგრიგობით აშუქონ და აწვიმონ, როგორც არის ახლა.

*იაკობ გოგებაშვილი*




პასუხები იხილეთ 35-ე გვერდზე

*გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*



# უფლის გზაზე სიარული ნუ მოგვიშალოს ღმერთმა...

*კვირისპალიტრელები წელს მეორედ შეხვდებიან აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გაზეთის პირველი მთავარი რედაქტორის, ღვთისნიერი და უკეთილშობილესი ქალბატონის,* **ლალი გუნთაიშვილის** *გარეშე. „კვირის პალიტრა“ ხომ პირველივე დღეებიდან იქცა მრავალთა საყვარელ გაზეთად, რომელშიც ყველა პოულობდა (და პოულობს) მისთვის სასურველ და საიმედო სიტყვას. გაზეთის მრავალფეროვანი თემატიკიდან კი ყოველთვის გამორჩეული ადგილი უჭირავს მართლმადიდებლურ საკითხავს.*

*ათასწლეულის დასასრულს ქალბატონმა ლალიმ იერუსალიმის წმინდა მიწაზე იმოგზაურა. იმ ამაღლებული და შთამბეჭდავი დღეების შესახებ მან თავის მკითხველს უშუალოდ და ბუნებრივად მოუთხრო რუბრიკაში „გაცოცხლებული სახარება“.*

*„უფლის გზაზე სიარული ნუ მოგვიშალოს ღმერთმა“, ასე ერქვა ლალი გუნთაიშვილის წერილების ციკლს, რომელსაც (უცვლელად, კიდევ ერთხელ) ვთავაზობთ ჩვენს მკითხველს. იმედი გვაქვს, რომ ეს უფლისა და მოყვასის სიყვარულით გამთბარი წერილები კვლავინდებურად იპოვის მკითხველთა გულისკენ მიმავალ გზას.*

*„კვირის პალიტრა“*

ვიცი, უნდა დავწერო ის, რასაც ვწერ, მაგრამ წინდაწინ ვიცი ისიც, მიახლოებითაც რომ ვერ მივაგნებ იმგვარ სიტყვათა წყობას, რომელიც იმის ხორცშესხმას შეძლებს, რის შესახებაც ძალიან მინდა გიამბოთ, ანუ ერთი ბანალური წინადადებით თუ ვიტყვი — ამის გადმოცემა შეუძლებელია!

მაინც შევეცადოთ...

ქვეყანას, რომელზეც მოგითხრობთ, ისრაელი ჰქვია, ისრაელი, რომელიც არც ერთ სხვა ქვეყანას არ ჰგავს თავისი იერუსალიმით, ბეთლემით, ნაზარეთით, სიონითა თუ გეთსამანიის ბაღით, ქვეყანა ბიბლიური დავითითა თუ აბრაამით, ქვეყანა უფლის რჩეული და უფლის გამცემი...

სამი ათასი წელია, ვინ არ მიახლებია ამ წმინდა მიწას, ყველას თავისი ტვირთი ჰქონია — იუდეველს, ქრისტიანსა თუ მუსლიმანს, ყველას მიუგნია თავისი სალოცავისთვის და ყველას ჰგონებია, რომ ამ ქალაქის რაღაც ნაწილი სწორედ მას ეკუთვნის; ამ შეხვედრისთვის მაინც მთელი სიცოცხლე უნდა ემზადო და მერე სულ იფიქრო — ღმერთო, ერთხელ კიდევ მომატარე ამ ცოცხალი სახარების მიწაო... ალბათ ამას „იერუსალიმით დაავადების სინდრომი“ ჰქვია და არა მგონია, ის მხოლოდ მე შემყროდეს. ეს არის ქალაქი ყველასათვის — ამ მიწაზე საკუთარი იერუსალიმი გელოდებათ, იქნებ სკეპტიკოსებსაც კი.

სხვებს თავი დავანებოთ და ჩვენ უფლის გზით ვიაროთ (ნუ მოგვიშალოს ღმერთმა).... იერუსალიმიდან მობრუნებულს ბევრჯერ და ბევრისთვის მითქვამს ეს ფრაზა: რაც ვნახეთ, იქიდან ერთიც რომ გვენახა, თავს მაინც უბედნიერეს ხალხად მივიჩნევდით-მეთქი და ამაში იოტისოდენა პოზაც არ ურევია... თავად განსაჯეთ...

პირველივე დილას გასრიალებული ავტობუსით გასრიალებულ გზეზე (იქ ჩვენი მძღოლები გამახსენდა და ვინატრე, ერთი ამ ქუჩებში გააქროლათ-მეთქი) დედა ანასტასიამ ბეთლემისკენ გაგვიყენა გზას... დედა ანასტასია აქ ჩვენი საპატრიარქოს წარმომადგენელია. აქაური წმინდა ადგილები კარგად შეუსწავლია, ურთიერთობაც გაუბამს და ახლა გიდობას გვიწევს... მოვლენებს გავუსწრებ და დაბრუნებული მთელი ჯგუფის სახელით მადლობას ვუხდი იმ დაუშურველად გაცემული სიყვარულისა და მონიწებისათვის, თითოეულ სიწმინდესთან რომ მიგვაახლოებდა ხოლმე.

## ბეთლემი

„და შვა ძე იგი მისი პირმშო და შეახვია სახუეველითა და მიაწვინა იგი ბაგასა, რამეთუ არა იყო მათა ადგილი სავანესა მას“ (ლუკას სახარება).

ბეთლემი აქედან (ჩვენ იერუსალიმის არაბულ ნაწილში ვცხოვრობთ, სასტუმროში) 15 წუთის სავალზეა, პასტორალური სანახები სახარებას გახსენებთ, მწყემსები, თხისა და ცხვრის ფარა ამ ადგილებში ახლაც ჩვეულებრივი პეიზაჟია. პირველივე ფრაზით მონუსხულები — უფლის შობის ადგილს ვნახავთო — ყველა თავის თავში ჩავბრუნდით და ყველა თავის სახარებისეულ ცოდნას ჩაუღრმავდა... მივაკვლიეთ გონებაში იმ ფურცელს, უფლის შობა რომ ჰქვია. მივაკვლიეთ ნაზარეთიდან ბეთლემისკენ გამოსულ მართალ იოსებს, რამეთუ დავითის გვარ-სახელისა იყო და კეისრის მიერ გამოცხადებული აღწერისას ყველა თავის მამულში უნდა აღრიცხულიყო... ახლა წელთაღრიცხვა უკან გადავთვალეთ და კიდევ ერთი, სისხლს თავის თხემს ძალუმად რომ მიახეთქებს, ისეთი მიგნება-გახსენება — ღმერთო, 2000 წელი გასულა, სწორედ ის მისტიკური 2000 წელი, მორწმუნესა და ურწმუნოს ერთიანად რომ ჩაბეჭდვია ხსოვნაში — ღმერთო, რა იქნება 2000 წლის შემდეგ...

გადმოვდივართ...

შობის ბაზილიკა იმპერატორ კონსტანტინეს აუგია 332 წელს და მისმა დიდმა ნაწილმა დღემდე მოაღწია.

ახლა მეცნიერულ-არქიტექტურული აღწერილობისაგან თავს ვიკავებთ და რომ იტყვიან, გზას ვუთმობთ ემოციებს...

უფლის შობის ადგილის თავზე ულამაზესი ტაძარია უფლის ხატებითა და კანდელებით, მდიდრული ინტერიერით...

მომსვლელები იესოს შობის წმინდა ადგილის სანახავ რიგში დგანან... ჩვენმა მამა ილიამ (ნასიძე) ბეთლემში პარაკლისი გადაიხადა და განწყობა ისეთი ამაღლებული ჰქონდა, მგალობლებმა და მოძღვარმა ხმებს ისე ავუწიეთ, ქვემოდან მღვდელმსახურებმა ამოგვაკითხეს... ჩვენ იქ სრულიად საქართველოზე ვილოცეთ... დედაღვთისმშობლის ხატი ამ ტაძარში თეთრია, თეთრია დედისა და ყრმის სამოსი, ასეთი ხატი სხვაგან თუ შეგხვდებათ, ბეთლემის ხატად იწოდება.

მოლოცვილები ქვევით, უშუალოდ იმ თავლის კარში შევდივართ, სადაც იშვა და სადაც ბაგაზე მიაწვინა ჩვილი დედამ... (ღმერთო, რა ჩვეულებრივი დასაწერია და რამდენი ვნებათაღელვა კი ახლდა თითოეულ მაშინდელ ნაბიჯს...).

ერთ მეტრზე ოდნავ მაღალ ღიობში თავდახრილი და მხრებში მოდრეკილი შედიხარ!.. მარმარილოს ოვალური ფილა მოვერცხლილი თოთხმეტქიმიანი ვარსკვლავით ზუსტად იმ ადგილის მიმანიშნებელია, სადაც იშვა ყრმა. ვარსკვლავის თავზე 15 მოვერცხლილი კანდელი კიდია (სხვადასხვა ქრისტიანულ სამწყსოთა შემონირული), აქვეა საკურთხეველი მოგვთა, რომელთაც თაყვანი სცეს იესოს და „შეწირეს მისა ძღუვენი ოქრო,



აქ იშვა ძე ღვთისა

გუნდრუკი და მური“ (მათეს სახარება)... სწორედ აქ და სწორედ იმ „25-სა დეკემბერსა“ გაისმა ანგელოზთა გალობა ზეციდან „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ (ამინ).

მერწმუნეთ, იმის თქმა და დაწერა, რომ ფეხი დაადგი იმ წმინდა მიწას და ხელით შეეხე იმ ბაგას, სადაც კაცობრიობის მხსნელი მოევლინა ცოდვილ ქვეყანას, ოდნავადაც არ გადმოსცემს იმ განწყობილებას, იმ სისავსეს, რომელიც ჩვენ მიერ აქამომდე განცდილს, ყველაფერს აჭარბებდა... სახეზე ყველას სხვა იერი გვედო, არ მომჩვენებია — სხვანი შევედით, სხვანი გამოვედით...

## ბეთანია

სასწაული კი გრძელდება...

ახლა იმ სასწაულის წინაშე ვდგავართ, ბეთანია რომ ჰქვია...

ბეთანია ზეთისხილის მთის აღმოსავლეთ კალთაზეა გაშლილი და დღეს იგი არაბების ქალაქია. იერიქონიდან იერუსალიმისაკენ მიმავალი უფალი, რომელსაც „უყუარდა მართა, მისი და და ლაზარე“, სახარებიდან სწორედ იმ ერთ დიდ სასწაულს ჩაიდენს, „ლაზარეს აღდგინება“ რომ ჰქვია... ოთხი დღის მიცვალებული ლაზარეს დებმა შესჩივლეს უფალს... „მე ვარ აღდგომა და ცხოვრება, რომელსა ჰრწმენეს ჩემი, ცხონდეს“ (იოვანე) — ბრძანა იესომ და სადა დასდევით იგიო, იკითხა... საფლავთან მიიყვანეს... — აღიღეთ ლოდი, — ბრძანა, აღიხილნა თუალნი ზეცად, მამას მადლობა შესწირა და „ხმითა დიდითა ღაღად-ყო, ლაზარე, გამოვედ გარე“... ხელ-ფეხსახვევებით შეკრულმა და სახესუდარიანმა ლაზარემ სამარხის კარიდან გამოაბიჯა... გახსენით და გაუშვითო, — იყო სიტყვა ღმერთკაცისა და იმ დღეს ბევრმა იუდეველმა ირწმუნა იგი...

აი, ის სამარხიც... აი, ის ამოქოლილი კარიც, რომელიც რატომღაც ბერძნებს ამოუგმანავთ, შესასვლელი სხვა მხრიდან გაუკეთებიათ და კიბით თითქოს გამოქვაბულივით ხაროში ეშვები. ეს კიბე სწორედ იმ ამოქოლილ სამარესთან მიგიყვანთ, ლოდით რომ იყო დაგმანული. წმინდა ლაზარეს საფლავთან საქართველოს აღდგინება შევავედრეთ უფალს და ქართული ენის საგალობელი ვთქვით (ლაზარე ხომ ქართული ენის სიმბოლოდ გვაქვს გააზრებული). სიწმინდედ აქაური მიწა ავიღეთ, ქართულ ტაძრებს გვინდა დავურიგოთ. წმინდა ლაზარეს საფლავი ადრე ქართველებს ეკუთვნოდაო — გული გვატკინა დედა ანასტასიამ... გული კიდევ ბევრჯერ გვეტკინება ამ წმინდა მიწაზე.

12 წმინდა ადგილი გვკუთვნებია წმინდა მიწაზე. ეს მხოლოდ მონასტერი და საკურთხეველს ხომ აღზევებული მორწმუნე წინაპარი ლამის უფლის თითოეული ამოსუნთქვის ადგილზე აგებდა... რანი ვყოფილვართ, დიდნო ქართველნო...

რამდენიმე მეტრში ბერძნების ეკლესიაა. აქ ბერძენი დედები მოღვაწეობენ და ეკლესია კი ლაზარესა და მისი დების სახლის ადგილზე დგას... ანუ კიდევ ერთი შეთამამება ფიქრით უფალთან: აქ იყო იესო, აქ მის ფერხთით იჯდა მარიამი (ლაზარეს და), ფეხზე ნელსაცხებელს სცხებდა და საკუთარი თმით უმშრალებდა, სურნელი ავსებდა იქაურობას, მართა სუფრისთვის ზრუნავდა და მკვდრეთით აღმდგარი ლაზარე უფლის თანამეინახე იყო.

ახლა მე ყოველდღიურ ქრონოლოგიას გადავუხვევ, ყველაზე დიდ სათქმელს ბოლოსთვის მოვიტოვებ... თუმცა, ვცოდავ, აქ არ არის დიდი და მცირე სათქმელი, აქ ყველაფერი ერთშია და ერთი — ყველაფერში...

## ხარება

ისევ სახარების გახსენებით მივედით მართალი ზაქარიას სახლამდე ნაზარეთში... ღმერთმა გალილეის ამ ქალაქში მთავარანგელოზი გაბრიელი წარმოგზავნა და ქალწულ მარიამს ხარების დღე გაუთენა, „გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“... ახლა წარმოიდგინეთ ამ სიტყვების დატვირთვა, რომელიც სწორედ ხარების ადგ-



ამ კიბეს ლაზარეს საფლავთან მივყავართ

ილზე ჩაგესმის, ამ ეპიზოდის ულამაზესი ხატის ქვეშ მოლივლივე ანკარა წყაროსთან დგახარ და გეუბნებიან, — ამ წყაროსთან იდგაო მშობელი მაცხოვარისა მაშინ... წმინდა წყალს ვსვამთ დიდი რწმენით...

ნაზარეთი გალილეის სამხრეთით, მთის ფერდობზეა შეფენილი და ის პატარა სოფელი, სადაც უფლის ყრმობამ გაიარა, ბოლო წლებში ქცეულა ქალაქად... მივყვეთ კვლავ სახარებას და გავიხსენოთ, მართალმა ელისაბედმაც (იოანე ნათლისმცემლის დედა) პოვა მადლი წინაშე ღვთისა და იგი უკვე ექვსი თვის ფეხმძიმეა... ესეც ღვთის ნებით და გაბრიელ მთავარანგელოზის გამოცხადებით ხდება... ამის შესახებ ამცნობს მთავარანგელოზი მარიამს.

ნაზარეთიდან იუდეა ხუთი დღის სავალზე იყო. მომავალმა ღვთისმშობელმა ელისაბედის მონახულება გადაწყვიტა და მცირე აბგააკიდებული შარას დაადგა... ამ შარას ახლა დიდი გზატკეცილი ცვლის და ახლა დიდი დედების, მარიამისა და ელისაბედის შეხვედრის ადგილის მოსანახულებლად მივდივართ... მტკაველ-მტკაველ სიწმინდე ახლავს ამ მიწას... ამ გზას გაჰყოლია მარიამი და ვიდრე ამ ეკლესიის ადგილზე მდგარ ზაქარიასა და ელისაბედის სახლს მიადგებოდა, ამ წყაროსთან შეუსვენია, ფანტაზიის თვალსაც თუ მივადევნებთ, შუბლიც გაუგრილებია და ისევ აჰყოლია ბილიკს... ყველას გახსოვთ ეს შეხვედრა, ყველას გახსოვთ ყრმა იოანეს მუცლად შეტოკება, როგორ აღივსო სულიწმიდით ელისაბედი და „კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისაო“, ხმაყო... რაზეც მარიამმაც ულამაზესი მოკლე საგალობელი ბრძანა — ადიდებს სული ჩემი უფალსაო... (ღმერთო, შემაძლებინე ამ არაჩვეულებრივად ამაღლებულ მოტივებზე წერა)...

დედაღვთისმშობელმა აქ სამი თვე დაჰყო... ტაძარი რუსი დედების ადგილსამყოფელია, ახლანდელი დედები იმ დიდი დედების ხატ-ფრესკებს დაჰკამკამებენ და მთელი ტერიტორია ოაზისს ჰგავს (არის კიდეც)... პატივით მიგვიღეს... მამა ილიამ აქაც პარაკლისი გადაიხადა და იყო რაღაც სიამაყე მაშინ ჩვენში, რომ ვგალობდით და ვწირავდით, ვადიდებდით დედაღვთისმშობელს და უფალს ქართულად... მონასტრის ილუმენიამ დიდი პატივითა და მოკრძალებით მოიკითხა ჩვენი პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II. ახლა კიდევ ერთხელ მიმოვავლოთ თვალი სანახებს — აქ დაიბადა იოანე ნათლისმცემელი და ტაძრის წინ რომ ქვა დევს, არც ის არის უბრალო ქვა — აქ, ვიდრე უდაბნოში გადავიდოდა, პირველი ქადაგება წარმოუთქვამს მომავალ ნათლისმცემელს... იოანე ნათლისმცემლის ქალაქში დღეს ამობრუნებული ემიგრანტი ებრაელები სახლდებიან...

ებრაელები ყოველი კუთხიდან მოედინებიან... მოდიან ჰაერითა და ზღვით... იყიდება ისრაელის მიწა, მაგრამ ოქროზე ძვირად ფასობს და ერთ სახლზე მხოლოდ 250 კვმ გაიცემა — მიწის ფასი აჭარბებს ხშირად აშენებული სახლის საფასურს. იციან ებრაელებმა თავიანთი მიწის ფასი. შენდება მთელი ისრაელი, დიდი მზადებაა... კარს მომდგარ 2000 წელს აქ მსოფლიოს ებრაელობა მოიყრის თავს და დაელოდება „მესიას“... მესია კი 2000 წლის წინ ედგათ გვერდით, ცხადად და ხორცით, რომელმაც მოუწოდათ, ეცნოთ ჭეშმარიტი ძე ღვთისა, ჰურიათა კი „აღილეს ქვა, რათა დაჰკრიბონ მას, ხოლო იესუ დაეფარა, განვლო შორს მათსა და წარვიდა ესრეთ“...

მაინც რა გზებით წარვიდა, რა გზებით იარა უფალმა?

## ჯვრის მონასტერი

აკი უკვე ვთქვით, იერუსალიმში ყველა თავის წილ სალოცავს ნახულობსო... ვაი, რომ ახლა ქართველთა ერთი უმთავრესი წმინდა კერის, აწ უკვე დაკარგული პალესტინის ჯვრის მონასტრის გალავანს გარეთ ვართ... გალავნიდან მონასტრის კარამდე მისასვლელი გზა მდუმარებით გავვლეთ. წინა დღეს აქაურობა დაკეტილი დაგვხვდა. ზედმეტად მიახლოებასაც რომ მოერიდები, ისეთი მოკრძალებით დავახანეთ შესასვლელთან — უნდა შემოგვიშვათ, ჩვენ იმ ივერიიდან ვართ, რომლის პატარა ნაწილი აქ გვეგულება, წინაპართა სალოცავში მოვსულვართ პატიების სათხოვნელად... მძიმედ ილება კლდეკარის ხვრელი... აქაც ისეთივე თავდადრეკილი უნდა შეხვიდე ღიობში, უფლის შობის ადგილზე რომ იყო, ბეთლემში... დღევანდელმა პატრონებმა, ბერძენმა მღვდელმა და ალბათ ფოფოდიამ, გასაღებების უზარმაზარი წყებით გაგვიღეს ტაძარი... რომ შეიძლებოდეს ახლა მკითხველს წუთიერ დუმილს და ფეხზე წამოდგომას შემოგბედავდით — მაინც რა დიდი წინაპრების შთამომავალნი ვართ... ქართველებს ამ მონასტერში დიდი ხანია, არ შემოუხედავთ და თუ შემოუხედავთ, მხოლოდ სტუმრის როლში, აქაოდა, ახლანდელ მასპინძელს თავი არ შევაბეზროთო. არადა რა წმინდა ქართული ბერული ცხოვრება ახსოვს აქაურობას, რა მომლოცველობა და ჩუმი ფსალმუნნი... ტაძრის სვეტებიდან ისეთი მშობლიური ფრესკები შემოგეგებებიან, სუნთქვა გეკვრის და კიდევ მერამდენედ დუმდები — კვლავ ის მომენტი დგება, როცა სიტყვა უძლურია განცდასთან... ერთი ეგ იყო, იოანე დამასკელისა და მიქაელ მოდრეკილის უზარმაზარ ფრესკებს შუა ჩვენი შოთას ციცქნა გამოსახულებას რომ წავადექით, — შოთაო, ყველა ერთმანეთს შევეხმიანეთ და კვლავ ფიქრს გავყევით... (როცა დიდ წინაპრებზე ვსაუბრობთ, ბატონები: აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი და ირაკლი აბაშიძეც უნდა მივათვალოთ, 700 წლის დაკარგულ შოთას რომ მიაგნეს და დაგვიბრუნეს)...

სწორედ ჯვრის მონასტრის ადგილზე ახარა ბიბლიურმა ლოტიმ ის ხე, შემდეგ რომ მოჭრეს უფლის ჯვარსაცმელად. ამ ხის ნაძირკვალზე აუგიათ ჩვენებურების მონასტერი, „ჯვრისა“ უწოდებიათ და ლოცვად დაყუდებულან... ახლა ჩვენ იმ ნაძირკვალს ვეამბორებით და მამა ილია წმინდა მეფის, თამარის სადიდებელ მცირე პარაკლისს იხდის — შეგვეწევა დედა თამარი!

## ზაქეს ხე

იერიქონში ვართ... ბიბლიურ იერიქონში, უძველეს ქალაქში, საყვირებითა და ერთიანი შეძახილით რომ ჩამოუნგრიეს კედლები ძველმა ებრაელებმა. აქაურობა იუდეის თეთრ-ყვითელი უდაბნოს შემდეგ ოაზისია, პალმებითა და ხეხილით დაფარული. იერიქონი ზღვის დონიდან 250 მეტრით ქვევით, ქვაბულშია გაშენებული.

მაშინ, ამ ორი ათასი წლის წინ, იერუსალიმისკენ მიმავალი უფალი იესო ქრისტე თავის მოწაფეებთან ერთად სწორედ იერიქონს მიადგა... ცხოვრობდა აქ ერთი მეზვერე (მებაჟე), მდიდარი ზაქე... ხმა მისწვდა, უფალი ჩვენს შარაზე ჩამოივლისო, ძალიან ენადა, თვალი მოეკრა მისთვის... ტანდაბალი იყო ზაქე და ხალხში ჩაიკარგა. მაშინ შეგროვილ მომლოდინეებს წინ გაუსწრო, ლელვის ხეზე აძვრა და თვალებად იქცა... უფალმა იმ დღეს ზაქეს სახლში დაივანა და ამით ზაქესა და მის ლელვის ხეს სახარებაში მიუჩინა ადგილი...

ზაქეს ხის გადაჭრილი ზრო ახლაც დგას, დიდი ბარჯით, მშვენივრად მოვლილი, უპრეტენზიო და უხმო, მაგრამ ურწმუნოთა დარწმუნებასაც რომ შეძლებს, ისეთი...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზღაპრული სამყაროს ამბები...

## თქვენ ნახეთ, რა ყოფილა ბედნიერება!

ჭიათურელი ქალბატონის, **მაია ტყემალაძის** ნამუშევრები შემთხვევით აღმოვაჩინე თბილისის ერთ-ერთ საგამოფენო დარბაზში. ისინი უნიკალურია. ქალბატონი მაია თავის ნაკეთობებს მცენარეთა თესლითა და ზღვის ნიჟარებით ქმნის. ამ ზღაპრულ სამყაროს ქართული მიწის მადლი და ქართული ცის ფერები აქვს...

ამ სამყაროზე კი თავად ქალბატონი მაია გვიამბობს:



### სევდამ დამაწყებინა...

ღმერთმა იმდენი სილამაზე გვაჩუქა, რომ ყველაფერი თვალწინ გვაქვს, მხოლოდ დანახვაა საჭირო. მე პომიდვრის თესლით დაწყებული, ზღვის ნიჟარების ჩათვლით, ყველაფერში სილამაზეს ვხედავ და გადასაყრელად ვერ ვიმეტებ. ეს საქმე კი — სევდამ დამაწყებინა: დედა რომ გარდამეცვალა, ჩვენი სოფლის ეკლესიის ნიშაში მისი დანთებული სანთლის ნაღვენთები ვნახე. ნაღველი შემომაწვა. ავანთე ლამპა, ჩამოვიღე თაროდან დედაჩემის ხელშენავლები ქოთანი და მინდვრის ნიჟარებით მისი მორთვა დავიწყე. დილისთვის დავამთავრე. გაიარა ჩემმა ძმამ, შეხედა ქოთანს და — რა მშვენიერიაო, — თქვა...

მერე ბევრი რამ გავაკეთე და რაც გავაკეთე, ჩემს ჭიათურელებს ძალიან მოსწონთ.

### ჭიათურელები

ახლა მოგიყვებით, როგორი ხალხი ცხოვრობს ჭიათურაში. რამდენიმე წლის წინ საჩხერიდან ქუთაისში ფეხით მიმავალ მომლოცველთა ჯგუფს გავყევი. აფხაზეთის დაბრუნებისათვის ვლოცულობდით. ცივი დღე იყო. სოფელ ნავარძეთში ცოტა ხნით შევისვენეთ. კურთხევა მოგვცეს, ვისაც შეგიძლიათ, ეკლესიამდე ფეხშიშველა იარეთო. ვიფიქრე, ამას ვინ შეძლებს-მეთქი და გავოგნდი, როცა ხალხმა ფეხზე გახდა დაიწყო. ქვაღორღლიან გზაზე ვიარეთ, ქვა და ყინული ფეხში ერჭობოდათ... სოფელი ლობეებს მოაწყდა და მლოცველების დანახვაზე ატირდა.. იქ ერთი ქალი იყო. ფეხშიშველობას კიდევ წარმოიდგენს კაცი, ყინვაში სიარულისას ფეხი მაინც თბება, მაგრამ ის ქალი ლოცვის დროს საათობით იდგა ტაძრის გაყინულ იატაკზე... ახლა სხვა რამესაც გეტყვით: ჭიათურაში დაბადებიდან ბრმა პოეტი, ვახტანგ დეკანოიძე ცხოვრობს. პირველად ეკლესიაში რომ დავინახე, ახალგაზრდა კაცმა მოიყვანა. მაშინ არაფერი მითქვამს, მაგრამ მეორედ მის მხლებელს რომ გამოველაპარაკე, მითხრა, ეს რა არის ქალბატონო მაია, თბილისში რომ ვსწავლობდით, ოთხი წელიწადი უნივერსიტეტში ლექციებზე დამყავდაო... სხვათა შორის, საჩხერე-ჭიათურის მწერლების გაზეთს, „საშევარდენოს“ რომ ვუშვებდით, ის ბრმა პოეტი ისეთ იმედიან ლექსებს გვიგზავნიდა, წუთიერად შემოპარული უიმედობისა შემრცხვებოდა ხოლმე.

ერთსაც გიამბობთ: სოფელ გორისიდან მეგობარი მყავს. დაახლოებით 25 წლის წინ ავარიაში დასახიჩრდა. ლოგინს მიჯაჭვულმა ორი უცხო ენა შეისწავლა. ახლა კი სოფლის ბავშვებს ასწავლის. როცა მივალ, ისეთი გასხივოსნებული სახით შემხვდება, თავს უფლებას ველარ ვაძლევ, რაიმე ცუდზე ვიფიქრო.- მე, სალმა და ჯანმრთელმა, რამე რომ გავაკეთო, ადამიანს რომ სიამოვნება მივანიჭო, ეს რა გასაკვირია?

მეკითხებიან, ეს ფერები საიდან მოგაქვსო. ეს ფერები ყოველი ჩვენგანის სულშია. ჩვენი ყოფა და სული მაშინ განაცრისფრდა, როცა ევამ შესცოდა. მაგრამ ის ფერები არ გამქრალა,



მიიძინეს. თუ გაფაციცდები, დაინახავ და შემოდგომაზე გაყვითლებულ თუთის ფოთოლს ბრმასავით აღარ ჩაუვლი. აუცილებლად უნდა გაიხედო მისკენ. იმიტომ, რომ შემოდგომით თუთის ფოთოლი კი არ უშნოვდება ჭკნობისას, მწიფდება და მზეზე უფრო თბილი ხდება...

ჩემს ნაკეთობებში ხშირად „ხოხბის საკენკარას“ ვიყენებ — მთის ბალახია. იცით, როგორ ვიპოვე? შემოდგომაზე მივდიოდი ფერდობზე. ვხედავ, წითლად აღუღუნებულ მოცვსა და ასკილს შორს, რაღაც თეთრად ანთია. მივედი და აყვავებული ბალახი დავინახე. ისე თეთრი იყო, საპატარძლო კაბას ჰგავდა. ამასობაში ფერდობს ხელჯოხიანი მოხუცი მოადგა. რას უყურებ, ბაბუკოო, მკითხა. ეს რა არის-მეთქი. მაგას, ბაბუა, „ხოხბის საკენკარას“, „ჩიტიკვირცხას“ და „ნატვრის ყვავილს“ ეძახიანო. თუ გინდა, რამე ჩაუთქვი, ნატვრას შეგისრულებსო. თუ რამე ლამაზი გავაკეთე, სულ „ხოხბის საკენკარას“ დამსახურებაა. ამ ბოლო დროს ისიც გავიგე, მისი ნახარში ორგანიზმს წმენდსო... მე კი ის ვიცი, რომ სულს ნამდვილად წმენდს.



### ყვავილები

ყვავილების გამოსაყვანად პომიდვრისა და ბულგარული წიწაკის თესლს ვიყენებ. ნემსის წვერით ვილებ, ერთმანეთს ვაწებებ და მერე ვღებავ. ზუსტად ისეთი გამოდის, როგორიც ველებზეა. კიტრის თესლისგან კი ველის გვირილებს ვაკეთებ. ლელვის თესლიც კი გამომიყენებია. ზღვის ნიჟარებით ყაყაჩოებიც გამიკეთებია. თესლია თუ ნიჟარა, ყველა ჩემთან მოარბენინებს — ნახე, რაიმეში გამოგადგებაო... ერთმა მეგობარმა იტალიიდანაც ჩამომიტანა ზღვის ნიჟარები, მაგრამ ჩვენი უფრო ლამაზია, იცით, რატომ? ქართული ზღვის და მიწის სითბო აკლია იტალიურს...

ჩემს ბიძასა და სიძეს საფუტკრე აქვთ. ნიჟარებს ხშირად იქ ვაგროვებ. კი მრცხვენია, სულ ასე ძებნა-ძებნით რომ დავდივარ, მაგრამ თუ ვინმე გაიკვირვებს, მანდ რას აკეთებო, ოქროებს ვეძებ-მეთქი, — ვპასუხობ...

### მადლი

ყველა დროს თავისი განწყობა შეაქვს ნაკეთობებში. გაზაფხულზე თუ შევაგროვე ნიჟარები ან თესლი, რასაც გავაკეთებ, გაზაფხულს ჰგავს, შემოდგომაზე ნაგროვები — შემოდგომას... 900-მდე ექსპონატი მაქვს. დანარჩენი გავაჩუქე. რომ არ გავაჩუქო, არ შემიძლია — იმიტომ, რომ გაცემა მადლია. ხან ვყიდი კიდეც — ერთი სამადლო საქმის გაგრძელება მინდა — ხომ ვთქვი, საჩხერე-ჭიათურის მწერლების გაზეთს ვუშვებდით-მეთქი. შესაძლოა ბევრ სუსტ ლექსსა თუ მოთხრობას ვბეჭდავდით, მაგრამ ჩვენთან ეს ერთადერთი სინათლე იყო და... ეს გაზეთი მინდა გავაცოცხლო. ალბათ ხალხს რომ ჩემი გამოფენის შესახებ გაეგო, ბევრად მეტი ნამუშევარი გაიყიდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, რეკლამის გაკეთებაში დახელოვნებული არ ვარ. გამოფენის მოწყობაც ჩემმა ახლობლებმა ამიჩემეს, მაგრამ დედაქალაქში თურმე ძვირი ღირებულა დარბაზები — დღეში 300 ლარი მოითხოვეს. ამდენი სად მქონდა... მერე „რუსთაველის საზოგადოებამ“ საგამოფენო დარბაზი უფასოდ დამითმო...

### ბავშვები

ამას წინათ ბავშვები მოვიდნენ და მთხოვეს, — მაია დეიდა, რასაც აკეთებ, ჩვენც გვასწავლეო. რა თქმა უნდა, ვასწავლი — ეს ჩემი ოცნებაა. მით უმეტეს, რომ ახლა ბავშვებს სხვანაირი გაფაქიზებული ხედვა გაუხდათ. თბილისში გამოფენა რომ მქონდა, ბაბუას გოგონა მოჰყვა და ასეთი რამ დამიწერა: „ამოსულა მზე და ვარსკვლავის განათება უსწავლებია თქვენთვის. მინდა თქვენს ვარსკვლავს „სიყვარული“ დავარქვა და მეც დავინახო მზის შუქით განათებული ვარსკვლავი. გილოცავთ. თქვენ ნახეთ, რა ყოფილა ბედნიერება“...

*მოამზადა*
*ეთერ ერაძემ*


2003 წლის ბუკერის პრემია




დიბისი პიერი
ვერნონ გენიოს ლითლი
რომანი

ახალი წიგნი

ფასი
12.00 ლარი

376 გვერდი მაგარი ყდა

21-ე საუკუნის ყველაზე შთამბეჭდავი დებიუტი

ტეხასის პატარა ქალაქ მარტირიოში შემაძრწუნებელი ტრაგედია დატრიალდა. ერთ-ერთ სკოლაში ცეცხლსასროლი იარაღით 17 მოსწავლე მოკლეს. თანაკლასელთა მკვლელობაში ეჭვმიტანილია 15 წლის ვერნონ გრეგორი ლითლი, მანამდე არაფრით გამორჩეული მოსწავლე. პოლიცია და საზოგადოება ვერნონისაგან დანაშაულის აღიარებას მოითხოვს, სასამართლო სიკვდილს მიუსჯის, მასმედია კი ცდილობს, იგი ახალი ლაივშოუს გმირად აქციოს...



ცხოვრების ახალი სტილი

პროექტირება
დიზაინი
მშენებლობა
რემონტი
შეკიდული ჭერი



ვაჟა-ფშაველას გამზ. 45
ტელ: 899 23 13 28
899 25 63 14

# მამულ-დედული

## ბაღებსა და ტყეებს ასე აღვადგენთ...

საქართველო რომ ხეხილის მრავალი კულტურის, მათ შორის ვაშლის, მსხლის, კომშის და ა.შ. სამშობლოდ ითვლება, ამის შესახებ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჯერ სტრაბონმა (ისტორიკოსმა და გეოგრაფმა) პირველ საუკუნეში, ხოლო შემდეგ ქსენოფონტემ (VI საუკუნეში) დაგვიტოვეს



ცნობები. ისინი წერდნენ, რომ „საქართველო ყოველგვარი სიკეთით შემკული, ყველანაირი ხილითა და ნაყოფით სავსე ქვეყანა იყო“. შემდგომ საუკუნეებშიც, მიუხედავად უცხოელ დამპყრობელთა მრავალგზის თარეშისა, მეხილეობის განვითარება მაღალ დონეზე მდგარა, რასაც მოწმობს ჟან შარდენის ცნობებიც საქართველოს იმდროინდელი სოფლის მეურნეობის შესახებ.

გასულ საუკუნეში ათიათასობით ჰექტარი ბაღ-ვენახი გაშენდა, რომელსაც შესანიშნავად აწყობილი მექანიზაციისა და მელიორაციის მეურნეობებიც ჰქონდათ. ასევე შენდებოდა ტყის მასივები. მეურნეობის ყველა დარგი მარაგდებოდა შესაბამისი სასუქებით, შხამქიმიკატებით... ასე რომ, გამწვანება გამწვანებას ჰგავდა, ტყეპარკები — ტყეპარკებს, ტყე ტყეს, ბაღ-ვენახი ბაღ-ვენახს...

50-იან წლებში, თბილისში, მდინარე ვერეს ნაპირზე ააშენეს წყალსაქაჩი და ორი დიდი აუზი, საიდანაც სარწყავი წყალი მიეწოდებოდა ვაკის პარკს, წყნეთის, ბაგების და კუს ტბის გამწვანებას. ახლა კი წყალსაქაჩი გაჩერებულია, აუზები სავსეა ლამით, პატრონი კი დღემდე არ ჩანს. სანამ წყალსაქაჩი გაუქმდებოდა, მთელი ვერის ხეობის გასწვრივ კლდოვანი ფერდობებიც კი, ბაღ-ვენახებით დამშვენდა. იმდენი ხილ-ბოსტნეული მოჰყავდათ, ბაზრებსაც ამარაგებდნენ. იმ წყალსაქაჩის წყალობით გამწვანდა ვერეს ჩაყოლებაზე გახრიოკებული ქედი, ლისის ტბის შემოგარენი... ვფიქრობ, ეს წყალსაქაჩი უნდა აღდგეს, თორემ ზემოთ ხსენებული ნარგაობის დიდი ნაწილი გახმა, ზოგი მოჭრეს, ზოგიც დაწვეს. დაწვეს იმავე მიზნით, რა მიზნითაც ბაგების ფიჭვნარი, რომელშიც ახლა საცხოვრებელი სახლებია აშენებული!

გლდანის მასივში (და კიდევ სხვაგანაც) დიდი ხანია ჩამოაქვთ ათეულობით მანქანა შეშა და იყიდება ისე, როგორც ოხრახუში ან ნიახური და კაციშვილი არ ეკითხება საიდან, როგორ მოახერხეს ამდენი ტყის გაჩეხა! — როდემდე შეიძლება ასეთი უპატრონობა?!

გაზაფხული დადგა. ამიტომაც სწორედ ახლა შეგვიძლია ვიზრუნოთ ტყის გაშენებაზე... თითომ თითო ხე მაინც დავრგოთ...

ალბათ ბევრმა არ იცის, რომ ვაკის პარკი ძირითადად შაბათობებით გაშენდა. ამავე წესით გამწვანდა მთელი თბილისის შემოგარენი... ვფიქრობ, შაბათობების ტრადიცია უნდა აღდგეს. გასაგებია, როცა კაცს თავისი თავი და ოჯახი გასჭირვებია, ძნელია შესთავაზო საერთო საქმეში ანაზღაურების გარეშე მონაწილეობა, მაგრამ ასე თუ გაგრძელდა (ათასობით ხე იჭრება, დარგვით კი არც ერთი არ ირგვება), მთლად გაუდაბნოვდება ქვეყანა. ტყეების გაჩეხამ რაც გამოიწვია საქართველოში — ნახევარი ქვეყანა წყალმა, მეწყერმა და ნამქერმა დააზარალა — მგონი ამის დავიწყება არ შეიძლება.

ნერგებზე, ვფიქრობ, გამწვანების შესაბამისმა სამსახურებმა უნდა იზრუნოს. ჩვენ კი, ვისაც საკუთარი მამულ-დედული გვაქვს, ყოველწლიურად შეგვიძლია შევმატოთ ბუნებას: თხილის, ბროწეულის, ლეღვის, ალუბლის და ა.შ. რამდენიმე ძირი ხე მაინც.

## გაზაფხული ძალაშია!..

დარწმუნებული ვარ, მამულ-დედულის პატრონი არც დღემდე იჯდა გულხელდაკრეფილი, რადგან ჯერ შემოდგომა-ზამთრის სამუშაოები ჰქონდა ჩასატარებელი, ხოლო შემდეგ ადრე გაზაფხულისა. თუ დღემდე რალაც მიზეზის გამო მამულისთვის არ მიგიხედავთ, ახლა მოგიწევთ „თავის გამოჩენა“. ძირს ჩამოყრილი დაავადებული ნაყოფი, ფოთლები და დაზიანებული ტოტები მოფოცხეთ და დაწვით, ამოსაძირკვი ამოძირკვეთ, შესაწამლი შეწამლეთ, დასარგავი დარგეთ და რაც მთავარია, გასასხლავი გასხალით. ხეხილსა და ბუჩქნარს ჯერ ხმელი ტოტები მოახერხეთ, მერე უადგილო ადგილას ამოსულები. ასეთ ტოტებში იგულისხმება შტამბზე განვითარებული ან ტყუპისცალი ტოტი ანუ იმათგან ერთ-ერთი, რომლებიც ერთმანეთთან ძალიან ახლოს არიან.

მოზარდ ბაღში, ნაზარდის მესამედი ნააჭრით, თუ საძირედან ამონაყარი აქვს, აუცილებლად შეაცალეთ. სხვლის დროს დაიცავით ასე-



თი პრინციპი — ხის ვარჯი უნდა გაიზარდოს სიგანეში, რისთვისაც საჭიროა ამონაყარზე წვერის ნაჭრის ან საერთოდ ტოტის გადაჭრის დროს გარეთა კვირტი დატოვოთ. ამოჭერით ხშირი ტოტები. თუ გინდათ, რომ თქვენმა ახალგაშენებულმა ბაღმა მალე მოისხას, სიმაღლეში გაზრდილ ტოტებს წვერში წააბით კანაფი, ნელ-ნელა გადაღუნეთ, მიიყვანეთ რკალის ფორმამდე და შტამბზე მიაბით.

ახლა ვენახს მივხედოთ. არ ინერვიულოთ, გასხვლა დაგვიანებული არ გახლავთ. თუ გნებავთ, რომ თქვენი გასხლული ვენახი კარგად გამოიყურებოდეს და „ნაჭრილობევიც“ არ ეტყობოდეს, სეკატორი კარგად გალესეთ. სხვლა დაიწყეთ შტამბიდან. შეაცალეთ ყველა ამონაყარი, გარდა იმისა, რომლის გადაწიდვნასაც აპირებთ. ხეივანი გასხალით 2-3-4 კვირტზე. ორკვირტიანი რქა ყველა შემთხვევაში სამამულეა, დანარჩენები — სანაყოფეები. თუ შეამჩნევთ, რომ შარშანდელი ნაზარდი ძალიან სუსტია, ჯობია ის გაწვრილებული მხარი მთლიანად შეაჭრათ, — საგაისოდ უკეთესი ამოვა! გასხვლის შემდეგ ძველი ტოტები ხეივნის საყრდენზე მიაბით. მისაბმელ მასალად ყველაფერს ჯობია ტრიკოტაჟის ნაკუწები. აკვრას რომ მორჩებით, ვაზს შტამბზე დახეთქილი და აქერცლილი ტყავი მთლიანად აცალეთ, ვინაიდან მასში ჭიაღუა იბუდებს. ქერქი დაწვით, ნაცარი ძირებში მოუყარეთ.

თუ დღემდე ბაღ-ვენახი არ დაგიბარავთ და მთლიანად დაბარვა არ შეგიძლიათ, ძირები მაინც ამოუბარეთ, სასუქს თუ შეიტანთ, მთლად უკეთესი.

## ბოსტნის სამუშაოები

სასწრაფოდ საჭიროა ნიადაგის თესვისწინა დამუშავება. ღია გრუნტში დათესეთ იგივე კულტურები, რაც ითესება თებერვალში. ამას მიუმატეთ: სუფრის ჭარხალი და აღმოსავლეთ საქართველოში — ისპანახი.

ღია გრუნტში ირგვება: კომბოსტო თავიანი და ყვავილოვანი, კეუერა მხალი, პრასი.

დახურულ გრუნტში ითესება: ბადრიჯანი, პამიდორი, წიწაკა, პრასი, ქონდარი, რეჰანი, ზაფრანი.

თუ გნებავთ, რომ საადრეო და მაღალხარისხიანი მოსავალი მოიწიოთ, გამოიყვანეთ ჩითილები. ეს არცთუ ისე ძნელია და საიმედოც არის. ჩითილის გამოყვანა ოთახის პირობებშიც შეგიძლიათ.

ღია გრუნტში დარგვამდე 50-70 დღით ადრე, თქვენთვის სასურველი კულტურის თესლი დათესეთ ხის ყუთებში, რომლის სიგრძე 50 სმ-ია, სიგანე — 35 სმ, სიმაღლე 10 სმ. ყუთი შეავსეთ 20 წილი კორდის მიწის, 1 წილი გადამწვარი ნაკელის, 1 წილი მდინარის ქვიშის ან ნახერხის ნაზავით, ოდნავ მოტკეპნეთ, წვერწათლილი ჯოხით დახაზეთ 5-5 სანტიმეტრის დაცილებით, ღარებში ჩათესეთ თესლი, ზემოდან მოაყარეთ 0,5 სმ სისქის ფხვიერი მიწა, მორწყეთ, დააფარეთ მინის ნაჭერი ან პოლიეთილენის ფირი და დადგით ოთახში, სადაც იქნება არანაკლებ 15 გრადუსისა. 5-10 დღეში აღმოცენდება (ყუთი დადგით მზიან ფანჯარასთან, სამხრეთ მხარეს). თუ გარეთ ტემპერატურა 8 გრადუსი და მეტია, ყუთი გადგით აივანზე, ღამით ისევ შემოიტანეთ. მორწყეთ წვრილბადიანი სარწყავით. პირველი ფოთლების განვითარებისთანავე მცენარე უნდა გადაირგოს ისეთივე ზომის ყუთებში (6X6 ან 8X8სმ დაშორებით), მრგვალი, მახვილწვერიანი პალოთი. ჩითილი ირგვება ლებნამდე. ნერგები მორწყეთ და 1-2 დღით დადგით დაჩრდილულ ადგილზე, შემდეგ ყუთები გადაიტანეთ ნათელ ოთახში.



ჩითილების მოვლა: საჭიროებისამებრ მორწყვა, მინერალური სასუქების ხსნარით გამოკვება, 0,5%-იანი ბორდოს ხსნარის შესხურება. გადარგვამდე 2-3 დღით ადრე გარემო პირობებთან შეგუების მიზნით ყუთები გაიტანოთ გარეთ. გადარგვის წინ 3-4 საათით ადრე მორწყეთ.

1 კვმ ფართობიდან მიილება 120-150 ჯანსაღი ჩითილი. გახსოვდეთ, თუ პამიდორს დავრგავთ 70 X 50 სმ მანძილზე, 10 კვმ ფართობზე დაგჭირდებათ 28 ძირი, 70-30 სმ-ის შემთხვევაში — 47, ხოლო 60 X 25 სმ-ის დროს — 66 ძირი.

### მკითხველის ფოტო



სამტრედიელი „ტყუპები“

### რედაქციისაგან:

ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ.

გაგვიზიარეთ თქვენი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვაწოდეთ საკუთარ მამულ-დედულში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოები (ამ ნომერში კიდევ ერთ ფოტოს გთავაზობთ).

წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით.

*გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ*

### ერთი სვეტი შეკითხვებისთვის

## ვინც ვენახის გაშენებას აპირებს



*იმის გამო, რომ ჩვენი რუბრიკის მკითხველები ხშირად მოგვმართავენ შეკითხვებით, რომლებიც ვაზის გაშენებას შეეხება, შევეცდებით ვრცლად მოგითხროთ აღნიშნულის შესახებ.*

მაშ ასე, სად, როდის და როგორ დავრგოთ ვაზის ნერგი, როგორ გამოვიყვანოთ სარგავი მასალა, რა პირობები უნდა დავიცვათ მისი დარგვისა და შემდგომი მოვლა-პატრონობის დროს.

პირველ რიგში ვენახის გასაშენებელი ნაკვეთი დაცული უნდა იყოს ქარისგან, გამოუსადეგარია დაჩრდილული ადგილები, ციცაბო ფერდობები. სასურველია ფართობის სამხრეთი ნაწილი, ნიადაგი კი ყოველგვარი გამოდგება, გარდა დაჭაობებულისა. საქართველოს პირობებისთვის საუკეთესოა სამრეწველო ჯიშები: საფერავი, რქაწითელი, კახური მწვანე, გორულა მწვანე, ჩინური, ხიხვი, სუფრის გორულა, ცოლიკაური, ციცქა, წულუკიძის თეთრა, ალექსანდროული (რომლისგანაც „ხვანჭკარას“ ტიპის ღვინოს წურავენ), უსახელოური, ოჯალეში და ჩხავერი. რა თქმა უნდა, რაიონებისა და კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

შესანიშნავია აგრეთვე დიდი ხნის წინ ჩვენში დანერგილი ჯიშები: განჯური (სუფრის), ალიგოტე (სალვინე, საშამპანურე), პინო (სალვინე და საშამპანურე), კაბერნე (ბორდოს ცნობილი წითელი ღვინოები ამ ჯიშის ყურძნისგან მზადდება). მართალია მათ მოვლა-პატრონობას მეტი შრომა და სახსრები სჭირდება, მაგრამ მათგან მილებული ყურძენი და ღვინოც გაცილებით მეტად ფასობს.

მაღალხარისხიანი ნერგი შეგიძლიათ შეიძინოთ სანერგე მეურნეობებში. მას უნდა ჰქონდეს კარგად განვითარებული ფესვთა სისტემა და ნაზარდი. ნერგის დაფესვიანება თქვენც შეგიძლიათ ვაზის საუკეთესო რქებისგან.

ნიადაგი წინასწარ უნდა მოიხნას ან ღრმად დაიბაროს. სარწყავ ნიადაგში დარგვის სიღრმე 20-25 სმ-ია, მშრალ და მსუბუქ ნიადაგებზე კი 30-35 სმ-მდე. დარგვა შეიძლება ზამთრის თბილ დღეებშიც, შემოდგომით და გაზაფხულზე. გაზაფხულზე დარგვა უნდა დამთავრდეს კვირტის გაშლამდე.

დიდი მნიშვნელობა აქვს ვენახის მწკრივების მიმართულებას.

დარგვისთანავე უნდა მოვაწყოთ ერთმავთულიანი შპალერი ან შევუდგათ ჭიგო. გარდა ამისა, თავიდანვე უნდა გატარდეს ყველა აუცილებელი აგროტექნიკური ღონისძიება: რწყვა, სასუქების შეტანა, ნამხრევის შეცლა, ახვევა, შეწამვლა... მესამე-მეოთხე წელს კი ვაზი უკვე მსხმოიარე ხდება.

გაცდენილ ადგილზე ახლის დარგვას ჯობია ვაზის მხრის დაგრძელება და მიწაში ჩაწიდვნა: წვერისკენ არსებულ რქის ნაწილს, 5-7 მუხლს ვაკრავთ მავთულზე, დანარჩენს კი მიწაში ვაწვენთ, ოლონდ წვერს მიმართულებას ვაძლევთ შტამბისკენ. გადაწიდნული რქა ივითარებს ფესვებს და ეხმარება დედა ვაზს, რომლის მოსავალიც ორჯერ იზრდება.

ამ მეთოდების გამოყენება, ნებისმიერი ჯიშის ვაზზე შეიძლება.

### მოზაიკა

* * *

*თმის ერთი ღერი 100 გრამამდე დატვირთვას უძლებს, ადამიანს თავზე 200 ათასი ღერი თმა აქვს. გამოანგარიშებულია, რომ ქალის ნაწნავს 15-20 ტონა ტვირთის აწევა შეუძლია. ძველ კართაგენში ქალის თმას ქვის სატყორცნი იარაღის დასამზადებლად ხმარობდნენ.*

* * *

*როგორც იაპონელმა მეცნიერებმა დაადგინეს, თუთიყუშები ყველაზე ადვილად ლათინურ ენას სწავლობენ.*

* * *

*ახალ სახლში პირველს ძაღლს უშვებდნენ. რა ადგილზეც ცხოველი დაიძინებდა, საწოლსაც იქ დგამდნენ. როგორც ირკვევა, ადამიანისაგან განსხვავებით დადებით ენერგიას ძაღლები ადვილად გრძნობენ.*

# 13-დან 19-მდე

## მოწევა გოგონებმა დაამწყებინეს

*გაკვეთილების მომზადებისკენ თურმე ქუჩამ უბიძგა; შატალოზე დადიოდა, მაგრამ მასწავლებლები მაინც აქებდნენ; სიყვარულში მორიდებულსა და ჩხუბში მოქნილს, სიგარეტის მოწევა გოგონებმა დააწყებინეს; თინეიჯერობისას დისკოთეკაზე ცეკვა მოსწონდა, მაგრამ დღეს თავის თინეიჯერ ქალიშვილს იმავეს უკრძალავს.*

*გაეცანით „პინკ ფლოიდებზე“ გაზრდილი* **ზურა შარიას** *სიყმაწვილის ამბებს.*



— **ყმაწვილკაცობაში პირველი სერიოზული ნაბიჯის გადადგმა ძნელი იყო?**

— შეიძლება ზუსტად ვერ განსაზღვრო, რა გინდა, რა შეგიძლია, თუმცა შენი არჩევანი იმაზე მიუთითებს — ვინ ხარ, როგორ ოჯახში გაიზარდე, ვინ იყვნენ შენი წინაპრები... როცა ღირსების გრძნობა გაგაჩნია, სხვის ფეხის ხმას ადვილად არ აჰყვები. ჩემი პირველი სერიოზული ნაბიჯი ყმაწვილკაცობაში სპორტს უკავშირდება, ლამის ყველაფერზე დავდიოდი — კალათბურთზე, ჩოგბურთზე, ხელბურთზე, კლდეზე ცოცვაზე (სიმაღლის შიშის გამო შევეშვი), ცურვაზე... ვერ ვიტყვი, რომ ქუჩისთვის დრო არ მქონდა. ისეთ ფანტასტიკურ ეზოში და ისეთ ხალხთან მიწევდა ურთიერთობა, დღემდე ვამბობ, — ზრდილობა ქუჩამ მასწავლა-მეთქი. გაკვეთილების მომზადებაც იმიტომ მინდოდა, ქუჩაში უწიგნურის შთაბეჭდილება არ დამეტოვებინა...

— **სხვის ფეხის ხმას არა, მაგრამ გულისთქმასაც არ აჰყოლიხარ?**

— შეიძლება უხერხულია ამის ხმამაღლა თქმა, მაგრამ როცა შენი ოჯახი საზოგადოების თვალსაწიერშია მოქცეული, შენდა უნებურად ხვდები, რომ შენი ქცევა მეტ პასუხისმგებლობას გაკისრებს, თუმცა, არ მახსოვს ოჯახს ჩემთვის რამე აეკრძალა. როცა მინდოდა, შატალოზეც დავდიოდი და ფეხბურთის სათამაშოდაც... ისე, სკოლაში რაც უნდა დამეშავებინა, ამბობდნენ, — ზურა ზრდილობიანი ბიჭიაო. თუმცა მოუმზადებელი არასოდეს მივსულვარ, არ შემეძლო მეთქვა, — გაკვეთილი არ ვიცი-მეთქი.

— **შენი ეზოდან რას გაიხსენებდი?**

— ფილმი „ჩვენი ეზო“ აქ გადაიღეს. ჩვენს ურთიერთობას მეზობლური არ ეთქმოდა, დიდი ოჯახივით ვცხოვრობდით. თანატოლები სულ სამნი ვიყავით, მაგრამ მეგობრების სიმცირეს არ ვუჩიოდით, 10-15 წლით უფროსებთანაც ვძმაკაცობდით... ერთხელაც, ზაფხულში ძალიან რომ დაცხა, ბიჭებმა ეზოში დაძინება გადავწყვიტეთ... მოვიტანეთ „ლეჟანკები“ და მთელი კვირა მართლა გარეთ გვეძინა. უფროსები დილით, მანქანებს ეზოში არ ქოქავდნენ, ქუჩისკენ აგორებდნენ, ბავშვები არ გავაღვიძოთო...

— **ძმაკაცებთან ერთად „გადახვევებიც“ იქნებოდა...**

— ექიმობა მინდოდა, ამიტომაც სკოლის დამთავრების შემდეგ სტაჟისთვის საავადმყოფოში დავიწყე მუშაობა. დილით ადრე, მე და ჩემზე 10 წლით უფროსი ძმაკაცი, ვიქტორ ფილია (იგივე ფილო) ერთად გავდიოდით ეზოდან. იმასაც სამსახურში ეჩქარებოდა. ზოგჯერ შევეკითხებოდი, — ფილო, შინაგანი ხმა რას გეუბნება-მეთქი, — მიპასუხებდა, იმავესო. ეს კი ასე „იშიფრებოდა“: — გვინდა ახლა ჩვენ სამსახურში წასვლა?! და ჩვენც ხან მალაზიაში მივდიოდით, ხან ბაზარში... სხვებიც შემოგვიერთდებოდნენ და ვქეიფობდით...

— **სამსახურში რას აკეთებდი?**

— მე-2 საავადმყოფოში (კამოს ქუჩაზე) ბაბუამ, ცნობილმა გინეკოლოგმა, პროფესორმა ზურაბ ჭელიძემ მომაწყო. 19 გოგო და 2 ბიჭი ვიყავით. დილას პათანატომიის კათედრიდან ვიწყებდით (იქ უფასო რძე რიგდებოდა), მერე ყველას თავთავისი საქმე ჰქონდა. სალამო ხანს ხან სახინკლეში ვიკრიბებოდით, ხან „ლალიძეში“ და ხან სად. მე კურიერი ვიყავი, საბუთები დანიშნულ ადგილას უნდა მიმეტანა, სხვა საავადმყოფოდან კონსულტანტი მომეყვანა... მსუბუქი სამუშაო მქონდა. ხანდახან ოპერაციებსაც ვესწრებოდი...

— **შენიშვნა თუ მიგიღია?**

— ბატონი გუგა კუზანოვისა „მეშინოდა“, წვერგაუპარსავი ვერ დავუნახვებოდი...

— **სიყვარულს როგორ უხსნიდით შენი თაობის ბიჭები?**

— გვერიდებოდა, საერთოდაც, ჩვენი თაობა უფრო თავშეკავებული იყო. მე და ჩემი მეუღლე ია ცინცაძე კლასელები ვართ... სკოლაშივე გვიყვარდა ერთმანეთი, თუმცა იასთვის არასოდეს მითქვამს — მიყვარხარ-მეთქი. მასთან სახლშიც მივდიოდი. არ ვიცი, იას მშობლები ხვდებოდნენ თუ არა რაიმეს, მაგრამ არაფერს იმჩნევდნენ.

— **ყვავილებს ჩუქნიდი?**

— როგორ არა... ერთხელ დაბადების დღეზე ძოწისთვლიანი ოქროს კულონი მივუტანე... მაშინ თანაკლასელები ასეთ რამეს არ ჩუქნიდნენ ერთმანეთს... მოკლედ, იასთვის ყველაფერი გასაგები იყო. სხვათა შორის, დღესაც აქვს შენახული. მე? — რა შემენახა, წერილიც კი არ მოუწერია.

— **ბიჭები რაზე ჩხუბობდით ხოლმე?**

— ათას სისულელეზე... თავიდან ყველაფერს ვაკეთებდით იმისთვის, რომ არ გვეჩხუბა, მაგრამ ვილაც ცემას თუ იმსახურებდა, მიიღებდა კიდეც. ბოლოს ყველაფერი მაინც შერიგებით მთავრდებოდა. რაც შეეხება დანას, იარაღს, შეიძლება, ვილაცებს ჰქონდათ კიდეც, მაგრამ ჩხუბის დროს ერთმანეთის მოსაკლავად რომ



გამოგვეყენებინა, წარმოუდგენელიც კი იყო.

— **ჩხუბში მწარედ მოგხვედრია?**

— ხელი ვის არ მოხვედრია... ერთხელ, სანამ ძმაკაცები მომისწრებდნენ, მარტო ვეჩხუბებოდი რამდენიმე ბიჭს, მაგრამ არც მაშინ მომხვედრია მწარედ. ბევრნი იყვნენ და ერთმანეთს ხელს უშლიდნენ. ჭკვიანად თუ იჩხუბებ, ნაკლებად დაზარალდები.

— **თინეიჯერი სიგარეტს თუ ეწეოდი...**

— ჩემმა ბიძაშვილმა გოგონებმა დამაწყებინეს მოწევა... რომ მოვიდოდნენ, მეც შემაჩეჩებდნენ... ისე, კლასში გოგონები ნაკლებად, მაგრამ ბიჭებიდან თითქმის ყველა ეწეოდა.

— **სასმელს როდის გაუსინჯე გემო?**

— ამ მიმართულებით უფრო „ვმუშაობდით“ — დალევა, რესტორანი, ქეიფი... პირველად ჩემს მეგობარ დევი დუნდუასთან დავლიე კონიაკი... მაინცდამაინც არ მომეწონა, მეორედ რომ უნდა დაგველია, ვერა-მეთქი, ვთქვი და აღარ დავლიე. დღესაც ასეა, თუ არ მინდა დალევა, ვერავინ დამაძალებს.

— **მუსიკაში ვისი ფანი იყავი?**

— მაშინ „აბბა“ და „ბონიემი“ იყო მოდური. დავაც ამ თემას შეეხებოდა — „აბბა“ სჯობდა „ბონიემს“, თუ პირიქით. ჩვენ უპირატესობას მაინც „პინკ ფლოიდებს“ ვანიჭებდით...

— **თინეიჯერებისთვის გასართობი ადგილიც არსებობდა კომუნისტების დროს?**

— ბარათაშვილის ხიდის ქვეშ იყო კლუბი „ამირანი“, სადაც დისკოთეკები იმართებოდა. მომწონდა დისკოთეკაზე ცეკვა, კარგად ვცეკვავდი მაშინაც და ახლაც... ერთგული შეყვარებული კი ვიყავი, მაგრამ გოგოსკენ თვალი რომ არ გაგქცეოდა, ქვა უნდა ყოფილიყავი. იას კი იქ ვინ გამოუშვებდა. სულ სახლში იჯდა და მეცადინეობდა.

— **დღეს უკვე თინეიჯერის მამა, გაუშვებ გოგონას დისკოთეკაზე?**

— სოფო ჯერ 15 წლისაა და დისკოთეკაზე ვერ გავუშვებ. კინოშიც რომ მიდის, მე მიმყავს და მე მომყავს. ყოველთვის უნდა ვიცოდე, სად არის ჩემი ქალიშვილი და რას აკეთებს.

— **გაინტერესებს, შეყვარებულია თუ არა?**

— რომ იყოს, შეეტყობა. ისე, დავინტერესდებოდი ვინაობით, რა ვიცი, ვის გადაეყრება. გოგონები დედას უფრო ენდობიან, მაგრამ არა მგონია, დამიმალოს...

— **ზურა, სასკოლო ფორმაზე რა აზრის ხარ?**

— სკოლაში აქცენტი სწავლაზე უნდა კეთდებოდეს და არა ჩაცმაზე...

## გამოხმაურება



*„გულახდილთა კლუბს“ რჩევისთვის 14 წლის ანკამ მიმართა. მას აინტერესებდა, როგორ უნდა გაეცნო ბიჭი, რომელიც შორიდან შეუყვარდა. მის თხოვნას ბევრი გამოეხმაურა. ეს-ემ-ესების გაცნობის შემდეგ ანკა მიხვდება, რომ სწორი არჩევნის გაკეთებაში მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დაეყრდნოს. გამოხმაურებები საინტერესოა და ამასთან, ერთმანეთისგან განსხვავებულიც. გთავაზობთ რამდენიმეს:*

საშიში არაფერია. მერე რა მოხდა, თუ გაიგო, რომ გიყვარს. როდემდე უნდა იყო თამაშგარე მდგომარეობაში?! დროზე გაიცანი, მნიშვნელობა არა აქვს, ბუნებრივად მოხდება ეს თუ არა. მთავარია, არ დაიძაბო და მშვიდად იმოქმედო.

***დიმა, 16 წლის***

დააკვირდი, სხვა გოგონები როგორ ცდილობენ მისი ყურადღების მიპყრობას და მერე შეეცადე, მათგან განსხვავებული ქცევით მოხიბლო. დაიმახსოვრე, შენს რჩეულს შეიძლება თავი თბილი დამოკიდებულებით, გულწრფელი ურთიერთობით შეაყვარო. დამიჯერე, ასე მხოლოდ დათო კი არა, ყველა შეგიყვარებს.

***იასე, 18 წლის***

ანკა, თუ ასე გინდა მისი გაცნობა, უნდა იმოქმედო, სისულელეა მას დაელოდო და იფიქრო, რომ შეიძლება შემთხვევით დაუახლოვდე. შენს ადგილას საერთო ნაცნობს გამოვნახავდი.

***დათო, 17 წლის***

ანკა, მგონი, შენ ის არ გიყვარს, უბრალოდ გატაცებაა. არ მესმის, უცნობი ადამიანი როგორ უნდა შეგიყვარდეს, მხოლოდ გარეგნობით და ქცევით არ შეიძლება ადამიანის შეფასება. გირჩევ, ჯერ გაიცნო და სიყვარულზე მერე იფიქრო.

***დიტო, 19 წლის***

ბიჭების უმრავლესობას არ მოსწონს, როდესაც გოგო იჩენს ინიციატივას. ასე რომ, ჯერ გაარკვიე, დათუნას როგორი გოგონები მოსწონს და მერე იმოქმედე.

***თამრო, 14 წლის***

ანკა, მსგავსი რამ მეც დამემართა. ლელა ყველაზე ლამაზი იყო სკოლაში. ბევრს მოსწონდა, ძლივს მოვახერხე ჩემთვის მოექცია ყურადღება. 2 წელი ერთად ვიყავით, მაგრამ მოულოდნელად ისე გამცვალა სხვაზე, თვალიც კი არ დაუხამხამებია. არ ღირს ზედმეტი ყურადღებით განებივრებულ ადამიანზე დროის დაკარგვა. ვინც ზედაც არ გიყურებს, იყოს თავისთვის.

***კეშა, 18 წლის***

დათუნასთან დასაახლოებლად აუცილებლად იაქტიურე, ოღონდ ზედმეტად ჯერ არა. მთავარია გაიცნო. ვინ იცის, შეიძლება მერე მასზე წარმოდგენა შეგეცვალოს კიდეც.

***სოფო, 16 წლის***

ანკა, შენ ჩემზე უკეთეს დღეში ხარ. მე ჩემი კლასელი შემიყვარდა, ხასიათებით დიდი არაფერი, მაგრამ ძალიან მიმზიდველია. არ მინდოდა ამის შესახებ სხვებს გაეგოთ, ამიტომაც თავს ვიმშვიდებდი, არ მიყვარს-მეთქი... არ გამომივიდა, სულ მასზე ვფიქრობ. ის კი არ ვიცი, ჩემზე რას ფიქრობს... ხშირად ვჩხუბობთ, თითქმის ყოველდღე. რაც არ უნდა ვთქვა, სულ დამცინის. ეს ყველაფერი კარგად გაიაზრე — იქნებ არც ღირს ბიჭს დაანახვო, რომ გიყვარს...

***„ბაჩკო“, 15 წლის***

რატომ იტანჯავ თავს ილუზიებით. გინდა ყველა გოგოს ჩამოეხსნას და მხოლოდ შენ შეგიყვაროს?! ბიჭს ამას ძალით ვერ გააკეთებინებ. ანკა, დათუნაც ერთი ჩვეულებრივი ბიჭია, ნუ აიდეალებ, თორემ მერე ინანებ.

***ნანო, 19 წლის***

## ჯეი ქეი ყურებამდეა შეყვარებული

**პოპმუსიკის სამყაროში ერთ-ერთი პოპულარული ჯგუფის „ჯამიროქვაის“ ლიდერზე ჯეი ქეიზე ამბობენ, ძალზე უცნაური ადამიანიაო. მოგვიყევით მის შესახებ. მაინტერესებს, ვინ არის მისი მეგობარი გოგონა?**

***ანანო, 16 წლის***



ჯეი ქეი ჯგუფ „ჯამიროქვაის“ 28 წლის სოლისტი მსახიობების ოჯახში დაიბადა. მამა (რომელიც არასოდეს უნახავს), პორტუგალიელია, ხოლო დედა, ინგლისელი კარენ ქეი კაბარეს მომღერალი იყო. დედა ჯეის გასტროლებზე სულ თან დაატარებდა, ამიტომ „დიეტაზე და ცოცხალ მუსიკაზე გაიზარდა“.

ჯგუფმა „ჯამიროქვაიმ“ 20 მილიონი ალბომი გაყიდა, ოთხი მსოფლიო ტურნე ჩაატარა, MTV-ს ხუთი ჯილდო მოიპოვა. მიუხედავად ამისა, ჯეი სვამს კითხვას: — რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ნამდვილ მუსიკოსებად გვაღიარონ? და თავადვე პასუხობს: — თუ ვინმეს ჰგონია, რომ ჩვენი მუსიკა ადვილად იქმნება, ცდება — ეს არის უდიდესი შრომის შედეგი.

ჯეი ქეის, როგორც „მწვანეების“ მხარდამჭერს, საყვედურობენ, თუ ბუნებას იცავ, „ფერარით“ რატომ დადიხარო. თუმცა ჯეის მიაჩნია, რომ მისი „ფერარი“ გარემოს არ აბინძურებს. გარდა ამისა, აღიარებს, რომ მანქანა უფრო ადრე შეუყვარდა, ვიდრე ხეები. ჯეის მანქანების სიყვარულზე მისი კოლექციაც მიანიშნებს: ორი „ფერარი“, სამი „ბმვ“, „ასტონ მარტინი“, „ლამბორჯინი“ და „მერსედესი“. თან, ქეის სისწრაფე უყვარს... შედეგიც სახეზეა: იმდენჯერ დააჯარიმეს, შეიძლება მალე მართვის მოწმობაც ჩამოართვან.

და კიდევ: ჯეი ქეი ყურებამდეა შეყვარებული პოპულარული გადაცემის, „Big Breakfast“-ის წამყვანზე, 24 წლის დენიზა ვან აუტინზე.

პოპმომღერალი ინგლისურ მყუდრო სოფელში (ხორსენდენში) 11-საძინებლიან და 6-აბაზანიან სახლში მარტო ცხოვრობს, თუ არ ჩავთვლით დასვენების დღეებს, როცა მასთან მხიარული დენიზა მიდის...

ვერ გეტყვით, რამდენად უცნაურად შეიძლება მოგეჩვენოთ მისი სურვილი, მაგრამ „ჯამიროქვაის“ ლიდერმა გადაწყვიტა თავისი ფანები შემოსოს. ჯეი ამბობს, რომ სამოსი „ველური“ იქნება, ქუდები კი ექსტრავაგანტური.

## გულახდილთა კლუბი



## როგორ დავძლიო სიმორცხვე

მინდა ჩემს პრობლემაზე მოგიყვეთ. ძალიან მორცხვი ვარ, ზოგჯერ იმდენად, რომ სიტყვის თქმასაც ვერ ვახერხებ. ყველაზე საშინელი კი ის არის, რომ გამოცდებზეც იგივე მემართება.

მირჩიეთ რა ვქნა, რომ სიმორცხვე დავძლიო. ძალიან მინდა საზოგადოებაში თუ მეგობრებთან შევძლო თავის ისეთად წარმოჩენა, როგორიც სინამდვილეში ვარ. „გულახდილთა კლუბის“ იმედი მაქვს, რომ არ დაიზარებთ და ჩემს პრობლემასაც გამოეხმაურებით.

***მარიკა, 17 წლის***

**გამოგვეხმაურეთ!**

## საინტერესო კითხვა

*მსახიობი ზურაბ შარია ამბობს, რომ დაინტერესდებოდა შვილის შეყვარებულის ვინაობით. თქვენს მშობლებს თუ აინტერესებთ, ვინ გიყვართ, რას გირჩევენ, რას გიკრძალავენ...*

*გამოგვეხმაურეთ, მოგვწერეთ რას ფიქრობთ თემაზე: „სიყვარული და მშობლები“.*

**რედაქციისაგან: თინეიჯერთა ეს-ემ-ესებისა და წერილების სტილი მაქსიმალურად დაცულია.**

***რუბრიკა მოამზადა ინგა უბილავამ***

***ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ — 899 22-52-15***

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დედი, მეც მოგეხმარები...

ჩინელი დიზაინერების გამოგონება დიასახლისებს სახლის დალაგებაში დაეხმარება. მათ პატარებისთვის შექმნეს სპეციალური ტანსაცმლის კომპლექტი „Baby Mops“, რომელსაც ბავშვს ჩააცმევენ და იატაკზე „სასეირნოდ“ გაუშვებენ. ამ ტანსაცმელში გამოწყობილი პატარები სიამოვნებით დაცოცავენ და თან იატაკს აპრიალებენ.

დიზაინერებმა რეკლამაში განაცხადეს, — ახალი სამოსი პატარებს პასუხისმგებლობის გრძნობას გაუძლიერებს და დედებსაც შრომას გაუადვილებსო.

*დენგი*

# ნიკოლ კიდმანი OMEGA-ს სახე



ცნობილი კინოვარსკვლავი ნიკოლ კიდმანი საათების ფირმა Omega-ს ახალი სახეა. 37 წლის ავსტრალიელი მსახიობი მონაწილეობს ბრენდის სარეკლამო კამპანიაში, რომლის სლოგანიც ასეთია: „ნიკოლ კიდმანი — ჩემი არჩევანია“. ნიკოლი ბრენდს წარმოადგენს შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში: ჩინეთში, ჰონკონგში, იაპონიაში, კორეაში, სინგაპურში, ტაივანსა და ტაილანდში. Omega-ს რეკლამაში აქამდე ბევრი გამოჩენილი ადამიანი მონაწილეობდა, მათ შორის ჩოგბურთელი ანა კურნიკოვა და მსახიობი პირს ბროსნანი.

*ლიზა*

# მოძებნეთ... ქურთუკით!

უნიფორმების მწარმოებელმა იაპონურმა ფირმამ, Ogo Sangyo-მ გამოუშვა დაწყებითი კლასის მოსწავლეთათვის ქურთუკები, რომელიც აღჭურვილია ნავიგაციის თანამგზავრული სისტემით. ამგვარი ქურთუკი მშობლებს ეხმარება, მიაგნონ შვილს პერსონალური კომპიუტერის მეშვეობით. ქსელს ემსახურება იაპონიის თანამგზავრული ოპერატორი. სისტემას მნიშვნელოვანი დამატებაც ახლავს: თუკი ბავშვს რაიმე ან ვინმე ემუქრება, შეუძლია ამის შესახებ უსაფრთხოების სამსახურს აცნობოს — იგი უბრალოდ თითს მიაჭერს ქურთუკზე ღილაკს და კომპანიის თანამშრომელი მაშინვე საშველად გაეშურება.

*ოკნა*



# იდეალური ზომები საზიანოა

როგორც ამერიკელმა პედიატრებმა დაადგინეს, უზადო სილამაზის ტოპმოდელებმა შეიძლება არასრულფასოვნების კომპლექსი გაუჩინონ 10-დან 18 წლამდე ასაკის გოგონებს. პოდიუმის ვარსკვლავებით მოხიბლული გოგონები ფიქრობენ, რომ ტელევიზორის ეკრანზე ასე ხშირად ნაჩვენები ლამაზმანები განასახიერებენ იდეალურ სილამაზეს. ამიტომ ცდილობენ თავიანთი სხეულიც შესაბამის ზომებში მოიყვანონ და თავს ინამებენ ათასგვარი დიეტით. როგორც ექიმები ირწმუნებიან, მოზარდის ორგანიზმისთვის დიეტა ნამდვილად საზიანოა, ამასთან ფსიქიკაც ტრავმირდება. სწორედ ამის გამო, მშობლების ამოცანაა, აუხსნან შვილებს, რომ მოდელიერების მიერ ხელოვნურად შექმნილი სილამაზის იდეალი შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს მათი ჯანმრთელობისთვის.

*იტოგი*

# ძუნწი მილიონერის მემკვიდრეობა

86 წლის ბრიტანელი უილიამ ოლსბორნი განდეგილივით ცხოვრობდა. მხოლოდ ერთ ადამიანთან — თავის მეზობელთან — ჰქონდა ურთიერთობა. ძუნწი ბერიკაცი თავისი ვეებერთელა სახლის მხოლოდ ერთ ოთახში ცხოვრობდა, თითქმის არაფერს ყიდულობდა და თავის ბაღში მოწეული ბოსტნეულით იკვებებოდა; ამიტომ ყველას ღარიბი ეგონა. მოხუცი ხანძარს შეეწირა — ცეცხლი მოეკიდა პატარა ქურას, რომელზეც საჭმელს იმზადებდა. მისი სიკვდილის შემდეგ გაირკვა, რომ ბანკში 2 მლნ დოლარი ჰქონდა.

მოხუც ასკეტს ანდერძი არ დაუტოვებია. ახლა ბრიტანელი იურისტები ცდილობენ, მოძებნონ მილიონერის მემკვიდრე.

*ოჯი*

# თაღლითი გურმანი



ეს 40 წლის ქალბატონი იტალიის დედაქალაქის საუკეთესო რესტორნებში სადილობდა ხოლმე. გამორჩეული გურმანი ძვირფას ღვინოს და სამ მთავარ კერძს უკვეთდა. ოფიციანტებს ეჭვი არაფერში ეპარებოდათ და კლიენტს თავაზიანად ემსახურებოდნენ. ანგარიშის გადახდის დრო რომ მოაწევდა, ქალი უჩინარდებოდა. „83 დოლარის საჭმელ-სასმელი მიირთვა. როცა ანგარიში მიუტანეს, შეიცხადა — საფულე სხვა ჩანთაში დამრჩენიაო. გაიქცა და აღარ დაბრუნებულა“, — წუწუნებდა ერთი რესტორნის მეპატრონე, რომელიც თავად ემსახურებოდა აფერისტს.

ბოლოს, პოლიციამ ხელში ჩაიგდო ქალი და უჩვეულო სასჯელი დაადო — ხუთი წლით რომში გამოჩენა აუკრძალა. თუმცა, ამბობენ, ზოგჯერ ქალაქის საუკეთესო რესტორნებში მაინც ჩნდებაო.

*ვოგი*

# მილიონერი დედამიწას შემოუფრენს...

მილიონერი სტივ ფოსეტი კვლავ ცდილობს მოხსნას მორიგი საავიაციო რეკორდი — ამჯერად გეგმავს, ყველაზე სწრაფად შემოუფრინოს დედამიწას, თანაც სტარტი და ფინიში ერთსა და იმავე აეროდრომზე განახორციელოს. წინა რეკორდი ეკუთვნით დიკ რუტანს და ჯინ იგერს, რომლებმაც 1986 წელს პირველებმა შემოუფრინეს დედამიწას.

ფოსეტი ვარაუდობს, რომ ჰაერში 78 საათს გაატარებს.

*თაიმი*

# შიში მწვერვალსაც დაგაპყრობინებს

ბრიტანელ მკვლევართა ჯგუფმა კაცობრიობის ისტორიაში პირველად ღამის ასვლა მოახდინა გრენლანდიის ყველაზე მაღალ პიკზე.

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ისინი პოლარულმა დათვმა შეაშინა, — წერს გაზეთი „გარდიანი“. სამეცნიერო ექსპედიცია დაბანაკდა მთის კალთაზე, რომლის სიმაღლეც ზღვის დონიდან 2000 მეტრზეა. ჩვეულებრივ, ამ სიმაღლეზე ცხოველები არ ადიან, ამიტომ მკვლევარებს იარაღი არ წაუღიათ. წარმოიდგინეთ მათი მდგომარეობა, როცა ერთ საღამოს კარავთან მოსეირნე პოლარული დათვი დაინახეს. ჯგუფის ხელმძღვანელმა პოლ ვოლკერმა დროებით დააფრთხო დათვი სასიგნალო რაკეტებით. ამის შემდეგ 8 მამაკაცმა და ერთმა ქალმა სასწრაფოდ მოკურცხლა მწვერვალისკენ. ღამის მანძილზე მათ მიაღწიეს გრენლანდიის ყველაზე მაღალ მწვერვალს, რომელიც 3700 მ-ზე მდებარეობს.



აღსანიშნავია, რომ „ძალად ალპინისტებს“ არ გამოუყენებიათ არავითარი აღჭურვილობა. როცა მეორე დღეს ჯგუფი ბანაკში დაბრუნდა, ნახეს, რომ დათვს საკვების ძებნაში სრულიად დაენგრია ერთი კარავი. ექსპედიციის წევრებმა სასწრაფოდ გამოიძახეს მაშველი თვითმფრინავი, რომელმაც სამშვიდობოს ჩამოიყვანა ისინი.

*მონდი*

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ინგა გრიგოლიას სიტყვებს ამოიკითხავთ.




**დ.** ... სხირტლაძე; **ა.** რა ერქვა სიონიის მგელთა ხროვის წინამძღოლს კიპლინგის ნაწარმოებში „მაუგლი“; **ი.** ზაფხულის საძოვარი მთაში; **ს.** ჩეხი კომპოზიტორი; **ვ.** თხელი, მსუბუქი ნამცხვარი, რომელსაც ზედაპირზე უჯრედები აქვს დაჭდევებული; **ე.** გერმანულად — იხ, ფრანგულად — ჟე, ესპანურად — იო, ინგლისურად — აი, ბერძნულად — ?; **ნ.** თორნიკეს როლის შემსრულებელი ფილმში „მონანიება“; **ე.** სახელმწიფოს მიერ ქაღალდის ფულის გამოშვება; **პ.** იტალიელი კომპოზიტორი, „ჩიო-ჩიო-სანის“ ავტორი; **ა.** რა ერქვა ზევსის მარადქალწულ ქალიშვილს; **ლ.** რა ერქვა გულივერს; **ი.** ქალაქ ტროას მეორენაირი სახელი; **ტ.** ბერლინი — შპრეე, პრაღა — ვლტავა, ვაშინგტონი — პოტომაკი, ლონდონი — ?; **რ.** რა ერქვა აივენჰოს სატრფოს; **ი.** ტვინში სისხლის მიმოქცევის მკვეთრი დარღვევა, რასაც თან სდევს უეცარი გულის წასვლა და დამბლა; **ს.** ქალაქი-სახელმწიფო ძველ საბერძნეთში; **ფ.** რბილი, ფაფუკი; **ე.** რა ერქვა დათა თუთაშხიას დას; **რ.** ერთნახადი სუსტი არაყი; **ე.** რა ერქვა ქალს, რომლის გულისთვისაც დაიწყო ტროას ომი; **ბ.** ამ ჯიშის ძაღლების ექსპორტით ინგლისი საკმაოდ სოლიდურ მოგებას ნახულობდა; **შ.** შექსპირის „ვენეციელი ვაჭრის“ უარყოფითი პერსონაჟი; **ი.** პიერ კარდენის სამშობლო.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**დ.** დოინჯი; **ა.** აკლდამა; **ი.** იკაროსი; **ს.** სოპრანო; **ვ.** ვუალი; **ე.** ებრაელი; **ნ.** ნიაგარა; **ე.** ესკიმო; **თ.** თხემი; **კ.** კარიესი; **ვ.** ვიაგრა; **ი.** ისთვუდი; **რ.** რეა; **ი.** იაშინი; **ს.** სტეფანე; **პ.** პენალტი; **ა.** ატილა; **ლ.** ლუდვიგი; **ი.** იტალია; **ტ.** ტანდემი; **რ.** რვალი; **ი.** იშხანი; **ს.** სევილია; **ფ.** ფრანკი; **ე.** ერშოვი; **რ.** რეესტრი; **ე.** ელვირა; **ბ.** ბრძმედი; **შ.** შულტა; **ი.** იროკეზი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **ილაპარაკე, რათა შენი დანახვა შევძლო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენთვის, ქალბატონებო!

# ნავლენ და მერე დაგწყდებათ გული...

რედაქციაში საყვედურნარევი წერილი მოვიდა, რომელსაც 76 წლის ქალბატონი მარიამი აწერდა ხელს. „ყველასთვის მოიძებნა „კვირის პალიტრის" ფურცლებზე ადგილი — არც პატარები დაგვიწყებიათ, არც მოზარდები და მათი პრობლემები, ახალგაზრდა ქალებისა და მამაკაცებისთვისაც პოულობთ ნუგეშის სიტყვას... მოხუცებმა რაღა დაგვაშავეთ? ნუთუ მართალია ბრძენების ნათქვამი, დაბერება ყველას უნდა და ბებერი არავის... მოგვაქციეთ ყურადღება მოხუცებს, ადრე თუ გვიან ყველანი დაბერდებით და მიხვდებით რა საშინელებაა, როცა სიკვდილის მეტს აღარაფერს ელოდები ამ წუთისოფელში" — არაფერი არ შეგვეძლო ამ სტრიქონების უყურადღებოდ დატოვება...

ქალბატონ მარიამს შინ ვეწვიეთ. ბინაში შესვლისთანავე მივხვდით, მატერიალურად არ უჭირდა. მოსამსახურე ქალს მაშინვე საუზმის მომზადება დაავალა. როგორც ჩანს, არც ჩვენი გამოჩენა დარჩენია შეუმჩნეველი, ამიტომ კითხვის დასმა არც დაგვჭირვებია, ისე გვიამბო:

— მატერიალურად არ მიჭირებენ შვილები, ახლა უკვე შვილიშვილებიც შემწეობენ და არც მათ ავიწყდებათ ჩემთვის ფულის მიცემა, როცა ხუთიოდე წუთით შემომირბენენ. მაგრამ ვერავის გავაგებინებ, რომ ფული ყველაფერი არაა... ამ ოროთახიან ბინაში გავზარდე სამი ვაჟი. მდიდრები არასოდეს ვყოფილვართ, მაგრამ არც აუცილებელი მოგვკლებია მათთვის. სწავლისთვის ყველა პირობას ვუქმნიდით და ჩინებული განათლებაც მივაღებინეთ — უფროსი ექიმია, შუათანა წარმატებული პოლიტიკოსი, უმცროსი — ბიზნესმენი. ცოლებიც საუკეთესო შეირთეს, მომწონდნენ თუ არ მომწონდნენ, არც ერთ რძალზე საყვედური არ მითქვამს. მესმის, რომ ძმებს ერთად ყოფნა არ სურდათ და თავიანთი ბუდე ცალ-ცალკე უნდა ჰქონოდათ, მაგრამ ვიღაცამ ხომ უნდა იფიქროს ჩემზე?! [illegible] თითქოს ჩემს სიმშვიდეზე ზრუნავდა, ისიც დაუ-



მატა — ჩემი გიჟი შვილების ხმაურს ვერ აიტან, მე კი მათ ამისთვის ვერ დავტუქსავო!..

მოკლედ, აიღეს შვილებმა და „ქერის ორმოში" გადამაგდეს. ხშირად, კვირაობით ვერ იცლიან მოსასვლელად და ფულს და სურსათს მძღოლის ხელით მიგზავნიან, არც ბავშვებს ეუბნებიან, — ბებოს თქვენი დანახვა მზის დანახვას ურჩევნია, მიდით, მოეფერეთო! არადა, არც მათთვის მომიბეზრებია თავი შენიშვნებით, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ არ მომწონს მათ ჩაცმულობასა თუ სიტყვა-პასუხში... დამანახვებენ შვილები ქუჩაში თუ ტელევიზორში გაჭირვებულ, მათხოვრად ქცეულ მოხუცებს და ვერც ამჩნევენ, როგორ მაყვედრიან ლუკმას: — ამათ შემხედვარეს, სასაყვედურო რა გაქვსო?! ვერ გავაგებინე, რომ მათ გვერდით ყოფნა მინდა... მართალია, ყველაფერი მაქვს, მეგობრების მოპატიჟებაც მაშინ შემიძლია, როცა მოვინდომებ, მოსამსახურეც ძალიან ყურადღებიანი და პატიოსანი ქალია, ხშირად მოჰყავს თავისი შვილიშვილები... ისე შემეჩვივნენ, მეც ბებოს მეძახიან. მეც ერთი ჩვეულებრივი, ქართველი ბებია ვარ, რომელსაც უნდა მის კალთაში და მის თვალწინ იზრდებოდნენ ბავშვები... ჩემი შვილები კი ძიძებს უხდიან დოლარებს და შინ დაუდით მასწავლებლები...

...რა ვიცი, იქნებ მართლა ჭირვეულ მოხუცად ვიქეცი და, რადგან არც მცივა და არც მშია, სხვა პრეტენზიები გამიჩნდა, თორემ აგერ, ჩემი ტოლი მეზობელი მყავს და რომ შემოდის, სულ იმას შემომჩივის: — ნეტავი შენსავით მარტო ვიყო, გული გამიწყალა შვილისა და რძლის კინკლაობის მოსმენამ, მაცივარიც თითქმის სულ ცარიელია, ზოგჯერ პურიც არ მხვდება შინო...

მოკლედ, ყველას თავისი გასაჭირი აქვს, მე ჩემი მედარდება: 48 წლისა დავქვრივდი... ორ წელიწადში გამომიჩნდა მთხოვნელი, თავი გავიგიჟე: უფროსი ვაჟი 28 წლის იყო, თავად ცოლ-შვილიანი და — როგორ ვაკადრებ, ქვრივი დედის გათხოვებას-მეთქი?!

...არადა, უნდა გავყოლოდი. ის კაცი ახლაც ცოცხალია, გვერდით მეყოლებოდა და ერთმანეთს შევუმსუბუქებდით მარტოობის სიმძიმეს, იქნებ შვილებისთვისაც უკეთესი ყოფილიყო...

ქალბატონმა მარიამმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა, კარგს იზამთ, ზოგჯერ მოხუცებსაც თუ გაგვიხსენებთ, მოგვისმინეთ და მეტ ყურადღებასაც დაგვითმობთო და დასძინა, — ჩემი შვილები ჩემს სადღეგრძელოს განსხვავებული სასმისით სვამენ და ჩემი პატიოსნებით და ერთგულებით ამაყობენ, სანაცვლოდ კი რა მივიღე?! არც არაფერი — მარტოობა და იმის შიში, რომ სიკვდილსაც მარტო უნდა დავხვდე, მოსამსახურე ღამითაც ხომ არ დარჩება და უცებ რომ გამიჭირდეს, წყლის მომწოდებელიც არავინ მეყოლება!.. ამაზე დაწერეთ! დაე, გაიგონ შვილებმა, რასაც განვიცდით სინამდვილეში ყველაფრით უზრუნველყოფილი, მაგრამ მარტოობისთვის განწირული მოხუცები!..

...სიმართლე გითხრათ, თუ ოდესმე სიბერეზე მიფიქრია, იგი სწორედ ისეთი წარმომედგინა, როგორიც ახლა ქალბატონ მარიამს აქვს — კომფორტი და მშვიდი ცხოვრება. ისიც უნდა ვაღიარო, რომ თავიდან მეც განებივრებული მოხუცის კაპრიზად მივიჩნიე მოსმენილი, ქართველი მოხუცების უმრავლესობის გაჭირვების ფონზე. მაგრამ მერე, ბევრი რომ ვიფიქრე, მივხვდი, თუნდაც „ქერის ორმოში" გადაგდება — ჩვეულებრივი „გადაგდებაა" და ძალიანაც მტკივნეული! ამიტომაც ვერ შევძელი დუმილი და ქალბატონი მარიამის სადარდებელი გაზეთის ფურცლებიდან მოგახსენეთ, შვილებო და შვილიშვილებო, რადგან აუცილებლად უნდა გცოდნოდათ, რომ მოხუცებს შიმშილსა და სიცივეზე მეტად, მარტოობა აშინებთ, არადა, ხანმოკლე წუთისოფელში, რომელიც ყველას და ყველაფერს ულმობლად გვაშორებს და გვაცლის ხელიდან, როგორ შეიძლება მოხუცი მშობლების თვეობით და წლობით უნახავობა?!

ნავლენ და... მერე ძალიან დაგწყდებათ გული!..

*ინგა ჯაყელი*

# ცოდვისთვის გადამეხადა...

სხვის უბედურებასა და ცრემლზე ბედნიერებას ვერ მოიპოვებ, მაგრამ სიყვარულმა ისე დამიმონა, რომ ამაზე 21 წლის გოგოს არ მიფიქრია, — მითხრა ქალბატონმა ნინელიმ. — ოღონდ ლევანთან ვყოფილიყავი და სხვას აღარ დავეძებდი. არც იმას, რომ ლევანი ჩემი მაშინდელი შეყვარებულის ბიძაშვილი იყო და ჩემს უახლოეს მეგობარს, ლალის უყვარდა.

— ლევანი რომ გავიცანი, მე და თემური უკვე შეყვარებულები ვიყავით და დღე-დღეზე ვაპირებდით ხელის მოწერას. ლევანის ოჯახი მოსკოვში ცხოვრობდა. ამხანაგის დაბადების დღეზე თემურმა ლევანი მოიყვანა. მე და ლალიმ იმ დღეს გავიცანით. ლევანს ლალი მოეწონა.

თემურს ბებია გარდაეცვალა და ჩვენმა ქორწილმაც რამდენიმე ხნით გადაიწია. ლალი დღედაღამ ლევანზე მელაპარაკებოდა, მიყვებოდა ყველაფერს. ვუსმენდი და შიგადაშიგ რჩევებსაც კი ვაძლევდი. მერე ლალი დანაღვლიანდა: აშკარად სხვა შეუყვარდა, რადგან თავს მარიდებსო. როგორც შემეძლო, ვამშვიდებდი, მაგრამ გულის სიღრმეში მეც მიკვირდა ლევანის ცვლილება. მალე ლევანმა შინ მომაკითხა და სიყვარულში გამომიტყდა. ელდამ მალევე გადამიარა, რადგან გულში ვაღიარე, რომ ლევანი გაცნობის დღიდან მომწონდა. მოგვიანებით დედაჩემს რომ გავუმხილე ყველაფერი, თვალები გაუბრწყინდა. ცოდვა გამხელილი სჯობს, დედაჩემს ყოველთვის თვალი ეჭირა სიმდიდრეზე, ლევანს კი თემურზე შეძლებული ოჯახი ჰქონდა. ამიტომ მირჩია: მერე რა, რომ ბიძაშვილები არიან, ქალები ყოველთვის უკეთესს ირჩევენ და ყველაფერს აკეთებენ ბედნიერებისთვისო.

რაღაში მესაჭიროებოდა დედისგან დამოძღვრა, როცა თავად მე უსაზღვროდ გახარებული ვიყავი. მალევე მივხვდი, ლევანი მთლად ღატაკი რომ ყოფილიყო, მაინც მეყვარებოდა. ლალისაც მე გავუმხილე ჩვენი სიყვარულის შესახებ და თემურსაც.

— *არ გაგიჭირდათ?*

— ხომ გეუბნებით, ისე ვიყავი დაბრმავებული, რომ ვერაფერს ვხედავდი და, მართალი გითხრათ, არც მინდოდა დამენახა, არც არავის მოსმენა მსურდა. მახსოვს მხოლოდ ლალის გაოცებული თვალები და თემოს გაფითრებული სახე. ლალიმ აღარაფერი მითხრა, შებრუნდა და წავიდა. თემომ კი: ძალიან ინანებ, მაგრამ გვიანი იქნებაო.

მე და ლევანმა ხელი მოვაწერეთ. მხოლოდ რამდენიმე ნათესავი და მეგობარი ესწრებოდა ჩვენს ქორწილს, არადა, საკმაოდ ბევრი დავპატიჟეთ. ეს იყო ერთგვარი პროტესტი ჩვენი შეუღლების გამო.

მეორე დღესვე მოსკოვში წავედით. ერთმა წელმა თითქოს ბედნიერად, უდარდელად და უზრუნველად ჩაიარა. შეგვეძინა ქალიშვილი. შემდეგ ლევანმა გული აიცრუა სამუშაოზე. გაურკვეველი პროფესიის ხალხი მოჰყავდა სტუმრად. როცა დააპატიმრეს, მერე გამოაშკარავდა ყველაფერი. მოსკოვში მყოფ ქართველებს საძმო დაეარსებინათ და მდიდრების ბინის გაძარცვაზე „მუშაობდნენ". ისე გავმწარდი, სიცოცხლე აღარ მინდოდა. გამახსენდა თემოს ნათქვამი, ძალიან ინანებო, მაგრამ რაღას ვუშველიდი? ლევანი ისე შეეთვისა ციხეს, რომ მისთვის თავისუფლებაში ყოფნა ტანჯვა იყო! ერთი დანაშაულისთვის მოიხდიდა სასჯელს და მალე მეორისთვის იჭერდნენ. ასე გაგრძელდა 30 წელიწადი. თავიდან ლევანის მშობლები მეხმარებოდნენ, მერე მათაც გაუჭირდათ... პირველ ხანებში ხშირად ვნახულობდი ლევანს, მერე გული გამიტყდა. კაცი, რომელმაც მარტოობისთვის გამწირა და შვილის მომავალიც არ ადარდებდა, აქეთ მსაყვედურობდა, ზურგი რად მაქციე, მხოლოდ ჩემი ფულები გინდოდაო? რა უნდა მეპასუხა? მის ახლობლებს ვუთხარი, ლევანთან ცხოვრებამ დამღალა-მეთქი და მშობლებთან დავბრუნდი.

ლევანმა ციხიდან გამოსვლისთანავე მოგვიინახულა, შერიგებაც მთხოვა, მაგრამ უარი ვუთხარი. მე იგი აღარც მიყვარდა და აღარც მეცოდებოდა. მას მერე კიდევ ორჯერ იჯდა ციხეში. ამ ოთხი წლის წინ კი გულმა უმტყუნა. მეგობრებმა რუსეთში მიაბარეს მიწას.

— *ლალი ან თემური დღეს სად არიან?*

— ლალიმ ეკლესიური ცხოვრება დაიწყო და თავს კარგად გრძნობს.

— *თქვენ გამო გააკეთა ეს?*

— არა მგონია, თუმცა მას მერე, რაც ლევანს გავყევი ცოლად, მასთან აღარც მისაუბრია. თემომ კი იმ ამბიდან ხუთი წლის შემდეგ ცოლი შეირთო. სამი შვილი ჰყავს და, ვფიქრობ, ძალიან ბედნიერია.

— *ნანობთ, რომ მაშინ თემურს არ გაჰყევით ცოლად?*

— ვნანობ და მერე როგორ!

*რუბრიკა მოამზადა მარინა ბაბუნაშვილმა*

*ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ — 899 27-25-61*

ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲬᲔᲠᲔᲜ

# მათი ამბავი სევდიანია, თუმცა...

ბოლო ხანს ბევრს წერთ უიღბლო სიყვარულსა და დანგრეულ ოჯახებზე. ვიცი, უარესებიც ხდება და ამის გამო უიმედობა მიპყრობს, მაგრამ როგორც კი გამახსენდება დეიდაჩემის, თეოს სიყვარული და ერთგულება, კვლავ მიბრუნდება რწმენა იმისა, რომ წრფელი სიყვარული არ ცვდება...

თეო ძალიან ლამაზი გოგო იყო. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე რომ გახლდათ, მაჭანკლები არ ასვენებდნენ ოჯახს. ბოლოს, ბაბუამ თავის მძღოლს სთხოვა, ცალკე ხელფასს დაგინიშნავ, ოღონდ ჩემს შვილს არ მოსცილდეო.

ერთ მშვენიერ დღეს თეომ მშობლებს უთხრა: სხვისგან გაგონილს მირჩევნია, თვითონვე გაგიმხილოთ, რომ მე და გიორგის ერთმანეთი დიდი ხანია გვიყვარს (არადა, მაშინ 17 წლის ყოფილა!). მის გარდა არავის გავყვები ცოლად. მინდა ვისწავლო, გიორგისაც სურს, დამოუკიდებლად არჩინოს ოჯახი, ამიტომაც არ ვჩქარობთ, თქვენ კი ნუ დაგვიშლით ერთმანეთთან ურთიერთობასო...

გიორგი წყალბურთელი იყო, წარმოსადეგი, მშვენიერი ყმაწვილი. ქუჩაში რომ გაივლიდნენ, ყველა მათ აყოლებდა თვალს. ხშირად უწევდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში შეჯიბრებებში მონაწილეობა. ერთხელ კი, უბედური შემთხვევის გამო ხერხემალი დაიზიანა და იქიდან საკაცით ჩამოიყვანეს. რა არ სცადეს მისმა მშობლებმა, მაგრამ არაფერი ეშველა. როცა გიორგი მიხვდა, სამუდამოდ ინვალიდის ეტლს უნდა მიჯაჭვოდა, სიცოცხლეზე ხელი ჩაიქნია. ერთ დილით მშობლებს საწოლში მკვდარი დახვდათ — თავი მოეწამლა. თეო დეიდამ უზომოდ განიცადა გიორგის სიკვდილი. გათხოვებაზე ხომ აღარც ფიქრობდა. დედაჩემის ქორწილში გაიხადა პირველად შავი. დის თხოვნით, დედაჩემმა უფროს შვილს გიორგი დაარქვა. თეო დეიდას მეც ძალიან ვუყვარდი, მაგრამ ჩემს ძმაზე გიჟდებოდა. რა უნდა ეთხოვა გიორგის, რომ დეიდას არ შეესრულებინა. პატარაობიდან ჩემს მეხსიერებას შემორჩა ერთი ლამაზი ზღაპარი მშვენიერ ბიჭზე, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა ზღვა და მთა. მერე, როცა წამოვიზარდე, მივხვდი, რომ დეიდა გიორგიზე გვიამბობდა მე და გიოს და მონათხრობი სულაც არ იყო ზღაპარი.

თეო დეიდა 38 წლის იყო, როცა გარდაიცვალა. სრულიად ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან. ფიქრშიც კი არ უღალატია გიორგისთვის. ერთადერთხელ შეუჩნდნენ თავისიანები, თავს ცოცხლად ნუ ისამარებ, ახალგაზრდა ქალი ხარ, უნდა გათხოვდე, შვილები უნდა გააჩინოო, მაგრამ თეომ სასტიკად იუარა, მე შვილებს მხოლოდ გიორგის გავუჩენდიო. მაშინ ჯერ კიდევ 28 წლის იყო.

ძალიან სამწუხაროა, რომ მათი ლამაზი და დიდი სიყვარული ასე სევდიანად დასრულდა, მაგრამ სამაგიეროდ, ლეგენდასავით დარჩა მათი ურთიერთობა, რომლის გახსენებაც, უფლებას არ მაძლევს, არ მჯეროდეს ნამდვილი სიყვარულისა.

*გვანცა, 23 წლის, თბილისი*



# მას შუბლზე ეწერა თავისი უიღბლობა

ქუთაისელი მკითხველი ლ. კაკაბაძე თავისი დის უიღბლო ცხოვრების შესახებ გვწერს: „ჩემი და ადრე გათხოვდა. ქმარს სასმელი უყვარდა. ნუნუ თავდაუზოგავად შრომობდა, ორი შვილისა და ოჯახისთვის რომ არაფერი მოეკლო. მაინც ბევრი აკლდათ. თანაც, ახალი უბედურებაც დაატყდა თავს, ჩემს სიძეს საწარმოში ფეხი დაუზიანდა და ამპუტაცია აუცილებელი გახდა. ნუნუმ ლამის ყველაფერი გაყიდა სახლიდან, რომ ქმრისთვის ეშველა. ცოცხალი კი გადარჩა, სმასაც თავი დაანება, მაგრამ მუშაობა მაინც ველარ შეძლო. ნუნუმ გადაწყვიტა საბერძნეთში წასულიყო. წავიდა კიდეც 1994 წელს. ვანუგეშე, როგორც ჩემს შვილებს, ისე მივხედავ შენებს, ამაზე ნუ ინერვიულებ-მეთქი. წავიდა, მაგრამ ყველაფერი ისე ვერ აეწყო, როგორც ნუნუს ეგონა. იქაც ძალიან გაუჭირდა. რამდენიმე ადგილი გამოიცვალა. ბოლოს 77 წლის კაცს უვლიდა, რომელსაც გაფანტული სკლეროზი ჰქონდა. ერთხელაც, დიდი უსიამოვნება შეემთხვა. ძვირფასი სამკაულები დაიკარგა იმ ოჯახში და ქურდობა მას დააბრალეს. ათი დღე დაპატიმრებული ჰყავდათ. კიდევ კარგი, ყველაფერი დროზე გაირკვა, — სამკაულები მოხუცის შვილიშვილის შეყვარებულ გოგოს გაუყოლებია ხელს და სრულიად შემთხვევით იმ ბიჭს აღმოუჩენია. ჩემს დას ბოდიშიც მოუხადეს და მორალური ზარალისთვის (ხელფასთან ერთად) კარგა მოზრდილი თანხაც გადაუხადეს... ამასობაში ქმარიც გარდაეცვალა და დაბრუნდა. ოღონდ ამდენი ნერვიულობისგან დასნეულებული. საცოდავს უკურნებელი სენი აღმოაჩნდა და სამ თვეში გამოგვეცალა ხელიდან.

ძნელია, რაღაცის გადაჭრით მტკიცება, მაგრამ უცხო ქვეყანაში ილუზიებით ცხოვრებას და თუნდაც „სოლიდურ" ხელფასს, ალბათ, შინ ყოფნა და პრობლემებთან ბრძოლა სჯობს. რა ვიცი, მე ასე ვფიქრობ... თქვენ?"

1. სახელმწიფო ევროპაში
2. ბრონქულის წვენის საწებელი
3. სავაზეთო იუმორისტული მოთხრობა
4. პროტესტანტების მღვდელი
5. ირლანდიური ლუდი
6. მოგრძოდ წამოზიდული გორა
7. შინაური ცხოველი
8. პირატი
9. გერმანიის სახელმწიფო იმპერია
10. რეჟისორი ... კუროსავა
11. ატმოსფერული ნალექი
12. ბრაზილიელი მწერალი
13. ტბა უნგრეთში
14. მოხეტიალე მსახიობი ძვ. რუსეთში
15. რეპუტაცია
16. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
17. მაჰმადიანთა რელიგია
18. კონდრატე თათარაშვილის ფსევდონიმი
19. უნგრული ღვინო
20. მარჯვე, ეფექტური ილეთი
21. ქალაქი საქართველოში
22. ლითონის დაშლა ქიმ. პროცესების შედეგად
23. გაუმჯობესებული მშვილდ-ისარი
24. ინგლისური არაყი
25. მოხუცი ქალი
26. მცენარის ნორჩი ტოტი
27. კედლის სანათი
28. მღვდელი კათოლიკეებში
29. ბრაზილიური ცეკვა
30. მზის ამოსვლა
31. დაღი
32. ამერიკის შტატი
33. გოგრის ნაირსახეობა
34. მინანქარი
35. მდინარე საფრანგეთში
36. მაზრჩობელა გველი
37. ტურგენევის მოთხრობა
38. რუსული მცირელიტრაჟიანი ავტომობილი
39. გამოქვაბული ზღვის ფლატოვან ნაპირზე
40. მკვახე, შემოუსველელი ხილი
41. დიდი ვენახი
42. ჩაობის მცენარე
43. რისამე მთავარი აზრი
44. ლუთერანული ეკლესია
45. ახალზელანდიური უფრთო ფრინველი
46. რაიმე ფაქტის ერთ-ერთი ახსნა
47. არსაკიძის მეტსახელი
48. იტალიელი კომიკოსი
49. თურქეთის ფულის ერთეული
50. წელთაღრიცხვის ძვ. სისტემა
51. სცენის განათება
52. კურკოვანი ხილი
53. პატარა თოხი
54. ფრანგი ფერმწერი
55. სახელმწიფო აფრიკაში
56. ქვეწარმავალი
57. ბრაზილიელი ფეხბურთელი რობერტო –
58. სახის კუნთების მოძრაობა
59. სპოროვანი მცენარე
60. მთავარი არტერია
61. დასაკეცი, გადასატანი ტიხარი
62. იაპონური თეატრი
63. ნორვეგიის დედაქალაქი
64. ისლამის წმინდა ქალაქი
65. ინდოელ ქალთა სამოსი
66. ბოლივიის ფულის ერთეული
67. იაპონური პოეზიის ჟანრი
68. კალმანის ოპერეტა
69. გიგანტური მუცლმწოვარი ცხოველი
70. სპორტის სახეობა
71. ტექნიკური კულტურა
72. „ფოლკსვაგენის" მოდელი
73. მდინარე აზიაში
74. დიდი, მეტისმეტად კაშკაშა მეტეორი
75. ჭადრაკის ფიგურა





1. ეს ინგლისელი დრამატურგი საყურეს ატარებდა



2. ტორეადორს მის მიერ მოკლული ხარის სხეულის ამ ნაწილს ჩუქნიან ჯილდოდ



3. ამ პერსონაჟის შეძახილს ფილმში ერთდროულად ოთხი ადამიანი ახმოვანებდა



4. ამ ინგლისელი როკ-მუსიკოსის ნამდვილი სახელი და გვარია დევიდ რობერტ ჯონზი



5. ეს ფრინველი ზაფხულის განმავლობაში სამი ათასამდე რკოს მარხავს მიწაში და ზამთარში თითქმის ყველას პოულობს

**მე-11 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:** 1. მანუსკრიპტი, 2. გობი; 3. ილინოისი; 4. იორი; 5. სამბა; 6. მაზარა; 7. ირაო; 8. ფიატი; 9. ქაბული; 10 აპოგეა; 11. ნიში; 12. სინოლოგია; 13. პინა; 14. დანი; 15. ფიდია; 16. მილიარდი; 17. ასპინძა; 18. ბიოგრაფია; 19. სარი; 20. სეირი; 21. აბე; 22. ფასისი; 23. ბატკანი; 24. ლაიკა; 25. დერეფანი; 26. აბისინია; 27. ლაპი; 28. ტაბურეტი 29. კეპი; 30. კასტა; 31. ნეკი; 32. იმედა; 33. რიხი; 34. ბასრი; 35. ზვინი; 36. კირჩხიბი; 37. სახსარი; 38. ბუქარესტი; 39. კვალიაშვილი; 40. სიმი; 41. სირია; 42. შოთი; 43. ანანი; 44. მინარეთი; 45. დემი; 46. სოსისი; 47. დალასი; 48. ემალი; 49. ლილო; 50. რიბერა; 51. ნილოსი; 52. ძნელი; 53. უნია; 54. იო; 55. ხალისი; 56. გამაში; 57. ნანეტი; 58. ფშავი; 59. მე; 60. რიფი; 61. მილერი; 62. გრენადა; 63. ვანია; 64. მალა; 65. ალენ; 66. რკო; 67. ჯიგა; 68. იელი; 69. ასპიტი; 70. ფლანგი; 71. ია; 72. ფალანგა; 73. მენდელეევი; 74. ბოსტანა; 75. ბზიკი; 76. ერესი; 77. კეგლი.

**სურათებზე:** მელუა; 1. დანია; 2. მოდილიანი; 3. დუშანბე; 4. დენევი; 5. შლიმანი.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები**

შეადგინა ვანო კაჟახიძემ

## ორშაბათი 27 მარტი

7.55 „ალო“ 10.00 სერიალი „ცხოვრება თავიდან იწყება“ (U) 11.00 დოკ/ფ „ველური ბუნების საიდუმლო“ (BBC) 12.00 „მოამბე“ 12.20 მულტსერიალი „საბრინა“ 12.45 მულტსერიალი „პოკემონები“ 13.00 „სარჩევი“ 14.00.00 სერიალი „ნიკიტა“ 15.00 „მოამბე“ 15.15 „პოლმარკი“ – სერიალი „პორტუგალიური მანი“ 16.00 „მოამბე“ აფხაზურ ენაზე 16.30 „მოამბე“ რუსულ ენაზე 17.00 დოკ/ფ „ლეგენდა, რომელმაც მსოფლიო შეძრა“ (BBC) 18.00 „მოამბე“ 18.30 „გზაჯვარედინი“ 19.00.00 სერიალი „ცხოვრება თავიდან იწყება“ 20.00 „მოამბე“ 20.45 „ბამბლინა“ 21.00 სერიალი „ნიკიტა“ 22.00 მხ/ფ „დაჭიმული ბაგირი“ (12) 22.00 მხ/ფ „24 საათი ქალის ცხოვრებიდან“ (12) 0.00 საინფორმაციო გამოშვება 0.15 მხ/ფ „24 საათი ქალის ცხოვრებიდან“ (12) (გაგრძელება).

19.00 სარჩევი 19.50 ბამბლინა 20.05 მს „პატარა კენგურუები“ 20.35 დოკ/ფ „წმინდა ელენეს კუნძული“ 21.30 მხ/ფ „ჯაჭვი“.

07.30 დილა 08.00 ანიმაციური ფილმი „ლუი“ 10.00 სერიალი „მოპარული გულები“ 11.00 „ღამის შოუ“ 12.00; 15.00; 17.00; 18.00; 21.00 „კურიერი“ 12.20 სერიალი „დედინაცვალი“ 13.30 მხ/ფ „ხელიდან წასული“ (U) 15.30 ანიმაციური ფილმი „ლუი“ 16.15 სერიალი „მოპარული გულები“ 16.50 სერიალი „მამბოხე სული“ 18.30 პატრული 19.00 BBC 19.50 სერიალი „დედინაცვალი“ 22.00 „შაბათის შოუს“ სკეჩები 23.00 სერიალი „სასოწარკვეთილი დიასახლისები“ 00.00 მხ/ფ „სისხლისღვრა“ 02.20 „კურიერი“ 02.40 პატრული.

07.00; 07.45; 09.00; 10.00; 13.00; 14.00; 15.00; 16.00; 17.00; 18.00; 19.00; 20.00; 23.00; 02.10 „ქრონიკა“ 07.15 ანიმაციური ფილმი „ურჩხულთა პლანეტა“ (U) 08.00 „იმედის“ დილა 09.15 „ნუცას სკოლა“ 10.05 სერიალი „ცოდვის ფერი“ 10.50 „ლოტო“ 12.40 „TV-მარკეტი“ 13.15 ქართული მხ/ფ „ზოგი პირი მარტოხელა“ (U) 14.40 „იმედის“ მელოდიები 15.20 სერიალი „მოჯადოება“ 16.25 „TV-მარკეტი“ 16.40 დოკ/სერიალი „ყველაზე, ყველაზე, ყველაზე“ 17.30 სერიალი „ცოდვის ფერი“ 18.30 სერიალი „მოჯადოება“ 20.55 სერიალი „ფარული ქება“ 21.55 „პირველები“ 23.30 „ლიმონი“ 0.00 მხ/ფ „ღამის ნებიერა“ (15) 01.25 „ნუცას სკოლა“ 02.20 „იმედის“ მელოდიები.

8.30 მუსიკა 9.00 სერიალი „ასა“ 9.45 სერიალი „ჩენტო ვეტრინე“ 10.50; 13.50; 16.50; 17.50; 18.55; 22.30 სერიალი „ასა“ 10.55; 11.55; 12.55; 13.55 14.55; 15.55; 16.55 მზერა 11.05 დოკ/სერიალი „ბალკანეთის უკანასკნელი იმპერატორები“ 12.05 ფეხბურთი. მიდლსბრო – ბოლტონი 14.05 დოკ/ფ „მეფინთავის დღიური“ 14.30 სერიალი „გვერდიგვერდ“ 15.05 ფეხბურთი. ჩელსი – მანჩესტერ სიტი 17.05 ანსამბლი „თბილისი“ 17.35 ანიმაციური ფილმი 17.55 მზერა რეგიონებიდან 18.05 სერიალი „სიყვარული ბრმაა“ 19.00 მზერა პლიუსი 19.00 სერიალი „ჩენტო ვეტრინე“ 19.30 მზერა პლიუსი 19.35 სერიალი „ჩენტო ვეტრინე“ (გაგრძელება) 20.00 მზერა ვრცელი გამოშვება 20.50 ქართული ფილმი „განგაში“ (U) 23.00 გადაცემა „სასამართლო“ 23.30 კრიმინალური სერიალი „CSI“ 00.20 მხ/ფ „ურჩხულთა მეჯლისი“ (15).

8.00 „შვიდეული“ 8.30 „ახალი ამბები“ 8.45 სერიალი „განბოროტებული ლამაზმანი“ 9.35 კომედია „ურჩხული“ 11.10 სათავგადასავლო ფილმი „განძი“ 13.00 „ქართული კინო“ 14.30 „ახალი ამბები“ 14.45 ბოევიკი „გმირი“ 16.25 მულტფილმი 17.30 „ახალი ამბები“ 17.50 „პროექტი მომავალი“ 18.30 „ნოვოსტი“ 18.50 „ფეხბურთი 11 საათზე“ 19.30 „შვიდეული“ 20.30 „ახალი ამბები“ 21.00 „გოლიათი“ 21.30 „პროექტი“ 22.00 სერიალი „განბოროტებული ლამაზმანი“ 22.50 სათავგადასავლო ფილმი „ფანფან ტიტა“ 00.00 „ახალი ამბები“ 00.15 სათავგადასავლო ფილმი „ფანფან ტიტა“ (ფილმის გაგრძელება) 00.40 მისტიკა „ღრუბელთა სამზე“.

11.00 „ვარსკვლავები გვამცნობენ“ 12.45 ინდური მხ/ფ (U) 17.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.20 Style Tv 19.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 19.20 სტუდია „სპექტრი“ 20.30 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 21.00 Style Tv 22.30 „საქმე და ეკონომიკა“ 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 01.30 მხ/ფ „ვამპირების კლანი“ (18).

07.00 Телеканал "Доброе утро" 10.00 НОВОСТИ 10.10 Сериал "Убойная сила" 11.20 Детективы 11.50 Сериал "Виола Тараканова, В мире преступных страстей" 13.00 - НОВОСТИ 14.10 Драма "ИТАЛЬЯНЕЦ" (Россия) 16.00 НОВОСТИ 16.10 Лолита. Без комплексов 17.00 Сериал "Талисман" 18.00 Федеральный судья 19.00 НОВОСТИ 19.10 Сериал Большие девочки" 19.40 Сериал Любовь как любовь" 20.50 Жди меня 22.00 ВРЕМЯ 22.30 Сериал "Две судьбы" 23.30 "Месть" д. ф 00.40 НОВОСТИ 01.00 "Теория невероятности". Сверхвозможности человека 01.50 "Гении и злодеи". Циолковский. Предчувствие космоса 02.20 Уиллем Дефо в фильме Пола трейдера

## სამშაბათი 28 მარტი

7.55 „ალო“ 10.00 სერიალი „ცხოვრება თავიდან იწყება“ 11.00 დოკ/ფ „ლეგენდა, რომელმაც მსოფლიო შეძრა“ (BBC) 12.00 „მოამბე“ 12.20 მულტსერიალი „საბრინა 12.45 მულტსერიალი „პოკემონები“ 13.00 „სარჩევი“ 14.00 სერიალი „ნიკიტა“ 15.00 „მოამბე“ 15.15 „პოლმარკი“ – სერიალი „პორტუგალიური მანი“ 16.00 „მოამბე“ ოსურ ენაზე 16.30 „მოამბე“ რუსულ ენაზე 17.00 დოკ/ფ „დრაკი და გოგირდის გზა“ (BBC) 18.00 „მოამბე“ 18.30 დოკ/ფ „ფოტოსურათები და ფოტოგრაფები“ 19.00 სერიალი „ცხოვრება თავიდან იწყება“ 20.00 „მოამბე“ 20.45 „ბამბლინა“ 21.00 სერიალი „ნიკიტა“ 22.00 დოკ/ფ „ი. ჯავახიშვილი“ 23.00 მხ/ფ „ჩვენი ისტორია“ (12) 0.00 საინფორმაციო გამოშვება 0.15.00 მხ/ფ „ჩვენი ისტორია“ (12) (გაგრძელება).

19.00 სარჩევი 19.50 ბამბლინა 20.05 მს „პატარა კენგურუები“ 20.35 დოკ/ფ „ახლო ლაპარტი“ 21.30 ქართული მხ/ფ „წყალუბნები“ (U).

07.30 დილა 08.00 ანიმაციური ფილმი „ლუი“ 10.00 სერიალი „მოპარული გულები“ 11.00 სერიალი „ბრიგადა“ 12.00; 15.00; 17.00; 18.00; 21.00 „კურიერი“ 12.20 სერიალი „დედინაცვალი“ 13.30 მხ/ფ „ბუნების შვილები“ (U) 15.30 ანიმაციური ფილმი „ლუი“ 16.15 სერიალი „მოპარული გულები“ 16.50 სერიალი „მამბოხე სული“ 18.30 პატრული 19.00 BBC 19.50 სერიალი „დედინაცვალი“ 22.00 „ღამის შოუ“ 23.00 საფეხბურთო მიმოხილვა 23.40. ჩემპიონთა ლიგა: ბენფიკა – ბარსელონა 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 02.30 ჩემპიონთა ლიგა: არსენალი – იუვენტუსი 04.00 „კურიერი“ 04.20 პატრული.

07.00; 07.45; 09.00; 10.00; 13.00; 14.00; 15.00; 16.00; 17.00; 18.00; 19.00; 20.00; 23.00; 02.25 „ქრონიკა“ 07.15 ანიმაციური ფილმი „ურჩხულთა პლანეტა“ 08.00 „იმედის“ დილა 09.15 „ნუცას სკოლა“ 10.10 სერიალი „ცოდვის ფერი“ 11.15 სერიალი „ფარული ქება“ 12.25 „მერიდიანი“ 12.40 „TV-მარკეტი“ 13.15 მხ/ფ „ლონიერი სანტა კლაუსი“ (U) 16.05 სერიალი „მოჯადოება“ 16.25 „TV-მარკეტი“ 16.40 დოკ/სერიალი „ყველაზე, ყველაზე, ყველაზე“ 17.30 სერიალი „ცოდვის ფერი“ 18.30 სერიალი „მოჯადოება“ 20.55 სერიალი „ფარული ქება“ 21.55 ქართული სერიალი „ყავა და ლუდი“ (U) 23.30 თამაში „ათასიდან ერთი შანსი“ 0.00 მხ/ფ „სიყვარული ან სამშობლო“ (U) 01.40 „ნუცას სკოლა“ 02.35 „იმედის“ მელოდიები.

8.30 მუსიკა 9.00 ანიმაციური ფილმი 9.20 სერიალი „ასა“ 9.45 სერიალი „ჩენტო ვეტრინე“ 10.50; 13.50; 16.50; 17.50; 18.55; 22.30 სერიალი „ასა“ 10.55; 11.55; 12.55; 13.55 14.55; 15.55; 16.55 მზერა 11.05 სერიალი „სიყვარული ბრმაა“ 12.05 ფეხბურთი. ლივერპული – ევერტონი 14.05 დოკ/ფ „მეფინთავის დღიური“ 14.30 ქართული ფილმი „განგაში“ (U) 16.05 გადაცემა „სასამართლო“ 17.05 ანსამბლი „თბილისი“ 17.35 ანიმაციური ფილმი 17.55 მზერა რეგიონებიდან 18.05 საფეხბურთო მიმოხილვა 19.00 მზერა პლიუსი 19.00 სერიალი „ჩენტო ვეტრინე“ 19.30 მზერა პლიუსი 19.35 სერიალი „ჩენტო ვეტრინე“ (გაგრძელება) 20.00 მზერა ვრცელი გამოშვება 20.50 სერიალი „ბალკანეთის უკანასკნელი იმპერატორები“ 23.00 გადაცემა „ტაბუ“ 00.20 მხ/ფ „უცხო ადამიანი“ (15).

8.00 „შვიდეული“ 8.30 „ახალი ამბები“ 8.45 სერიალი „განბოროტებული ლამაზმანი“ 9.35 „პროექტი მომავალი“ 10.00 კომედია „50 პირველი კოცნა“ 12.00 „ვიცინოთ ერთად“ 12.20 სათავგადასავლო ფილმი „ქრის საგანძური“ 14.30 „ახალი ამბები“ 14.45 ბოევიკი „ცხრა სიცოცხლე“ 16.20 მულტფილმი 17.30 „ახალი ამბები“ 17.50 „პროექტი“ 18.30 „ნოვოსტი“ 18.45 დოკ/ფ 19.30 „შვიდეული“ 20.30 „ახალი ამბები“ 21.00 „გოლიათი“ 22.00 სერიალი „განბოროტებული ლამაზმანი“ 22.50 მხ/ფ „მკვლელი“ 00.00 „ახალი ამბები“ 00.15 მხ/ფ „მკვლელი“ (ფილმის გაგრძელება).

11.00 Style Tv 15.45 „საქმე და ეკონომიკა“ 17.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.20 Style Tv 19.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 19.20 სტუდია „სპექტრი“ 20.30 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 22.00 მხ/ფ „ამერიკაში ახალჩასულნი“ (U) 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 01.30 Style Tv.

07.00 Телеканал "Доброе утро" 10.00 НОВОСТИ 10.10 Сериал "Убойная сила 11.20 Детективы 11.50 Сериал "Виола Тараканова. В мире преступных страстей" 13.00 НОВОСТИ 13.20 Сериал Черный ворон" 14.30 "Диснейклуб". "По следам Микки Мауса 14.50 Сериал "Две судьбы" 16.00 НОВОСТИ 16.10 Лолита. Без комплексов 17.00 Сериал "Талисман" 18.00 Федеральный судья 19.00 НОВОСТИ 19.20 Сериал "Большие девочки" 19.50 Сериал "Любовь как любовь" 21.00 Пусть говорят 22.00 ВРЕМЯ 22.30 Сериал "Две судьбы" 23.30 "Тайны века". Женщины товарища Сталина 00.40 НОВОСТИ 01.00 30 02.10 Ирина Купченко и Александр Збруев в фильме "ОДИНОКАЯ ЖЕНЩИНА ЖЕЛАЕТ ПОЗНАКОМИТЬСЯ" 03.50 Что? Где? Когда? 05.10 Природа

## ოთხშაბათი 29 მარტი

7.55 „ალო“ 10.00 სერიალი „ცხოვრება თავიდან იწყება“ 11.00 დოკ/ფ „დრაკი და გოგირდის გზა“ (BBC) 12.00 „მოამბე“ 12.20 დოკ/ფ „ი. ჯავახიშვილი“ 13.00 „სარჩევი“ 14.00 სერიალი „ნიკიტა“ 15.00 „მოამბე“ 15.15 „პოლმარკი“ – სერიალი „პორტუგალიური მანი“ 16.00 „მოამბე“ სომხურ ენაზე 16.30 „მოამბე“ რუსულ ენაზე 17.00 დოკ/ფ „მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენ“ (BBC) 18.00 „მოამბე“ 18.30 „მსოფლიო რაგბი“ 19.00 სერიალი „ცხოვრება თავიდან იწყება“ 20.00 „მოამბე“ 20.45 „ბამბლინა“ 21.00 სერიალი „ნიკიტა“ 22.00 ქართული ფილმი „კეთილი ადამიანები“ (U) 23.30 მხ/ფ „მოჩვენება ოპერაში“ (U) 0.00 საინფორმაციო გამოშვება 0.15 მხ/ფ „მოჩვენება ოპერაში“ (U) (გაგრძელება).

19.00 სარჩევი 19.50 ბამბლინა 20.05 მს „პატარა კენგურუები“ 20.35 დოკ/ფ „მაია პლისეცკაია“ 21.30 სტუდია „რე“.

07.30 დილა 08.00 ანიმაციური ფილმი „ლუი“ 10.00 სერიალი „მოპარული გულები“ (U) 11.00 „ღამის შოუ“ 12.00; 15.00; 17.00; 18.00; 21.00 „კურიერი“ 12.20 სერიალი „დედინაცვალი“ 13.30 მხ/ფ „ჟურნალის გარეკანი“ (U) 15.30 ანიმაციური ფილმი „ლუი“ 16.15 სერიალი „მოპარული გულები“ 16.50 სერიალი „მამბოხე სული“ 18.30 პატრული 19.00 BBC 19.50 სერიალი „დედინაცვალი“ 22.00 „ცოცხალი შოუ“ 23.00 საფეხბურთო მიმოხილვა 23.40 ჩემპიონთა ლიგა: ლიონი – მილანი 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 02.20 ჩემპიონთა ლიგა: ინტერი – ვილიარეალი 04.00 „კურიერი“ 04.20 პატრული.

07.00; 07.45; 09.00; 10.00; 13.00; 14.00; 15.00; 16.00; 17.00; 18.00; 19.00; 20.00; 23.00; 02.15 „ქრონიკა“ 07.15 ანიმაციური ფილმი „გალაქტერონი“ 08.00 „იმედის“ დილა 09.15 „ნუცას სკოლა“ 10.10 სერიალი „ცოდვის ფერი“ 11.15 სერიალი „ფარული ქება“ 12.25 „იმედის“ მელოდიები 12.40 „TV-მარკეტი“ 13.15 მხ/ფ „ოჯახური გეგმა“ (U) 15.00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. „დინამო“ (თბილისი) – „ლოკომოტივი“ (თბილისი) 16.45 „იმედის“ მელოდიები 17.10 „ჩვენი ეზო“ 17.30 სერიალი „ცოდვის ფერი“ 18.30 სერიალი „მოჯადოება“ 20.55 სერიალი „ფარული ქება“ 21.55 ქართული სერიალი „ყავა და ლუდი“ (U) 23.30 მხ/ფ „ბრონქსის ისტორია“ (15) 01.30 „ნუცას სკოლა“ 02.25 „იმედის“ მელოდიები.

8.30 მუსიკა 9.00 ანიმაციური ფილმი 9.20 სერიალი „ასა“ 9.45 სერიალი „ჩენტო ვეტრინე“ 10.50; 13.50; 16.50; 17.50; 18.55; 22.30 სერიალი „ასა“ 10.55; 11.55; 12.55; 13.55 14.55; 15.55; 16.55 მზერა 11.05 საფეხბურთო მიმოხილვა 12.05 კრიმინალური სერიალი „CSI“ 13.05 სერიალი „გვერდიგვერდ“ 14.05 დოკ/ფ „მეფინთავის დღიური“ 14.35 სერიალი „ბალკანეთის უკანასკნელი იმპერატორები“ 16.05 სათავგადასავლო სერიალი „დაკარგული ქვეყანა“ 17.05 ანსამბლი „თბილისი“ 17.35 ანიმაციური ფილმი 17.55 მზერა რეგიონებიდან 18.05 სერიალი „სიყვარული ბრმაა“ 19.00 მზერა პლიუსი 19.00 სერიალი „ჩენტო ვეტრინე“ 19.30 მზერა პლიუსი 19.35 სერიალი „ჩენტო ვეტრინე“ (გაგრძელება) 20.00 მზერა ვრცელი გამოშვება 20.50 ქართული ფილმი „თოჯინები იცინიან“ (U) 23.00 გადაცემა „სასამართლო“ 23.30 კრიმინალური სერიალი „CSI“ 00.20 მხ/ფ „წყლის წონა“ (15).

8.00 „შვიდეული“ 8.30 „ახალი ამბები“ 8.45 სერიალი „განბოროტებული ლამაზმანი“ 9.35 კომედია „პარის მეფე ბრუნდება“ 11.05 დოკ/ფ 12.10 მხ/ფ „ცეცხლის ხაზზე“ 14.15 „სხვა როლი“ 14.30 „ახალი ამბები“ 15.00 საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში. ბათუმის „დინამო – გორის „დილა“. პირდაპირი რეპორტაჟი 16.50 მულტსერიალი 17.30 „ახალი ამბები“ 17.50 დოკ/ფ 18.30 „ნოვოსტი“ 18.45 „პროექტი“ 19.30 „შვიდეული“ 20.30 „ახალი ამბები“ 21.00 „გოლიათი“ 21.30 „მოგზაური“ 22.00 სერიალი „განბოროტებული ლამაზმანი“ 22.50 მხ/ფ „28 დღის შემდეგ“ 00.00 „ახალი ამბები“ 00.15 მხ/ფ „მე საფრთხობელა ვარ“.

11.00 Style Tv 12.45 მხ/ფ „ამერიკაში ახალჩასულნი“ (U) 17.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.20 Style Tv 19.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 19.20 სტუდია „სპექტრი“ 20.30 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 22.00 „პოზიცია“ (U) 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 01.30 მხ/ფ „ფერფლები“ (U).

07.00 Телеканал "Доброе утро" 10.00 НОВОСТИ 10.10 Сериал "Убойная сила" 11.20 Детективы 11.50 Сериал "Виола Тараканова. В мире преступных страстей" 13.00 НОВОСТИ 13.20 Сериал "Черный ворон" 14.30 "Диснейклуб". "По следам Микки Мауса" 14.50 Сериал "Две судьбы" 16.00 НОВОСТИ 16.10 Лолита. Без комплексов 17.00 Сериал "Талисман" 19.00 НОВОСТИ 19.20 Сериал "Большие девочки" 19.50 Сериал "Любовь как любовь" 21.00 Пусть говорят 22.00 ВРЕМЯ 22.30 Сериал "ЗАКОЛДОВАННЫЙ УЧАСТОК" 23.30 "Спецрасследование". Школа бои без правил 00.40 НОВОСТИ 01.00 "Искатели". Бриллианты для диктатуры 01.50 "Ударная сила". Последнее предупреждение 02.00 Федеральный судья 02.40 Сериал "24 часа" 03.30 Что?

## ხუთშაბათი 30 მარტი

7.55 „ალო“ 10.00 სერიალი „ცხოვრება თავიდან იწყება“ 11.00 დოკ/ფ „მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენ“ (BBC) 12.00 „მოამბე“ 12.20 მულტსერიალი „საბრინა“ 12.45 მულტსერიალი „პოკემონები“ 13.00 „სარჩევი“ 14.00 სერიალი „ნიკიტა“ 15.00 „მოამბე“ 15.15 „პოლმარკი“ – სერიალი „მის იტალია“ 16.00 „მოამბე“ აზერბაიჯანულ ენაზე 16.30 „მოამბე“ რუსულ ენაზე 17.00 დოკ/ფ „როგორ შეცვალა ხელოვნებამ სამყარო“ (BBC) 18.00 „მოამბე“ 18.30 დოკ/ს „სიჩქარე“ 19.00 სერიალი „ცხოვრება თავიდან იწყება“ 20.00 „მოამბე“ 20.45 „ბამბლინა“ 21.00 სერიალი „ნიკიტა“ 22.00 „ავტოგრაფი“ 23.00 მხ/ფ „ამერიკელი მფრინავები“ (12) 0.00 საინფორმაციო გამოშვება 0.15 მხ/ფ „ამერიკელი მფრინავები“ (12) (გაგრძელება).

19.00 სარჩევი 19.50 ბამბლინა 20.05 მს „პატარა კენგურუები“ 20.35 დოკ/ფ „ადგილები, რომლებიც უნდა გახსოვდეს“ 21.30 მხ/ფ „ვალენტინი“ (U).

07.30 დილა 08.00 ანიმაციური ფილმი „ლუი“ 10.00 სერიალი „მოპარული გულები“ 11.00 ცოცხალი შოუ 12.00; 15.00; 17.00; 18.00; 21.00 „კურიერი“ 12.20 სერიალი „დედინაცვალი“ 13.30 მხ/ფ „დუბლები“ (U) 15.30 ანიმაციური ფილმი „ლუი“ 16.15 სერიალი „მოპარული გულები“ 16.50 სერიალი „მამბოხე სული“ 18.30 პატრული 19.00 BBC 19.50 სერიალი „დედინაცვალი“ 22.00 „თავისუფალი თემა“ 23.30 სერიალი „სასოწარკვეთილი დიასახლისები“ 00.00 მხ/ფ „მის ფურფურა“ 01.50 „კურიერი“ 02.10 პატრული.

07.00; 07.45; 09.00; 10.00; 13.00; 14.00; 15.00; 16.00; 17.00; 18.00; 19.00; 20.00; 23.00; 02.25 „ქრონიკა“ 07.15 ანიმაციური ფილმი „გალაქტერონი“ 08.00 „იმედის“ დილა 09.15 „ნუცას სკოლა“ 10.10 სერიალი „ცოდვის ფერი“ 11.15 სერიალი „ფარული ქება“ 12.25 „იმედის“ მელოდიები 12.40 „TV-მარკეტი“ 13.15 მხ/ფ „რეინჯერი“ (U) 15.20 სერიალი „მოჯადოება“ 16.25 „TV-მარკეტი“ 16.40 დოკ/სერიალი „ყველაზე, ყველაზე, ყველაზე“ 17.30 სერიალი „ცოდვის ფერი“ 18.30 სერიალი „მოჯადოება“ 20.55 სერიალი „ფარული ქება“ 21.55 ქართული სერიალი „ყავა და ლუდი“ (U) 23.30 „ლიმონი“ 0.00 მხ/ფ „ნამდვილი ქარი“ (12) 01.40 „ნუცას სკოლა“-02.35 „იმედის“ მელოდიები.

8.30 მუსიკა 9.00 ანიმაციური ფილმი 9.20 სერიალი „ასა“ 9.45 სერიალი „ჩენტო ვეტრინე“ 10.50; 13.50; 16.50; 17.50; 18.55; 22.30 სერიალი „ასა“ 10.55; 11.55; 12.55; 13.55 14.55; 15.55; 16.55 მზერა 11.05 სერიალი „სიყვარული ბრმაა“ 12.05 ქართული ფილმი „თოჯინები იცინიან“ (U) 14.05 დოკ/ფ „მეფინთავის დღიური“ 13.30 სერიალი „გვერდიგვერდ“ 15.05 კრიმინალური სერიალი „CSI“ 16.05 გადაცემა „სასამართლო“ 17.05 გადაცემა „ტელემეტრი“ 17.35 ანსამბლი „თბილისი“ 17.55 მზერა რეგიონებიდან 18.05 სერიალი „სიყვარული ბრმაა“ 19.00 მზერა პლიუსი 19.00 სერიალი „ჩენტო ვეტრინე“ 19.30 მზერა პლიუსი 19.35 სერიალი „ჩენტო ვეტრინე“ (გაგრძელება) 20.00 მზერა ვრცელი გამოშვება 20.50 სერიალი „ბალკანეთის უკანასკნელი იმპერატორები“ 23.00 მხ/ფ „ადამიანი რომელიც არ იყო“ (15).

8.00 „შვიდეული“ 8.30 „ახალი ამბები“ 8.45 სერიალი „განბოროტებული ლამაზმანი“ 9.35 კომედია „ქალებს გაუფრთხილდით“ 11.45 დოკ/ფ 12.45 მხ/ფ „ერთხელ მიდლენდში“ 14.30 „ახალი ამბები“ 14.45 ტრილერი „გატაცება 60 წამში“ 16.25 მულტფილმი 17.30 „ახალი ამბები“ 17.50 კონცერტი 18.30 „ნოვოსტი“ 18.45 დოკ/ფ 19.30 „შვიდეული“ 20.30 „ახალი ამბები“ 21.00 „გოლიათი“ 21.30 კონცერტი 22.00 სერიალი „განბოროტებული ლამაზმანი“ 23.00 „ექსკლუზივი“ 00.00 „ახალი ამბები“ 00.15 ტრილერი „ნიკიტა“.

11.00 Style Tv 11.00 მხ/ფ „ფერფლები“ (U) 14.00 „პოზიცია“ (U) 17.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.20 Style Tv 19.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 19.20 სტუდია „სპექტრი“ 20.30 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 22.00 მხ/ფ „იქ სადაც მდინარე მოედინება“ (U) 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 01.30 Style Tv.

07.00 Телеканал "Доброе утро" 10.00 НОВОСТИ 10.10 - Сериал "Убойная сила" 11.20 Детективы 11.50 Сериал "Виола Тараканова. В мире преступных страстей" 13.00 НОВОСТИ 13.20 Сериал "Черный ворон" 14.30 "Диснейклуб. "По следам Микки Мауса" 14.50 Сериал "Заколдованный участок" 16.00 НОВОСТИ 16.10 Лолита. Без комплексов 17.00 Сериал "Талисман" 18.00 Федеральный судья 19.00 НОВОСТИ 19.20 Сериал "Большие девочки" 19.50 Сериал "Любовь как любовь" 21.00 Человек и закон 22.00 ВРЕМЯ 22.30 Сериал "Заколдованный участок" 23.30 "Рождение легенды". Москва слезам не верит 00.40 НОВОСТИ 01.00 Судите сами 02.00 Берт Ланкастер и Керк Дуглас в комедии "КРУТЫЕ ПАРНИ 04.00 НОВОСТИ 04.05 Что? Где? Когда? 05.10 "Неизвестная планета.

## პარასკევი 31 მარტი

7.55 „ალო“ 10.00 სერიალი „ცხოვრება თავიდან იწყება“ 11.00 დოკ/ფ „როგორ შეცვალა ხელოვნებამ სამყარო“ (BBC) 12.00 „მოამბე“ 12.20 მულტსერიალი „საბრინა“ 12.45 მულტსერიალი „პოკემონები“ 13.00 „სარჩევი“ 14.00 სერიალი „ნიკიტა“ 15.00 „მოამბე“ 15.15 „პოლმარკი“ – სერიალი „მის იტალია“ 16.00 მულტსერიალი „მუმუ“ 16.30 „მოამბე“ რუსულ ენაზე 17.00 დოკ/ფ „მკვლელი ტბები“ (BBC) 18.00 „მოამბე“ 18.20 „საოცარი ლოტო“ 19.00 სერიალი „ცხოვრება თავიდან იწყება“ 20.00 „მოამბე“ 20.45 „ბამბლინა“ 21.00 სერიალი „ნიკიტა“ 22.00 კონცერტი – მერაბ გე 23.00 მხ/ფ „რანგუნს რომ გასცდები“ (12) 0.00 საინფორმაციო გამოშვება 0.15 მხ/ფ „რანგუნს რომ გასცდები“ (12) (გაგრძელება).

19.00 სარჩევი 19.50 ბამბლინა 20.05 სოციალური მაცნე 20.158 აფხაზეთის ტელევიზია 20.35 დოკ/ფ „ადგილები, რომლებიც უნდა გახსოვდეს“ 21.45 კონცერტი.

07.30 დილა 08.00 ანიმაციური ფილმი „ლუი“ 10.00 სერიალი „მოპარული გულები“ 11.00 სერიალი „ბრიგადა“ 12.00; 15.00; 17.00; 18.00; 21.00 „კურიერი“ 12.20 სერიალი „დედინაცვალი“ 13.30 მხ/ფ „ორნი ზღვის პირას“ (U) 15.30 ანიმაციური ფილმი „ლუი“ 16.15 სერიალი „მოპარული გულები“ 16.50 სერიალი „მამბოხე სული“ 18.30 პატრული 19.00 BBC 19.50 სერიალი „დედინაცვალი“ 22.00 „ღამის შოუ“ 23.00 სერიალი „სასოწარკვეთილი დიასახლისები“ 00.00 მხ/ფ „ნდობა“ 01.50 „კურიერი“ 02.15 პატრული 02.35 მხ/ფ „როცა თავს ღმერთი გგონია“.

07.00; 07.45; 09.00; 10.00; 13.00; 14.00; 15.00; 16.00; 17.00; 18.00; 19.00; 20.00; 23.00; 02.50 „ქრონიკა“ 07.15 ანიმაციური ფილმი „გალაქტერონი“ 08.00 „იმედის“ დილა 09.15 „ნუცას სკოლა“ 10.05 სერიალი „ცოდვის ფერი“ 11.15 სერიალი „ფარული ქება“ 12.25 „იმედის“ მელოდიები 12.40 „TV-მარკეტი“ 13.15 მხ/ფ „ნამდვილი ქარი“ (12) 15.20 სერიალი „მოჯადოება“ 16.25 „TV-მარკეტი“ 16.40 დოკ/სერიალი „ყველაზე, ყველაზე, ყველაზე“ 17.30 სერიალი „ცოდვის ფერი“ 18.30 სერიალი „მოჯადოება“ 20.30 „რეაქცია“ 21.55 ქართული სერიალი „ყავა და ლუდი“ (U) 23.30 „უცნობი საქართველო“ 0.00 მხ/ფ „სახარა“ (12) 02.05 „ნუცას სკოლა“ 03.00 „იმედის“ მელოდიები.

8.30 მუსიკა 9.00 ანიმაციური ფილმი 9.20 სერიალი „ასა“ 9.45 სერიალი „ჩენტო ვეტრინე“ 0.50; 13.50; 16.50; 17.50; 18.55; 22.30 სერიალი „ასა“ 10.55; 11.55; 12.55; 13.55 14.55; 15.55; 16.55 მზერა 11.05 სერიალი „სიყვარული ბრმაა“ 12.05 მხ/ფ „ბიძია ტომი“ (U) 14.05 გადაცემა „ტელემეტრი“ 14.35 სერიალი „ბალკანეთის უკანასკნელი იმპერატორები“ 16.05 სათავგადასავლო სერიალი „დაკარგული ქვეყანა“ 17.05 ანსამბლი „თბილისი“ 17.35 ანიმაციური ფილმი 17.55 მზერა რეგიონებიდან 18.00 „რუსთაველი“ – სვანიძე 18.30 გადაცემა „პულსი“ 19.00 მზერა პლიუსი 19.00 სერიალი „ჩენტო ვეტრინე“ 19.30 მზერა პლიუსი 19.35 სერიალი „ჩენტო ვეტრინე“ (გაგრძელება) 20.00 მზერა ვრცელი გამოშვება 20.50 ქართული ფილმი „აბეზარა“ (U) 23.00 გადაცემა „ტაბუ“ 00.20 მხ/ფ „შახობები“ (18).

8.00 „შვიდეული“ 8.30 „ახალი ამბები“ 8.45 კომედია „ბუტიკი“ 10.20 დოკ/ფ 11.20 მხ/ფ „მოჯადოებული ელა“ 13.00 მხ/ფ „არასოდეს მოკვდე მარტოობაში“ 14.30 „ახალი ამბები“ 14.45 ბოევიკი „სიცოცხლის შენარჩუნების გაკვეთილი“ 16.20 მულტფილმი 17.30 „ახალი ამბები“ 17.50 „ოქროს მართვე“ 18.30 „ნოვოსტი“ 18.45 დოკ/ფ 19.30 „შვიდეული“ 20.30 „ახალი ამბები“ 21.00 „გოლიათი“ 21.30 ინდური ფილმი „არც შენ იცი, არც მე“ 00.00 „ახალი ამბები“ 00.15 მხ/ფ „მწვანე ნდობა“.

11.00 Style Tv 12.45 მხ/ფ „იქ, სადაც მდინარე მოედინება“ (U) 14.00 Style Tv 17.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 17.20 Style Tv 19.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 19.20 სტუდია „სპექტრი“ 20.30 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 22.00 მხ/ფ „ჩიხში“ (U) 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 01.30 Style Tv.

07.00 Телеканал "Доброе утро" 10.00 НОВОСТИ 10.10 Сериал "Убойная сила" 11.20 Детективы 11.50 Сериал "Виола Тараканова. В мире преступных страстей" 13.00 НОВОСТИ 13.20 Сериал "Черный ворон" 14.30 Диснейклуб. По следам Микки Мауса" 14.50 Сериал 1 "Заколдованный участок" 16.00 НОВОСТИ 16.10 Лолита. Без комплексов 17.00 Сериал "Талисман" 18.00 Федеральный судья 19.00 НОВОСТИ 19.10 Неделя на "Фабрике" 19.40 Сериал "Любовь как любовь" 20.50 Поле чудес 22.00 ВРЕМЯ 22.25 Фабрика звезд 23.50 Джим Керри в комедии "ЛЖЕЦ, ЛЖЕЦ" 01.30 Ричард Гир и Ким Бейсингер в боевике "БЕЗ ПОЩАДЫ" 03.30 "Что? Где? Когда?". Финальная игра 2105 года 05.00

## შაბათი 1 აპრილი

8.00 „მოამბე“ 8.15 დოკ/ფ „მითხარი როგორ“ 8.45 „მომავლის ცირკი“ 9.25 საბავშვო სერიალი „სკოლის შემდეგ“ 9.40 ანიმაცია „ზღარბ სონიკის თავგადასავალი“ 10.05 საბ/სერიალი „მარწყვი და კენკრის სამყარო“ 10.30 „პოლმარკი“ – სერიალი „მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენ“ 11.30 დოკ/ფ „ფოტოსურათები და ფოტოგრაფები“ 12.00 „მოამბე“ 12.10 მხ/ფ „კარლოს პეგმეები“ (U) 13.50 სპექტაკლი „დიდოსტატის მარჯვენა“ 15.00 „მოამბე“ 15.15 სპექტაკლი „დიდოსტატის მარჯვენა“ (გაგრძელება) 17.00 სერიალი „ჩინჩიტა“ 18.00 „მოამბე“ 18.20 ქართული მხ/ფ „აბეზარა“ (U) 20.00 „მოამბე“ 20.45 „მეოთხე მოსმენა“ 21.15 „მისტერ ბინი“ 21.45 მუსიკა – სიმფონიური მუსიკის კონცერტი 22.45 მხ/ფ „ბრანკაჩო“ 1 სერია (U) 0.00 საინფორმაციო გამოშვება 0.15 მხ/ფ „ბრანკაჩო“ 1 სერია (U) (გაგრძელება) 0.50 მხ/ფ „და კლივა“ (U).

19.00 მ/ს „პატარა კენგურუები“ 19.30 დოკ/ფ „ო, მოდა, მოდა“ 20.20 დოკ/ფ „ვერიკო“ 20.50 კონცერტი 21.50 მხ/ფ „სადღესასწაულო დღე“ (U).

08.00 კლასიკა 12.00; 15.00; 17.00; 18.00; 21.00 „კურიერი“ 09.30 „ჯეტიქსი“ 11.00 საბავშვო ფილმი „მეათე სამეფო“ 12.20 „გაიღიმეთ ფარული კამერაა“ 12.50 გრეგორი მულინი კაცობრიობის წინააღმდეგ 15.20 სერიალი „სიამაყე“ 17.00 სერიალი „ანდრომედა“ 18.30 სერიალი „ლოტოსის დარტყმა“ 19.20 მხ/ფ „მილიონები“ 22.00 „შაბათის შოუ“ 23.00 სერიალი „თანამგზავრი“ 01.00 მხ/ფ „ჩამსკრაბერი“ 03.10 კურიერი 03.30 მხ/ფ „მკვდარი სეზონი“.

09.00; 13.00; 17.00; 19.00; 20.00; 23.00; 04.05 „ქრონიკა“ 09.10 ანიმაციური ფილმი „კუ-ნინძების ახალი თავგადასავალი“ 10.05 „რა-რაო?“ 10.15 „12+“ 11.35 „დილის ფოსტა“ 12.20 „იმედითა შენითა“ 12.40 „TV-მარკეტი“ 13.20 მხ/ფ „ჯორჯი და გველეშაპი“ (U) 15.15 სერიალი „მოჯადოება“ 16.15 „TV-მარკეტი“ 16.30 „უცნობი საქართველო“ 17.10 დოკ/სერიალი „საიდუმლოებები“ 18.00 „ეტალონი“ 19.05 სერიალი „მოჯადოება“ 20.55 ქართული სერიალი „საპონი“ (U) 21.55 „ღამით მარადონასთან“ 0.00 მხ/ფ „ლოს ანჯელესის საიდუმლოებანი“ (12) 02.20 მხ/ფ „ბოროტება“ (15) 04.15 „იმედის“ მელოდიები.

9.00 მუსიკა 9.40 ანიმაციური ფილმი „სინდბადი“ 10.50 გადაცემა „პულსი“ 11.20 სათავგადასავლო სერიალი „დაკარგული ქვეყანა“ 12.05 ქართული ფილმი „აბეზარა“ (U) 13.35 □14.00 მზერა 14.15 □15.45 ფეხბურთი. ბირმინჰემი – ჩელსი 16.30 მზერა 17.35 მუსიკა 18.00 ფეხბურთი. არსენალი – ასტონ ვილა 20.00 მზერა 20.30 „ბასტი-ბუბუ“ 21.00 კონცერტი 23.00 მხ/ფ „ვირთხების რბოლა“ (U).

8.00 „შვიდეული“ 8.30 „ახალი ამბები“ 8.45 ზღაპარი „პინოქიო“ 10.35 კომედია „იანკების არაჩვეულებრივი თავგადასავალი აფრიკაში“ 12.00 „ვიცინოთ ერთად“ 12.25 კომედიური ბოევიკი ოპერაცია „ჩაშუშული“ 14.10 მზია კვრიკაშვილი – იუმორის საღამო 15.40 მხ/ფ „როგორ მოვიქცე“ 17.30 „ახალი ამბები“ 17.50 კომედია „კენგურუ ჯეკი“ 19.30 „შვიდეული“ 20.30 „ახალი ამბები“ 21.00 „მხიარული მატარებელი“ იუმორისტული მუსიკალური სპექტაკლი 22.00 მხ/ფ „სიცილიელი“ 00.00 „ახალი ამბები“ 00.15 მხ/ფ „სიცილიელი“ (გაგრძელება).

11.00 Style Tv 12.45 მხ/ფ „ჩიხში“ (U) 14.00 Style Tv 19.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 19.20 საბავშვო გადაცემა „ჩიკო“ 20.00 Style Tv 20.30 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ 21.30 მხ/ფ „გზა ბერძნული ქორწილისკენ“ (U).

07.00 НОВОСТИ 07.20 Фаина Раневская и Юрий Яковлев в сатирической комедии "ЛЕГКАЯ ЖИЗНЬ" 09.10 Играй, гармонь любимая! 09.50 Слово пастыря 10.00 Диснейклуб". "Крякбригада", "С добрым утром, Микки!" 11.00 НОВОСТИ 11.10 Смак 11.30 Поймать вора 12.10 "Маленькие звезды большого кино" 13.00 НОВОСТИ 13.10 Здоровье 14.10 За секунду до катастрофы, Крушение "Конкорда" 15.00 Футбол. Чемпионат России. III тур. "Спартак" - ЦСКА 17.00 "Брачные аферисты" д. ф 18.00 Сериал "Большие девочки" 19.00 НОВОСТИ 19.20 Праздничный "Ералаш" 19.50 Большие гонки 21.00 Вечер с Максимом Галкиным 00.00 Эдди Мерфи в комедии "Я - ШПИОН" 01.40 Кэтрин ЗетаДжонс в триллере "ПРИЗРАК ДОМА НА ХОЛМЕ" (США) 03.50 "Лучшие кинотрюки

## კვირა 2 აპრილი

8.00 „მოამბე“ 8.15 დოკ/ფ „მითხარი როგორ“ 8.45 „მომავლის ცირკი“ 9.25 საბავშვო სერიალი „სკოლის შემდეგ“ 9.40 ანიმაცია „ზღარბ სონიკის თავგადასავალი“ 10.05 საბ/სერიალი „მარწყვი და კენკრის სამყარო“ 10.30 „პოლმარკი“ – სერიალი „მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენ“ (U) 11.30 „ჩვენი ექსპრესი“ 12.00 „მოამბე“ 12.10 მსოფლიო რაგბი 12.40 მხ/ფ „ორმაგი ყინვა“ (U) 14.00 ქართული ცეკვის ზეიმი 15.00 „მოამბე“ 15.15 დოკ/ფ „ოკეანური დინების მონადირენი“ 16.00 „არტე“ – დოკ/ფ „ტაქსიკო გადაადგილების საშუალება“ 17.00 სერიალი „ჩინჩიტა“ 18.00 „მოამბე“ 18.20 დოკ/ფ „სიჩქარე“ 18.50 დოკ/სერიალი „წყლები და ლეგენდები“ 20.00 „მოამბე“ 20.30 მხ/ფ „ბარსელონა“ (12) 22.15 „მისტერ ბინი“ 22.45 მხ/ფ „ბრანკაჩო“ 2 სერია (U) 0.00 საინფორმაციო გამოშვება 0.15 მხ/ფ „ბრანკაჩო“ 2 სერია (U) (გაგრძელება).

19.00 მ/ს „პატარა კენგურუები“ 19.30 დოკ/ფ „ცეკვა ლუკას შემოქმედებაში“ 20.20 „მეოთხე მოსმენა“ 20.50 მხ/ფ „ერთი სიცოცხლე რომ დამთავრდა“ (U).

08.00 კლასიკა 12.00; 15.00; 17.00; 18.00; 21.00 „კურიერი“ 09.30 „ჯეტიქსი“ 10.00 საბავშვო ფილმი „მეათე სამეფო“ 11.00 „სუპერ ლოტო“ 12.20 მხ/ფ „შავი ვარდი... წითელი ვარდი“ 15.20 მხ/ფ „სპირალი“ III სერია 17.00 სერიალი „ანდრომედა“ 18.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 19.00 უბნის ინსპექტორი 19.30 მხ/ფ „იმერული ესკიზები“ 22.00 „იდეა, ფული და ერთი შანსი“ 23.00 „გაიღიმეთ ფარული კამერაა“ 00.00 მხ/ფ „მე დინა ვარ“ 02.20 „კურიერი“ 02.40 უბნის ინსპექტორი 03.00 მხ/ფ „სამარე“.

09.00; 13.00; 17.00; 19.00; 20.00; 23.00; 02.30 „ქრონიკა“ 09.10 „იმედის“ მელოდიები 09.50 ანიმაციური ფილმი „კუ-ნინძების ახალი თავგადასავალი“ 10.50 „რა-რაო?“ 11.00 „TV-ლოტო“ 11.45 „ლიმონი“ 12.40 „TV-მარკეტი“ 13.20 „თქვენი ექიმი“ 14.00 ქართული სერიალი „საპონი“ (U) 15.15 „ეტალონი“ 15.25 დოკ/სერიალი „ფოტო ალბომი“ 16.15 „TV-მარკეტი“ 16.30 „დინამო 1981 – 25 წელი დიდი გამარჯვებიდან“ 17.15 „არტ-ბულვარი“ 18.00 „წუთისოფელში“ 18.30 „ვაკაცი NEWS“ 19.05 ქართული მხ/ფ „მიმინო“ (U) 21.00 „დროება“ 22.45 დოკ/ფილმი „რევოლვერი“ (15) 0.45 მხ/ფ „ლულუ ხიდზე“ (U) 02.40 „იმედის“ მელოდიები.

9.00 მუსიკა 9.40 ანიმაციური ფილმი „პიტერ პენი“ 11.00 „ბასტი-ბუბუ“ 11.30 სათავგადასავლო სერიალი „დაკარგული ქვეყანა“ 12.20 „რუსთაველი“ – სვანიძე 12.45 საქართველოს ისტორია 13.25 კონცერტი 14.00 მზერა 14.15 კონცერტი (გაგრძელება) 15.45 სერიალი „შეხვედრა მინოტავრთან“ 17.00 მზერა 17.30 საქართველოს ისტორია 19.00 ფეხბურთი. ვესტჰემი – ჩარლტონი 19.50 მზერა 20.50 მხ/ფ „ტალღები“ (U) 22.00 სერიალი „ასა“ 23.00 მხ/ფ „მონანიება“ (15).

8.00 „შვიდეული“ 8.30 „ახალი ამბები“ 8.45 მულტფილმი 10.00 „ფერადი სახლი“ 10.20 მუსიკა 11.00 „ფეხბურთი 11 საათზე“ 11.35 კომედია „მელინდა და მელინდა“ 13.30 „მოგზაური“ 13.50 დოკ/ფ 14.30 ტრილერი „სახელმწიფოს მტერი“ 16.45 „ექსკლუზივი“ 17.30 „ახალი ამბები“ 17.50 „სცენა“ 18.00 კომედია „ექსტრემალური შეხვედრა“ 19.30 „შვიდეული“ 20.00 „ვიცინოთ ერთად“ 20.30 „ახალი ამბები“ 21.00 „გოლიათი“ 21.30 მხ/ფ „მგლების იმპერია“ 00.00 „ახალი ამბები“ 00.15 მხ/ფ „მტირალა მკვლელი“.

11.00 Style Tv 12.45 მხ/ფ „გზა ბერძნული ქორწილისკენ“ (U) 17.00 „ვარსკვლავები გვამცნობენ“ 20.00 ინდური მხ/ფ 23.00 გადაცემა „ჯაზ-პარნასი“ 00.45 მხ/ფ „სიყვარულის ტექნოლოგია“ (18) 02.00 Style Tv.

06.45 "Приключения Икабода и мистера Тоуда" полнометраж 07.00 НОВОСТИ 08.00 Комедия "ТЕЩА" 09.20 Армейский магазин 09.50 "Диснейклуб"; "ДональдДак представляет" 10.20 Умницы и умники 11.00 НОВОСТИ 11.10 Непутевые заметки 11.30 Пока все дома 12.20 Веселые картинки 13.00 НОВОСТИ 13.10 Живой мир. Дневникислонов 14.10 Жеглов, Шарапов, Говорухин.. 15.10 Надежда Румянцева в комедии "КОРОЛЕВА БЕНЗОКОЛОНКИ" 16.40 КВН. Высшая лига. Первая игра сезона 19.00 Времена 19.50 Кто хочет стать миллионером? 21.00 Империя 22.00 Воскресное ВРЕМЯ 22.45 Фильм Станислава Говорухина "НЕ ХЛЕБОМ ЕДИНЫМ..." 01.00 Бокс. Бои сильнейших профессионалов мира. Рикки Хаттон - Карлос Маусса 01.50 "Суперчеловек". Правда о витаминах 02.50 Питер Фальк в детективе "КОНС-

# მაჰმუდ აბასი შუამავლობას აშშ-ს სთავაზობს



Коммерсантъ

პალესტინის ავტონომიის მეთაურს, მაჰმუდ აბასს მიაჩნია, რომ ერთ წელიწადში სავსებით შესაძლებელია ისრაელთან მშვიდობიანი შეთანხმების მიღწევა. მან ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის საბოლოოდ მოსაწესრიგებლად აშშ-ს შუამავლობა შესთავაზა — პრეზიდენტი ბუში უნდა ჩაუდგეს სათავეში მოლაპარაკებების პროცესს, რომელიც პალესტინაში მთავრობის არჩევნების დამთავრებისთანავე დაიწყებაო.

აბასის აზრით, ჰამასის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული ავტონომიის ახალი მთავრობა ვერ ჩაშლის მშვიდობიანი მოლაპარაკებების პროცესს, რადგან მხოლოდ მას, როგორც ავტონომიის მეთაურს, აქვს უფლება, ხელი მოაწეროს დოკუმენტებს. აბასი სახალხო რეფერენდუმზეც გეგმავს სამშვიდობო დოკუმენტების გატანას.

მაჰმუდ აბასი ფიქრობს, რომ ისრაელთან ყველა სადავო საკითხის მოგვარება შეიძლება. დიალოგის დაწყებას კი მხოლოდ ისრაელის ხელმძღვანელობა უშლის ხელს — ვიდრე ჰამასი იარაღს არ დაყრის და არ აღიარებს ისრაელს, მოლაპარაკებებზე უარს ვამბობთო.

# ეტა ბასკებს მშვიდობისკენ მოუწოდებს




CORRIERE DELLA SERA

სეპარატისტულმა დაჯგუფება ეტამ ბასკებს კონფლიქტის შეწყვეტის გზების ძიებისკენ მოუწოდა. ეს მოწოდება ბასკების ნაციონალისტურმა გაზეთმა „გარამ“ გამოაქვეყნა. 40 წელზე მეტია შეიარაღებული დაჯგუფება ეტა ჩრდილო ესპანეთსა და სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში ბასკების დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად იბრძვის. ეტამ ადრეც რამდენჯერმე გააკეთა განცხადება ცეცხლის დროებითი შეწყვეტის თაობაზე, ამჯერად კი უვადო შერიგება გამოაცხადა — ჩვენი მიზანია ბასკების ქვეყანაში დემოკრატიული პროცესის დაწყებაო.

ეტას ინიციატივა არ მოიწონა ტერორიზმის მსხვერპლთა ასოციაციამ — ეს მკვლელების მორიგი ტრიუკია პოლიტიკური მიზნის მისაღწევად. ერთადერთი, რისი მოსმენაც გვსურს ეტასგან, ეს არის ორგანიზაციის დაშლა და ტერორისტების გადაცემა ესპანეთის სასამართლოსთვის, — განაცხადა ასოციაციამ.

ესპანეთის პრემიერ-მინისტრი ხოსე ლუის როდრიგეს საპატერო სიფრთხილით მოეკიდა ეტას ინიციატივას: — მათ ადრეც არაერთხელ უთქვამთ, შევწყვეტთ ტერორისტულ აქტებსო, მაგრამ პირობა არ შეუსრულებიათ.

„წლების განმავლობაში შეიარაღებული ბრძოლის შემდეგ სამშვიდობო პროცესი ხანგრძლივი და მძიმე იქნება, თუმცა, ჩვენი მხრივ, ყველაფერს ვილონებთ, რათა ეტა მართლაც დაადგეს სამშვიდობო გზას“, — თქვა მან.

# რუსეთ-ჩინეთის „თაფლობის თვე“ განახლდა

THE WALL STREET JOURNAL

1950-იან წლებში ჩინეთ-რუსეთის თაფლობის თვის შემდეგ მოსკოვისა და პეკინის ლიდერებს შორის ასეთი კარგი ურთიერთობა აღარ ყოფილა. რუსეთის პრეზიდენტმა, შეიძლება ითქვას, ზურგი აქცია ვაშინგტონსა და ევროპის დედაქალაქებს. არც პეკინს ამოსდის მზე ბუშის ადმინისტრაციაზე ამერიკის კონგრესის პროტექციონისტური მოქმედებების გამო — სენატორი ჩაკ შუმერი ჩინური ექსპორტისათვის 27,5%-იანი ბეგარის დაწესებას ითხოვს. კონგრესი ალბათ მიიღებს ამ კანონპროექტს.

მაშინ, როდესაც კონგრესში შუმერის წინადადებას განიხილავდნენ, რუსეთისა და ჩინეთის პრეზიდენტები პეკინში ორი ქვეყნის ეკონომიკის დაახლოებაზე საუბრობდნენ, ხელი მოეწერა შეთანხმებას ენერგეტიკის დარგში. ჩინეთი ენერგორესურსების დეფიციტს განიცდის, რუსეთს კი ნავთობი და გაზი ბლომად აქვს. ცხადია, ვაჭრობის განვითარება ორივე ქვეყანას წაადგება. მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით ურთიერთობის დათბობა პოლიტიკურ ფრონტზე დიდ შეშფოთებას იწვევს — მოსკოვი ჩინეთის წარმატებებს შუა აზიაში თავისი ინტერესების საფრთხედ აღიქვამს და ჩინეთის მზარდი სამხედრო ძლიერებაც ძალიან აღელვებს. ჩინეთი კი შეშფოთებულია რუსეთის სასაზღვრო პრეტენზიებით და მისი მოძველებული, მაგრამ მაინც ბირთვული არსენალით. აშკარაა, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დათბობის მცდელობა აშშ-ის კუთხეში მიმწყვდევის სურვილითაა განპირობებული.

აშშ-ს განსაკუთრებით აღელვებს ის, რომ მოსკოვი და პეკინი საერთო ენას პოულობენ თეირანის მიმართ დამოკიდებულებაში. თეირანი ორივესგან ყიდულობს იარაღს, ჩინეთსაც და რუსეთსაც ირანში ენერგეტიკული ინტერესები გააჩნიათ. ორივე ქვეყანა გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მუდმივი წევრია და შეუძლია ერთობლივი ძალისხმევით ჩაშალოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დასავლეთის დიპლომატიური ინიციატივები. მოსკოვი მხარს უჭერს პეკინის აგრესიულ პოლიტიკას ტაივანის მიმართ, მას ჩინეთის ტერიტორიის განუყოფელ ტერიტორიად მიიჩნევს და ეწინააღმდეგება ტაივანის გაეროში შესვლას.




ბუშის ადმინისტრაცია ბრმა არ არის. ძალთა განლაგებაში ცვლილებებს კარგად ხედავს, მაგრამ პოლიტიკაში ურთიერთდათმობას ნორმალურ საერთაშორისო მოვლენად მიიჩნევს.

რუსეთსა და ჩინეთს მშვენივრად ესმით, რა შეიძლება მოუტანოს მათ აშშ-ის გაღიზიანებამ, მაგრამ როცა ორი ავტორიტარული რეჟიმი დიპლომატიურ თამაშში ებმება, არ უნდა დაგვავიწყდეს შესაძლო ინტრიგები.

# ესტონელებმა ბრიუსელში მურაბა გაგზავნეს

NEWSru.com

ევროკავშირმა ესტონეთი 45 მლნ ევროთი დააჯარიმა — ევროკავშირში შესვლის მომენტისთვის მას შაქრის გადამეტებული მარაგი აღმოაჩნდა. ტალინი ირწმუნება — შაქარი ქორვაჭრებმა კი არა, ქვეყნის მოქალაქეებმა შეიძინეს მურაბების მოსახარშად, ამხელა ჯარიმას ვერ გადავიხდითო. ბრიუსელს კი არ სჯერა, რომ თითოეულმა ესტონელმა 45 კგ შაქარი იყიდა, ამიტომ ტალინმა თვალსაჩინოებისთვის ევროკავშირში მურაბის გაგზავნა გადაწყვიტა.

შაქრის გამო უსიამოვნება ევროკავშირში ესტონეთის შესვლამდე რამდენიმე თვით ადრე დაიწყო. ევროკავშირი თავის შაქრის მწარმოებლებს დიდ სუბსიდიებს აძლევს შინა და მსოფლიო ფასებს შორის განსხვავების დასაფარავად. ახალმიღებულ წევრს, რომელსაც აქვს მსოფლიო ფასით შეძენილი შაქრის მარაგი, შეუძლია წესდებას გვერდი აუაროს და ევროკავშირში ეს მარაგი გაყიდოს შინაფასით, რომელიც საშუალო საბაზრო ფასზე სამჯერ მეტია.

ევროკავშირის მოხელეების აზრით, ესტონეთში სწორედ ეს მოხდა.

ჯერ კიდევ 2004 წლის იანვარში ევროკომისიამ გააფრთხილა ათი ქვეყანა, რომელიც ევროკავშირში უნდა შესულიყო, — შაქრის დიდი მარაგი გაანადგურეთ ან საქონლის საკვებად გამოიყენეთ. თუ ამ წინადადებას არ მიიღებთ, ჯარიმის გადახდა მოგიწევთო.

მარაგის ნორმალური სიდიდის განსასაზღვრავად გასული წლების მაჩვენებლები მიიჩნიეს. 2002 წელს ესტონეთში იმპორტირებული იყო 65 ათასი ტონა შაქარი, 2004 წლის აპრილში იმპორტმა 41 ათას ტონას მიაღწია, მარტო 2005 წლის ივნისისათვის კი დადგენილზე 91 ათასი ტონით მეტი იყო.

ევროკავშირმა ესტონეთს მოსთხოვა, რომ 2005 წლის ნოემბრამდე მოეგვარებინა მარაგის პრობლემა, მაგრამ რაკი ტალინმა არაფერი ილონა, ქვეყანა 45 მლნ ევროთი დააჯარიმა. ესტონეთის მთავრობა არ ეთანხმება ბრალდებას, თითქოს შაქარი სასპეკულაციოდ იყო შეძენილი. ბრიუსელს რამდენჯერმე შევატყობინეთ, რომ მოსახლეობას მურაბის მოსახარშად სჭირდებოდაო. ახლა სიმართლის დამტკიცებას ფერმერების მიერ შეგროვებული ათასი ქილა მურაბით ცდილობენ. თუმცა არც ეს არის ადვილი საქმე — ევროკავშირი ზღუდავს დიდი რაოდენობით პროდუქტის გადაზიდვას, ამიტომ ძნელი სათქმელია, მიაღწევენ თუ არა მურაბების ქილები ბრიუსელამდე.

გლეხებმა გადაწყვიტეს, თუ ჩვენი მურაბა ევროკავშირში ვერ ჩავიდა ან არ მოეწონათ, უკან დავიბრუნებთ და ესტონეთის ბავშვთა სახლებს დავურიგებთ — საპროტესტო აქციას სასაჩუქრედ ვაქცევთო.

# შირაკი მშობლიური ენის დიდი დამცველი ყოფილა

LENTA·RU

ბრიუსელში, ევროკავშირის სამიტზე, სენსაციური ამბავი მოხდა — საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა დემონსტრაციულად დატოვა სხდომათა დარბაზი. საფრანგეთის ლიდერის უკმაყოფილების მიზეზი გახდა ის, რომ მისმა თანამემამულემ და ერთიანი ევროპის მეწარმეთა პროფკავშირის თავმჯდომარემ, ერნესტ ანტუან სელიერმა, შეკრებილებს ინგლისურად მიმართა: — ინგლისურად ვილაპარაკებ, რადგან ეს არის ბიზნესის ენაო, — თქვა მან.

საფრანგეთის პრეზიდენტი მაშინვე წამოხტა და დარბაზიდან გავიდა. მას უკან გაჰყვნენ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ფილიპ დუსტ-ბლაზი და ეკონომიკისა და ფინანსების მინისტრი ტიერ ბრეტონი.

ევროკავშირის სამიტების ისტორიას ასეთი რამ არ ახსოვს. არც ერთ სახელმწიფოს მეთაურს არ მიუცია საკუთარი თავისთვის ამის ნება, თუმცა კავშირის არსებობის 60 წლის მანძილზე ბევრი რამ მომხდარა. გენერალი დე გოლი, თავისი პრეზიდენტობის ჟამს, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების ზოგიერთი გადაწყვეტილების მიმართ პროტესტის ნიშნად სხდომას საერთოდ არ ესწრებოდა.



საგულისხმოა, რომ ფრანგული ენა, ინგლისურსა და გერმანულთან ერთად, ევროკავშირის სამი სამუშაო ენიდან ერთ-ერთია.

## მოკლედ

**დიდ ბრიტანეთში** 14 წლის გოგონას დედას 3-თვიანი პატიმრობა მიუსაჯეს იმის გამო, რომ მისი შვილი 4 თვე სკოლას აცდენდა. გამცდენი მოსწავლეების მშობლებს, კანონის თანახმად, შეიძლება ფულადი ჯარიმაც გადაახდევინონ — 2,5 ათას გირვანქა სტერლინგამდე ან სამთვიანი პატიმრობა მიუსაჯონ. სასკოლო დისციპლინის გამკაცრების მიზნით, პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერის წინადადებით, მშობლებს, ვისი შვილებიც მეცადინეობას გააცდენენ, აღარ მიეცემათ ყოველკვირეული ფულადი დახმარება.

**აშშ-მა და ევროპის ქვეყნებმა**, რომელთა ჯარი ავღანეთში დგას, ქაბულს მოუწოდეს პატივი სცენ ავღანელი მოქალაქის რელიგიურ თავისუფლებას — 41 წლის მუსლიმანი აბდულ რაჰმანი გაქრისტიანდა. რაჰმანი დაპატიმრებულია, მის საქმეს შარიათის სასამართლო განიხილავს. მოსამართლე ა. მოულავზადემ განაცხადა, — ნებისმიერი მუსლიმანი, რომელიც უარყოფს ისლამს, სიკვდილით უნდა დაისაჯოს, თუ კვლავ ძველ რელიგიაზე არ მოექცევაო. აბდულა რაჰმანმა გადაჭრით თქვა უარი, დაბრუნებოდა ძველ სარწმუნოებას.

**იაპონურმა** კომპანია Nissan Motor-მა დაამუშავა უსაფრთხოების ახალი სისტემა. შეჯახების საშიშროების შემთხვევაში სისტემას შეუძლია თვითონ ამუშაოს ავტომანქანის პედალი და რადარული გადამცემების საშუალებით განსაზღვროს მანძილი წინ მიმავალ მანქანამდე. მოპირდაპირე მხრიდან დაჯახების საფრთხის შემთხვევაში გაზის პედალი ავტომატურად ამოიწევა და მძღოლს ფეხზე მიაჭერს — აიძულებს, რომ მუხრუჭს დააჭიროს. მძღოლები, რომლებიც მოძრაობისას უპირატესობას საკუთარ შეგრძნებებს ანიჭებენ, სისტემას იწუნებენ. Nissan-ი კი ირწმუნება — სიახლეს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, თუ მძღოლს საჭესთან შემთხვევით ჩაეძინა, ახალი სისტემა ავარიას ააშორებსო.

**კალკუტის** ზოოპარკის თანამშრომლებმა ერთ დღეს მკვდარი ნახეს კუ ადვაიტა. ადგილობრივი ადმინისტრაცია ირწმუნება, რომ ის პლანეტის უხუცესი არსება იყო. ადვაიტა (ბენგალურ ენაზე ერთადერთსა და განუმეორებელს ნიშნავს) ზოოპარკში 1875 წელს მიიყვანეს. მანამდე თურმე ინდოეთში



დიდი ბრიტანეთის სავაჭრო წარმომადგენლის, ლორდ რობერტ კლაივის ბაღში ცხოვრობდა.

ადვაიტას ასაკის დამადასტურებელი საბუთები არ არსებობს, თუმცა კალკუტის ზოოპარკის მესვეურები დაჟინებით ამტკიცებენ, — კუ 255 წლისა იყოო. ამჟამად პლანეტაზე ყველაზე მხცოვნად მიჩნეულია ავსტრალიის ზოოპარკის ბინადარი 176 წლის კუ, რომელიც კონტინენტზე ჯერ კიდევ ჩარლზ დარვინმა ჩაიყვანა.

**ავსტრალიელმა** მეცნიერმა სიდნეელებს სიფხიზლისკენ მოუწოდა — კერძო საცურაო აუზებში პატარა ნიანგებს პოულობენ. ამ დღეებში ახალგაზრდა ქალმა, რომელიც საკუთარი სახლის აუზში ცურავდა, პატარა ნიანგი შეამჩნია, არ დაიბნა და ვიდრე მიეშველებოდნენ, მტაცებელს პირი აუკრა. ეს პირველი შემთხვევა არ არის. მეცნიერები საგონებელში არიან ჩავარდნილნი, ვერ გაუგიათ, საიდან ჩნდებიან პატარა ნიანგები სიდნეის აუზებში.

**ნიუ-იორკში**, მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ადგილზე, დაიწყო 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების მსხვერპლთა ხსოვნის მემორიალური კომპლექსის აგება. მემორიალს ორ სხვადასხვა დონეზე ექნება საცურაო აუზები. ქვედა დონის აუზის კედლებზე ტერაქტში დაღუპულთა გვარები ამოიტვიფრება. დაღუპულთა ოჯახებს არ მოსწონთ კომპლექსის იდეა — ჩვენი ახლობლებისთვის პატივის მისაგებად ორმოში უნდა ჩავიდეთ, საიდანაც იმ საშინელ დღეს მათი ცხედრები ამოილესო და სასამართლოში აპირებენ ჩივილს.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

LIBRA WORK & TRAVEL USA
სტუდენტებისათვის:
მუშაობა აშშ-ში საზაფხულო არდადეგების დროს
საშუალო ანაზღაურებაა $7–9 საათში.
რეგისტრაცია სასწრაფოა!
☎ 37 60 35; 8-7772 1117

ევროპული დონის პოლიგრაფია
ფერადი ბეჭდვა „ჰეიდელბერგის“ გერმანულ დანადგარებზე
შპს „გოდოლი“
ხარისხი
ოპერატიულობა
ფასი
ტელ: 56-40-56
877-43-04-57



ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 ა. „დიდუბის“ გვერდით
☎ 34-49-40; 35-47-4726-30-50; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 35-13-13

# ახალი ენერგეტიკული იმედი

## რა სარგებელს მიიღებს საქართველო ახალი გაზსადენით?

საქართველო-უკრაინა-ევროკავშირის გაზსადენი (GUEU), რომლის მშენებლობას ამერიკული კონსორციუმი იწყებს და რომელზეც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება დიდ იმედებს ამყარებს, საქართველოსთვის გაზის მიღების კიდევ ერთი ალტერნატიული წყარო უნდა გახდეს. „მომავლის პროექტი", როგორც ამ გაზსადენს უწოდებენ, საქართველოს ბუნებრივი აირის სატრანზიტო ქვეყნად აქცევს და, ბუნებრივია, ფინანსურ სარგებელსაც მოუტანს. პირველ ყოვლისა, რუსეთზე დამოკიდებულების ხარისხს შეამცირებს და ჩრდილოელ მეზობელს საქართველოზე პოლიტიკური ზეწოლის ბერკეტსაც გამოაცლის ხელიდან.

ევროპა რუსული გაზის ალტერნატივის მოძიებაზე ათ წელზე მეტია მუშაობს, მაგრამ გაზმომარაგების დივერსიფიცირებაზე ფიქრი რუსეთ-უკრაინის „გაზის ომის", ევროპისა და თურქეთისათვის გაზის მიწოდების შემცირებისა და საქართველო-რუსეთის საზღვარზე ზამთარში მომხდარი ენერგოდივერსიის შემდეგ განსაკუთრებით გააქტიურდა. ევროპა შიშობს, რომ რუსეთი საკუთარ ენერგორესურსებს მომავალში ევროპის ქვეყნებზე ზეწოლისთვისაც გამოიყენებს. ამიტომ ევროპულ სახელმწიფოთა მეთაურები თვლიან, რომ რუსული გაზის ალტერნატივაზე დროულად უნდა იზრუნონ. ევროკომისიამ თებერვლის შუა რიცხვებში ოფიციალური რეკომენდაციით მიმართა ევროკავშირს, რომ ბუნებრივი აირის ალტერნატიულ წყაროებზე დაიწყოს მუშაობა, კერძოდ თურქმენული, ყაზახური, ირანული და აზერბაიჯანული გაზის ევროპაში მიწოდების ვარიანტები შეიმუშაოს. ირანიდან იმპორტის ვარიანტი ბოლოდროინდელი პოლიტიკური დაძაბულობის გამო გამოირიცხა და ევროკავშირმა გაზის აზერბაიჯანიდან, საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირებას მიანიჭა უპირატესობა. შუააზიური ქვეყნები ღიად აცხადებენ, რომ კასპიის ზღვის გადაკვეთა და შემდეგ გაზის აზერბაიჯანის და საქართველოს ტერიტორიის გავლით ევროპაში გატანა სურთ. ახალი მილსადენი, რომლის მეშვეობითაც ევროპამ შუააზიური გაზი რუსეთის გვერდის ავლით უნდა მიიღოს, საქართველოს ტერიტორიაზე გაივლის, გადაკვეთს შავი ზღვის ფსკერს და უკრაინის გავლით დასავლეთ ევროპას დაუკავშირდება. მილსადენის მთლიანი სიგრძის დაახლოებით 500-კილომეტრიანი მონაკვეთი საქართველოზე გაივლის, 700-კილომეტრიანი — შავი ზღვის ფსკერზე, 200-კილომეტრიანი — ყირიმის ტერიტორიაზე, სადაც შესაძლებელი იქნება უკრაინის გაზსადენთან მიერთება. ამ ეტაპზე გაზსადენის შეფასებითი სამუშაოები მიმდინარეობს. არ არის დაზუსტებული, სად და როგორ გაივლის ის საქართველოს ტერიტორიაზე. ამჟამად, მილსადენის მარშრუტის ორი ვარიანტი განიხილება. ერთი ვარიანტის მიხედვით, შუააზიურმა გაზმა ნაწილობრივ შაჰდენიზი-ერზრუმის მილებში უნდა გაიაროს და, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე 100-კილომეტრიანი მონაკვეთის შემდეგ, ერთი განშტოების სახით, შავი ზღვის სანაპირომდე მივიდეს. მეორე ვარიანტით, ახალი მილსადენი ერზრუმის პარალელურად უნდა აშენდეს.




- - - - - - Proposed pipeline
① — მშენებარე გაზსადენი
② — „ცისფერი ნაკადი"

საქართველო-უკრაინა-ევროპის გაზსადენის შეფასებითი სამუშაოები 2006 წლის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს. მის მშენებლობას კი 5-7 წელი დასჭირდება.

რა სარგებელს მოუტანს ახალი მილსადენი საქართველოს? გარდა იმისა, რომ გაზის მიღების ალტერნატიული წყარო საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულების ხარისხს შეამცირებს, საქართველოს ბუნებრივი აირის შეღავათიან ფასში მიღების საშუალება მიეცემა. ტრანზიტის საფასურის სახით ქვეყანას განსაზღვრული ოდენობის ბუნებრივი აირიც დარჩება. რა რაოდენობის გაზს მიიღებს საქართველო ამ გაზსადენიდან, სპეციალისტებს ზუსტი ციფრის დასახელება უჭირთ, თუმცა, წინასწარ უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ წელიწადში მისი ოდენობა 500 მილიონ კუბურ მეტრზე ნაკლები არ იქნება. რა თქმა უნდა, ტრანზიტის საფასური მილსადენში გატარებული აირის რაოდენობაზე იქნება დამოკიდებული. როგორც გიორგი ვაშაყმაძე ამბობს, ეს საფასური ბაქო-სუფსისა და შაჰდენიზი-ერზრუმის გაზსადენიდან მისაღებ სარგებელზე ნაკლები არ იქნება (როგორც ცნობილია, შაჰდენიზი-ერზრუმის გაზსადენიდან პირველ ეტაპზე საქართველოს ტრანზიტის საფასურის სახით წელიწადში 300 მილიონი კუბური მეტრი აირი უნდა დარჩეს, 500 მილიონ კუბურ მეტრ აირს კი შეღავათიან ფასში შეიძენს ანუ ქვეყანას საერთო ჯამში წელიწადში 800 მილიონი კუბური მეტრი გაზის მიღების საშუალება ექნება, რაც ქვეყნის მოხმარების 60 პროცენტია). სპეციალისტთა ვარაუდით, ახალი გაზსადენიდან საქართველოს დაახლოებით ამდენივე ბუნებრივი აირი უნდა დარჩეს.

**სოსო ცისკარიშვილი** (ექსპერტი ენერგეტიკულ საკითხებში): „ახალი გაზსადენი ჩვენს მოთხოვნილებას გაზზე სრულად, ბუნებრივია, ვერ დააკმაყოფილებს, რადგან როგორც გაზის, ასევე ელექტროენერგიის მოხმარება მომავალში კიდევ უფრო მოიმატებს. სავარაუდოდ, ახალი გაზსადენის მშენებლობის დასრულებისთვის ქვეყნის მიერ ბუნებრივი აირის მოხმარება 3 მილიარდ კუბურ მეტრს გადააჭარბებს. თუმცა, ეს იქნება შვება ქვეყნისთვის, იქნება ალტერნატივა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხს გაზრდის".

ახალ გაზსადენს მოწინააღმდეგეები უკვე გამოუჩნდა. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, რუსეთში. მოსკოვში კეთდება განცხადებები, რომ ევროპული გაზსადენი ტექნიკურად რთული განსახორციელებელი და არამომგებიანი იქნება, რადგან მან შავი ზღვის ფსკერზე „ცისფერ ნაკადად" წოდებული გაზსადენი უნდა გადაკვეთოს, რომელიც „გაზპრომის" საკუთრებაა.

ტექნიკური პრობლემები შავი ზღვის ფსკერზე მილსადენის გატარებასთან დაკავშირებით მართლაც არსებობს. იმის გამო, რომ ზღვაში დიდი მილების ჩადება შეუძლებელია, ამ მონაკვეთზე შედარებით მცირე დიამეტრის მილებს გამოიყენებენ, რის გამოც გაზსადენის გამტარუნარიანობა გარკვეულწილად შეიზღუდება. ერთი მილის გამტარუნარიანობა წელიწადში 8 მილიარდ კუბურ მეტრ აირზე მეტი არ იქნება. თუმცა, შესაძლოა, ზღვის ფსკერზე რამდენიმე მილი ჩაიდოს და გაზსადენის გამტარუნარიანობა 32 მილიარდ კუბურ მეტრამდეც გაიზარდოს.

გაზსადენის პირველი ფაზის მშენებლობა წინასწარი გათვლებით მინიმუმ 2 მილიარდი დოლარი დაჯდება. პროექტის დამფინანსებელთა სავარაუდო ვინაობა ჯერ არ სახელდება. კონსორციუმის წარმომადგენელთა თქმით, რომელიმე კომპანიის დასახელება კონკურენტებს არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებს. კონსორციუმის ერთ-ერთი დირექტორის გიორგი ვაშაყმაძის თქმით, მილსადენის არსებობით ბევრი ქვეყანაა დაინტერესებული, ამიტომ ფინანსების პრობლემა ამ პროექტს არ შეექმნება.

*ნონა ქელიძე*

# უცხოეთში ქართული ღვინის ფალსიფიკაცია მასობრივად ხდება




მას შემდეგ, რაც უცხოეთის ქვეყნებში ქართული ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ სახელმწიფოს ბრძოლა უშედეგო აღმოჩნდა, ქართველმა მეღვინეებმა გადაწყვიტეს ამ პრობლემაზე საკუთარი ხარჯებით იზრუნონ და ფალსიფიკატორებს სამართლებრივი მეთოდებით დაუპირისპირდნენ. ფალსიფიკაციის პრობლემას აქამდე ხელისუფლება ძირითადად ქვეყნის შიგნით უპირისპირდებოდა, რაც შარშან ათეულობით ტონა ღვინის დაღვრით გამოიხატა, ქვეყნის გარეთ კი ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო. რამდენიმე საექსპორტო ქვეყანაში გამყალბებლების წინააღმდეგ დაწყებული სასამართლო პროცესები სახელმწიფომ ძირითადად წააგო. საზღვარგარეთის სასამართლოებში მოპასუხედ გამოსვლა სოლიდური თანხა ჯდება, ამიტომ პროცესის დასრულება სახელმწიფოს უჭირს.

ამიერიდან, უცხოეთის ქვეყნებში ქართული ღვინის გამყალბებლებთან ბრძოლას „ქართული ღვინის მწარმოებელთა კავშირი" დაიწყებს, რომელიც ათმა ქართული ღვინის წამყვანმა კომპანიამ („თბილღვინო", „თელიანი ველი", GWS, „თელავის ღვინის მარანი", „ვაზი-1", „ვაინმენი", „ხეცურიანი", „ღვინის კომპანია შუმი", „ასკანელი" და „კახური ტრადიციული მეღვინეობა") დააფუძნა.

**ლევან კოზერიძე** (კავშირის გამგეობის თავმჯდომარე): „უცხოეთის ბაზრებზე ქართული ღვინის ფალსიფიკაცია ჩვენი ყველაზე სერიოზული პრობლემაა. ქართული ღვინის მზარდი ექსპორტის მიუხედავად, ფალსიფიცირებულ პროდუქციას საექსპორტო ბაზრის 35% უკავია. განსაკუთრებით დიდ მასშტაბებს ფალსიფიკაციამ რუსეთში, უკრაინასა და ყაზახეთში მიაღწია. გამუდმებით გვიწევს ჩვენი მომხმარებლის დარწმუნება, რომ ნამდვილად ქართულ ღვინოს ვაწვდით. ქართული ღვინის იმიჯი დეგრადირების გზას თუ დაადგა, მისი აღდგენა გაცილებით რთული იქნება, ამიტომ ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლა დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ. ამ პრობლემის წინააღმდეგ ინდივიდუალურმა ბრძოლამ შედეგი არ გამოიღო, ამიტომ ჩვენი ძალები უნდა გავაერთიანოთ. ასოციაცია ღიაა ნებისმიერი ფირმისთვის. ჩვენი მიზანია, კავშირი გახდეს ძლიერი".

ასოციაცია ფალსიფიკატორებთან ბრძოლის პარალელურად მომხმარებელთა და მეწარმეთა ინტერესებისა და უფლებების დაცვაზე იზრუნებს. სასამართლო ხარჯებს ქართველი მეღვინეები თანაბრად გაიღებენ. პირველ ეტაპზე თითოეული წევრი კომპანია ასოციაციის ბიუჯეტში 10-10 ათას დოლარს შეიტანს და შემდეგ თითოეული ექსპორტირებული ბოთლიდან ასოციაციაში განსაზღვრული ოდენობის თანხა ჩაირიცხება. ამ თანხებით მეღვინეები ცნობილ საერთაშორისო ექსპერტებსა და იურისტებს დაიქირავებენ, რომლებიც უშუალოდ ბრენდების (სავაჭრო ნიშნების) დაცვაზე არიან ორიენტირებული.

**არჩილ გეგენავა** (კომპანია „თელიანი ველი"): „ასოციაციას გამოვუყავით თავისი ბიუჯეტი. მისი სავაჭრო წარმომადგენლები ივლიან მაღაზიიდან მაღაზიაში, რესტორნებში და თითოეულ ბოთლს შეამოწმებენ. სადაც წააწყდებიან ფალსიფიცირებულ ქართულ ღვინოს, რომელიც ჩამოსხმულია საქართველოს საზღვრებს გარეთ, ჩვენი გამოყოფილი ფულით იყიდიან და გამოგვიგზავნიან. შემდეგ ეტიკეტზე ვნახავთ, სად არის ჩამოსხმული, ვინ არის იმპორტიორი და რა კომპანიაა. აქედან გამომდინარე, როგორც მწარმოებლის, ისე დისტრიბუტორის წინააღმდეგ სარჩელს აღვძრავთ. ეს რთული არ იქნება, მთავარია, სახელმწიფომ ამ საკითხში ითანამშრომლოს ჩვენთან".

როგორც მეღვინეები ამბობენ, მათ უცხოელ ფალსიფიკატორებთან ბრძოლაში ხელისუფლების მხარდაჭერა დასჭირდებათ. „სასამართლო პროცესზე, სადაც ჩვენ მოპასუხე მხარედ მოგვიწევს წარდგენა, სახელმწიფოს მხრიდან უფლებამოსილების დელეგირება დაგვჭირდება. თუ ისინი დაინახავენ, რომ ქართულ კომპანიას ზურგს უმაგრებს სახელმწიფო, საქმის მოგების შანსიც გაიზრდება და გამყალბებლებიც თავიანთ საქმეზე ხელს აიღებენ".

კერძო სექტორთან თანამშრომლობაზე თანახმაა სოფლის მეურნეობის მინისტრი **მიხეილ სვიმონიშვილი**: „ამ პრობლემას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოევლება, თუ სახელმწიფო და კერძო სექტორი ერთად დადგება, რადგან ქართული ღვინის ფალსიფიკაციის გამო ორივე ზარალდება, კომპანია კარგავს შემოსავალს, სახელმწიფო — პრესტიჟს და გადასახადებს, რომლებიც კომპანიებმა უნდა გადაიხადონ შემოსავლებიდან. იქნება სასამართლო პროცესები, რომელსაც გამართავს კერძო ფირმა, იქნება პროცესები, რომელსაც ფალსიფიკატორის წინააღმდეგ სახელმწიფო დაიწყებს".

*თეა ლაბაძე*

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 25 მარტიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,8280 |
| ევრო | 2,1887 |
| გირვანქა სტერლინგი | 3,1659 |
| რუსული რუბლი | 0,0656 |
| თურქული ლირა (1*) | 1,3581 |

* 2005 წლის 1 იანვრიდან თურქეთის ცენტრალურმა ბანკმა მოახდინა თურქული ლირის დენომინაცია და 1.000.000 თურქული ლირა (TRL) გაუტოლდა 1 ახალ თურქულ ლირას (TRY)

# მთავრობა მხოლოდ უცხოელ ინვესტორებზე არ უნდა ზრუნავდეს

ეკონომიკურ მიღწევებზე საუბრით გახსნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომა და მინისტრთა კაბინეტს ქვეყანაში მთლიანი შიდაპროდუქტის მნიშვნელოვანი ზრდის შესახებ აუწყა. კერძოდ კი, შარშან, წინა წელთან შედარებით მშპ-ის მაჩვენებელი 9,3 პროცენტით გაიზარდა. ამ მიღწევის ფონზე ზურაბ ნოღაიდელმა სამომავლოდ თამამი პროგნოზი გააკეთა და დასძინა, — 2006 წელს, ეკონომიკის ზრდის ტემპები კიდევ უფრო მაღალი იქნებაო.

რას ფიქრობს საქართველოში ეკონომიკის განვითარების შესახებ **ტორბენ ჰოლცი** — ევროკომისიის ელჩი საქართველოში:

— ევროპასთან ეკონომიკური თანამშრომლობის თვალსაზრისით ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია თვალი ვადევნოთ თქვენი ქვეყნის განვითარების პარამეტრებს. ზოგადი სტატისტიკური მონაცემები შესაძლოა დამაიმედებელია და არ გამოვრიცხავ, რომ მაკროეკონომიკური თვალსაზრისით საქართველოში ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა, მაგრამ უკვე ნლებია, თქვენს ქვეყანაში სოციალური სურათი არ იცვლება. საქართველოში ძალიან ბევრი ადამიანი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, კვლავ პრობლემად რჩება ადამიანთა დასაქმება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

**— კონკრეტული რეკომენდაციები თუ გაქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით?**

— რეგულარულად ვიმეორებ, რომ აუცილებელია ქვეყანაში ბიზნესის განვითარება, სასურველი საინვესტიციო კლიმატის შექმნა. თვალი გავუსწორით სიმართლეს და პირდაპირ ვთქვათ, რომ ეს ორი პირობა საქართველოში არ სრულდება. თქვენი ხელისუფლება მხოლოდ იმას კი არ უნდა ცდილობდეს, რომ უცხოელი ინვესტორები მოიზიდოს ქვეყანაში, არამედ ადგილობრივი ბიზნესის განვითარებასაც შეუწყოს ხელი. თქვენს ქვეყანას მართლაც აქვს რამდენიმე საინტერესო და პერსპექტიული სფერო, მათ შორის, სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, ტურიზმი. გასაგებია, რომ თქვენი ხელისუფლება ცდილობს რაღაც გააკეთოს სოციალურ-ეკონომიკური სურათის გასაუმჯობესებლად, მაგრამ როგორც ჩანს, მისი ძალისხმევა საკმარისი არ არის.

*ემა ტუხიაშვილი*

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**მყავს 1,5 წლის ბიჭი. ყიფლიბანდი ჯერ არ შეერთებია. ხშირად ოფლიანობს, განსაკუთრებით თავი უოფლიანდება. ძალიან ნერვიულია, ტირის, ჭირვეულობს. არ უყვარს რძე და რძის პროდუქტები. ექიმმა გვირჩია, ასვით კალციუმიო. ასეც მოვიქეცით, მაგრამ მნიშვნელოვანი შედეგი ვერ მივიღეთ. როგორ მოვიქცე და როდის უნდა დაიხუროს ყიფლიბანდი (ნორმის შემთხვევაში)?**

***მკითხველი***

თქვენი მონათხრობიდან ჩანს, რომ ბავშვს აკლია D ვიტამინი ანუ აქვს რაქიტის ნიშნები და მას კალციუმთან ერთად აუცილებლად ესაჭიროება D ვიტამინის მიღება.

ბავშვი გამოცდილ პედიატრს გაასინჯეთ და დროულად დაუწყეთ კომპეტენტური მკურნალობა. გარდა ამისა, პატარასთვის აუცილებელია მზის სხივებზე ხანგრძლივად და რეგულარულად სეირნობა (რაც შეიძლება ხშირად) და კვების რაციონის მოწესრიგება (უნდა შეიზღუდოს ტკბილეული, ნახშირწყლები და გაიზარდოს ცილებით მდიდარი პროდუქტების წილი).

**მომატებული მაქვს მჟავიანობა. მაწუხებს გულძმარვა. თანაც ასეთი რეაქცია მხოლოდ მჟავე და მწარე პროდუქტებზე კი არა, ბევრი სხვა სახის საკვებზეც მაქვს. ვარ მსუქანი. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მაქვს ცხიმი მუცლის არეში. მინდა წონაში დაკლება, მაგრამ ფიზიკური დატვირთვისას მეწყება გულძმარვა.**

**როგორ მოვიქცე?**

***ალექსანდრე მეშველიანი***

გასტრიტის დროს დიეტოთერაპია გულისხმობს ხშირ კვებას, კვების დამზოგავ რეჟიმს — ნიწაკიანი და მარილიანი პროდუქტების გამორიცხვას რაციონიდან. რეკომენდებულია ბურღულეული, წვნიანები, მოხარშული მჭლე ხორცი, ორთქლზე მომზადებული კატლეტი. მაგრამ, რაც მთავარია, აუცილებლად გესაჭიროებათ გამოკვლევა გასტროენტეროლოგთან, რათა გამოირიცხოს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება.

## კარაბადინი

**წავიკითხე მკითხველის წერილი, რომელსაც მუცლის შებერილობა აწუხებდა და ითხოვდა დახმარებას. იგივე პრობლემა მქონდა წლების განმავლობაში და სულ ვეძებდი მცენარეულ საშუალებებს. გთავაზობთ იმ რეცეპტებს, რომლებმაც ყველაზე მეტად მარგო:**

**გაახმეთ კამა, დაფქვით და რეგულარულად იხმარეთ კერძის მომზადებისას. ასევე კარგია ძირა.**

**მიიღეთ დამწვარი ალვის ხის მერქნის ნახშირი ჭამამდე და ჭამის შემდეგ (სულ 2 ჩ/კ დღეში).**

**დილით უზმოზე უნდა დალიოთ 1 ჩ/ჭ ახალგამოწურული კარტოფილის წვენი, შემდეგ დაწექით 30წთ, ხოლო ერთ საათში ისაუზმეთ (მკურნალობის კურსი 10 დღეა, 10 დღე დაისვენებთ და გაიმეორებთ კურსს).**

**გაზებისთვის კარგია სალათებში ნივრის მწვანე ფოთლების დამატება.**

**ნიორი წვრილად დაჭერით. დაალაგეთ თხელ ფენად, გაახმეთ, დაფქვით, ჩაყარეთ მინის ქილაში, დახურეთ ხუფი და შეინახეთ ბნელ, გრილ ადგილას. მიიღეთ ეს ფხვნილი დანის წვერით 2-ჯერ დღეში, ჭამის შემდეგ.**

**ასევე ეფექტიანია ასეთი ნაყენი: თანაბარი რაოდენობის პიტნა, კამის, ცერეცოსა და ძირას თესლის 2 ჩ/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, დააყოვნეთ 1 საათი თავდახურულ ჭურჭელში, გაწურეთ და სვით დღის განმავლობაში რამდენჯერმე (სულ 1 ჭიქა ნაყენი დღეში).**

***პატივისცემით, კატო აგლაძე***

*ექიმის კომენტარი:* კამა, ძირა, პიტნა, ცერეცო — ცნობილი ეფექტიანი ანტიანთებითი და მეტეორიზმის საწინააღმდეგო საშუალებებია და გამოიყენება კუჭ-ნაწლავის პათოლოგიების დროს.

ნიორი თრგუნავს ლპობისა და დუღილის პროცესებს ნაწლავებში, დადებითად მოქმედებს მეტეორიზმის დროს.

კარტოფილის წვენს აქვს ანთების საწინააღმდეგო და პერისტალტიკის გამაძლიერებელი მოქმედება. ამასთან იგი აქვეითებს საჭმლის მომნელებელი ჯირკვლების სეკრეციას. აცეტილქოლინის შემცველობის გამო კი კარტოფილის წვენის ხანგრძლივად მიღების შედეგად ქვეითდება არტერიული წნევა. ახალგამოწურული წვენი ეფექტიანია გასტრიტებისა და წყლულოვანი დაავადების დროს. ჭამამდე 10 წუთით ადრე მიღებისას წვენი აუმჯობესებს საჭმლის მონელებას და აწესრიგებს ნაწლავების ფუნქციას.

უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ კარტოფილის ბოლქვები, განსაკუთრებით კი კანი, შეიცავს მალალაქტიურ გლუკოალკალოიდს — სოლანინს, რომელიც მცირე დოზებით ანტიანთებით მოქმედებას ავლენს, მაგრამ დიდი დოზებით ტოქსიკური ეფექტი აქვს. დიდი ხნის ან მწვანე ბოლქვებში სოლანინის შემცველობა შეიძლება მკვეთრად გაიზარდოს, რაც მოწამვლის მიზეზიც კი ხდება ხოლმე. დიდი დოზით მიღებისას სოლანინი თრგუნავს ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციას, აზიანებს სისხლისფორმიან ელემენტებს. უხარისხო კარტოფილით მოწამვლისას ვითარდება გულისრევა, ღებინება, დისპეფსია, ქოშინი, გულის ფრიალი, კრუნჩხვა, მძიმე შემთხვევაში კი გონების ხანმოკლე დაკარგვა.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*


ოჯახის მკურნალი
სამედიცინო ჟურნალი ფასი 70 თ.

სეზონური თმის ცვენა
რა იწვევს გაზაფხულობით თმის ცვენის გაძლიერებას?

ბუასილი
ყოველთვის არის თუ არა საჭირო ოპერაციული მკურნალობა?

სკოლიოზი
როგორ მივხვდეთ, რომ ბავშვს ხერხემლის გამრუდება აქვს?

ბრტყელტერფიანობა
✓ რა გართულებებია მოსალოდნელი, თუ პატარას ბრტყელი ტერფი აქვს?
✓ რა ასაკშია შესაძლებელი პათოლოგიის განკურნება?

ფრთხილად, გრიპის ეპიდემიაა!


## დავასვენოთ თვალები



ღამით, როცა ჩვენს ორგანიზმს სძინავს, თვალი წუთითაც არ წყვეტს მუშაობას: მიმდინარეობს მხედველობითი ნერვის სტიმულაცია, ხან კარგად ვხედავთ, ხან შედარებით ცუდად. ეს დამოკიდებულია თვალის ნერვზე, რომელიც ძალიან მგრძნობიარეა გადაღლის მიმართ. მხედველობის გაუარესების ძირითადი მიზეზი არის გადაღლა და სტრესები.

როგორ დავასვენოთ თვალები? ოდნავ მოვლულოთ. ამ დროს დუნდება სახეზე განთავსებული თვალის კუნთები, ქრება საერთო დაძაბულობა. ჩააქრეთ ოთახში შუქი, ჩამოაფარეთ შტორები, მაქსიმალურად დააბნელეთ. მოეწყვეთ მოხერხებულად, ისე რომ სხეულის თითოეული ნაწილი მოდუნდეს. ისუნთქეთ ღრმად, მაგრამ ძალდაუტანებლად, ეცადეთ, წარმოიდგინოთ აბსოლუტურად ბნელი გარემო. პერიოდული ნათება, წერტილები და ვარსკვლავები, რომლებიც თვალწინ ციმციმებენ, მოწმობს, რომ მხედველობითი ნერვი აგრძელებს მუშაობას. ეს ვარჯიში შეასრულეთ ყოველდღე 5-6-ჯერ, 5-20 წუთის მანძილზე.

თურმე მათ, ვინც სუფთა ჰაერზე შრომობს, გაცილებით უკეთესი მხედველობა აქვთ, ვიდრე შენობაში მომუშავეებს. დღის შუქზე მხედველობა გაცილებით უკეთესია, ამიტომ მისი სიმახვილის დაბრუნებაში დაგვეხმარება მზე. მზიან ამინდში დილის 10 საათიდან 4 საათამდე ცოტა ხნით დაჯექით ღია ფანჯარასთან ან პარკში, სკამზე. დახუჭეთ თვალები და სახე მზეს ისე მიაფიცხეთ, რომ სხივები ქუთუთოებზე გეცემოდეთ. თავი ნელა ატრიალეთ: ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ. 2-3 წუთის განმავლობაში გააკეთეთ 40 მოძრაობა. შემდეგ 1 წუთით ჩრდილში გადაჯექით. თვალებზე ხელისგულები აიფარეთ და მშვიდად, გაუნძრევლად იჯექით. ხანგამოშვებით ერთმანეთს შეუნაცვლეთ მზის სხივები და ჩრდილი.

***ტაიმი***

## ალუმინის ჭურჭელი ნაგავში მოვისროლოთ!



იშვიათი, მაგრამ ძალიან მძიმე სენი — ალცჰაიმერის დაავადება მეხსიერებას ანადგურებს, რასაც მოსდევს ადამიანის სრული დეგრადაცია. დაავადება ხშირია 40-დან 50 წლამდე აქტიურ ადამიანებში. გამოკვლევებით — დაავადებულთა ტვინში აღმოჩენილი იქნა ალუმინის მომატებული რაოდენობა. ამის გამო ბევრი მეცნიერი დაბეჯითებით მოითხოვს, რაც შეიძლება იშვიათად გამოვიყენოთ ყოველდღიურ ყოფაში ალუმინის ჯამ-ჭურჭელი, აგრეთვე ფოლგა და ამ მეტალის სხვა ნაწარმი...

***ჟენსკიე დელა***

## ნესვის თესლი სამკურნალოა

ნესვის უმი თესლი დიდი ხანია გამოიყენება ღვიძლის, თირკმლებისა და შარდის ბუშტის დაავადებების სამკურნალოდ. მამაკაცებისათვის სასარგებლოა პოტენციის ასამაღლებლად, ხოლო მეძუძური დედებისათვის — ლაქტაციის გასაუმჯობესებლად.

თირკმლებისა და შარდის ბუშტის გასაწმენდად 1 ს/კ დანაყილ ნესვის თესლს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი და გააჩერეთ 3 საათი. დილა-საღამოს სვით ნახევარ-ნახევარი ჩ/ჭ ნაყენი. ცისტიტის დროს: 5 ს/კ თესლს დაასხით 3 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 30 წუთი და სვით, როგორც ჩაი, დღეში 3-ჯერ. ნესვის წვენი კარგია გაციების დროს სიცხის დასაწევად. დალიეთ დღეში 2 ჩ/ჭ, დაიზილეთ სხეული.

***სანი***

## ბუნებრივი წამალი



სანელებლების „მეფედ“ აღიარებულ ნიორს შეუძლია შეცვალოს ბევრი წამალი, რომელსაც ზოგჯერ უკუჩვენებებიც კი აქვს. ნიორი შეიცავს ორგანიზმისთვის სასარგებლო ნივთიერებებს: C, D და B ჯგუფის ვიტამინებს, იოდს, გოგირდს, რკინას, მთრიმლავ ნივთიერებებს და ორგანულ მჟავებს, აძლიერებს მადასა და კუჭის წვენის გამოყოფას, აუმჯობესებს საჭმლის მონელების პროცესს, ამაღლებს იმუნიტეტს, იცავს ადამიანს სეზონური დაავადებებისგან, კბილებს — კარიესისა და ნადებისგან, აჯანსაღებს მინანქარს, ხელს უშლის ღრძილების ანთებასა და სისხლდენას, პაროდონტოზის განვითარებას. პირის ღრუს დაავადების გამომწვევი ბაქტერიებისგან გასაწმენდად სრულიად საკმარისია 3-4 წუთი ერთი კბილი ნიორი ღეჭოთ.

ნიორი შეიცავს ეთეროვან ზეთებსა და ფიტონციდებს, რომელთაც ანტისეპტიკური, ანთებსაწინააღმდეგო და ჭრილობების შემხორცებელი თვისებები აქვთ.

ნივრის წვენი აფართოებს გულისა და თავის ტვინის სისხლძარღვებს, აწესრიგებს გულის რიტმს, დიეტოლოგებს მიაჩნიათ, რომ ხელს უშლის თრომბის წარმოქმნას, დაბლა სწევს არტერიულ წნევას, შველის თავის ტკივილს (საფეთქლები მსუბუქად დაიზილეთ დანაყილი ნივრით და ტკივილი ნელ-ნელა გაგივლით).

*გრიპისა და გაციების პროფილაქტიკისათვის:* — დანაყილი ნიორი და ცაცხვის (ან წიწიბურას) თაფლი (1:1) შეურიეთ ერთმანეთს და მიიღეთ თითო ს/კ ერთი კვირის განმავლობაში.

*სურდოს დროს:* — ისუნთქეთ დანაყილი ნიორი 1-2 წუთის განმავლობაში (ყოველი ინჰალაციისთვის მოამზადეთ ახალი).

დაბოლოს, ნივრის სუნმა რომ არ შეგაწუხოთ, დაღეჭეთ ქინძი, ნედლი ოხრახუშის ფოთლები ან ფესვები, დალიეთ ცხელი რძე.

ხელებიდან ნივრის სუნს მოიცილებთ, თუ წაისვამთ მარილს და დაიბანთ თბილი წყლით.

***ოჯი***


თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები – მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები,
სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
ბუდაპეშტის ქ. 22, მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართული
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რადიაციას ებრძვის...



თუ რადიაციამომატებულ რაიონში ცხოვრობთ ან კომპიუტერთან მუშაობთ, ყოველდღე მიირთვით რაც შეიძლება მეტი რაოდენობის ცოცხალი ან დამწნილებული კომბოსტო — რადიაცია და მავნე გამოსხივება ვერაფერს დაგაკლებთ. გირჩევთ, ასევე მიირთვათ შტოში — ცოცხალი, გაყინული ან შაქართან ერთად გახეხილი. მასაც ამგვარივე სასარგებლო თვისებები აქვს.

*დობრიე სოვეტი*

# ნატურალური კოსმეტიკა

მინერალური წყლით შეიძლება არა მარტო წყურვილის მოკვლა, არამედ სხვადასხვა დაავადების მკურნალობა და კოსმეტიკური მიზნებისთვის გამოყენება. ცხიმიანი, ფორებიანი და კომბინირებული სახის კანის მოსავლელად შესანიშნავია ის მინერალური წყალი, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით მარილებს („ბორჯომი", „ნარზანი"), ხოლო მშრალი კანის პატრონებმა უნდა მოიხმარონ სუსტმინერალებიანი გრუნტის წყლები.

*ზდოროვიე*

# რა არის გაღიზიანების მიზეზი?



სტრესის მიზეზი შეიძლება გახდეს რამდენიმე დაავადება: ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევას მოჰყვება აგრესიულობა, გაღიზიანება და ზედმეტი ემოციურობა. საშვილოსნოს მიომა და მასტოპათია ქალებს თითქმის ყოველთვის უუარესებს ხასიათს.

რაც შეეხება მამაკაცებს, მათი აგრესიულობა და დეპრესია შეიძლება იყოს დაკავშირებული ადენომასთან და ქრონიკულ პროსტატიტთან.

*მირორი*

# „განიკურნეთ" გაზაფხულისგან

გაზაფხულისთვის დამახასიათებელ მოთენთილობას, დაბნეულობასა და უმიზეზოდ გაღიზიანებას ქრომოთერაპია (ფერებით მკურნალობა) შველისო, გვირჩევენ სპეციალისტები. ამიტომ ოთახი, სადაც გვიხდება ყოფნა, მოვრთოთ ყვითელი ყვავილებით, ნივთებით, ფარდებით და ა.შ. თუმცა ზომიერება უნდა დავიცვათ, რადგან გადამეტებულმა ყვითელმა ფერმა შეიძლება გამოიწვიოს უსაფუძვლო შიში და დეპრესია.

ყვითელი ფერი ასტიმულირებს მხედველობასა და ნერვულ სისტემას, აუმჯობესებს ინტელექტსა და გუნება-განწყობილებას, აძლიერებს იმუნიტეტს. სასიამოვნო გუნება-განწყობილების შესაქმნელად საკმარისია მაგიდაზე დადგათ სავსე ყვითელი ყვავილებით, ვაზა ლიმონითა და ფორთოხლით, ან ყვითელქუდიანი ლამის ლამპა, ჩაიცვით ყვითელი მაისური, ატარეთ ყვითელი ფერის სამკაული (არ დაგავიწყდეთ ქარვა).

მოწყენილი ხართ? შეჭამეთ ერთი ცალი ბანანი, რომელიც არა მარტო მდიდარია ნახშირწყლებით, ვიტამინებითა და მინერალებით, არამედ შეიცავს სეროტონინს, რომელიც აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას, ამიტომაც მიიჩნევენ მას ერთ-ერთ საუკეთესო და ეფექტიან ანტიდეპრესანტად.

*ლიზა*


КОНСУЛЬТАЦИЯ

კონსულტაცია უფასო!!!

გარანტია და შედეგის პროგნოზირება ინდივიდუალური კონსულტაციის შემდეგ. ექიმი, ცნობილი მანუალური თერაპევტი ხოსო ფირცხალაიშვილი (17 წლის სტაჟით) მედიცინის უახლესი მიღწევებით მკურნალობს:

რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი (მარილები), სქოლიოზი, კიფოზი, მეწაღისებური და ქათმისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა, ბრტყელტერფიანობა, შაკიკი.



სხეულის კორექცია-კოორდინაცია, კუნთების გაძლიერება (სხეულის მიმართული გაჭიმვა, ტრენაჟორი „ოქროს ღერძი და სარტყელი „სწორდი"), ჰიპოფიზში სისხლის მიმოქცევის გაძლიერებით სიმაღლეში ზრდა.

ლიცენზია ოაბ№01428

მის: უზნაძის ქ. №49, II სართ, კაბ. №10 10-20სთ. ☎899-26-51-08; 45-34-45

პრეპარატი ფენსი გაძლევთ უნიკალურ შანსს

ფსორიაზი
ეგზემა
ნეიროდერმიტი
სებორეა
იმკურნალოთ

ენდეთ საუკუნოვან გამოცდილებას!

ფენსი

იკითხეთ აფთიაქებში




საუკუნოვანი გამოცდილების მქონე, ყველაზე ეფექტური, არაჰორმონალური მალამოს საშუალებით

ცხელი ხაზი: 39 66 03

„ლიგა" სამკურნალო გაერთიანება

სექსოპათოლოგია

- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
- უროლოგიური, გულსისხლძარღვთა, ნევროლოგიური, ნივთიერებათა ცვლის მოშლით და ნარკომანიით გამოწვეული სექსუალური დარღვევების მკურნალობა

ფსიქოთერაპია

ვაქცინაცია ლასაველეთის წარმოების ვაქცინებით.


# კიდევ ერთხელ ქათმის გრიპის შესახებ

*ცოტა რამ ისტორიიდან:*

გრიპი უძველესი ვირუსული ინფექციაა. პირველ ცნობებს მასზე თვით მედიცინის მამა ჰიპოკრატე გვაწვდის (ჩვ.წ.აღ-მდე 412 წ.); პირველი ეპიდაფეთქება 1173 წლით თარიღდება. კაცობრიობას გრიპის რამდენიმე პანდემია ახსოვს. მათ შორის ყველაზე ძლიერი იყო XX საუკუნის დასაწყისში, 1918-1920 წლებში, ესპანური გრიპის — „ისპანკის" სახელით ცნობილი პანდემია. მან შეიწირა 20 მლნ-მდე ადამიანის სიცოცხლე ანუ მსოფლიო მოსახლეობის მეხუთედზე მეტი. ვირუსით დაავადებულთა უმრავლესობა გრიპის გართულებით — პნევმონიით — ფილტვების ანთებით იღუპებოდა. გრიპის ვირუსი, ჩვეულებრივ ბავშვებსა და მოხუცებს ერჩის, „ისპანკა" კი ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდებს უტევდა.

XX საუკუნის მიწურულს მეცნიერები კვლავ მიუბრუნდნენ „ისპანკას" და შეისწავლეს გარდაცვლილ ადამიანთა ქსოვილები მასში არსებული ვირუსის სტრუქტურის დადგენის მიზნით. ამოჩენამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ვირუსი, რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ყველასთვის კარგად ნაცნობი ქათმის გრიპის ვირუსის ანალოგი აღმოჩნდა, ოღონდ მცირედი განსხვავებით:

*ქათმის გრიპის ვირუსი:* გრიპის ვირუსი სამი ტიპისაა: A, B და C. მათგან ყველაზე გავრცელებულია A ტიპისა. ის არა მარტო ადამიანს, არამედ ცხოველებსა და ფრინველებსაც აავადებს. ვირუსი მარტივი აგებულებისაა. ვირუსების იდენტიფიკაცია და აღნიშვნა ორი ცილის — ჰემაგლუტინინის (H) და ნეირამიდაზის (N) საშუალებით ხორციელდება, რომელთა სხვადასხვა კომბინაცია (ასეთი კი 24-ია) ვირუსის განსხვავებულ ქვეტიპებს იძლევა. ამათგან ფრინველისთვის საშიშია $H_5$ და $H_7$ ქვეტიპები. კარგა ხანს ეგონათ, რომ ქათმის გრიპის ვირუსი მხოლოდ ფრინველებს ერჩოდა. ეპიდემიამ 1997-1999 წლებში იფეთქა ჰონკონგში, სადაც ადამიანის ინფიცირებისა და სიკვდილის რამდენიმე შემთხვევა აღირიცხა. 2003-2004 წლებში გრიპმა აზია მოიარა.

2005 წლის ზაფხულში უფრო გააფართოვა გავრცელების არეალი და ევროპისკენაც გადაინაცვლა.

აზიის 4 ქვეყანაში ფრინველის გრიპის ვირუსით ადამიანის ინფიცირების 120-მდე შემთხვევა აღირიცხა. ავადმყოფთა ნახევარი გარდაიცვალა. **რისკი, რომ ქათმის დაავადების შემთხვევაში ვირუსი ადამიანსაც შეეყრება, მცირეა — აუცილებელია ჰიგიენური წესების დაცვა. მთავარი პრობლემა ვირუსის მუტაციაა.**

**ინფექციის გამომწვევმა ვირუსმა** შეიძლება სტრუქტურა შეიცვალოს და ჩვეულებრივი გრიპივით ადამიანისგან ადამიანს გადაედოს, თუმცა ეს ჯერ არ დაფიქსირებულა. როგორც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმოს) ექსპერტები ვარაუდობენ, თუკი ვირუსმა სტრუქტურა შეიცვალა და ადამიანიდან ადამიანს ისევე იოლად გადაედო, როგორც ჩვეულებრივი გრიპი, მსოფლიო ახალი, ჯერარნახული პანდემიის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. ვირუსის გავრცელება პიკს დაწყებიდან 4-6 თვეში მიაღწევს და დედამიწის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მოიცავს.

*ვირუსის მახასიათებლების გათვალისწინებით, მისგან თავის დასაცავად ჯანმო რამდენიმე რჩევას იძლევა:*



— ადამიანი, ქათმის გრიპის გამომწვევით ინფიცირდება ანტისანიტარიულ პირობებში ცოცხალ დაავადებულ შინაურ ფრინველთან მჭიდრო კონტაქტის დროს ან თერმულად დაუმუშავებელი ფრინველის ხორცით კვებისას.

— გრიპის ვირუსი უძლებს ყინვას, მაგრამ მაღალ ტემპერატურაზე კვდება, ამიტომ ფრინველის ხორცი (თუნდაც ინფიცირებული) თერმულად დამუშავების (მოხარშვის ან შეწვის) შემდეგ საკვებად სრულიად უსაფრთხო ხდება.

გარდა ამისა, ჯანმო მოგვიწოდებს, ფრინველის ხორცის დამუშავებისას ზედმიწევნით დავიცვათ ჰიგიენა — კერძის მომზადებისთანავე დავიბანოთ ხელები.

*ქათმის გრიპის გავრცელება:* გრიპის გავრცელების ინტენსივობა მოსალოდნელია გაზაფხულის მიწურულს და შემოდგომაზე. ეს გარეული ფრინველების ჩვეულ მიმოფრენას უკავშირდება. ექსპერტების ვარაუდით, საქართველოში გრიპის გავრცელების რისკი იმატებს გაზაფხულზე, გადამფრენი ფრინველების დაბრუნებისას.

საქართველოში ქათმის გრიპის გავრცელების საფრთხე პალიასტომის, ჯანდარის, სამცხე-ჯავახეთის ტბების მიმდებარე ტერიტორიებს ემუქრება. ეს ის წყალსატევებია, სადაც გარეული ბატები და იხვები თბილ ქვეყნებში გადაფრენისას ისვენებენ.

საერთოდ, ვირუსის გავრცელება უფრო მოსალოდნელია ეზოს ფრინველებს შორის, ვიდრე დახურულ რეჟიმში მომუშავე მეფრინველეობის საწარმოებში.

*აუცილებელი რეკომენდაციები:* პირველი, თუკი შეამჩნევთ, რომ შინაური ფრინველი ეცემა, უმალ აცნობეთ რაიონის ვეტერინარულ სამსახურს. ამის შემდეგ კი:

— გაიკეთეთ ინდივიდუალური დამცავი საშუალებები: აიფარეთ სახეზე ნიღაბი და ჩაიცვით ხელთათმანები ან ხელებზე პოლიეთილენის ერთჯერადი პარკები ჩამოიცვით;

— დამარხეთ მკვდარი შინაური ფრინველი 2,5 მ სიღრმეზე მაინც. სამარხი წყალმომარაგების სისტემიდან დაშორებული უნდა იყოს;

— გაწმინდეთ ტერიტორია ქათმის ექსკრემენტებისგან. შეაგროვეთ ისინი და მიწაში ჩამარხეთ, საქათმე კი საპნით ან მათეთრებელი სარეცხი საშუალებით დაასუფთავეთ.

— ყველა ამ პროცედურის შემდეგ ხელები გულდასმით დაიბანეთ.

საზოგადოდ, ნაკლებმიზანშეწონილია, შინაური ფრინველი ეზო-ეზო დადიოდეს. ქათმები ცალკე, შემოღობილ ტერიტორიაზე უნდა იყვნენ, სადაც, სავარაუდოდ, გადამფრენი ფრინველი არ ჩაფრინდება.

აკრძალულია გარეულ ფრინველზე ნადირობა.

*პროფილაქტიკა და მკურნალობა:* საქართველოში ქათმის გრიპის გავრცელების თავიდან ასაცილებლად ჯანდაცვის სამინისტრო გეგმავს სხვადასხვა ღონისძიებას. ჩვენი ქვეყანა ფრინველის გრიპის სადიაგნოსტიკო აპარატურას გაისად მიიღებს. გარდა ამისა, სახელმწიფო საზღვრებზე მუშაობს მოძრავი სადეზინფექციო სადგურები, რომლებიც სახიფათო სივრცის დეზინფიცირებას ახდენენ.

ყველაზე ეფექტიანი სამკურნალო საშუალება კი ამჟამად პრეპარატი ტამიფლუა. რაც შეეხება ვირუსთან ბრძოლის ნაცად პრეპარატებს — ამანტადინსა და რემანტადინს, მათ მიმართ ვირუსი მგრძნობიარე არ არის.

დღესდღეობით მსოფლიოში, ქათმის გრიპით დაავადებულია დაახლოებით 150 ადამიანი, აქედან ნახევარზე მეტი განიკურნა. ზოგიერთს საერთოდ არ მიუღია ანტივირუსული პრეპარატი, ჩვეულებრივი სიმპტომური მკურნალობით გამოჯანმრთელდნენ.

ტამიფლუ კი მხოლოდ ექიმის დანიშნულებით უნდა მივიღოთ.

*მაია მუხიგული*

# ძვირფასი ქვები ჯანმრთელობისთვის...

**ალმასი** შუა საუკუნეებში ითვლებოდა გათვალვისა და შავი ჭირისაგან დაცვის საშუალებად. ეს ძვირფასი ქვა ადამიანს კრიტიკულ სიტუაციაში ძალასა და სულის სიმხნევეს მატებს, იცავს ფეხმძიმეებს და უიოლებს მშობიარობას, სასურველია, ატარონ უშვილო ქალებმა, მამაკაცებს ჩუქნის გამჭრიახ თვალს.



**ფირუზი** ბედნიერებისა და ერთგულების ქვაა. უმჯობესია ატაროთ ოქროს ბუდით, რადგან ვერცხლი ბოჭავს მის მოქმედებას. მიჩნეულია ჯანმრთელობის „ინდიკატორად". ფერს კარგავს მძიმე ავადმყოფის ხელზე, მაგრამ მისი გამოჯანმრთელებისთანავე იბრუნებს ნათელ და მკვეთრ ფერს.

აძლიერებს შინაგან ენერგიას და კურნავს თვალის დაავადებებს.

ფირუზი ეხმარება პატრონს ნიჭის გამჟღავნებაში, ინტელექტისა და მეხსიერების განვითარებაში, მყარი ფსიქიკის შენარჩუნებაში.

**ძოწი** ჯანმრთელობის ქვაა, აუმჯობესებს სისხლს, ამაღლებს ჰემოგლობინის (ანემიის დროს) დონეს, შველის გულის ტკივილს, ვეგეტოდისტონიას, იცავს პატრონს კატასტროფებისა და უბედურებისგან.

**მარგალიტს** ძველი რომაელები მიიჩნევდნენ ყველა დაავადებისგან დამცველ თილისმად. მარგალიტს მოაქვს სიმშვიდე, შველის უძილობას, ახანგრძლივებს სიცოცხლეს, ყელზე მარგალიტის მძივის ტარება აუმჯობესებს სახის კანსა და სისხლის მიმოქცევას.

თან ერთად გადმოგცემთ თავის სულს, თქვენ კი შეგეძლებათ მჩუქებლის ფიქრების გამოცნობა.

**ოპალი** მეგობრობისა და სწრაფად გამოჯანმრთელების იმედის სიმბოლოა. იცავს პატრონს ქვენა გრძნობებისაგან, შურისა და ყველა უარყოფითი თვისებებისაგან, ამშვიდებს, უქრობს შიშის გრძნობას, აღადგენს ნერვულ და კუნთოვან ქსოვილებს, აუმჯობესებს საჭმლის მონელების პროცესს, გულისა და ჯირკვლების მუშაობას, იცავს ავადმყოფს მძიმე ეპილეფსიური შეტევებისაგან, ხსნის ქრონიკული ბრონქიტითა და ასთმით გამოწვეულ სპაზმებს.

**ლალის** (ბადახშის) ჩუქებისას გამოიჩინეთ სიფრთხილე, რადგან მას აქვს უნარი გააძლიეროს ადამიანის ხასიათის ძირითადი თვისებები: კეთილი გახდება უფრო კეთილი, შურიანი და ბოროტი — ნამდვილი არამზადა...

მძიმე ლითონების მარილებს და ტოქსინებს, იცავს პატრონს სიმსივნეებისაგან, აპათიისგან, ეხმარება ძალის აღდგენაში, მაგრამ რადგან ძალიან „ძლიერია", უმჯობესია მუდმივად არ ატაროთ, შეიძლება გამოიწვიოს გულის არითმია.

**ტოპაზი** მზის ქვაა, ხელს უწყობს უმძიმეს სიტუაციაშიც კი შეგინარჩუნოთ სულის სიმტკიცე, აცხრობს რისხვას. იცავს პატრონს უგუნური საქციელისა და ულონობისაგან. ტოპაზი პატრონის ოჯახში ქმნის დადებით აურას, მაგრამ არ ღირს მისი შორეულ მგზავრობაში წაღება, შეიძლება გამოიწვიოს შინ დაბრუნების მოუთმენელი სურვილი.

**სარდიონი** თანხმობისა და ჯანმრთელობის ქვაა. ეხმარება პატრონს კამათის დროს სიმშვიდის შენარჩუნებაში. დადებითად მოქმედებს გულსა და სისხლძარღვებზე. ხსნის თავის ტკივილს და თავბრუს — ჰიპერტონიის დროს, დაღლილობის გრძნობას, აწესრიგებს პულსის სიხშირეს გულის პრობლემების დროს...

**ქარვა** იცავს პატრონს (განსაკუთრებით ბავშვებს) ავი თვალისგან, ეხმარება კანის დაავადებების განკურნებაში, სასარგებლოა ქარვის მძივის ტარება ყელ-ყურის ანთების დროს, ხსნის რევმატიულ ტკივილებს. თუ ბალიშის ქვეშ დაიდებთ გამჭვირვალე ქარვას — მშვიდი ძილიც გარანტირებული გექნებათ. ქარვა უნდა ატარონ მეძუძურმა დედებმა, რადგან ის ასტიმულირებს რძის მომატებასა და აუმჯობესებს მის კვებით თვისებებს.

ცხოვრება ზოგისთვის თავბრუდამხვევი სისწრაფით მიჰქრის, ზოგისთვის კი ურემივით მიიზლაზნება. დროს ვერაფერი შეაჩერებს, მაგრამ ამ ორომტრიალშიც ხშირად დგება მომენტი, როდესაც გვახსენდება გოეთეს ფრაზა — „შეჩერდი, წამო...“ „გაიყინება“, გაირინდება ადამიანის არსებობის ერთი მცირე მონაკვეთი და ისევ თავაწყვეტილი სრბოლით გაგრძელდება წუთისოფლის ტრიალი... შეჩერებულმა წამმა კი იქნებ საუკუნეების ხანგრძლივობაც დაიტიოს თავისი ყოვლისმომცველი იდუმალებით...

„კვირის პალიტრის“ ამ ფოტოგალერეაში საინფორმაციო სააგენტო **„ინტერპრესნიუსის“** ფოტოკორესპონდენტების მიერ დანახული ქართული რეალობაა წარმოდგენილი, ჩვენი დღევანდელობა და სინამდვილე. „შეჩერებული წამი“ — როგორც ჩვენი ისტორია და... მარადიულობა(?!.).

## 25 მარტი – საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე!





„დიდება ღმერთსა! საქართველოს ეკლესიამ ასი წლის მონობის შემდეგ დაიბრუნა დამოუკიდებლობა. ამიერიდან არღა ვართ მონა!“
(კირიონ II, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. 1917 წელი)

## „შეხვედრა წარსულთან“

კონსერვატორებმა საზოგადოების სამსჯავროზე ედუარდ შევარდნაძისა და ასლან აბაშიძის ფარული სატელეფონო საუბარი გამოიტანეს, რომელშიც ექსპრეზიდენტი საქართველოდან აჭარის „გასვლისა და შემობრუნების“ პოლიტიკური ხრიკით ცდილობს სავარძლის გადარჩენას. ოპოზიციამ ანტიკონსტიტუციურ ქმედებასა და სამშობლოს ღალატში დასდო ბრალი შევარდნაძეს და მისი გასამართლება მოითხოვა.





„— უკულმაა ეს, ასინეთა, უკულმა, მარა სულერთია აპა-ჰე! არ ვქენი კაი საქმე თითქოს, მარა სინამდვილეში მათთვის ვაკეთებ ისევ, ეშმაკობა მიხდება და გაწვალებული ვარ, მარა სხვისთვის კაი საქმის გაკეთება ძნელია, თვითონ თუ არ დაიჩაგრე და არ დაიტანჯე...“
(ჭაბუა ამირეჯიბი)

## „ბანდიტებია ქალაქში!“

(კ/ფ „მხიარული რომანი“)





„სად მიხვალ, შე ბანდიტო, დამმორჩილდი, წაგიყვან, მილიციაში ჩაგაბარებ და კაცი გამოხვალ...“
(კ/ფ „მხიარული რომანი“)

სკოლის დაწვაში „დადანაშაულებული“ დეპუტატი და ბიზნესმენი ვალერი გელაშვილი ლიტვაში იმყოფება და მანამდე არ აპირებს საქართველოში ჩამოსვლას, ვიდრე პრეზიდენტისგან დაცვის გარანტიებს არ მიიღებს. გელაშვილი მასზე ჯერაც გამოუძიებელ თავდასხმასაც იხსენებს და აცხადებს, რომ ის უგულავასა და ბრევაძის მიერ იყო ორგანიზებული. თბილისის მერმა და დედაქალაქის ყოფილმა პრემიერმა პასუხი არ დააყოვნეს და ვილნიუსში გადახვეწილ გელაშვილს ავადმყოფი და ბანდიტი უწოდეს.

შალვა ნათელაშვილმა ლეიბორისტთა პარტიის ოფისში საქართველოს „მჭამელ“ ოლიგარქთა ფოტოსურათები გამოფინა და ხელისუფლებას „დაუმესიჯა“: — აგერ, ბატონო, ხომ ეძებდით ქვეყნის ამომგდებლებს, შეხედეთ და ისიამოვნეთო...




„...ეს სოფლის მედუქნეა, დუქანი მიატოვა და ყაჩაღებს მიეკედლა; ამას დააკვირდით, გოგია კენკიშვილი, ბანდის მეთაურის მარჯვენა ხელი და ხარის ძალის პატრონი; ამას „ჩორტ ეგო ზნაეტს“ ეძახიან, ფრიად გაურკვეველი სუბიექტია...“
(კ/ფ „ხარება და გოგია“)

ქალაქის მერიას, განათლების სამინისტროსა და ფეხბურთის ფედერაციას შორის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის მიხედვით სასკოლო საფეხბურთო ჩემპიონატი ჩატარდება. მასში ჯერჯერობით 2400-მდე თბილისელი მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას, შემდეგ კი, მთელი საქართველო ჩაებმება. ინიციატორებმა ორიგინალური იდეებიც გამოამჟღავნეს და 60-იანი წლების საქართველოში ფართოდ აპრობირებულ შეჯიბრებას სკოლბურთი უწოდეს.

„ცხენბურთი გამიგია, ხელბურთი გამიგია, ფეხბურთიც გამიგია... ეს სკოლბურთი რა არის, პირველად მესმის...“
(კ/ფ „ცისფერი მთები“)






ჩინეთში ვიზიტად მყოფი რუსეთის პრეზიდენტი შაოლინის ლეგენდარულ სკოლას ეწვია. ყველანაირი საბრძოლო ხელოვნების დიდი მოტრფიალე პუტინი იმდენად მოიხიბლა ნანახით, რომ იქ მოვარჯიშე ბიჭუნა მხრებზე შეისვა და მისი სენსაციური სტუმრობით გაოცებულ მასპინძლებთან ერთად სამახსოვრო ფოტოც გადაიღო.



„— თქვენ რაღად დაგიჭირეს?
— შავ დედალთან დაძმაკაცებით, ოდიშელიძის ცოცხლად დამარხვისთვის.
მაგას — 7, შენ — 10, იჯექ, თუ კაიაო!“
(კ/ფ „შერეკილები“)

მინსკში დატყვევებულ ბაპტისტთა ლიდერს მალხაზ სონღულაშვილს და მის „სულიერ ძმებს“ დეპორტაცია „გამოუწერეს“ და თბილისში დააბრუნეს. დემოკრატიული ღირებულებებისთვის „ტანჯული მოღვაწენი“ იქაური კანონმდებლობის მიხედვით ხუთი წლის მანძილზე ვეღარ ესტუმრებიან ბელორუსიას.

## ევრიკა... ყველაფერი გენიალური უბრალოა...

# კახელებმა „ამერიკულ პეპელას“ აჯობეს?!

### „ჩვენ გამოგონებაზე დისერტაციისთვის კი არ ვმუშაობდით“

ხშირად მიფიქრია, როგორ ახერხებდნენ ჩვენი წინაპრები თავის დაღწევას იმ ეკოლოგიური პრობლემებისა თუ მავნე ფაქტორებისგან, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ სოფლის მეურნეობას, რაც ზოგჯერ შიმშილობის მიზეზიც ხდებოდა. კითხვაზე პასუხი უნებლიეთ გამცა კახელების მიერ გამოგზავნილმა წერილმა, სადაც დაწვრილებით არის მოთხრობილი თუ რა ეფექტიანად ებრძვიან ადგილობრივი მეურნეები ფოთოლჭამია თეთრ პეპელას, რომელმაც დასავლეთ საქართველოში მუსრი გაავლო მცენარეებს. ცნობილი ფაქტია, რომ თანამედროვე შხამქიმიკატები უძლური აღმოჩნდა ამ პრობლემასთან ბრძოლაში. კახელებმაც თავადვე მოძებნეს გამოსავალი, ახლა კი ცდილობენ გამოცდილება სხვებსაც გაუზიარონ.



„სახლის სახურავზე დავამაგრეთ ხის დგამი, ზედ დავდგით 30-ლიტრიანი (შეიძლება უფრო მოზრდილიც) წყლის ვარცლი. ზემოთ 30 სმ-ის სიმაღლეზე დავუმაგრეთ 500-ვოლტიანი ნათურა. წვიმის წვეთებისგან დასაცავად თავზე დავაფარეთ ქუჩის განათების „რკინის ქუდი“. ღამით ნათურის სინათლეზე 2-3 კმ-ის მანძილიდან ყველა პეპელა ნათურასთან მოფრინავს. ფოთოლჭამია ნათურას ეჯახება და წყალში ვარდება. ვარცლში თევზებიც ჩავსვით იმისათვის, რომ პეპლები მიირთვან. პლასტმასის მილით წყალი მუდმივად ჩადის ვარცლში. იმისათვის, რომ წყალი არ გადმოვიდეს და ცოცხალი პეპლებიც არ გადმოჰყვეს, ნაპირზე 2-3 სანტიმეტრის სიმაღლეზე გავუკეთეთ ნახვრეტი. მასში დავამაგრეთ 1/2-დუიმიანი ე. წ. „სგონი“, რომელიც ისევ პლასტმასის მილს მივუერთეთ და ჩავუშვით კანალიზაციის ჭაში, საიდანაც ვერც ერთი პეპელა ველარ ამოდის. ჩვენ გამოგონებაზე დისერტაციებისათვის კი არ ვმუშაობთ, სოფლის მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად ეკოლოგიურად სუფთა საშუალებებს ვეძებთ“.

მეურნეები ამ წერილით ვეტერინარიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს ჯამბულ მაღლაკელიძესაც მიმართავენ.

P.S. ამ წერილის გაცნობის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ბუნებისა მასთან ახლო მყოფ მეურნეს უკეთ ესმის, ვიდრე ბევრ მეცნიერსა თუ ჩინოვნიკს და ურიგო არ იქნებოდა კომპეტენტური ორგანიზაციების გლეხებთან თანამშრომლობა. თუმცა, ქვეყანაში, სადაც სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ჯერაც მხოლოდ თეორიულად „ზრუნავენ“, გასაკვირი არ არის, რომ გამომგონებელთათვის ვერავინ მოიცალოს. არადა, ეს საქმე საშური ჩანს...

# „სიცოცხლის კოქტეილი“ და უნიკალური გამათბობელი

ჩვენი ახალი რუბრიკის მიზანია ხელი შევუწყოთ საქართველოში ადგილობრივი წარმოების აღორძინებას, ინტელექტუალური რესურსის მოზიდვას და ნოვაციური იდეების რეალიზაციას. ამ რუბრიკის შექმნა გადაგვაწყვეტინა „კვირის პალიტრაში“ (2005 წლის 31 ოქტომბერი — 6 ნოემბრის ნომერში) გამოქვეყნებულმა წერილმა „საქართველოს მსოფლიოს გაუდაბნოების პრობლემის გადაჭრა შეუძლია“, რომელიც ერთ-ერთ გამოგონებას ეხებოდა და, რომელსაც საკმაოდ დიდი გამოხმაურება და კონკრეტული შედეგიც მოჰყვა(!). მაშ, ასე:

ჩვენი რუბრიკის სტუმარია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) „საგამომგონებლო საქმიანობის და ახალი მეცნიერული მიღწევების წარმოებაში რეალიზაციის ხელშემწყობი საზოგადოებრივი სექტორის“ ხელმძღვანელი, მეცნიერებათა დოქტორი **ზურაბ რეხვიაშვილი**, რომელიც მრავალი სამეცნიერო შრომის, სერტიფიცირებული საავტორო უფლებისა და პატენტის მფლობელია.



**— თქვენ მრავალი გამოგონების ავტორი ბრძანდებით, მათ შორის, შუშხუნა სასმელებისაც. რა გარანტია არსებობს, რომ ეს სასმელები ჯანმრთელობისთვის აბსოლუტურად უსაფრთხოა?**

— ჩემი სასმელები ნატურალური ინგრედიენტებისგან შედგება. ესენია: წყალი, შაქარი, ხილის ექსტრაქტი და შუშხუნა ეფექტის მისაღებად ჟანგბადი (ნახშირორჟანგის ნაცვლად). ჟანგბადი ადამიანისთვის ნომერ პირველი სასიცოცხლო საშუალებაა. ადამიანი უჟანგბადოდ 3-4 წუთი ძლებს, უწყლოდ — 3 დღე და უსაკვებოდ — 40 დღე. ასე რომ, ჩემ მიერ შექმნილ სასმელში ყველაფერი ნატურალურია და ადამიანის ჯანმრთელობისთვის სასარგებლო.

**— მასტიმულირებელ და ენერგიის სწრაფმომყვან ეფექტს რა იძლევა?**

— ჟანგბადი... მას ადამიანი სასუნთქი გზების საშუალებით იღებს, საიდანაც გადადის სისხლძარღვებში, არტერიებში, ვენებში, კაპილარებში და მიედინება ორგანიზმის ყველა უჯრედში. ჟანგვა-აღდგენის პროცესში ჟანგბადი გამოყოფს ენერგიას და ეს სწორედ ის ენერგიაა, რომელიც ადამიანს ამოძრავებს. ეს ჟანგბადის მიღების გრძელი გზაა. უფრო მოკლეა გზა, თუ ადამიანი ჟანგბადს კუჭ-ნაწლავის საშუალებით მიიღებს. ჩემი გამოგონების ორიგინალურობა ის არის, რომ ინერტული და მავნებელი ნახშირორჟანგის მაგივრად, სასმელს ჟანგბადს ვურევ, რაც ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა.

7-8 წლის წინ გულმა შემაწუხა და კარდიოლოგიურ განყოფილებაში მოვხვდი. პალატაში ჟანგბადი იყო შემოყვანილი. ეს რომ ვნახე, ჩემი ხელსაწყო მივიტანე, ჟანგბადს ვაშლის წვენში ვხსნიდი, მეც ვსვამდი და სხვა ავადმყოფებსაც ვასმევდი. მერე ეს აპარატი იქ დავტოვე და 1-2 წლის შემდეგ რომ მივაკითხე, აღმოჩნდა, რომ ამ მეთოდს წარმატებით იყენებდნენ. გადავწყვიტე, ჟანგბადის ფაფა-კოქტეილისთვის ლიმონათის სახე მიმეცა (შუშხუნა ეფექტით). სასმლის რამდენიმე ვარიანტი მაქვს: უნივერსალური სასმელი „ჯანი“, რომელშიც შედის ჟანგბადი, თაფლი, მწვანე ჩაი, ლიმონი, ასკილი. შეიძლება ითქვას, რომ ეს სიცოცხლის კოქტეილია. მეორეა ჟანგბადიანი ყავა, რომელიც მატონიზებელია და ენერგიის სწრაფმომყვანი. თითოეულზე მიღებული მაქვს საავტორო უფლების სერტიფიკატი და პატენტი. სხვათა შორის, ჩემი გამოგონებებით დაინტერესდა სამხედრო უწყება, სპორტკომიტეტი, ლიმონათის მწარმოებლები და ა.შ. თუმცა ჯერჯერობით კონკრეტული შედეგი არ ჩანს.

**— გამათბობელზეც გაქვთ საავტორო უფლება. რით არის ეს გამოგონება გამორჩეული?**

— გამათბობელზე ლევან ლომიაშვილთან ერთად ვმუშაობდი. მისი ორიგინალურობა იმაშია, რომ ქარის დროს სხვა გამათბობლებივით ოთახში კი არ შემოაქვს ნამწვი აირი (ნახშირორჟანგი, რომელიც ადამიანს წამლავს), არამედ პირიქით, რაც უფრო დიდი ქარია, მით უფრო კარგად გაიწოვება ნამწვი. წარმოიდგინეთ თუნუქის ჩვეულებრივი ქურა, რომელსაც ჰორიზონტალური განლაგება აქვს. ჩემთან ის ვერტიკალურად არის განლაგებული. გამათბობელს, რაც მეტი აქვს გახურების ფართობი, მით უკეთ ათბობს. ჩემთან გახურების ფართობი ისე იზრდება, რომ გაბარიტებს არ ვზრდი. საკვამურის ბოლოს წამოცმულია ძალიან მარტივი ხელსაწყო, რომელიც ქარის შემთხვევაში კვამლს შიგნიდან იწოვს და გარეთ გააქვს. აქ თვითმფრინავის ლუკის პრინციპია გამოყენებული. როცა ლუკი ტყდება, ყველაფერი გარეთ გაიწოვება. ასე რომ, მე ჩემი საქმე გავაკეთე. შემდეგი სიტყვა პერსპექტიულად მოაზროვნე, შორსმჭვრეტელ მეწარმეს ეკუთვნის.

შევქმნათ კონკურენტუნარიანი ქართული პროდუქცია! ბოლოს და ბოლოს, ეს ღირსების საკითხია.

*რუბრიკას უძღვება თამარ სუჯაშვილი*

*ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ 899-97-19-18*

# „ეს სიკვდილ-სიცოცხლის საქმეა“

### საქართველოს გზებზე ყოველწლიურად თითქმის ერთი სოფლისოდენა მოსახლეობა იღუპება

სტატიაზე მუშაობის დროს სულ ცოტა ოთხჯერ მაინც გადავურჩი სიკვდილს გზაზე გადასვლისას. არადა, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, არასოდეს ვარღვევ მოძრაობის წესებს და ყოველთვის შუქნიშნის განკარგულებას ვემორჩილები, განსხვავებით იმ მძღოლებისგან, რომლებსაც ან შუქნიშნის დანიშნულების არაფერი გაეგებათ, ან კიდევ ფერების გარჩევა უჭირთ. მთელი წლის განმავლობაში დაუდევარი მძღოლებისგან პირადად ჩემთვის შექმნილი საფრთხე რომ დავითვალო, არცთუ სახუმარო სტატისტიკას მივიღებთ. თუ იმასაც დავუმატებთ, თავადაც რომ არ უფრთხილდებიან ერთმანეთს, საპატრულო პოლიციაში აღრიცხული დარღვევების რიცხვი ერთიორად გაიზრდება. შეიძლება ერთმნიშვნელოვნად დავასკვნათ, რომ მძღოლთა ამ კატეგორიას უნდა აეკრძალოს საჭესთან მიახლოებაც კი.

ვერ ვიტყვი, რომ ფეხით მოსიარულეები ანგელოზები არიან და მძღოლებზე ნაკლებად სცოდავენ, მაგრამ ფაქტია, საჭესთან მსხდომთაგან დაშვებულ შეცდომებს უფრო მძიმე შედეგი მოაქვს, ვიდრე ფეხით მოსიარულეთა დაუდევრობას.

ავტომოძრაობის წესების დარღვევით გამოწვეული სავალალო შედეგებით შეშფოთებას გამოთქვამს თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსი **გოგა გრიგალაშვილიც**, რომელსაც მიმდინარე წლის მხოლოდ ორი თვის მონაცემებიც კი საგანგაშოდ მიაჩნია.

— სამწუხაროდ, ავტოსაგზაო შემთხვევების რიცხვმა იმატა. ამას ბევრი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის ისიც, რომ შარშანდელ სტატისტიკურ მონაცემებში არ შედიოდა მცხეთა-მთიანეთის მონაცემები. თუმცა არ შეიძლება ვთქვათ, რომ ავარიების რაოდენობის ძალზე გაზრდილი მაჩვენებელი მხოლოდ და მხოლოდ ამის ბრალია. რაც ყველაზე სავალალოა, ავარიებში დაღუპულთა რიცხვიც გაიზარდა. 2006 წლის იანვარ-თებერვალში საგზაო შემთხვევათა გამო სხეულის დაზიანების 360 შემთხვევა დაფიქსირდა, აქედან 32 ავარიას მსხვერპლი მოჰყვა — დაიღუპა 39 კაცი, მათ შორის ერთი 16 წლის მოზარდი. გარდა ამისა, თბილისსა და მცხეთა-მთიანეთში 332 ავტოავარია მოხდა, რასაც ადამიანის სხეულის დაზიანება და მსხვერპლი არ მოჰყოლია.

**— მიზეზები თუ გაქვთ დადგენილი?**

— მიზეზი ძირითადად სიჩქარის გადაჭარბება, გასწრების წესების დარღვევა და სიმთვრალეში ავტომანქანის მართვაა. სიჩქარის გადაჭარბების გამო მოხდა 184 შემთხვევა, რომლის დროსაც დაიღუპა 24 კაცი და დაშავდა 259. გასწრების წესების დარღვევის მიზეზით 16 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა დავაფიქსირეთ. დაიღუპა 6 და დაშავდა 39 კაცი.

**— შეიძლება ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდეს და თქვენთან არ აღირიცხოს?**

— გამორიცხულია. წინათ ავარიების თითქმის 70% არ ფიქსირდებოდა. ჩვენთან ელემენტარული თვითდაზიანებაც კი ფიქსირდება — მძღოლი ბორდიურს ან ხეს რომ დაეჯახება, იმასაც აღვრიცხავთ.

ბოლო ორ თვეში მარტო თბილისში ავტომანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვის 944 ფაქტი გამოვლინდა. მოქალაქეებმა უნდა შეიგნონ, რომ არ შეიძლება ნასვამმა მძღოლმა ავტომანქანა მართოს, არ შეიძლება გადასწრების წესების დარღვევა და არა მარტო შენი, სხვების სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება. გადასწრება მით უფრო არ შეიძლება ახლა, როცა მანქანების რიცხვი 70%-ით გაიზარდა თბილისში. კატასტროფულად გახშირდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ფაქტებიც. თბილისში მხოლოდ ერთ დღეში 700-მდე, ზოგჯერ ბევრად მეტიც, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი ფიქსირდება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ადამინისტრაციული ოქმი შედგენილია ნასვამ მდგომარეობაში მართვის, სიჩქარის გადაჭარბების ან გასწრების გამო. არის ისეთი შემთხვევებიც, რომლებიც დაკავშირებულია ავტომანქანის დგომა-გაჩერების წესების დარღვევასთან. ავტომანქანების მომრავლებამ სადგომების პრობლემაც წარმოშვა.

**— ჯერ კიდევ ორი წლის წინ ითქვა, რომ სამართალდამრღვევ მძღოლთა გამოსავლენად, გადამალები კამერები უნდა დადგმულიყო შუქნიშნებთან და სხვა ადგილებშიც, სადაც ამის აუცილებლობა არსებობს.**

— ეს საკითხი ახლაც დღის წესრიგში დგას. თუმცა, ჩვენი გარჯა ფუჭად ჩაივლის, თუ მოქალაქეებმა არ გააცნობიერეს, რა შეიძლება მოჰყვეს ავტოსაგზაო წესების უგულებელყოფას. სწორედ მათ უნდა იზრუნონ პირად უსაფრთხოებაზე. მართალია, საპატრულო პოლიციას კონტროლის საკმაოდ ეფექტიანი მექანიზმები აქვს, მაგრამ თუ საკუთარ თავს არ გაუფრთხილდებიან, მარტო ჩვენ ვერაფერს გავხდებით.

„კვირის პალიტრა“ საქართველოში ავარიების სიმრავლის მიზეზის გასარკვევად საგზაო გამოცდების ლაბორატორიის უფროსს, **გია ბაგრატიონსაც** ესაუბრა:

— სამწუხაროდ, დღეს აღარ კეთდება ავტოავარიების გამომწვევი მიზეზების სრულყოფილი ანალიზი. არადა ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ბოლო დროს მძღოლებმა, რომ იტყვიან, თავი აიშვეს.



„ამ ბოლო დროს მძღოლებმა თავი აიშვეს“



ჩვენს ტრასებზე არ იგრძნობა მძღოლების ურთიერთპატივისცემა. ხალხს უნდა შევაგნებინოთ, რას სჩადიან ავტოსაგზაო წესების დარღვევით. არ ვიცი, როგორ უნდა გავაკეთოთ ეს — ტელევიზიით, პრესით თუ სხვა საშუალებით, მაგრამ აუცილებლად მოსაფიქრებელია გამოსავალი. არსებობს იდეა, რომ შეიქმნას რადიო სპეციალურად მძღოლებისთვის.

**— შეიძლება მართვის მოწმობების გამცემი ორგანიზაცია დავადანაშაულოთ იმის გამო, რომ ფსიქოლოგიურად გაუწონასწორებელ პირებს აძლევენ მართვის უფლებას?**

— რა თქმა უნდა, არა. ეს პირის უპასუხისმგებლობის ბრალია და არა მართვის მოწმობის გამცემისა. მძღოლს უნდა ესმოდეს, რომ ავტომობილის მართვა გართობა არ არის, როცა საჭეს მიუჯდები, უდიდეს პასუხისმგებლობას იღებ და არა მარტო საკუთარი თავის წინაშე.

ნაადრევად მიმაჩნია საგზაო პოლიციის საგუშაგოების გაუქმება. ვფიქრობ, საპატრულო პოლიციაშიც უნდა არსებობდეს საგზაო ზედამხედველობის განყოფილება, რომელიც გზას მუდმივად გააკონტროლებს. უხეშად რომ ვთქვათ, თითქმის ერთი სოფლის მოსახლეობას ვკარგავთ წელიწადში საავტომობილო გზებზე. ავტოავარიების რაოდენობაზე ისიც მოქმედებს, რომ გზები უმძიმეს მდგომარეობაშია. რაღაც ნაწილი კი მოწესრიგდა, მაგრამ ეს საკმარისი არ გახლავთ. სხვათა შორის, დემოგრაფიული პრობლემა პირდაპირ არის დაკავშირებული ავტოსაგზაო შემთხვევათა რიცხვზე. ქვეყანაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მძლავრი სისტემა უნდა იყოს შემუშავებული.

ეს სიკვდილ-სიცოცხლის საქმეა, რადგან გზებთან ადამიანების სიცოცხლე და ჩვენი მომავალია დაკავშირებული. ხელისუფლებამაც უნდა გაამახვილოს ამ მხრივ ყურადღება — თუ არ გვექნება კოორდინირებული ურთიერთობა, ცალ-ცალკე — ჩვენ, საპატრულო პოლიცია და ავტოფედერაცია — ვერაფერს გავხდებით.

*ეკა ლომიძე*

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. „ხამაგიერო"



გასული საუკუნის 50-იანი წლებია. 15-16 წლის თბილისელი ბიჭები ვართ. მე და ჩემი მეგობრები კალათბურთზე დავდიოდით და ერთხელაც, ვარჯიშის შემდეგ მაშინდელ კიროვის პარკში შევედით. ძელსკამებზე ჩამომსხდარნი ჩვენი კალათბურთის ვარსკვლავებზე ვკამათობდით. ვინ ოთარ ქორქიას ფანი იყო, ვინ ანზორ ლეჟავასი, ვის კიდევ ილარიონ ხაზარაძის თამაში მოსწონდა. ქართველ კალათბურთელებს ესტონელ ლიპსოს და ლატვიელ კრუმინშს ვადარებდით და ჩვენების აშკარა უპირატესობაზე ვდებდით თავს. ერთი თბილისელი აფხაზი ძმაკაციც გვერია და „ოპონენტობას" ის გვიწევდა ერთ-ერთ ჩვენს უბნელთან ერთად, რომელსაც კალათბურთისა არაფერი გაეგებოდა (უბრალოდ, მაღალი იყო და მეტი არაფერი).

მოკლედ, ამ კამათისას რამდენჯერმე ასე თუ ისე უხეში გამოთქმებიც „მოვიშველიეთ". ამ დროს ვხედავ, ჩვენკენ მამიდაჩემი მოდის, ძველი გიმნაზიელი, უაღრესად განათლებული ქალი. ისეთი მკაცრი, რომ მასთან ხმამაღლა ლაპარაკისაც გვერიდება. ბიჭებს ჩუმად ვუთხარი, მამიდაჩემი მოდის, არ შემარცხვინოთ, ცუდი სიტყვა არავინ თქვას-მეთქი.

ამის თქმა იყო და იმ ჩვენმა აფხაზმა ძმაკაცმა ისეთი გინება დაიწყო, ყურებზე ხელის აფარება მინდოდა! ხან ჩვენ გვლანძღავდა, ხან მსაჯებსა და კალათბურთელებს. მოკლედ, არავინ არ დატოვა შეუგინებელი!..

მამიდაჩემი გახევებული იდგა და თვალს არ მაშორებდა! სად დავმალულიყავი არ ვიცოდი!.. იმ ჩვენს აფხაზ ძმაკაცს კი ვუთხარი, დამაცადე, ისეთ საქმეს დაგმართებ, მთელი ცხოვრება გემახსოვრება-მეთქი.

ამ ამბავმა, როგორც იქნა, ჩაიარა. არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ ისევ ვსხედვართ კიროვის პარკში და ისევ კალათბურთზე ვკამათობთ. ამ დროს ჩვენკენ ვილაც შუახნის, ჩასხმული მამაკაცი მოდის. ჩვენი აფხაზი ძმაკაცი ხმამაღლა მოკამათეებს შეგვეხვეწა, ის კაცი ბიძაჩემია და თავი შეიკავეთ, არ შეიგინოთო.

ახლა კი გიჩვენებ სეირს-მეთქი, გავიფიქრე და რომ დავიწყე გინება, რაც კი რამ გამეგონა და არ გამეგონა, ყველაფერი გადმოვალაგე... „მაგის დედა ვატირეთი" დაწყებული, ათ და თხუთმეტსართულიანებით დამთავრებული... ერთი კი გამიელვა, ეს ჩვენი ძმაკაცი რატომ არ მაჩერებს-მეთქი...

ვიგინები ასე გაბადრული სახით და... მოულოდნელად ჩვენი ძმაკაცის „ბიძა" ქეჩოში დამწვდა და სიფათში ისე გამილაწუნა, გონს მილიციის განყოფილებაში მოვედი. თურმე ის კაცი ჩვენი ძმაკაცის ბიძა კი არა, რაიმილიციის ახალი უფროსი ყოფილა.

სანამ საღამოს მე და მამაჩემს ხელწერილები არ დაგვაწერინეს, რომ აღარ ვიხულიგნებდი, მანამდე განყოფილებაში ვიყურყუტე...

***მ. თ., თბილისი***

## 2. – მე ლეკვი ვარ!..



საბჭოეთის პერიოდში, როცა ე. წ. კანონიერი ქურდების „ბუმი" იყო, ხაშურელები მილიციის წინ ასეთ უჩვეულო ამბავს შეესწრნენ: „შავების" რომელიღაც ნაბახუსევ ავტორიტეტს (თუ არ ვცდები, „ბაღაჭას") ხელი საყელოში ჩაევლო დაბალჩინოსანი მილიციელისთვის და ავტომატივით აყრიდა: — ძაღლო, ძაღლო, ძაღლოო... შეწუხებულ მილიციელს იმ დროს რაიმილიციის შენობიდან გამოსულ დიდჩინოსან უფროსზე მიუთითებია: — ხელი გამიშვი, ძმაო, ძაღლი აი ის არის, მე ლეკვი ვარ, ლეკვიო!

***ნოდარ ფიჩხნარაშვილი, თბილისი***

## 3. საგანგაშო ჩემოდანი



სამხედრო-სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მაშინდელ გდრ-ში გამანაწილეს საბჭოთა არმიის რიგებში ერთ-ერთი ლეგიონის უფროს ექიმად.

ყველა ოფიცერს აუცილებლად უნდა ჰქონოდა მზად „საგანგაშო ჩემოდანი", რომელშიც უნდა ყოფილიყო: ერთი ხელი ტანსაცმელი, საცვლები, სამი დღის სურსათი და სხვ.

ერთხელაც გამოცხადდა განგაში და ლეგიონი მთელი შემადგენლობით მოეწყო მოედანზე. დაიწყეს ამ ჩემოდნების შემოწმება და როდესაც ერთ-ერთი ქართველი ოფიცრის ჯერი დადგა, იგი ცოცხალი თავით არ ხსნიდა ჩემოდანს, გასაღები დავკარგეო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ბოლოს მაინც გახსნეს მისი ჩემოდანი და არ იკითხავთ, რა იყო შიგ? — ქალის ბიკინები, ლიფები, პენუარები... ოფიცრებს ხარხარის ტალღამ გადაუარა. სულ მალე მთელი მოედანი ხარხარებდა.

თურმე რა მოხდა: განგაშის გამოცხადებისას ეს ოფიცერი პაემანზე იყო მშვენიერ ოფიციანტ გოგონასთან. წამოუვლია მისი ჩემოდნისთვის ხელი და...

მოკლედ, ქართველ ოფიცერს ერთი პაემანი სამდღიან პატიმრობად დაუჯდა...

***გივი კურტანიძე, თბილისი***

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



4. — მიხო, ხო კარგი ცისფერი თვალები მაქ?
— ხო!
— ხომ ლამაზი მკერდი მაქ?
— ხოო!
— ხომ ლამაზი თმა მაქ?
— რა გამიტ... ხო გითხარი, ხოო-მეთქი! ხოო!
— ი! გენაცვალე, მიხო, ძაან მიყვარს, როცა ეგეთ კომპლიმენტებს მეუბნები.

***ნუკრი კვარაცხელია, ქუთაისი***



5. პატარა მიტო სკოლიდან დაბრუნდა. დედა ეკითხება:
— რა მიიღე შვილო, დღეს?
— რა და ოთხი!
— ეგ როგორ?
— როგორ და ორ გაკვეთილ დავესწარი, მეტს არა!

***თამაზ ხელაძე, ვანის რაიონი, სოფელი ზეინდარი***

### კურიოზების კონკურსი

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ________

________

თქვენი სახელი, გვარი

კვირის პალიტრა №13

### ყურადღება!

### კონკურსი

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას. ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, III ადგილზე გასული კი — 20 ლარს.

ეს ქვითარი „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათს, 29 მარტს 11 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 30 მარტს 13 საათამდე.






## © .ფოტოპალიტრა.



გიგი უგულავა, კოტე გაბაშვილი

(რესტორანში):
გ. უ. — ბატონო კოტე, თქვენ აქ დაბრძანდით.
კ. გ. — მანდ მალე მიშა მოვა და ყველაფერს გადაჭამს, აქეთ მირჩევნია, რა...

***ზურაბ გვიშიანი, თბილისი***

გ. უ. — გოკა, ბიჭო, როგორ დაბერებულხარ.
კ. გ. — ნუ სვამ ამდენს, გოკა კი არა, კოტე ვარ.

***თემურ (ტონი) ფაჩულია, ზუგდიდი***

გ. უ. — ბატონო კოტე, ძალიან გთხოვთ, ჩემს საქმეში არ ჩაერიოთ...
კ. გ. — შენ ბიჭო! „დავით ალმაშენებელივით" უპატრონო ხომ არ გგონივარ?..

***თინა რეხვიაშვილი, თბილისი***

— რესტორანი აქეთაა,
სად მიდიხარ, ჩემო გიგი?..
— მე უფასო სადილისთვის
დავიკავო უნდა რიგი.
— ვერ გავიგე, რას კადრულობ,
სულ დაკარგე ხალხის რიდი...
— პრეზიდენტი აქ მიირთმევს,
ნაკლები ვარ განა რითი.

***მირზა, თბილისი***

კ. გ. — რა გჭირს, გიგი, რა მოგივიდა?
გ. უ. — ცუდად ვარ, პარლამენტში ერთს 50.000$ ვასესხე. პლასტიკური ოპერაცია გაუკეთებია და ველარ ვცნობ.

***თენგიზ ტაბატაძე, რუსთავი***

გ. უ. (მთვრალი) — წამო, ის ლეიბორისტი გავლახოთ.
კ. გ. (ისიც მთვრალი): — აქეთ რომ გვცემოს?
გ. უ. — რატომ, ვუშავებთ რამეს?

***კოკა დრანდელი***

## შილოცვა



**მარიამ და მალხაზ ლონდარიძეებს!**

ჩვენო კარგებო, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ყოველივე სიკეთეს, სიხარულს. ღმერთი გფარავდეთ.

*ოჯახი*

**იულია მალალაშვილს!**



ჩვენს იულია მასწავლებელს... ჩვენს უფროს მეგობარს, კოლეგას, დიდთან დიდსა და პატარასთან პატარას, ჭირსა და ლხინში თანამდგომს, ქალს, რომელსაც არასოდეს ეზარება საქმე, გამოცდილების გაზიარება და საერთოდ, ყოველგვარი კეთილი საქმე, პირველ აპრილს დაბადების 70-ე გაზაფხული ესტუმრება...

ეს ქალბატონი დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის საშუალო სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებელი იულია მალალაშვილია, რომელსაც პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლის გამოცდილება გააჩნია. ვინ ჩამოთვლის იმ ჯილდოების ნუსხას, რომელიც მის შრომას ალნუსხავენ, მაგრამ მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო 4 შვილის, 6 შვილიშვილისა და უამრავი აღზრდილის სიყვარულია, რითაც იგი გარემოცულია. გილოცავთ, იულ, შენი ცხოვრების შემოდგომის დადგომას, კიდევ უფრო ხავერდოვანი ყოფილიყოს იგი შენთვის, პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

*დიდი სიყვარულითა და პატივისცემით – ქვემო ქედის საშუალო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი*

**ბექარ მიმინოშვილს!**



გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ კარგ სწავლას, სიხარულს, სიყვარულს, ჯანმრთელობას, გისურვებთ ფართო ასპარეზზე სულ გამარჯვებას. გაიზარდე, გაიხარე, შენი მშობლებით, ძამიკოთი და მშობლიური სკოლა სუჯუნის.

*კლასის დამრიგებელი ელდინა დამენია*

**ირინა ლაზარაშვილს!**



საუკეთესო სურვილებით გილოცავ დაბადების დღეს – 2 აპრილს. დალოცვილი და ბედნიერი ყოფილიყავი შენს საყვარელ მეუღლესთან და პატარა შვილებთან ერთად. გაზაფხულზე დაბადებულო, გაზაფხულივით მშვენიერი ყოფილიყოს შენი გზასავალი. მინდა გისურვო ძალიან ტკბილი და ლამაზი, ხანგრძლივი სიცოცხლე. უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ ამქვეყნად მყავხარ შენ.

*დედა*

**ნიკოლოზ ემუხვარს!**



ჩვენო უსაყვარლესო ნიკუშა, გილოცავთ დაბადების დღეს! ღმერთმა გაგზარდოს ჯანმრთელი, ბედნიერი, წარმატებული, ყოველმხრივ შემკული ვაჟკაცი.

*ბებიები და ბაბუები*

**ზუზა გონაშვილს!**



ზუზა! გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას!

ყოფილიყავი სულ გახარებული. ძალიან, ძალიან გვიყვარხარ.

*შენი ოჯახი*






## მადლობა

გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებლის მოადგილეს სოციალურ დარგში **ლიკა უგულავას!**

ქალბატონო ლიკა! არ ვიცი, შევძლებ თუ არა, სიტყვით გამოვხატო ის დიდი მადლიერება, რასაც თქვენდამი ვგრძნობ, თანადგომისა და გულისხმიერებისათვის. ღმერთმა უმრავლოს საქართველოს თქვენისთანა ღვთისნიერი, სიკეთით და სიყვარულით სავსე ადამიანები. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო **ვაჟა სოხაძეს** და **ზოია ჩხიკვაძეს** დიდი ყურადღებისათვის. იხარეთ და იბედნიერეთ.

*ეკა მაჭარაშვილი*

მადლობა ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტლის მთავარ ექიმს **გია მაცაბერიძეს**, განყოფილების გამგეს **მაია მაღლაკელიძეს**, ექიმს **ანჟელა უგრეხელიძეს, ლალი გვერდწითელს, ნელი ქარუმიძეს!** მიუხედავად გაუსაძლის პირობებში მუშაობისა, გულისხმიერად განაგრძობენ სოციალურად დაუცველ ომის ვეტერანთა ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს. ღმერთმა გამრავლოთ კეთილი ადამიანები.

*თქვენი პაციენტი ენგული იობაძე*

## ბინები

სასწრაფოდ იყიდება ვაკეში, ტაბიძის ქ-ზე, ახალაშენებულ კორპუსში 300 კვმ ბინა ეზოთი. გამოდგება კომერციული საქმიანობისთვისაც. შესაძლებელია 100 კვმ ფართობებადაც დაყოფა. ტელ: 899 21-62-51. ზალი

სასწრაფოდ იყიდება ვაკეში, ყიფშიძის ქ-ზე, ახალაშენებულ ვარსკვლავთა სახლში, 250 კვმ დუპლექსის ტიპის პენტჰაუზი. ტელ: 899 21-62-51. ზალი

ვაკეში, ყიფშიძის ქ-ზე, მშენებარე სახლში სასწრაფოდ იყიდება სხვადასხვა ზომის კომერციული ფართი 4-თვიანი უპროცენტო განვადებით. ტელ: 899 21-62-51. ზალი

3-ოთახიანი ბინა დიღომში, მირცხულავას ქუჩაზე, მე-7 სართულზე, ორი აივნით, ბ/აირით, წყლის გამათბობლით. ფასი $45.000. ტელ: 35-51-10; 899 22-55-70

3-ოთახიანი, უცხოვრებელი ბინა 1(5), მაღალ ბელეტაჟზე, მაღალი ჭერით, კედელში ჩასმული სარდაფით – 30 კვმ, ჩასასვლელი ბინიდან, ახალი ევრორემონტით. მის: რუსთაველის ქ. ზღვისპირას, 20 მ-ში, ბულვარის წინ. ტ: 893 67-36-83; 877 47-66-12

ქირავდება საოფისე ფართი 300 კვმ ალმაშენებელზე, მ. „მარჯანიშვილთან“ ახლოს, გამოდგება სამედიცინო-გამაჯანსაღებელ ცენტრად. ტელ: 899 51-01-37

## გთავაზობთ სამუშაოს

ფირმის ოფისში გვაქვს რეალური ვაკანსიები კვალიფიკაციის მიხედვით. მენეჯერები სტაჟირებას გაივლიან მთლიანის 51 ქვეყანაში, საკუთარი სურვილით, ფირმის ხარჯებით და პროფილით. ანაზღაურება გამომუშავებით – 400-600 ლარი ან სტაბილური $200-დან ზევით. ტ: 899 76-68-50. ბ-ნი დიმიტრი. მის: დიღომი, სამთო ქიმია, I სართ. ოთახი 6. ტ: 34-02-38

პირველად საქართველოში! ირან-საქართველოს-ზერბაიჯანის წარმომადგენლობასთან დაკავშირებით მიმდინარეობს კადრების შერჩევა. უპირატესობა ენიჭებათ ხელმძღვანელ ადგილებზე გამოცდილების მქონე პირებს. ასაკი 25 წელზე ზევით. ტელ: 76-99-32 (ოპერატორი); 893 414-502 (ხელმძღვანელი)

ამერიკული კომპანია პირველად საქართველოში აწარმოებს კადრების შერჩევას. ასაკობრივი ცენზი განუსაზღვრელია. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ, როგორც რეგიონების, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. ინფორმაციის მიღება უფასოა. ტელ: 893 65-29-75 (20 სთ-ის შემდეგ); 60-30-22. ნანული

18-დან 25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიაში, ავსტრიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, au-pair პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

სოლიდური კომპანიის გაფართოების მიზნით ქუთაისში გვესაჭიროება კადრები: საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგები, ორგანიზატორული მუშაობის გამოცდილების მქონე პირები, გადამდგარი ოფიცრები, ექიმები. მუშაობა – თავისუფალი გრაფიკით. მიმდინარეობს წინასწარი ჩაწერა გასაუბრებით. ტელ: 893 33-40-63

მაღალანაზღაურებადი სამუშაო ენერგიული მამაკაცებისა და ქალბატონებისათვის (30-55 წ). შერჩევა კონკურსის წესით. მიმდინარეობს წინასწარი ჩაწერა გასაუბრებისათვის. ქუთაისი და თბილისი. ტ: 899 77-16-79

18-დან 25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ მუშაობას და სწავლას გერმანიაში, 1-წლიანი ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით. ბინა, კვება, დაზღვევა უფასოა. ანაზღაურება 260 ევრო. პროგრამა ყველასათვის ხელმისაწვდომია. იჩქარეთ, გვყავს გერმანული ოჯახები. ტელ: 59-05-90; 38-08-78

საინფორმაციო საკადრო ცენტრს ესაჭიროება 28-60 წლამდე ასაკის უმაღლესი განათლების მქონე კომუნიკაბელური, სამუშაოს გამოცდილების მქონე ადამიანები. ტელ: 893 40-35-77

ექიმების საყურადღებოდ! უცხოური კომპანია იწვევს სათანამშრომლოდ გამოცდილ ექიმებს მედკონსულტანტად. მუშაობა თავისუფალი გრაფიკით, ანაზღაურება – სოლიდური. ტელ: 31-42-53; 899 18-70-78

## მომსახურება

ავიკრებთ ნებისმიერი სახის ტექსტს, სწრაფად, ხარისხიანად. დავიმზადებთ ბლანკებს, დოკუმენტებს. 1 გვერდის ფასი – 60თ. ტელ: 34-32-79; 893 96-00-42

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ინდივიდუალური ნემსით, მორჩენის გარანტიით. ფასი: 1 სთ – 12 ლარი. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, კორპ. 9. ბინა 109. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

კოსმეტოლოგი გთავაზობთ ეპილაციას უახლესი სისტემის აპარატით, ვოლფრამის ინდივიდუალური ნემსით, ყოველგვარი გვერდითი გართულებების გარეშე, ანესთეზიით. 1 სთ – 6 ლარი. აგრეთვე გთავაზობთ სახის კანის გაწმენდას და უნიკალურ მალამოებს. მის. მ. „სამგორთან“, ხარაბაძის ქ. №43ა. ტელ: 77-61-64; 893 96-91-30. ნონა

სიახლე საქართველოში! სენსაციური შედეგები! მოზარდმა 3,5 თვეში სიმაღლეში 17 სმ-ით მოიმატა. მსურველთათვის კონსულტაციები უფასოა. ექსპერტ-კონსულტანტი ქ. შორენა. ტელ: 899 74-86-24; 66-68-66

რბილი ავეჯის რესტავრაცია, სამუშაოების გადაკვრა, განახლება, სკამების, მატრასების აღდგენა. შეკვეთით ვაკეთებთ სამზარეულოებს, გარდერობებს. ტელ: 95-97-12; 893 69-65-85. გიზო

ხოჯა (მოლა) აშიშა კვლავ თბილისშია და ძველ მისამართზე აგრძელებს მიღებას: ჯადო-თვალის, ნუსხის, წყევლის, ჩაკეტილი ბედისა და გზების დახსნა-მოხსნა, ძლიერი არაბული თილისმები შეთანის ძალით გამოწვეული, სასიყვარულო, მეგობრული და ოჯახური უსიამოვნებების მოწესრიგება. ტელ: 893 96-94-51

## მკურნალობა

მთლიანი ორგანიზმის უზუსტესი კომპიუტერული და ფუნქციური გამოკვლევა – წნევების დარეგულირება, თავის ტკივილები, ნევროზი, კუჭ-ნაწლავის მოწესრიგება, ბუასილი (სისხლდენა, ნაპრალი, ქავილი), ფსორიაზი, სოკო, ღრძილებიდან სისხლდენა, უნებლიე შარდვა, პროსტატიტი, ქოლეცისტიტი, ჰაიმორიტი, ღრძილებიდან სისხლდენა. მკურნალობა ეფექტურია პირველსავე დღეებიდან. ტელ: 899 43-97-34 (ნებისმიერ დროს); 32-39-46. ექიმი ნათია. მიღება – ჩაწერით.

წინაპართა მეთოდებით, სამკურნალო მცენარეებსა და თეთრ მუმიოზე ვამზადებ მალამოებს, ხსნარებს. ვმკურნალობ: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრების ანთებას, რადიკულიტს, საჯდომი ნერვის ანთებას, ჰაიმორიტს (ასევე უმძიმეს დაავადებებს), დისკოზს, ართროზს. მის: თევდორე მღვდლის №48. მე-4 სად. მე-8 სართ. 56-37-37; 899 54-64-81

> ალკოჰოლიზმის თერაპიული მკურნალობა, მაღალხარისხიანი მცენარეული, ლიცენზირებული პრეპარატებით. ქრონიკული ალკოჰოლიზმი, ალკოჰოლური ფსიქოზები – თეთრი ცხელება („ბელაია გორიაჩკა“), „პახმელიის“ სინდრომის მოხსნა, ღვიძლის ალკოჰოლური დაავადებები და სხვა გართულებები; აგრეთვე ჰეპატიტების, ნევროზების, უძილობის და სხვა დაავადებების მკურნალობა. შესაძლოა მკურნალობა პაციენტისგან ფარულადაც. ტელ: 899 34-27-13; 53-08-02. თამრიკო ექიმი (ნებისმიერ დროს)

საგვარეულო წამლებით ვმკურნალობ საოპერაციო ჩიყვს ერთ თვეში; ნერვის ანთებას, რადიკულიტს, უნებლიე შარდვას (ღამის ენურეზი), უძილობას (თეთრი ღამები). კლიმაქსს სამ დღეში აქვს შედეგი. მცენარეებზე ვამზადებ მალამოებს, გამწმენდებს და ნაოჭის კრემებს. ტელ: 69-84-67. მარიკა

> ალკოჰოლისა და თამბაქოსგან სწრაფი გათავისუფლება, კრემლის ლაბორატორიის მცენარეული პრეპარატებით, რომლებიც ხსნის ნაბახუსევის სინდრომს, აგრესიას, დეპრესიას, აწესრიგებს ძილს, წმენდს ღვიძლს, თირკმელს, ნაღვლის ბუშტს და იცავს ორგანიზმს შემდგომი გართულებებისგან. მკურნალობა აბსოლუტურად უსაფრთხოა და შესაძლებელია პაციენტებისგან ფარულად. ტელ: 893 96-50-32 მაია; 93-44-25 (11-17); 96-34-51 (საღამოს)

საგვარეულო ხსნარებითა და მალამოებით თმის დაავადებების მკურნალობა (ბუნებრივი ცვენით), ამოღის თმა; თმის ძირების გამოკვლევა აპარატით, ტილებისა და წილების მოსპობა, კანისა და ფრჩხილების სოკო, ფსორიაზი, ეგზემა, ლაქების მოცილება, ოფლის მალამო; ღრძილების, ჭრილო ბების, გამონაყარის, ქუსლებზე ნახეთქების მკურნალობა; მასაჟი აპარატით, გარანტიით. აქვე გახსნილია კოსმეტიკის კურსები. მის: ვაჟა-ფშაველას 47, II სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, II სართ. ოთახი 28. ყოველდღე, 11-18 სთ. ტელ: 39-39-51; 893 91-89-17; 35-32-62. ბიოლოგი მჭედლიძე-ბეგაშვილი

ალკოჰოლიზმის მკურნალობა (პაციენტისგან ფარულადაც), „პახმელიის“ მოხსნა, აგრესიები, აკვიატება, შიშები, უძილობა, თავის ტკივილები, ნევროზი, თამბაქოს გადაგდება, ბუასილი (სისხლმდენი, ქავილი, ნაპრალი), კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ფსორიაზი, სოკო, კანის დაავადებები, ასთმა, წითელი ქარი, პოდაგრა, ქოლეცისტიტი, ჰეპატიტი – ღვიძლის დაავადებები, კლიმაქსი – მცენარეული პრეპარატებით, რომლებიც არ გააჩნია უკუჩვენება. ექიმის მიერ აყვანილი პაციენტის განკურნება გარანტირებულია. ტელ: 899 21-13-66; 68-92-77. ექიმი ლალი

რუსეთის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული მკურნალობს გარანტიით, ფუტკრის პროდუქტებისგან დამზადებული პრეპარატებით, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს (თუნდაც გახსნილი სისხლმდენი ძლიერი ტკივილებით). მის: ქ. აბზეტა, ყაზბეგის ქ №72. ტ: 899 48-91-05. მიხეილი

> ალკოჰოლიზმის მკურნალობა კრემლის ლაბორატორიის მაღალხარისხიანი, მცენარეული, ლიცენზირებული პრეპარატებით, შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც – ანტიალკოჰოლური წვეთებით, ასევე „პახმელიის“ მოხსნა. გარდა ამისა ნევროზი, აგრესია, დეპრესია, უძილობა, ენურეზი (შარდის შეუკავებლობა), ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის პრობლემები, ბავშვების სიმაღლეში გაზრდა (აკად. ლიხარიოვის მეთოდებით), სიახლე! – გახდომა დიეტის გარეშე. ტელ: 893-35-45-35 (ნების. დროს); 93-44-25 (12-16 სთ); 58-04-67 (საღამოს). მაკა ექიმი

მამაკაცების საყურადღებოდ! ნატუროპათია, ჰომეოპათია, უძველესი ხალხური მედიცინა გაძლევთ შესაძლებლობას განიკურნოთ შემდეგი დაავადებებისგან: პროსტატიტი, ურეთრის დაქვეითება, წვა, იმპოტენცია, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება და შეუკავებლობა, სპერმის ნაკლებობა და უნებლიე გამოყოფა, სოკოვანი დაავადება, კონტაქტის შიში, პენისის ანთება, ბუასილი, კოლიტი, ცისტიტი, პიელონეფრიტი, წითელი ქარი, კანის დაავადებები და სხვა. ტელ: 899 49-84-23

> ალკოჰოლიზმი – სერიოზული ქრონიკული დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს „პახმელია“, „ზაპოი“, ჰალუცინაციები („ბელაია გორიაჩკა“, ნევროზები, აგრესიულობა) და მიდის ისეთ გართულებამდე, როგორიცაა ალკოჰოლური ჰეპატიტი და ღვიძლის ციროზი. ალკოჰოლიზმის ავადობის ტვირთი არის მსოფლიოში 9,0%, რასაც სჭირდება სერიოზული, თერაპიული მკურნალობა. გთავაზობთ თერაპიულ კურსს მცენარეული, უსაფრთხო, ქარხნული პრეპარატებით „გაიტლაინი“. შესაძლებელია პრეპარატების შეძენა საკუთრივ (ანუ პაციენტისგან ფარულადაც). საზოგადოებრივი ჯანდაცვის მენეჯერი-ექიმი ნინო ან ნანა. ტ. 99-75-90; 899-36-65-34; 899 22-63-90

სხვადასხვა მეთოდით იკურნება ნევროზული და ფსიქოსომატური დაავადებები: აგრესია, აკვიატებული აზრები, ეჭვიანობა, უძილობა, შიში, კომპლექსური სიზმრები, უიმედობა, დეპრესია, მოუსვენარი ძილი, აფორიაქება, სევდა, ნაღველი, მელანქოლია, დაძაბულობა, შებოჭილობა, კლიმაქსი, ვეგეტონევროზი, სუნთქვის გაძნელება, მოჩვენებითი ტკივილები და დაავადებები, მეხსიერების დაქვეითება. ტელ: 899 49-84-23

პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე მკურნალობს: 1. თმის ცვენა, სიმაღლეში მომატება; 2. ყურებში ხმაური; 3. ოსტეოქონდროზი, რადიკულიტი; 4. მეჭეჭები, ხორცმეტები, პაპილომები, ლაქები, ჭორფლი და ჭარბთმიანობა. კომპიუტერული დიაგნოსტიკა – 30 ლარი. კონსულტაცია უფასოა. კურსი 5-10-დღიანი. მის: ალმაშენებლის 93, „ბარ-ბაროს“ გვერდით. მ. „მარჯანიშვილი“. ტელ: 96-38-27; 893 39-04-87. ირინა

სწრაფად ალაგებ და გაეუმჯობესებ სმენას ნევრიტის, ყურის ჩირქოვანი ანთების, გაცივების და სხვა შემთხვევების დროს. ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. მკურნალობა ხელმისაწვდომია. მის: ჭავჭავაძის გამზ. 78. სამედიცინო გამაჯანსაღებელი ცენტრი „ნაუტილუსი“. ტელ: 899-97-85-46; 22-56-26; 23-56-26; ლევანი

> მეჭეჭებისა და ხორცმეტების: პაპილომების, კონდილომების, მოლუსკების მოცილება სახეზე, თვალებზე, კისერზე, იღლიების ქვეშ, ტანზე – უმტკივნეულოდ, ნაკვალევის გარეშე. ეფექტი გარანტირებულია. მკურნალობს კვალიფიციური სპეციალისტი – რუსულან საყვარელიძე. ტელ: 39-00-70; 899 56-96-61

მთლიანი ორგანიზმის ზუსტი კომპიუტერული გამოკვლევა ფუნქციონალურად. დაავადებათა გამოვლინება საწყის ეტაპზე (ფასი 45 ლარი). კუჭ-ნაწლავის, გულ-სისხლძარღვთა (წნევების), ჩიყვის და დიაბეტის, ქალური, მამაკაცური, ნერვული სისტემის, სიმსუქნის, მოზარდებში სიმაღლეში ზრდის, ჩამორჩენის და ყველა შესაძლო პრობლემის დროული გამოვლინება და მკურნალობა. მის: ხიდის ქ. №2 (მშრალ ხიდთან) ტელ: 877 45-78-39; 96-66-49. ქნი ბელა; 92-39-44; 893 16-70-76. ბ-ნი ზვიადი

მხოლოდ ჩვენთან! მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლაქების, სვირინგების, ნაწიბურების და სხვა წარმონაქმნების მოცილება: ეროზიების, ლეიკოპლაკიის მკურნალობა უახლესი $CO_2$ ლაზერით. მხოლოდ ერთი სეანსი! მაღალი კოსმეტიკური ეფექტი! მის: ბახტრიონის ქ. 18. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი“. ტელ: 877 41-50-30; 36-14-18

მცენარეებითა და ფუტკრის პროდუქტებით ვმკურნალობთ საკვერცხის კისტას, ფიბრომას, მიომას, მასტოპათიას, ბუასილს, კუჭის წყლულს, ჩიყვს უოპერაციოდ! ასევე ტარდება სიმსივნით დაავადებულთა ეფექტური მკურნალობა მეტასტაზების შეჩერებისა და პაციენტების სიცოცხლის გახანგრძლივების მიზნით. მიღება წინასწარი ჩაწერით. ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. ტელ: 70-78-03 (ბინა); 899 74-23-69

100%-იანი გარანტიით, ოპერაციის გარეშე ვმკურნალობ ბუასილის სხვადასხვა ფორმას (მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, კოლიტი, წვა, ქავილი). მწვავე ტკივილი იხსნება 1-2 დღეში, ხდება კვანძების გაწოვა. მის: ც. დადიანის 87. ტელ: 69-91-92 (კაბ); 39-39-97; 899 57-16-99. ექ. ალექსიშვილი

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული უსწრაფესი შედეგებით!!! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი, სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), შაკიკი, ჰაიმორიტი, ნევროზი. მკურნალობა ეფექტურია პირველსავე დღეებიდან!!! მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (ც. დადიანის 87). ექ. ალექსიშვილი. ტელ: 39-39-97; 69-91-92; 899 57-16-99

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია – „დაკო-კომპიუტერი“ გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტრიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. ბარნოვის ქ №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ავტოსკოლა ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. სკოლა უზრუნველყოფილია ყველანაირი მარკის მსუბუქი და სატვირთო მობილით. მის: ლ. ასათიანის ქ. №28. მუხიანის დასახლება, I მ/რ, II კორპ. ტელ: 99-53-24; 64-02-10; 899 14-14-84

სწავლება 50%-იანი ფასდაკლებით: 1. კოსმეტიკა – შეისწავლება მალამოები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), კანის გაწმენდა, მასაჟი, ეპილაცია, რძეები, ნიღბები, ლოსიონები და სხვ; 2. სამკურნალო და პროფილაქტიკური მასაჟი; 3. ქალთა პარიკმახერი; 4. მანიკიური, პედიკიური. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ც. დადიანის 26. ტელ: 66-53-56; 69-09-19; 56-49-59; 893 33-09-66

შპს „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიონალური მომზადების კურსებზე 1. კოსმეტოლოგი-ვიზაჟისტი (კანის მოვლა, ეპილაცია, სახის გაწმენდა, იონოფორეზი, ლიფტინგი, ფიზიოთერაპია, მალამოები, კოსმეტიკური მასაჟი, მაკიაჟი); 2. მასაჟის ანატომია (ჰიგიენური, სპორტული, სამკურნალო, წერტილოვანი); 3. პარიკმახერი. გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის: ალმაშენებლის 115 (ეზოში), შპს „ქართი“. ტელ: 96-22-89

სპეციალიზირებული სკოლა Paradox-ის ლიცენზირებული სპეციალისტები პროფესიულ დონეზე შეგასწავლით კომპიუტერულ პროგრამებს, ბუღალტერიას და ინგლისურს. გაიცემა შესაბამისი ლიცენზირებული სერტიფიკატი: საოფისე: windovs-xp, msofiice-xp. გრაფიკა: coreldraw, photosop, autocad, archicad, 3-dmax. მის: გაბაშვილის ქ №7 (მ. „რუსთაველთან“, კინოსახლ „ოსკარის“ უკან). ტელ: 98-80-23; 899 77-49-40. url: www.paradox.ge

## იყიდება

ხეხილის ნამყენი ნერგები, ვაზები, ვარდები, ტუია, ხვენის ვარდები, ფიჭვი, ნეკერჩხალი, ტირიფი, კედარი, ცაცხვი, კიპარისი, ალვის ხის ნერგები ქარსაფრად, ნუში, კაკალი და სხვა. მის: სანერგე მეურნეობა, თბილისის ზღვასთან ტელ: 69-97-05; 899 16-93-15; 899 75-98-62. ამირანი, გივი

## სხვადასხვა

> საგრანტო კონკურსი: ქალაქებისათვის ტასისის საგრანტო სქემის (TCAS) ფარგლებში დასაფინანსებლად ევროკავშირი იწვევს საქართველოს მუნიციპალიტეტებს წარმოადგინონ საპროექტო წინადადებები (სქემა ფინანსდება ევროკავშირის მიერ). (TCAS) სქემით ევროკავშირი 5 ქვეყნის (ბელარუსი, მოლდოვა, რუსეთი, საქართველო, უკრაინა) გამარჯვებულ მუნიციპალიტეტებს 1,6 მილიონ ევროს გაუნაწილებს. საპროექტო წინადადებები ქალაქების პრიორიტეტულ გარემოს დაცვითი პრობლემების გადაჭრაზე უნდა იყოს მიმართული. ეს შეიძლება იყოს: მყარი და საზიფათო ნარჩენების მართვა; ზედაპირული ან მიწისქვეშა წყლების დაბინძურების შემცირება, წყლის დაზოგვა; ჰაერის დაბინძურების შემცირება (ავტომობილების ან მრეწველობის მავნე გაფრქვევების შემცირება); ენერგოეფექტურობის ზრდა მუნიციპალურ შენობებში (ალტერნატიული ენერგიის წყაროების გამოყენების ჩათვლით); და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველა ზემოთ ხსენებულ სფეროში (ცნობიერების ამაღლება, არსებული მდგომარეობის შეფასება სახელმწიფო ორგანოების და საზოგადოების წარმომადგენლების მიერ). პროექტის წარმოდგენის უფლება აქვს საქართველოს ყველა რაიონული ცენტრის და რაიონში არსებული ქალაქების მუნიციპალიტეტს. წახალისდება თანამშრომლობა მუნიციპალიტეტებს შორის და პარტნიორობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან. თითო პროექტის ფარგლებში დასაშვებია 120-დან 160 ათასამდე ევროს მოთხოვნა. განმცხადებელმა უნდა უზრუნველყოს ფინანსური სახსრები პროექტის 20%-ის თანადაფინანსებისათვის. საპროექტო წინადადებები უნდა შედგეს ინგლისურ ენაზე (წინასწარ დადგენილი საპლიკაციო ფორმის მიხედვით) და უშუალოდ განმცხადებლის მიერ გაიგზავნოს ბრიუსელში. განიხილება მხოლოდ ევროპის მიერ 2006 წლის 30 ივნისამდე მიღებული განცხადებები. გამარჯვებული მუნიციპალიტეტები გამოვლინდება 2006 წლის სექტემბერში. განაცხადის წარდგენისათვის საჭირო დოკუმენტები, აგრეთვე ინფორმაცია დაინტერესებული მუნიციპალიტეტების ტრენინგის შესახებ იხილეთ ინტერნეტ-გვერდზე Http://tcas.rec.org. ტრენინგი დაინტერესებული მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისათვის გაიმართება თბილისში, 2006 წლის 16-18 მაისს. ტრენინგში მონაწილეობის მსურველები უნდა დარეგისტრირდნენ (TCAS) ხელშემწყობი პროექტის წარმომადგენლებთან მითითებულ მისამართზე; ინფორმაციისათვის მიმართეთ (TCAS) ხელშემწყობი პროექტის წარმომადგენელს საქართველოში, ქ-ნ ლია თოდუას. ტელ: 899 577959; 399019; ელ. ფოსტა Lia@tcas.rec.org

## თამთა თორდინავას მონატრება



ოთხი ტკივილიანი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენთან აღარ ხარ... ძალიან გვენატრება შენი სითბო, ღიმილი და საყვარელი ტიტინი, რომელიც ასე გამოგარჩევდა თანატოლებისგან.

მეოთხე წელია, უშენოდ აღვნიშნავთ 28 მარტს. ამ დღეს ძალიან გვიჭირს, განსაკუთრებით შენს მშობლებს და დებს. გილოცავთ, ჩვენო პატარავ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*შენი ნათესავები*

## გოჩა ჭუჭულაშვილის და ვასიკო ბაკაშვილის მონატრება





გოჩა, შვილო, ჩვენო დიდო ტკივილო და სევდავ! უკვე მეოთხედ მოვიდა გაზაფხული, შენი დაბადების დღე – 27 მარტი. ახლა ხომ 42 წლის იქნებოდი, ჩემო მონატრებულო შვილო. შენს წლისთავზე დაგვეცა კიდევ მეხი, ავტოავარიით დაგვეღუპა შენი თანაკლასელი, ძმა და მეგობარი ვასიკო. ისიც ხომ 27 მარტს არის დაბადებული, 41 წლის გახდებოდა. ჩვენო მონატრებულო შვილებო, გაუსაძლისია თქვენი ტკივილი, განვიცდით უთქვენობას თქვენი ცოლ-შვილი, ყველა თქვენი ახლობელი. თქვენს ოჯახებში სიცოცხლე გრძელდება, გეზრდებათ შვილები. ვაი, რომ თქვენ ვერ გაიხარეთ თქვენს შვილებთან. ძნელია უთქვენოდ მშობლების ყოფნა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სპეტაკი სულები. ჩვენმა მონატრებამ, სიყვარულმა და დანთებულმა სანთელმა გაგინათოთ გზა მარადისობაში.

*თქვენი გულდამწვარი დედები – ლილი და ნუნუ*

## ნადეჟდა ყირიმელ-გოგიშვილს!



აუტანელი სისწრაფით მიდიან დღეები... ყოველი დღე, რაღაც საშინელ ტკივილს გვიტოვებს. ვფიქრობთ ყოველ წუთს, ყოველ წამს... ძნელი ყოფილა შენთან სიშორე, ძნელი ყოფილა გაძლება მარტო. ორმოცმა აუტანელმა დღემ გაირბინა, ჩვენო კეთილო ნადეჟდა. დაგვტოვე ფრთამოტეხილი შენი ლამაზი ოჯახი, შენი მეუღლე, შვილები, დები. საშინელებაა ყველაფრის ატანა, სიცოცხლეც ძნელია დღეს ჩვენთვის.

ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენი წმინდა სულისათვის. ღმერთმა გაგანათლოს იმ ქვეყნად. ჩვენ კი სანამ ცოცხლები ვართ, ვილოცებთ შენთვის.

*ოჯახი*

## ლია შეყლაშვილი-კვიციანის ტკივილიანი მონატრება

ჩვენო მარად დაუვიწყარო, მოუსიყვარულებელო, სიკეთისა და სიყვრულის განსახიერებავ! ორი წელია ვებრძვით უშენობას, უიმედობას, გვენატრები უსაზღვროდ ყველას, შვილო! ღმერთმა ყველაფერი შენ გიბოძა, რაც სიკეთე იყო ამ ქვეყანაზე, ხანგრძლივი სიცოცხლის გარდა. რაც დრო გადის, უფრო და უფრო გვიჭირს უშენობა, ყველას შინ და გარეთ. ყველას ძალიან ენატრები და ენანები, შვილო, ვინც კი გიცნობდა – ახლობლებს, მეგობრებს, მეზობლებს, სანათესაოს. ყველაზე მეტად კი დააკლდი შენს მოუსიყვარულებელ ოჯახს, შენს ერთადერთ ძმას, შენს უბედურ მშობლებს, რომლებიც ყოველთვის შენი სპეტაკი სულისთვის ვლოცულობთ. გემშვიდობებით დროებით, ჩვენო ტკბილო შვილო ლია. ჩვენი დარჩენილი, გამწარებული სიცოცხლის დღეებს იმ იმედით მივყვებით, რომ შენს შვილებს ცოტათი მაინც შევუმსუბუქებთ იმ ტვირთსა და დარდს, რაც უშენობამ არგუნა. ძლიერ მონატრებას, უამრავ მოგონებას, შეუშრობელ ცრემლს ვატანთ ამ პატარა ნუგეშის ბარათს.

დაე, შენთვის დანთებული სანთლები, შენი დატოვებული დიდი სიკეთე და სიყვარული გინათებდეს მარადიული სასუფევლის გზას.

*დიდი მონატრებით – შენი უბედური მშობლები*

## ეთერ ნიკლაური-მახარაშვილის გახსენება



უკვე ერთი წელი გავიდა, რაც დაგვტოვე და სამუდამო სასუფეველში გადახვედი. ვერ ვეგუებით მწარე რეალობას, რომ ჩვენ გვერდით აღარ ხარ. ძალიან ენატრები და აკლიხარ შვილებს. შენ ხომ ობლობაში გაზარდე სამი შვილი, მათთვის დედაც იყავი და მამაც, გაზარდე კეთილები და მშრომელები. შვილებით შენ ყოველთვის ამაყობდი, იმაყებდა მამაც, მაგრამ სულ პატარები დატოვა შვილები და შენ სრულიად ახალგაზრდას ჩაგაცვა ძაძები.

ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები შვილიშვილებს, ბაბო. ყოველთვის ვილოცებთ შენი კეთილი სულისთვის. მოვალთ საფლავზე და ავანთებთ სანთლებს, შენ კი ზეციდან დაგვლოცე. ძალიან გვენატრები, ბაბო...

*ემზარი, ოლიკო, ზვიად სულაძეები; ეთერი, ანა, ნონა, ვარდო მახარაშვილები*

## ბესიკ კაპანაძის გახსენება



ჩემო ბესიკ, მე-16 გაზაფხული გავიდა, ჩემო უსაზღვროდ დიდო ტკივილო და დარდო. ერთ წუთში დამთავრდა ერთი ანგელოზის სიცოცხლე. მუხანათურად მოკლულო მამიდაშვილო, ძალზე მიჭირს უშენობა, შენ მარადიული სიჭაბუკე გარგუნა უფალმა, ჩვენ კი – მარადიული გულისტკივილი.

შენს სახელს დავიწყება არ უწერია. შენს სახელს შენი პატარა ძმისშვილი ატარებს. ბესო – შენ დედის უსაზღვრო ტკივილო, დარდო და მონატრებავ.

*შენზე მონატრებული ანზორი*

## ვალიკო ტაბატაძის გახსენება



ერთი წელი გავიდა, რაც შენ აღარ ხარ ჩვენ გვერდით.

მოვიდა პირველი წელი უშენოდ, 29 მარტი. ძალიან გვიჭირს უშენობა. მამა, შენს სახელს დავიწყება არ უწერია. დღე არ გავა, რომ არ გახსენონ შენი ოჯახის წევრებმა. შვილებსა და შვილიშვილებს მონატრებული წახვედი, რადგან საქართველოდან შორს ვიმყოფებოდით.

ძვირფასო მამა, შენ იმდენი სითბო და სიყვარული დაგვიტოვე, რომ არ შეგვიძლია ცრემლის გარეშე გაგიხსენოთ.

ნათელი გეფინოს და მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური მიწა.

*შენი ანზორი*

## ნატა კვიჟინაძეს!



წუთისოფლიდან ნაადრევად, ტრაგიკულად წასულო, ჩვენო ნატა! უკვე მიილია ორმოცი დღე, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ. ჩვენი ცქრიალა, სიცოცხლით და სიხარულით სავსე პატარა გოგოვ, შენ ხომ ალერსიანი, თბილი, კეთილი, დიდი სულისა და გულის პატრონი იყავი. შენ ხომ მხოლოდ ათი წელი გარგუნა ბედმა. რა გეჩქარებოდა, ჩვენო სიცოცხლევ, მარადისობაში გადასვლა?! შენ ხომ სიცოცხლე ძალიან გიხაროდა.

ერთმა ავბედითმა წუთმა დაამსხვრია შენი სიხარული. შენ ხომ გვეუბნებოდი, – უზომოდ ბედნიერი ვარო. ჩვენო პატარა ნატალია, ჩვენო პატარა შვილო, ძალიან უჭირს უშენობა შენს ოჯახს. სახლი ხომ შენი მხიარული კისკისით ხალისობდა. როგორ უნდა გაუძლონ შენმა ძმამ და დედ-მამამ ასეთ განსაცდელს... შენ ხომ ასეთ პატარას, ნებისმიერი მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნა შეგეძლო. ჩვენო ჭკვიანო, ფერიასავით ლამაზო გოგოვ, ასეთი იყო შენი ბედისწერა. ალბათ ღმერთმა ასე ინება და რჩეულებს შორის მიგიჩინა ადგილი.

დალოცე შენი ოჯახი და შენი ახლობლები. მიეცი ძალა ლოცვის, რწმენის და სიმშვიდის, რათა მარადიულ სასუფეველში დაიმკვიდროს შენმა პატარა და ლამაზმა სულმა.

მსუბუქი იყოს შენთვის მიწა, რომელმაც ნაადრევად, დედის ნაცვლად ჩაგიკრა გულში.

*შენი ნიკა, დედა და მამა*

## ალექსანდრე (ალიოშა) ნოდიას გახსენება



ჩვენო ძვირფასო და ტკბილო მამა! 40 ტკივილიანი დღე მიილია, რაც ჩვენთან აღარა ხარ. გვიჭირს უშენობა, ძალიან გვენატრები და გვენანები, რადგან სოხუმიდან იძულებით გამოძევებულს, ავადმყოფობით გატანჯულს შენი სოხუმი, სახლ-კარი გენატრებოდა, შენმა ოჯახმა კი უკანასკნელი თხოვნაც ვერ შეგისრულა – შენი სოხუმის თბილი მიწაც ვერ დაგაყარა გულზე.

თავს იმით ვინუგეშებთ, რომ შენს ახლობლებსა და შვილიშვილებში დათესილი სიკეთე და სიყვარული არ გაქრება და ეს იქნება შენი ხსოვნის საწინდარი.

*შენი ოჯახი*

## ბადრი ნიკლაურის მონატრება



ცრემლსა და მწუხარებაში გავიდა ორი წელი, ჩემო ლამაზო, ტკბილო და კეთილო შვილო. 31 მარტს მოვალთ შენს საფლავთან და მოგილოცავთ 39 წელს. ბადრი, შვილო, შენ ვერ წარმოიდგენ, რას უძლებს უბედური დედაშენი და შენი ცოლ-შვილი. რაც დრო გადის, უფრო მეტად გვიჭირს უშენობა. რომ იტყვიან, დრო მკურნალიაო – ტყუილი ყოფილა.

ყველას ძალიან დაგვწყვიტე გული: დედას, ცოლ-შვილს, და-ძმას და ნათესავებს. გინთებთ სანთლებს და ვლოცულობთ, რომ ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი უბედური დედა ვენერა, მეუღლე ქეთი, შვილი ბექა, და ეკა, ძმა თამაზი – ოჯახებით*

## გიორგი (გია) კვატაშიძეს!



როგორ უცებ გაიპარა 6 ტკივილიანი წელიწადი. ამ დრომ ვერ გაანელა შენი მონატრების გრძნობა. თითქოს გუშინ იყო ის ავბედითი 28 მარტი. კიდევ უფრო მძიმეა, შვილო, შენი ტრაგიკული სიკვდილი ჩვენთვის, რადგან არ ვიცით, რისთვის გაგწირა ვერაგმა, მხეცმა, მკვიდრმა ბიძაშვილმა. ნეტავ არ არსებობდეს შვილმკვდარი დედა, შვილმკვდარი დედისთვის ეს ტკივილი განუკურნებელი სენია, რომელიც შვილთან მიახლოებამდე არ იკურნება.

ოჰ, რა მწარე ხარ, სიკვდილო, შენი უკანონო განაჩენით. ახლა რა ვქნათ, რით ვანუგეშოთ შენი ლამაზი ცოლ-შვილი?! რატომ უნდა ყოფილიყვნენ შენი შვილები ობლები და მამას მონატრებულები?! გიორგი უკვე 13 წლისაა, ის ხომ შენი ასლია; გვანცა კი – 11 წლის. რა იქნებოდა, გენახა შენი შვილების მომავალი. როგორ გიყვარდა შენი ერთადერთი და ქეთი და მისი ანანო.

მოურჩენელი ტკივილი ხარ, შვილო. ცოცხლობს მამაშენი, თუ ამას სიცოცხლე ჰქვია, შენზე ფიქრით და და შენს შვილებზე ზრუნვით. უფალს ვთხოვ, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის ის მიწა, რომელმაც ნაადრევად, დედის ნაცვლად ჩაგიკრა გულში.

*შენი გამწარებული მშობლები*

## მირიან მამფორიას გახსენება



საყვარელო მამიკო, ერთი წელია, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. გვიმძიმს უშენობა.

ღმერთს ვთხოვ, სასუფეველში მოხვდეს შენი სული.

*შენი შვილები და მეუღლე – ვარდო მამფორია*

## ივანე (იონა) მოთიაშვილის მონატრება



იონა! ისევ უშენოდ მღვიდა, შვილო, დაბადების დღე – 27 მარტი. მეოთხე წელია, რაც ხელიდან გამოგვეცალე. მხეცმა და არაკაცმა მოგიწრაფა სიცოცხლე და წახვედი ჩვენგან. ჩვენ კი უდიდესი მწუხარება დაგვიტოვე. დრო მკურნალიაო, – უთქვამთ, მაგრამ ასე არ ყოფილა. რაც დრო გადის, მით უფრო ვმწარდები. ნანა და გუგა თითქოს ტკივილს მიმსუბუქებენ, მაგრამ ასე ადვილი არ არის ჩემთვის. შენ განსაკუთრებული ადგილი გექნება ყოველთვის ჩემს გულში. ყოველი დღე შენზე ფიქრით იწყება და მთავრდება. მუდმივად ჩამესმის ყურში შენი საუბარი, შენი ფეხის ხმა, თვალიც ვერ მიეჩვია უშენობას, დედიკო. სიტყვის მაგივრად ცრემლი მომდის. ერთადერთი ისღა დამრჩენია, ხშირად მოვიდე შენს საფლავთან, მოვეფერო შენს სურათს, შენს ლამაზ სახეს, სევდიანი თვალებით რომ მიყურებ. როგორ მიღალატე, ჩემო სიკეთით სავსე შვილო, როგორ მიმატოვე – რატომ არ გაუფრთხილდი შენს სიცოცხლეს? როგორ უნდა გავატარო უშენოდ დარჩენილი სიცოცხლე?! როგორ მენატრება შენი მოფერება, ჩემო ნაბოლარავ.

27 მარტს 27 სანთელს აგინთებს შენგან უზომოდ გამწარებული დედა – დედა, რომლის გულის სიცარიელეს ვერავინ და ვერაფერი ამოავსებს.

არ შეშინდე, ჩემო შვილო, უფალი ერთმანეთს აუცილებლად შეგვახვედრებს და მერე უკვე ველარავინ წამართმევს შენს თავს, სულ ერთად ვიქნებით.

ნათელში იყავ, ჩემო მონატრებულო, უმცროსო შვილო!

*შენი ოჯახი – დედა*

## კაცი, რომელიც დაგვაკლდა ყველას...



გივი ზაუტაშვილი ყველას დაგვაკლდა... ქალაქს თუ სოფელს, დიდსა თუ პატარას, შინაურსა თუ, ასე განსაჯეთ, ბევრ უცხოელსაც კი; მოგეხსენებათ, სიკეთეს პოლიტიკური საზღვრები არა აქვს და მისი გარდაცვალებიდან დღემდე, სხვადასხვა ქალაქიდან არ წყდება სამძიმრის ზარები.

ვინც ბატონ გივის იცნობდა, ამ დიდებულ, ღირსებით სავსე, მუხასავით ფესვმაგარსა და ულალატო პიროვნებას, ეს სიტყვები ზღვაში წვეთიც არ არის იმასთან შედარებით, რაც მას ღვაწლი მიუძღვის ქვეყნისა და ერის წინაშე და განსაკუთრებით მშობლიური ყვარლის რაიონის აღმშენებლობის საქმეში. სიკეთის უხვად და უანგაროდ გამცემი, ჭირსა და ლხინში მის გვერდით ყოფნა არა მარტო გვეიმედებოდა, სიამაყითაც გვავსებდა... მის გულწრფელ, ალალ გამოხედვაში, მის ნებისმიერ ქმედებაში, თუნდაც ხელის ჩამორთმევაშიც კი იყო რაღაც უტყური, ჭეშმარიტად ვაჟკაცური, რომელიც სიცოცხლის სილაღეს გმატებდა იმ განცდით, რომ არსებობენ კიდევ ასეთი ადამიანები.

გივი ზაუტაშვილი იმ რომანტიულ თაობას ეკუთვნის, რომელთა ნაშენ-ნაგრამს იყოფენ და ბოლომდე ვერ გაუყვიათ... ანგრევენ და ვერ დაუნგრევიათ, რადგან ერთგულებით, რწმენით მყარადაა ჩადუღაბებული. ბატონი გივი ზაუტაშვილის თავკაცობისას ყვარლის რაიონი არა მარტო ხვავითა და ბარაქით სავსე მარანი და ბეღელი იყო, არამედ ის ოაზისიც, საითკენაც ყველას მოგვიხაროდა, რადგან ნებისმიერი კულტურული ღონისძიება, საიუბილეო თარიღები, ძეგლების გახსნა დაუვიწყარ დღესასწაულად იქცეოდა ხოლმე. იქ ნებისმიერი გლეხი წელში გამართული, ხალისიანი მასპინძელი იყო.

ბატონი გივი ზაუტაშვილი გამოირჩეოდა თავისი საოცრად ლამაზი ბიოგრაფიითაც, რომელიც თავად გამოძერწა – ნიჭით, ალალი, დაუღალავი შრომით, საქმის ერთგულებით, ხალხის სიყვარულით. სკოლაში ისტორიის მასწავლებლობიდან დაწყებული, მაღალი საპასუხისმგებლო პოსტებით დამთავრებული, ყველა დაკავებულ თანამდებობას თავისებურ ხიბლს მატებდა; იყო საოცრად პრინციპული, რომლის გადაწყვეტილება თითქმის შეუვალი იყო, მაგრამ აწონილ-დაწონილი, მეურნე კაცის შესაშური ალღოთი ყველა ნიუანსი ჰქონდა გათვლილი. და კიდევ, მას გააჩნდა უნარი და უტყური ინტიუცია ადამიანთა შეცნობისა. ამის წყალობით, მის გარშემო იკრიბებოდა მაღალპროფესიონალთა და საქმის ერთგულებით გამორჩეულთა გუნდი... ასეთ წარმატებულ ნათელ პიროვნებებზე იტყვიან ხოლმე: კარგია, როცა იღბალი „ასაფრენ ბილიკს" გაძლევსო. ეს ასაფრენი ბილიკი გივი ზაუტაშვილმა ამ წუთისოფელში თავად გაკაფა.

პირად ცხოვრებაშიც იყო მაგალითი იმისა, როგორი უნდა იყოს ოჯახის ერთგული მეუღლე, მამა, პაპა, მეგობარი თუ მეზობელი. ერთგულებაც და სიყვარულიც ხომ ნიჭია. ასეთი პიროვნებებისთვის სიკვდილი არ არსებობს. ასეთ პიროვნებებზე ამბობს პოეტი ჯანსულ ჩარკვიანი: აქ სიცოცხლეს გვილამაზებენ, იქით კი სიკვდილს გვიადვილებენო. ესოდენ დიდი პიროვნული მადლი ღმერთს შეუმჩნეველი არ რჩება და ღრმად გვჯერა, დღეიდან შენი ნათელი სული მარადიულ ზეციურ საქართველოშია, ბატონო გივი.

*მეგობრების, ახლობლების სახელით – დოდო იორდანიშვილი*

## ინგა ბოჭორიშვილისა და გიორგი საყვარელიძის მონატრება



ორი წელია ვებრძვით უთქვენობას, ორი წელია ცხოვრება ტანჯვად გვექცა. ყოველი დღე თქვენზე ფიქრით იწყება და მთავრდება.

30 და 31 მარტი – ამ დღეებმა დაამთავრა თქვენი და ჩვენი სიცოცხლე. თქვენგან დატოვებულ სიცარიელეს ვერაფერი ავსებს. ისღა დაგვრჩენია, ვიაროთ თქვენს საფლავზე, სანთლები აგინთოთ და ვეფეროთ სურათებს.

*გიორგი საყვარელიძის ოჯახი*

## ციცო მემარნიშვილის, ომარ და ალეკო ჩადუნელების ხსოვნას!

აუნაზღაურებელია ის ტკივილი, რასაც განიცდიან თქვენი



საცოდავი დედა – რუსუდან ამირანაშვილი და დები – ნინო, მარინა, ნათელა და ლია მემარნიშვილები.

სიკეთით და სიყვარულით გამორჩეულებმა ცრემლითა და ტკივილით სავსე გულები დაგვიტოვეთ.

რა ულმობელი ყოფილა წუთისოფელი და როგორი დაუნდობელი. საშინელებაა, როცა ყველაფრით გამორჩეული და ყველაზე ნაფერები სისხლი და ხორცი ტრაგიკულად გიკვდება. როგორ გადავიტანოთ უთქვენობა?! ერთ წუთში დამთავრდა თქვენი ლამაზი სიცოცხლე, დაიმსხვრა თქვენი ოცნებები, თქვენი მიზნები, რაც არა მარტო თქვენს ოჯახს მოიცავდა. თქვენ ყველაზე ზრუნავდით და სითბოს უნაწილებდით. ახლა რა გვეშველება უთქვენოდ?!

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი ლამაზი სულები. მსუბუქი იყოს თქვენთვის საქართველოს მიწა.

## ნიკა სულაძის გახსენება



გაუნელებელი ტკივილით გავიდა მტანჯველი ერთი წელი, 28 მარტს შენი გარდაცვალებიდან, ძმაო. კიდევ ერთი უბედურება ჩვენთვის ის არის, რომ შენმა დებმა ვერ გაგაცილეთ სამუდამო სასუფეველში და ვერც ახლა ვეფერებით შენს საფლავს. ვაი, რომ ვერც შენი ერთადერთი გიორგი მოვა შენს საფლავზე, შორს არის ძალიან. ჩემთან არიან, ძმაო, შენი გიორგიც და კახაც. ჩემო კეთილო, ტკბილო და დიდო სიყვარულის მქონე ნიკუშ, გვიყვარხარ და გვაკლია შენი სითბო და სიყვარული, რომელიც უხვად გქონდა. მხოლოდ მოგონებები დაგვრჩა მე და ეთერს. რა ტანჯული ტკივილებით წახვედი, ძმაო, ამ ქვეყნიდან. შენს სახელს დავიწყება არ უწერია, სანამ გიორგი იცოცხლებს. მოვლენ შენს საფლავზე ყვავილებით შენი მარინა, თაკო, დათო, სოსო და შენი უსაყვარლესი სიძე თენგო. ჩვენ კი შორიდან სანთლებს აგინთებთ და ღმერთს შევევედრებით, რომ თქვენი ლამაზი სულები ერთად და ნათელში იყვნენ, ჩვენო საყვარელო დედ-მამა, შოთა, თინა და ნიკო.

*შენი დები – ეთერი, ნანი; შვილი გიორგი, დისშვილი კახა*

## ნიკა სულაძის გახსენება

ერთი წელი შესრულდება 28 მარტს შენი გარდაცვალებიდან.

ძნელი ყოფილა საყვარელ ადამიანთან განშორება. წახვედი და თან წაიღე სიკეთით სავსე გული – შენ ძალიან ბევრ ადამიანს უყვარხარ ამქვეყნად, ნიკა! ამის დასტური კი ის ზღვა ხალხი იყო, რომელიც შენს გამოსამშვიდობლად მოვიდა.

ნათელში იყოს შენი უკვდავი სული.

*მარინა (ქუთაისი)*

## ზაზა ქორჩილავას მონატრება



ყველასთვის თავზარდამცემი დღე იყო 17 დეკემბერი, როდესაც მოულოდნელად ჩაიმუხლე 35 წლის ასაკში. უსაზღვრო მონატრება და გაუსაძლისი ტკივილი გვაშორებს შენამდე. 17 მარტს სამი თვე შესრულდა, რაც ჩვენ შორის აღარა ხარ, ძმაო. ყველა გაოგნებულია შენი უცაბედი გარდაცვალებით.

ჩვენო უსაყვარლესო და მწარე მოგონებავ, უშენოდ მოვიდა ლამაზი გაზაფხული, პირველად მოვიდა უშენოდ გაცრეცილი შენი დაბადების დღე. შენთვის კი სად... შენს წმინდა სასუფეველში. მართლაც რომ იყო და არა იყო რა შენი ადრიანად შეწყვეტილი სიცოცხლე. შემზარავია შენი ამ ქვეყნიდან წასვლის მწუხარება. ძალზედ მძიმეა თამამად ჩახედო სიმართლეს თვალებში. რა ულმობელი ყოფილა წუთისოფელი, როგორი დაუნდობელი. უკუღმართმა ბედისწერამ მწარე ობლებზე, ცრემლიანი ბავშვობით გაზრდილებს, წილად შენი მწარე სიკვდილიც გვარგუნა შენს დებსა და ძმებს, შენზე სიბერეში გამწარებულ დედას. უსაზღვროდ მწარეა შენი უიმედოდ დარჩენილი დედის ხვედრი. უბედურებისგან გათანგული შენს ხელშენავლებ ნივთებს ეფერება, თვალით დაგეძებს, უიმედოდ გეძახის.

ჩვენო ტკივილამდე მონატრებულო ძმაო, ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელო, გულსევდიანები შევყურებთ შენს სურათებს, საიდანაც შენი მოღიმარი სახე გვიყურებს. ძალიან გვიჭირს შენი ამქვეყნად არყოფნის დაჯერება და შეგუება. გვიმძიმს შენზე წარსულში ფიქრი. ზოგჯერ გვგონია, რომ ჩვენთან ხარ და შენი ლამაზი ღიმილით შემოგვიქროლებ. იმედი გვაქვს, კიდევ დაგინახავთ, კიდევ ვეძებთ გამოსავალს, ვეძებთ ნუგეშს, მაგრამ ამაოდ. ენით აუწერელია ის მწუხარება, რომელიც შენმა უდროო სიკვდილმა მოგვაყენა. უშენოდ დარჩენილ შენს სახლს მწარე გლოვის აჩრდილი ფარავს. დასევდიანებული დაიარება შენი მეუღლე, რომელმაც დაკარგა ოჯახის მეთაური, ერთგული მეგობარი. შენი ორი იმედი – შენი ქრისტინე და სალომე დიდი სიყვარულითა და ამაყდროულად, მამის მონატრებით გულმოკლულები, იმ დღეებს იხსენებენ, როცა მათ გვერდით ბედნიერად ცხოვრობდი. ხულიერმა სიმძიმემ შეიპყრო შენი სამეგობრო, ნათესავები და მეზობლები, რადგან აკლიათ შენი კეთილი გული, თბილი შეხვედრა, ლამაზი სიცილი და მახვილი ენა. ასეთი ხანმოკლე სიცოცხლე რომ გქონდა, ალბათ ამიტომ მოასწარი ყველას შეყვარება. ისეთი ენერგიით ალსავსე იყავი, ღმერთმაც თავისთვის გამოგარჩია. ალბათ რჩეულთა ხვედრია სიცოცხლის ასეთი დასასრული. შენ კაცურად იცხოვრე ამქვეყნად და უამრავი ადამიანის სიყვარული დაიმსახურე.

შენს დაბადების დღეს – 2 აპრილს, პირველად უშენოდ, შენი ცოლ-შვილის, დედის, და-ძმებისა და ნათესავების ცრემლები დაბინდავს დღის ბრწყინვალებას. ალბათ ასე ინება უფალმა, რომ შენი სულის სადიდებელი შეგვესვა. ატირებული გულებით მივალთ შენს საფლავზე სიყვარულის უკვდავსაყოფად და იქ მოგილოცავთ ცრემლებით, ყვავილებითა და სანთლებით. დაე, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა დიდ მარადისობაში. ღმერთს შევთხოვთ, დაგიმკვიდროს წმინდა სასუფეველი და ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი და მარად ახალგაზრდა სული.

*და მანანა, სიძე ზური, დისშვილები – სოფიკო და ზვიადი*

## მაყვალა კანდელაკის გახსენება

დიდმა გულისტკივილმა დაისადგურა მათ გულებში, ვისაც დააკლდა მაყვალა კანდელაკი. ეს წრე საკმაოდ ფართოა. უპირველესად, მას წარმოადგენს ის ორი ვაჟკაცი, რომელთა სიყვარული ფრთებად ექცა და დედის ამაყ სულს უფრო მეტ ძალას მატებდა; ესენი არიან შვილიშვილები, წინაპრები და დიდი ნათესაობა, რომლითაც მუდამ თავს იწონებდა ქალბატონი მაყვალა.

ამ წერილით ჩვენ გამოვხატავთ ქალბატონი მაყვალას გარდაცვალებით გამოწვეულ გულისტკივილს იმ სტუდენტობისას, ვისაც 3-4 ათეული წლის წინ ასწავლიდა იგი. გრძელია ეს მანძილი, მაგრამ გულმხურვალე პედაგოგის მიერ გაწეული იმ ოთხი წლის ამაგი ამცირებს მას. თითქოს ახლახან იყო, ეს მშვენიერი ქალბატონი მისთვის დამახასიათებელი ძალისხმევითა და განსაკუთრებული ელეგანტურობით რომ გვასწავლიდა გერმანულ ენას. თურმე არაფერია შორეული და დიდი ხნის წინანდელი. მასწავლებელსა და მოწაფეს შორის გადებული ხიდი ამოკლებს და დაუვიწყარსაც ხდის მანძილს წარსულსა და მომავალს შორის. ეს წერილიც ამის დასტურია.

ქალბატონო მაყვალა, გემშვიდობებით თქვენი მოყვარული სტუდენტების სახელით:

*ქეთევან გოდერძიშვილი, მანანა გოჩალეიშვილი*

## მარია კუბუსი-სიჭინავას!



40 დღე გავიდა, რაც ჩვენ გვერდით აღარა ხარ, ჩვენო კეთილო დედიკო და ბებია. ძალიან გვიჭირს უშენობა. სახლში ყველაფერი შენს თავს გვაგონებს.

შენ მუდამ ჩვენს გულებში იქნები და არასოდეს დაგივიწყებთ.

*შენი შვილი გოჩა, რძალი დალი, შვილიშვილი ნინო*

## თენგო ჩაჩავას გახსენება



კიდევ ერთი დაბადების დღე უშენოდ. წლები გადის, მაგრამ არაფერი აკლდება, თენგო, შენს წილ მონატრებას, შენი არყოფნით გამოწვეულ სევდას და გულისტკივილს. მუდამ დაგვაკლდება შენი სიყვარულით სავსე გულის სითბო.

ჩვენო თენგო, ნათელი არ მოჰკლებოდეს შენს სამუდამო სასუფეველს ცათა შინა.

*ოჯახი*

## ენძელა წიქვაძე-გაბელაიას გახსენება



მოილია ტკივილიანი 40 დღე, ბებო. არ მეგონა, შენზე წარსულში თუ მომიწევდა ლაპარაკი. ცრემლიანი თვალებით მოვალთ შენს საფლავთან მე და შენი პატარა სალომე იმ იმედით, რომ შენს სიყვარულსა და სითბოს ვიპოვით, მაგრამ ამაოდ. საფლავი ცივია და გულგრილი, შენ კი – საოცრად თბილი იყავი, საოცარი ბუნების, თავმდაბალი მეუღლე, დედა და ბებია.

დაე ჩვენმა ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

*სალომე და ანა*

# სიყვარული კუბოს ფიცრამდე და... მას შემდეგაც



ჰოვარდ ტეილორს ეჭვი არ ეპარება, საფლავის მარმარილოს ქვაზე სახე რომ იკვეთება, მისი გარდაცვლილი მეუღლის პორტრეტია. კარგად დააკვირდით: აი, თვალები, ცხვირი, პირი, თმა... მარჯვენა თვალი მოხუჭულია სწორედ ისე, როგორც სიცოცხლის ბოლო წლებში ჰქონდა ვირჯინია ტეილორს.

2006 წლის 17 იანვარს რიჩმონდის (ვირჯინიის შტატი, აშშ) გაზეთმა Times Dispatch-მა ამ მისტიკურ შემთხვევაზე გამოაქვეყნა წერილი და ვირჯინია ტეილორის საფლავის ქვის სურათი, რომელზეც კარგად ჩანს ქალის სახე. ხანდაზმული ცოლ-ქმრის ამაღელვებელმა ამბავმა მკითხველთა ინტერესი გამოიწვია. ყველა ცდილობდა დაედგინა, მართლა მოჩანდა საფლავის ქვაზე მწოლიარე ქალის სახე, თუ ეს მარმარილოს ბუნებრივი ხაზების დამთხვევა იყო.

...ცოლის გარდაცვალების შემდეგ 73 წლის ჰოვარდ ტეილორი დილიდან საღამომდე სასაფლაოზე იყო. ერთი თვის შემდეგ იგრძნო, რომ ცოლი თვალს ადევნებდა. მაგრამ საიდან? მოულოდნელად მან გარდაცვლილის სახე დაინახა მარმარილოზე და ეს ამბავი მაშინვე მობილური ტელეფონით ახარა როზა ალენს, გარდაცვლილის მომვლელს.

— ეს სახე ნამდვილად ჰგავს გარდაცვლილ ვირჯინიას, — ამბობს სასაფლაოს კონსულტანტი დინ ბრიუსი, — ამას ყველა აქ მომუშავე დაადასტურებს. მსგავსი რამ არავის ახსოვს... ჰოვარდ ტეილორი ხომ აღმერთებდა ცოლს. ისინი 34 წლის წინ დაქორწინდნენ. ყოველდღე ქმარი რაღაცას ჩუქნიდა — სამკაულს, ღია ბარათს, ყვავილებს... ოთხი წლის წინ ქალს ჯანმრთელობა სწრაფად გაუუარესდა. ჰოვარდმა უარი თქვა მის გადაყვანაზე საავადმყოფოში — ბოლო დღემდე ვირჯინია შინ იყო და ქმარიც სულ გვერდით ჰყავდა. მიუხედავად ავადმყოფობისა ყოველ ხუთშაბათს დაიარებოდა სილამაზის სალონში — ივარცხნიდა თმას და მანიკიურს იკეთებდა.

ვირჯინია 4 დეკემბერს გარდაიცვალა, 84 წლისა.

ჰოვარდმა ცოლი საღამოს კაბით დაკრძალა, ფეხზე კი რბილი და ფუმფულა ჩუსტები ჩააცვა — ფეხები რომ თბილად ჰქონოდა.

...ტეილორი შესცქერის საფლავის ქვაზე გამოსახულ სახეს და ეჭვი არ ეპარება, რომ ეს ნიშანია იმ ქვეყნიდან.

— ამით მან თითქოს მითხრა, რომ ახარებს ჩემი საფლავზე სიარული. როგორ მიმძიმს მის გარეშე სიცოცხლე!

როზა ალენიც ხშირად დადის საფლავზე და ცდილობს, მწუხარება შეუმსუბუქოს ჰოვარდს. იგი დარწმუნებულია, რომ ვირჯინიამ იცის, როგორ ენატრება ქმარს, როგორ უჭირს უმისობა. ამიტომაც გამოისახა მისი სახე ფილაზე.

— არა მგონია, მოიძებნოს ქვეყნიერებაზე სხვა წყვილი, რომელთაც ასე უყვარდეთ ერთმანეთი, — ამბობს როზა, — მისტერ ტეილორს გაუმართლა, რომ ცოლი გარდაცვალების შემდეგაც მფარველობს, როგორც ანგელოზი.

**ნლო №10**

## „საზალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები

I. გაზაფხული
II. აბა, გამოიცანი:
1. — გ); 2. — დ); 3. — დ); 4. — გ); 5. — დ).
III. წიგნი
IV. მე-2 და მე-4 ფრაგმენტები

## ხსოვნა



### გრიგოლ (გიგლა) შავლაძეს!

*შენი დაბადების დღეა*

29 მარტი შენი დაბადების დღეა, ჩემო შვილო.

სად მოგილოცო, შვილო? ერთი წუთითაც არ სცილდები დედაშენს ფიქრებით, სახლში შევდივარ და შენ გეძახი: გიგლა, მოვედი, დედი, როგორც ყოველთვის ვიცოდით. შენ სავარძელს იყავი მიჯაჭვული, შევიდოდი და შენი დიდრონი, სიხარულით აღსავსე თვალებით შემომხედავდი; სულ შენთან რომ ვიყავი, ალბათ ამიტომ გამიჭირდა ასე შენთან განშორება; ყველას ძალიან გვენატრები, შვილო. შენი ოჯახი უშენოდ მკვდარია, შენი დედის გული შენთან ერთად დაიმარხა, შემოგევლოს დედა. გარეგნულად არ ვიმჩნევ, შვილო, მამაშენს, შენს ძმას და რძალს, შენს პატარა ძმისშვილს არ მინდა ჩემი უხასიათობით ვატკინო ისედაც მტკივანი გული.

შენს დაბადების დღეს მესამედ აღვნიშნავთ, შვილო, მე კი მოუთმენლად ველოდები იმ დღეს, როცა უფალი ინებებს და შენთან შემახვედრებს, მერე კი სულ ერთად ვიქნებით, ჩემო გაუხარელო, დედ-მამისა და შენი ძმის ოჯახის გულის მომკვლელო. ცრემლი, ლოცვა და წმინდა სანთელი არ მოაკლდება შენს საფლავს, საყვარელო შვილო გიგლავ.

**შენი ოჯახი — შენი გაუხარელი დედა**

*ჩემო შვილო! ტანჯულ დედას სათხოვარი დამრჩა ერთი,*
*მეც შენთანა წამიყვანე, დამიჯერე, თუ გწამს ღმერთი.*
*დედი, ამას მე ვინ მკითხავს, -მას გადაწყვეტს უფალია,*
*ნუ ტირიხართ, ცრემლები მახრჩობს, ვიყო თავისუფალია.*
*აბა, გულს ნუ იჩაგრავთ, გეტყვით მართალს, არ მაქვს მოცლა*
*კეთილ ხალხს და ღმერთს მორწმუნეს, აღდგომის დღეს მოგილოცავთ.*

### ლილი დეკანოიძე-ენუქიძის მონატრება



დედა, ჩემო ტკბილო დედა, ცრემლსა და მწუხარებაში გავიდა 8 თვე, რაც მარადისობაში გადასახლდი, ჩემო კეთილო, მშრომელო, უბერებელო დედა. ძნელია უშენობა, გვენატრება შენი ხმა, მოფერება. შენ ხომ კეთილი, მოსიყვარულე, ნამდვილი სახე იყავი ქართველი ქალისა, კარგი მეუღლე, კარგი დედა, ტკბილი ბებია, კარგი და. დედა იყავი მერი დეიდასათვის, რომელიც ასე განიცდის შენს უდროოდ გარდაცვალებას.

ისღა დაგვრჩენია შვილებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადისობაში.

მინდა მოგილოცო დედობის დღე, გაზაფხული, შენ ხომ ყვავილები ძალიან გიყვარდა. თავს იმით ვინუგეშებ, ყოველ დილით შენს სურათს ველაპარაკები. ისეთი შეგრძნება მაქვს, შენ ჩემ გვერდით ხარ.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, დედა.

**მანანა ენუქიძე**

### სანდრო ბერდიას გარდაცვალება

*(6 თებერვალს)*



**ლოცვა**

*მთვარე სავსეა თეთრი, ცა იისფერი, მკვეთრი,*
*ჟამი ჩამოწვა ფიქრის, ქარში ღრუბლები მიქრის.*
*წყებად ინთება ნუშის ლამპიონები ქუჩის,*
*თითო-ოროლა ვიღაც ბნელში გამოჩნდა იქაც.*
*ახლა ფიქრია ერთი: წარღვნას მოახდენს ღმერთი,*
*იქაც ატირდა ნუში, თბილი მზე იყო გუშინ,*
*ვიღაც ვარდებით ხელში, კედელს მიეყრდნო ბნელში,*
*ახლა ძნელია მოცდა, ცა ჰორიზონტში მოწყდა.*
*ქარი დადუმდა გარეთ, ატირებული მწარედ,*
*არ გათენდება? როდის?!... არა, სიკვდილი მოდის,*
*ქარში ზმანება ფიქრის უკანასკნელად მიქრის,*
*ო, რა მძიმეა ცოდვა; უფლის წინაშე ბოდვა,*
*სიკვდილს ამაოდ წყევლი, არა, არ გინდა ცრემლი,*
*... დრო[illegible] უმოწყალოდ ევნე, დამშვიდდი, განისვენე...*
*სანდრო (13 ნოემბერი)*



### ვამეხ გვილავას მონატრება

*30 მარტი შენი დაბადების დღეა.*

*მარტის ყვავილივით ლამაზი და ნაზი იყო შენი სული. გტანჯავდა დატოვებული აფხაზეთი, მამის საფლავი.*

*ჩუმმა ტკივილმა დაგიფერფლა ოქროს გული. გეყვირა, იქნებ დაზაფრულ დედას შესძლებოდა შენი მორჩენა — დედას, რომელსაც შენს სიცოცხლეშიც დარდად ქცეული უცოლშვილობა ორმაგ ტრაგედიად ექცა.*

*დღეს შენს საფლავზე ვერ დაგიტირებს ძე და ასული. მათი არსებობა ჩვენი განახევრებული ტკივილი იქნებოდა.*

**დედა და მამიდები, ბიძა, ბიძაშვილი**

### ვამეხ გვილავას მონატრება

30 მარტს 44 წელი შეგისრულდებოდა.

ეს პირველი უფერული გაზაფხულია შენი ნებიერა დისშვილის ცხოვრებაში. მისთვის სიკეთე და კეთილდღეობა შენთან ასოცირდებოდა. 22 ნახევრად იმედიანი დღე-ღამის გათენებამ ვერ უშველა შენს დას და სიძეს. სიცოცხლისკენ შემობრუნებული მოულოდნელად ჩაქრი მზესავით.

დარჩა ტკივილი, რომელსაც საუკუნეც ვერ მოაშუშებს.

**თამრიკო, ლამზირა, ელგუჯა**

### ავთანდილ გურგენიძის მონატრება!

დაბადების დღეს გილოცავს შენი დიდი ოჯახი, ჩვენო თბილო ადამიანო! ძალიან გვენატრები და მადლობას ვუხდით ყველას, ვისაც ახსოვხარ!

შენდამი ხსოვნას შენსავე უკვდავი ლექსით გამოვხატავთ:



**ქართულო მიწავ!**

*ვიცი, იყავი უმეტესი ათასჯერ უფრო*
*(იმ ყიამეთში და ქარებში მიტომ გაძელი!)*
*უფრო გაშლილი, ვიდრე შენი ლამაზი სუფრა,*
*უფრო მკერდფართო, უფრო მხარგრძელი...*
*ვინაც მამულში დაბრუნებას აღარ ელოდა,*
*გაგიყოლია, ვით სიცოცხლის ძალა მარადი.*
*შენ მუჭა-მუჭა გაგიტანეს საქართველოდან—*
*ალბათ ამიტომ დაპატარავდი!...*

### შალვა წულაიას გახსენება



ტკივილიანი და ცრემლიანი იყო ეს ორმოცი დღე. შენმა სულმა უზომოდ დამწუხრებულები დაგვტოვა და სამუდამო სასუფეველი დაიმკვიდრა.

სამოცდათორმეტი წელი იცხოვრე და მთელი შენი სიცოცხლე მხოლოდ კაცურკაცობასთან, ადამიანურ ღირსებებთან იყო დაკავშირებული.

შვილიშვილები — ქეთი, გიორგი და თაკო ყოველთვის ცრემლებით გიხსენებენ, როგორც შვილიშვილების მოყვარულ, ენერგიულ და საქმიან ბაბუას. განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით ხომ ყველას სიყვარულს იმსახურებდი.

როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანები, ახლობლები ვცდილობთ, თავი იმით დავიმშვიდოთ, რომ შენ ისევ ცოცხალი ხარ... ოღონდ სხვა სამყაროს ბინადარი.

**ოჯახი**

### დავით წულაძის გახსენება



სამი წელია შენს დაბადების დღეს ოჯახში უშენოდ აღვნიშნავთ. სამი წელია, დათუჩა, შენი მეგობრები ცდილობენ შენი გარდაცვალებით მოყენებული ტკივილი განგვიქარვონ.

შენი საოცნებო ძმისშვილი, პატარა მარიამი, რომელიც მხოლოდ სურათიდან გიცნობს, დათო ძიას ხსენებისას იღიმის და შენი სურათისკენ მიმართავს მზერას.

მშობლებს კი რა დაგვრჩენია — გიხსენებთ და გეფერებით. არასოდეს დავივიწყებთ 24 მარტს, შენს დაბადების დღეს და ყოველ წელს დავხვდებით შენს მეგობრებს ისე, როგორც შენ გიხაროდა მათი დახვედრა.

ღმერთმა ცათა სასუფეველში დაგიმკვიდროს ადგილი, ჩვენო დათო, ამინ!

### დავით (წულა) წულაძის გახსენება

მესამე წელია, დავით, უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს. მესამე წელია, რაც წახვედი ამ სოფლიდან და ადგილი დაიმკვიდრე ზეციურ საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შორის ფიზიკურად არ ხარ, ჩვენ, შენი მეგობრები, ყოველთვის გიხსენებთ; ვიხსენებთ ერთად გატარებულ ულამაზეს დღეებს. შენ დაგვიტოვე ტკბილი მოგონებები და წახვედი უზომოდ კეთილი, თავმდაბალი და მუდამ მოღიმარი ჩვენი წულა, ჩვენი დათო.

მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა, ამინ!

**მეგობრები**

### ზაურ ჩხარტიშვილის მონატრება



ორმოცი დღე გავიდა, რაც უკურნებელმა სენმა წაგვართვა შენი თავი. ჩემო საყვარელო ზაურ! შენ კაცური კაცის სახელით გიცნობენ შენი ახლობლები და უღალატო მეგობრები, მეზობლები. ამიტომაც იყო, რომ ათასობით ადამიანმა ზღვა ცრემლებით გაგაცილა სამუდამო სასუფეველში. დიდია სიმწარე, რაც შენმა დაკარგვამ გამოიწვია ჩვენში, უკურნებელი სენია და ამას დროც ვერასოდეს განკურნავს.

გულისტკივილამდე გვენატრები, მოვალთ შენს საფლავზე, ბევრს ვიტირებთ, გავიხსენებთ შენს ხუმრობებს და იუმორსაც, გავიცინებთ... თუმცა ეს სიცილი ცრემლნარევი იქნება და ასე გაგრძელდება ცრემლნარევი მოგონებები ერთ ნათელ, კაცურ კაცზე, რომელსაც ზაურ ჩხარტიშვილი ერქვა.

**შენი ოჯახი**

### ვახტანგ ხიმშიაშვილის გახსენება



მოვიდა მწარედ მოსაგონარი 27 მარტი. შესრულდა 10 წელი, რაც გიმტყუნა გულმა. უშენობით გამოწვეულ ტკივილსა და სევდას დრო ვერ კურნავს. რაც დრო გადის, უფრო მტკივნეული ხდება შენთან სამუდამო განშორება ჩემთვის, ჩემი შვილებისათვის. ვაი, რომ შენ არ გეღირსა შენი პატარა შვილიშვილების — რატის და აკაკის დანახვა. ექვსი შვილიშვილი გვყავს. ყველას გვაკლია შენი მზრუნველი ხელი. ჩემო ვახტანგ, ძალიან გვენატრები და გვიყვარხარ.

ისღა დაგვრჩენია, მოვიდეთ შენს საფლავზე, სანთელი აგინთოთ და ღმერთს შევევედროთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

**შენი მეუღლე**

### სოსო თარგამაძის მონატრება



ჩვენო თბილო, ტკბილო, მოსიყვარულე, უზომოდ მონატრებულო მამიკო, მესამე გაზფხული მოვიდა. მესამე მარტის თვე — ისევ უშენოდ და ყოველთვის აწი ალბათ უშენოდ მოვა შენი შვილებისთვის, იმიტომ, რომ ლამაზმა გაზაფხულმა წაგვართვა ჩვენი ლამაზი მამიკოს თავი.

ჩვენ, შენს შვილებს, მამა, დედით ობლობით გამოწვეული სიმწარე არ გვაკმარა ღმერთმა და უმამობაც დაგვიმატა. ახლა რა ვქნათ, მამიკო, როცა შენი სამი შვილი შენზე მონატრებით გაუსაძლის მდგომარეობაში ვართ. ძალიან გვიჭირს უშენობა. შენს სახლში ჯერ კიდევ შენი სული ტრიალებს. ისევ შენი ხელით დალაგებული ნივთები აწყვია თავ-თავის ადგილას. ისევ ძალიან ენატრები შენს საფიცარ შვილიშვილებს, რომლებიც ყოველ საათში სოსო ბაბუას სულს იფიცებენ.

მამიკო, შენი სიკვდილის შემდეგ ჩვენს გულებში მოუშუშებელ იარად დარჩი. დავყურებთ შენს სურათს, შენს სევდიან სახეს (შენც ჩვენსავით ობლად გაგზარდა ჩვენმა გამზრდელმა ბებიამ, შემდეგ ახალგაზრდა მეუღლის, ჩვენი დედის ტრაგიკული სიკვდილი) და თითოეულს გვტკივა გული, შენც ისეთნაირად დაიჩაგრე ცხოვრებაში, როგორც შენი შვილები.

ჩვენ მადლობას გიხდით ყველაფრისათვის, ჩვენი გაზრდისათვის, ჩვენზე დახარჯული ამაგისათვის, უდიდესი სიყვარულისთვის, ჩვენო ფასდაუდებელო მამიკო.

მაღალო ღმერთო, მამავ ზეციერო, გევედრებით, ნათელში გვიმყოფე ჩვენი დედიკოს და მამიკოს მარად უკვდავი სულები!

**შვილები: ალიკო, მარინე, მადონა**



### თამაზ ქალელიშვილის გახსენება

ისევ უშენოდ მოვიდა, ძმაო თამაზ, 31 მარტი, შენი დაბადების დღე. 40 წლის გახდებოდი, ტრაგიკულ შემთხვევას რომ არ შეეწყვიტა შენი სიცოცხლე. ხელიდან გამოგვეცალე. აუტანელი მწუხარება და სამუდამოდ შეუხორცებელი ჭრილობა დაგვიტოვე. 36 გაზაფხული გყო ღირსეული ვაჟკაცის სახელის დასამკვიდრებლად. დრო მკურნალიაო, უთქვამთ, მაგრამ ასე არ ყოფილა. რაც დრო გადის, უფრო ვიტანჯებით დარდისგან. ყველაზე მეტად დედის მოსიყვარულე გული დაიჩაგრა. ძნელი ყოფილა შვილმკვდარი დედის სიცოცხლე. შენი და ნათელაც ყოველდღე შენი სულის გადასარჩენად ლოცულობს. გაზაფხულია, იღვიძებს ბუნება, ხარობს ყველაფერი, მაგრამ უშენოდ მზეს სითბო დაჰკარგვია, ყვავილებს სურნელი. რა ულმობელი ყოფილა წუთისოფელი. იმაზე საშინელი არაფერია, როცა ტრაგიკულად წავა ამ ქვეყნიდან ერთადერთი ნაფერები ვაჟკაცი. ვაი, რომ შენგან დატოვებულ სიცარიელეს ვერაფერი შეავსებს. ისღა დაგვრჩენია, შენს ნათელ ხსოვნას მოვეფეროთ, შენი საფლავის წინაშე ქედი მოვიხაროთ. ყველას გვიყვარხარ, გვენატრები, მუდამ გვახსოვხარ, ჩვენო საყვარელო შვილო, ძმაო, მამავ და მეუღლევ. დაე შენს სახელზე დანთებულმა სანთლებმა სასუფევლის გზა გაგინათოს. შენ ჩვენთვის მუდამ ცოცხალი იქნები, შენი სიკეთე და სიყვარული დღესაც გვათბობს და გვიადვილებს ამ წუთისოფელს. ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული და მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური წილკნის მიწა.

**დედა, დები, შვილები და მეუღლე**

გაზეთ „კვირის პალიტრის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს **ნანა კვიცარიძეს**, ძმის

**რეზო კვიცარიძის**

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ნელი ჯამასპიშვილი; შვილები: დათო, ნიკა და ლევანი; ბიძაშვილი ალექსანდრე ბერუჩაშვილი; ცოლისძმა მიხეილი ოჯახებით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



**ნიკო (ნიკოლოზ) ლევანის ძე ბერუჩაშვილი.**

**პანაშვიდი:** 26, 27 მარტს, 16 საათზე.
**მისამართი:** მნათობის ქ. №27.
**გამოსვენება:** 28 მარტს, 15 საათზე, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოებიდან (გუდიაშვილის ქ. №11)

ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის ლანდშაფტური ანალიზის კომისიის თავმჯდომარე, ქართველ გეოგრაფთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარტოგრაფია-გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის კათედრის გამგე, მარტყოფის გეოგრაფიული სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი, აეროკოსმოსური მეთოდებით გარემოს მდგომარეობების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგე, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ნიკო (ნიკოლოზ) ლევანის ძე ბერუჩაშვილი.**

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ქართველ გეოგრაფთა ეროვნული კომიტეტი; საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება*



დედა ლილი ნარსია; მეუღლე მაკა პერტაია; შვილები: ბესო, გიორგი და დათა; ძმები: ასლანი, მურთაზი; დები: მთვარისა, ლამზირა, მაყვალა და ჟუჟუკო ხორავები; სიმამრი ვაჟა პერტაია; ცოლისდა ეკა; ცოლისძმა ჯამბული; მამიდა ქორდიკო; ბიცოლა ლიდია პაპავა; სიძეები: აბესალომ სიჭინავა, როინ ჩემია, იური კვაშილავა; რძლები: ქეთინო გახარია, ნატო ჯალაღონია, ძმისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**აბელი დათუშას ძე ხორავა.**

**დაკრძალვა:** სამშაბათს, 28 მარტს, 16 საათზე.
**მისამართი:** ჩხოროწყუს რ-ნი, სოფ. ლესიჭინე (ოჩხომური)

უახლოესი მეგობრები თენგიზ კაკაბაძე, რუსუდან ქორიძე, ლილი დანელია, ელიკო ციცქიშვილი, ნადია ირემაშვილი, მადონა ლეშავაძე, ეთერ სარალიძე თანაუგრძნობენ **ფუფუ გობეჩიას** ძმისშვილის

**უტა გობეჩიას**

გარდაცვალების გამო.

# №13 (495) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**თემა №13(495) — ყოფილი არასამთავრობოები განსხვავებულ ამპლუაში**

**ვინ იმსახურებს თქვენს კეთილგანწყობას ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 8 ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

| № | თემა №13(495) | ქულა |
|---|---|---|
| 1 | გივი თარგამაძე — თავისუფლების ინსტიტუტი — პარლამენტარი | |
| 2 | დავით ზურაბიშვილი — თავისუფლების ინსტიტუტი — პარლამენტარი | |
| 3 | თინა ხიდაშელი — ახალგაზ. იურისტთა ასოციაცია — რესპუბლიკური პარტიის წევრი | |
| 4 | გიგი უგულავა — თავისუფლების ინსტიტუტი („კმარა") — თბილისის მერი | |
| 5 | გიგა ბოკერია — თავისუფლების ინსტიტუტი — პარლამენტარი | |
| 6 | სოზარ სუბარი — თავისუფლების ინსტიტუტი — ომბუდსმენი | |
| 7 | თამარ კინწურაშვილი — თავისუფლების ინსტიტუტი — საზოგადოებრივი მაუწყებლობის ხელმძღვანელი | |
| 8 | კახა ლომაია — ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო" — განათლებისა და მეცნიერების მინისტრი | |

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

*მკითხველის რეიტინგი*

დაასახელეთ მარტის თვის ადამიანი საქართველოში

✓ ______

*მკითხველის პრემია*

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ______

დაასახელეთ შედარებით სუსტი ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ______

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ. გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

## 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო საშუალო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

**№13(495)** საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი **რაიონებში** განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მოათავსეთ **ოთხშაბათის, 29 მარტის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 30 მარტის 13 საათამდე.** ©თბილისი

### ყურადღება!

- საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ „მკითხველის რეიტინგსა" და „მკითხველის პრემიაში".
- თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, დამატებით კითხვასა და „მკითხველის პრემიაში" მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.
- რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც". შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან" ამოჭრილი ბარათებით.
- „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!

# №12 (494) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

თემას — „წარმატებული ტელეპროექტი" — 906 რესპონდენტი გამოეხმაურა. 29 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 418-მა ქალმა და 459-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელია ქართულ ტელესივრცეში ბოლო დროის ყველაზე წარმატებული პროექტი"?**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ჩვენი მკითხველების აზრით, აქ ჩამოთვლილ ტელეპროექტებს შორის ყველაზე წარმატებული „ეტალონია". რესპონდენტთა 51%-მა დაუწერა მას მაქსიმალური — 8 ქულა. 5.80 საშუალო ქულით „ეტალონი" პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზეა „ჯეობარი" საშუალო ქულაა 5.59.

„ნუცას სკოლა" მესამე ადგილზეა. უნდა აღინიშნოს, რომ მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით, მას (7%) „იდეა, ფული და ერთი შანსი" (11%) უსწრებს.

ჩამონათვალში ძირითადად რეალური შოუები და ისეთი საკონკურსო ტელეპროექტები იყო, სადაც კონკურსანტმა გამარჯვება საკუთარი ნიჭისა და ინტელექტის მეშვეობით უნდა მოიპოვოს. როგორც ვხედავთ, პირველი ადგილიც სწორედ ასეთ პროექტს ხვდა წილად.

პროექტები — „ამტანი", „ჯეოსტარი", „ჯეობარი" და „დუბლიორი" უკვე დიდი ხანია, რაც ეთერში აღარ გადის, მიუხედავად ამისა, რესპონდენტები მათ მეტ-ნაკლებად წარმატებულ პროექტებად მიიჩნევენ, რასაც ვერ ვიტყვით „მდიდრებსა და ღარიბებზე", რომელიც სულ ერთი კვირაა რაც დასრულდა და ჩვენი მკითხველების აზრით, ყველაზე ნაკლებად მას შეიძლება ეწოდოს წარმატებული — მკითხველთა 30%-მა შეაფასა იგი მინიმალური ქულით.

საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი 16 წლის ქუთაისელი **ლაშა გუდავაძე.**

მან, საპრიზო ვარიანტისგან განსხვავებით, „ეტალონს" რვის ნაცვლად შვიდი ქულა (მეორე ადგილი) მიაკუთვნა, ხოლო „ჯეობარს" პირიქით — შვიდის ნაცვლად რვა (პირველი ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 29 მარტს, 17 საათზე.

ყველაზე მიახლოებული ვარიანტის გამოვლენა ასე ხდება: პირველ რიგში, მიახლოებულად ითვლება ის ვარიანტი, სადაც განსხვავება ბოლო ადგილებზე გასულ გრაფებშია (მაგ. თუ ადგილები აქვთ შეცვლილი 1 და 2 ქულას (VIII-VII ადგილებს), თუ ასეთი ბარათი არ აღმოჩნდება, მოგების შემდეგი პრეტენდენტია ბარათი, სადაც ადგილები აქვთ შეცვლილი 2-სა და 3 ქულას (VII-VI ადგილებს), შემდეგ — 3-სა და 4 ქულას (VI-V ადგილებს), 4-სა და 5-ს (V-IV ადგილებს) და ა. შ. 7-8-მდე (II-I ადგილებამდე). თუ არ არსებობს ასეთი ბარათები (სადაც განსხვავება გვერდიგვერდ მდებარე გრაფებს შორისაა), შემდეგ ხდება გადამოწმება ერთის გამოტოვებით. მაგალითად, 1 და 3 (VIII და VI ადგილები), 2 და 4 (VII და V ადგილები) და ასე შემდეგ. საგულისხმოა, რომ მიახლოებულის გამოვლენა იწყება ბოლო ადგილებიდან.




# გამოავლინეთ ნომრის საუკეთესო სტატია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში, ნომრის რომელი ჟურნალისტური ნამუშევარი მოგეწონათ და არ მოგეწონათ ყველაზე მეტად. საუკეთესოდ დასახელებულ ნაშრომს თქვენგან ემატება ერთი ქულა, ხოლო იმ ნაშრომს, რომელიც ყველაზე მეტად არ მოგეწონათ, შესაბამისად აკლდება ერთი ქულა. იმ მასალის ავტორს, რომელიც საბოლოოდ ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 30 ლარს გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა 25 ლარი, III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — 20 ლარს.

გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

## წინა ნომრის *მკითხველის პრემიის* შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „სათაგურში გაბმული შურისმაძიებელი ქურდები" — 68 ხმა
2. **ხათუნა პაიჭაძე** — „ვის უთხრით ძირს?.." — 38
3. **ეკა ლომიძე** — „ქართულად გვიმღერეს და ცრემლებად დავიღვარეთ" — 29
4. ლელა ჯიყაშვილი — „მთავარია ის კარი შეაღო, ჯერ რომ არ შეგიღია" — 15
5. ინგა ჯაყელი — „ზღაპარი დიდებისათვის" — 14

***„მკითხველის პრემიის" მფლობელები 321-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

*„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, განძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

## (13) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№13 ქვითარი თბილისში „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 30 მარტის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

## *მკითხველის რეიტინგის შედეგები*

### რომელი ქვეყანა მიგაჩნიათ საქართველოსთვის ყველაზე მტრულად განწყობილად?

| | | |
|---|---|---|
| 1. | რუსეთი | 94.4% |
| 2. | ბელორუსია | 33.7% |
| 3. | სომხეთი | 28.1% |
| 4. | აშშ | 9.0% |
| 5. | თურქეთი | 4.7% |
| 6. | ირანი | 3.8% |
| 7. | აზერბაიჯანი | 1.6% |
| 8. | ერაყი | 1.5% |
| | სხვა ქვეყნები | 4.3% |
| | არც ერთი | 0.4% |

რესპონდენტებს უნდა დაესახელებინათ ორი ქვეყანა, ამიტომ სიხშირეთა ჯამი 100%-ს არ შეადგენს.

*მკითხველის რეიტინგში 682 რესპონდენტი მონაწილეობდა.*

კვლევითი ჰოლდინგის „რომირ-მონიტორინგის" მიერ რუსეთში ჩატარებულ გამოკითხვაში დაახლოებით ანალოგიურ შეკითხვაზე — რუსეთისადმი რომელი ქვეყნის (ქვეყნების) დამოკიდებულება იწვევს თქვენს შეშფოთებას ყველაზე მეტად? — უკრაინის, აშშ-ისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების შემდეგ საქართველო მეოთხე ადგილზეა. რუსეთის ფედერაციაში გამოკითხულთა 14%-ისთვისაა შემაშფოთებელი რუსეთისადმი საქართველოს პოლიტიკა.

### ცნობილთა აზრით:



**რატი ამაღლობელი:** — რა ბანალურიც არ უნდა იყოს ჩემი პასუხი, დავასახელებდი საქართველოს და რუსეთს. საქართველო იმ თვალსაზრისით, რომ ვერც ერთი ქვეყანა მნიშვნელოვან ზიანს ვერ მოგვაყენებს, თუ საშინაო და საგარეო პოლიტიკა ქვეყანაში სწორად იქნება განსაზღვრული, რაც სამწუხაროდ არ ემთხვევა არც დღევანდელობას. საქართველოში მუდმივად არსებობენ ძალები, რომლებიც ხელოვნურად აფერხებენ ქვეყნის განვითარებას და რომელთაც მუდმივად ეხმარებოდნენ და ზურგს უმაგრებდნენ რუსეთის იმპერიული ძალები. რაც შეეხება თვით რუსეთს, არავისთვის იქნება ახალი, თუ ვიტყვი, რომ საქართველოსთვის იგი დღემდე ითვლება ტოტალიტარულ, იმპერიულ და ამბიციურ პოლიტიკურ სახელმწიფოდ.



**მაია დათუნაშვილი:** — ასე კატეგორიულად მტრულად განწყობილი საქართველოს მიმართ არც ერთი ქვეყანა არ მეგულება. ნაკლებად მჯერა, რომ 21-ე საუკუნეში შესაძლებელი იყოს საერთაშორისო ნორმებისა და თანამეგობრობის პირობებში ქვეყნები ერთმანეთის მიმართ ეროვნულობისა თუ სხვა ნიშნით ანტაგონისტურად იყვნენ განწყობილი. რაც შეეხება ფარულ მტრობას, რომელიც ქვეყნებს შორის სხვადასხვა სახის ურთიერთობებში მაინც არსებობს, ამის ანალიზისას ნაკლებკომპეტენტური ვიქნებოდი. თუმცა არც იმ მოსაზრებას ვეთანხმები, რომ რომელიმე დიდი სახელმწიფო საქართველოს მიმართ აუცილებლად მტრულად განწყობილია.



**გივი ბერიკაშვილი:** — საქართველოს ქართველებზე დიდი მტერი ჯერ არ ჰყოლია! ისე უსინდისოდ ვექცევით ქვეყანას... ისტორიასაც თუ გადავავლებთ თვალს, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით. აუცილებლად უნდა გვეშინოდეს ვინმესი, მაშინ ვართ ძლიერებიც, ერთიანებიც და მეგობრულებიც. ამ საკითხში ექსპერტი არ ვარ და ძალიან გამიჭირდება ხმამაღლა ქვეყნის მტრებზე მსჯელობა, მაგრამ ერთს კი ვიტყვი, — რთულია გაერკვე, ვინ არის შენი ნამდვილი მტერი.

მოგვწერეთ თქვენთვის სასურველი თემების შესახებ, რა საკითხებზე ისურვებდით გამოკითხვის ჩატარებას. რედაქცია შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებს თქვენს სურვილებსა და წინადადებებს. ველით გამოხმაურებას. წინადადებები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") ყუთების საშუალებით.

# კახა ბენდუქიძე მივლინებებში თავისი ხარჯით მიემგზავრება...

— მაინტერესებს, კახა ბენდუქიძემ დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით მინისტრის პოსტზე დანიშვნისას მართლაც თქვა თუ არა უარი თანამდებობრივი სარგოს მიღებაზე? მართალია თუ არა, რომ იგი დღემდე არ იღებს ხელფასს?

მალხაზ ჯანგირაშვილი

კითხვას უპასუხებს **ეკა გაბადაძე,** სახელმწიფო მინისტრის' პრესმდივანი:



— თუ არ ვცდები, ადრეც გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს სახელმწიფო მინისტრი თანამდებობრივ სარგოზე უარს აცხადებდა, თუმცა ეს ასე არ გახლავთ.

სხვა მინისტრების მსგავსად, ბატონი კახას თანამდებობრივი სარგო 3.000 ლარს შეადგენს, ხელზე კი 2.640 ლარს იღებს. შესაძლოა, მოქალაქეს სახელმწიფო მინისტრის ძველი, კერძოდ, 2004 წელს გაკეთებული განცხადება ახსოვს, როდესაც მან, ეკონომიკური განვითარების მინისტრის პოსტზე ყოფნისას, უარი განაცხადა მინისტრებისთვის გრანტის სახით ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის მიღებაზე. შემდგომ ეს თანხა სამინისტროს მოხმარდა. ბატონი კახა მის საკურატორო სფეროში სრულიად დამოუკიდებელია, თუმცა იგი ერთიანი გუნდის, მთავრობის წევრია და ეს ბევრ ვალდებულებას აკისრებს. ერთადერთი, რაზეც ბატონმა კახამ უარი თქვა, მივლინებაში სახელმწიფო ხარჯით წასვლაა. როგორც იგი ფიქრობს, მას იმდენი საშუალება აქვს, რომ საკუთარი ხარჯით შეუძლია მივლინებაში გამგზავრება და ამ გზით საბიუჯეტო თანხების დაზოგვა.

## სიტყვათა კონა

**მინარეთი** (არაბ.) — მეჩეთის კოშკი, საიდანაც მუსლიმანებს მოუწოდებენ სალოცავად.

**მინდი** (ძვ.) — მარცვლეულის დაფქვის საზღაური მარცვლის ან ფქვილის სახით.

**მინიატურა** (იტ.) — 1. ფერადებით მოხატული მთავრული ასო ან სურათი ძველ ხელნაწერებში. 2. ფაქიზად შესრულებული პატარა ხატი რაიმე ნაკეთობაზე. 3. პატარა ლიტერატურული ან მუსიკალური ნაწარმოები. 4. დაპატარავებული რამ.

**მირონი** (ბერძნ.) — სურნელოვანი ზეთი, ნელსაცხებელი, რომელიც მზადდება ტროპიკულ მცენარეთა ფისისგან; იხმარება ქრისტიანული მღვდელმსახურების დროს.

**მირჩილვა** — ლითონის ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირება (კალით).

**მისამარას** (კუთხ.) — ნაწილაკი; გამოხატავს მუქარას: გიჯობს, გირჩევნია (მისამარას ჭკუით იყავ!).

**მისხი** — შორეული ნათესავი (მისხის მისხი — ძალიან შორეული ნათესავი).

**მისხალი** — ძველებური წონის ერთეული, უდრის დაახლოებით 4,25 გრამს.

**მიტკალი** — ბამბის თეთრი ქსოვილი.

**მიტრა** (ბერძნ.) — მღვდელმთავრის მთავარი თავსარქმელი; გვირგვინი; იხურავენ მღვდელმსახურების დროს.

# რა აცინებთ «კურიერის» წამყვან ჟურნალისტებს?

— მაინტერესებს, რა აცინებთ ზაალ უდუმაშვილს, ნათია ლაზაშვილსა და დიმა ობოლაძეს 9-საათიანი „კურიერის" პირდაპირ ეთერში. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს დიმა ობოლაძეს დასცინიან. თავიდან ეს მართობდა, მერე კი მომაბეზრებელი გახდა... „კურიერი" სერიოზული გადაცემაა და წამყვანთა ასეთი საქციელი, ჩემი აზრით, არაეთიკური და მაყურებლის შეურაცხმყოფელია. ნუთუ არხის ხელმძღვანელობა შენიშვნას არ აძლევს ჟურნალისტებს?

*თეონა ჩხეიძე*

კითხვას უპასუხებს **დიმა ობოლაძე:**



— აქამდე ტელეარხის ხელმძღვანელობას პირდაპირ ეთერში ჟურნალისტების მხიარული განწყობის გამო შენიშვნა არ მოუცია და მგონი, არც შემდგომ ექნება მკვეთრი და უარყოფითი რეაქცია. რაც შეეხება შეკითხვას, რაზე ან ვისზე ვიცინით „კურიერის" წამყვანები, მინდა ვუთხრა ცნობისმოყვარე მკითხველს, რომ ერთმანეთს ნამდვილად არ დავცინით და არც მე გახლავართ კოლეგების დაცინვის ობიექტი. სიცილისა და მხიარულების მიზეზი სხვადასხვაა და როგორც წესი, სპონტანური. შესაძლოა, ეს ემთხვევა ჩემს ჩართვებს, თუმცა ეს ნამდვილად არ არის საბაბი საიმისოდ, რომ ვილაცამ იფიქროს, თითქოს ნათია და ზაალი მე დამცინიან. სპორტის სიახლეების გაშუქებამდე, როგორც წესი, სერიოზული ინფორმაცია შუქდება. შესაბამისად, არც მოდუნებისა და მით უფრო, მხიარულების საბაბი ჟურნალისტებს არა აქვთ. რაც შეეხება მოსაზრებას, რომ პირდაპირ ეთერში ჟურნალისტების მხიარული განწყობა ვილაცისთვის შეურაცხმყოფელი ან არაეთიკურია, ვერ დავეთანხმები. თუ მაყურებელს ეს არ სიამოვნებს, მას ტელევიზორის სხვა არხზე გადართვა შეუძლია. თუმცა, ვფიქრობ, აქ სულ სხვა რამეშია საქმე — უბრალოდ, მაყურებელს აინტერესებს, რაზე იცინის ჟურნალისტი, ეს მისთვის ხომ გამოცანად რჩება.

# მუშაობის პარალელურად პენსიას ვერ მიიღებთ...

მართლა მოეხსნათ თუ არა არასაბიუჯეტო ორგანიზაციაში მომუშავე პირებს 45-ლარიანი დახმარება, რომელიც ჩერნობილის ავარიის ლიკვიდაციაში მონაწილეობისთვის ჰქონდათ დანიშნული?

ზაალ თარიმანაშვილი

კითხვას უპასუხებს **მაია შავშიშვილი,** საქართველოს სოციალური დაცვის ერთიანი სახელმწიფო ფონდის იურიდიული და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი:

— თავდაპირველად განვსაზღვროთ, რომ ეს არა დახმარება, არამედ ჩერნობილის ავარიის ლიკვიდაციაში მონაწილეობისთვის სახელმწიფოს მიერ დანიშნული პენსიაა.

2006 წლის 1-ელი იანვრიდან ამოქმედდა ახალი კანონი „სახელმწიფო პენსიის შესახებ", რომლის მე-8 მუხლის თანახმად, პენსიის მიღება მუშაობის პერიოდში შეუძლიათ პირველი ჯგუფის ინვალიდებს, ანუ მკვეთრად გამოხატული ხარისხით შესაძლებლობაშეზღუდულ პირებს და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, კერძოდ, უსინათლობით შესაძლებლობაშეზღუდულ პირებს, მნიშვნელოვნად გამოხატული ხარისხით. ამდენად, თუ ადამიანი არ მიეკუთვნება ზემოაღნიშნულ კატეგორიას, სანამ იგი მუშაობს, პენსიას ვერ მიიღებს.

# შეიძლება თუ არა შიდსსა და C ჰეპატიტზე უფასო ტესტირება

— მაინტერესებს, სად შეიძლება შიდსსა და C ჰეპატიტზე უფასოდ ანალიზის გაკეთება.

მკითხველი

კითხვას უპასუხებს **დალი უშარიძე,** არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი გზა":



— აივ/შიდსზე ტესტირება შიდსის ცენტრში ხდება. რისკის ჯგუფების წარმომადგენლებისთვის ტესტირება უფასოა.

აივ-ინფექციის გავრცელების თვალსაზრისით მაღალი რისკის ჯგუფებია: ინტრავენური ნარკოტიკების მომხმარებლები და მათი პარტნიორები, კომერციული სექსმუშაკები, ჰომოსექსუალი მამაკაცები.

2003 წლიდან მიმდინარეობს გლობალური ფონდის პროექტი „აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში", რომლის ერთ-ერთი კომპონენტია ინტრავენური ნარკოტიკების მომხმარებლებში აივ/შიდსის პრევენცია. პროექტის ფარგლებში სამი ორგანიზაციის ბაზაზე შექმნილია ნებაყოფლობითი კონსულტირებისა და ტესტირების ცენტრები: ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, არასამთავრობო ორგანიზაციებში „ახალი გზა" (თბილისი) და „ქსენონი" (ზუგდიდი). ამ ცენტრებში ხდება ნარკოტიკების მომხმარებელთა უფასო ტესტირება როგორც აივ/შიდსზე, ასევე B და C ჰეპატიტებზე. სამწუხაროდ, აღნიშნულ ორგანიზაციებში სხვა ჯგუფების წარმომადგენელთა ტესტირება არ მიმდინარეობს.

# აბიტურიენტთა რეგისტრაცია დასრულებულია

— იმ აბიტურიენტთათვის, ვინც ვერ მოასწრო ეროვნული გამოცდებისათვის საბუთების შეტანა, დაინიშნება თუ არა დამატებითი რეგისტრაცია? ეს პროცესი მეთერთმეტეკლასელებისთვის უფრო გაადვილებული იყო, რასაც ვერ ვიტყვით სკოლადამთავრებულებზე, მათ უზარმაზარ რიგებში უწევდათ დგომა.

ლუკა პაპუაშვილი

კითხვას უპასუხებს **ლევან გახელაძე,** განათლების და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თავმჯდომარე:

— ეროვნული გამოცდებისთვის აბიტურიენტთა რეგისტრაცია უკვე დასრულებულია. რეგისტრაცია იანვრის თვეში გამოცხადდა და ორთვე-ნახევარი მიმდინარეობდა. წელს 32-მა ათასმა აბიტურიენტმა გაიარა რეგისტრაცია. ამის შესახებ ინფორმაცია იანვრის თვიდან რეგულარულად ვრცელდებოდა. სამწუხაროა, თუ ვინმესთვის ეს მხოლოდ დღეს გახდა ცნობილი. თუ ყაზბეგის, მესტიის ან სხვა რეგიონის მოსახლეობა კარგად იყო ინფორმირებული, დაინტერესებულ პირებს დედაქალაქში მით უფრო უნდა სცოდნოდათ. ასეთ აბიტურიენტებს მომავალ წელს მოუწევთ თავიანთი ძალის გამოცდა.

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა*

ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე" ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...

# იაპონური სუდოკუ სენსაცია

*გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ" ნიშნავს ციფრს, „დოკუ" — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდომანების გულების დაპყრობა და ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც გაჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ, არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ განმეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ, საშუალო და რთულ სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!*

წინა კროსვორდის პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 4 | 3 | 9 | 6 | 1 | 2 | 8 | 7 |
| 9 | 8 | 6 | 5 | 2 | 7 | 4 | 3 | 1 |
| 7 | 1 | 2 | 3 | 8 | 4 | 9 | 6 | 5 |
| 3 | 9 | 7 | 8 | 1 | 6 | 5 | 4 | 2 |
| 6 | 2 | 8 | 4 | 7 | 5 | 3 | 1 | 9 |
| 4 | 5 | 1 | 2 | 9 | 3 | 8 | 7 | 6 |
| 1 | 3 | 5 | 6 | 4 | 9 | 7 | 2 | 8 |
| 8 | 7 | 9 | 1 | 3 | 2 | 6 | 5 | 4 |
| 2 | 6 | 4 | 7 | 5 | 8 | 1 | 9 | 3 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 3 | 9 | 6 | 2 | 5 | 7 | 8 | 4 |
| 7 | 5 | 2 | 8 | 3 | 4 | 9 | 1 | 6 |
| 6 | 8 | 4 | 1 | 9 | 7 | 5 | 2 | 3 |
| 3 | 1 | 8 | 9 | 7 | 2 | 6 | 4 | 5 |
| 9 | 4 | 5 | 3 | 6 | 1 | 2 | 7 | 8 |
| 2 | 7 | 6 | 5 | 4 | 8 | 1 | 3 | 9 |
| 4 | 6 | 1 | 2 | 5 | 3 | 8 | 9 | 7 |
| 5 | 2 | 3 | 7 | 8 | 9 | 4 | 6 | 1 |
| 8 | 9 | 7 | 4 | 1 | 6 | 3 | 5 | 2 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 6 | 8 | 5 | 1 | 3 | 2 | 7 | 9 |
| 2 | 3 | 1 | 7 | 4 | 9 | 5 | 6 | 8 |
| 5 | 7 | 9 | 6 | 2 | 8 | 4 | 1 | 3 |
| 6 | 1 | 7 | 9 | 8 | 2 | 3 | 5 | 4 |
| 8 | 2 | 3 | 1 | 5 | 4 | 7 | 9 | 6 |
| 9 | 5 | 4 | 3 | 7 | 6 | 1 | 8 | 2 |
| 7 | 9 | 2 | 8 | 3 | 5 | 6 | 4 | 1 |
| 3 | 8 | 5 | 4 | 6 | 1 | 9 | 2 | 7 |
| 1 | 4 | 6 | 2 | 9 | 7 | 8 | 3 | 5 |

* მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | | 3 | 8 | 1 | 6 | | |
| 3 | 9 | 6 | 7 | 4 | | 8 | | |
| | 4 | | 9 | | | 2 | 7 | 3 |
| 9 | 1 | 5 | | 6 | 3 | | | 7 |
| 7 | | | 5 | 2 | 9 | | | 6 |
| 2 | | | 4 | 1 | | 5 | 8 | 9 |
| 4 | 7 | 2 | | | 5 | | 6 | |
| | | 9 | | 3 | 8 | 7 | 4 | 2 |
| | | 8 | 2 | 7 | 4 | | 5 | |

** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 9 | 7 | | | | | 3 | |
| | | | 4 | 8 | 6 | | 7 | |
| 6 | | 4 | | | 9 | | 5 | |
| 4 | | 6 | | 2 | | 1 | | 9 |
| 7 | | | 5 | 6 | 1 | | | 3 |
| 2 | | 1 | | 9 | | 7 | | 5 |
| | 4 | | 6 | | | 3 | | 7 |
| | 7 | | 9 | 4 | 3 | | | |
| | 6 | | | | | 4 | 9 | 8 |

*** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | 2 | | | 5 | | | |
| 7 | 6 | | | 3 | | 5 | | |
| 3 | 5 | | 1 | | | 6 | 8 | |
| | | | | 6 | | | | |
| 2 | 9 | | | | | | 3 | 6 |
| | | | | 9 | | | | |
| | 7 | 8 | | | 4 | | 6 | 2 |
| | | 9 | | 2 | | | 1 | 8 |
| | | | 8 | | | 4 | | 7 |

# „წარმოშობით“ თბილისელი კი არა, სულით და ხორცით ნაღდი ქართველი



2006 წლის სასიამოვნო მოულოდნელობად ქცეულმა ელენე გედევანიშვილმა მსოფლიო ჩემპიონატი მე-14 პოზიციაზე დაასრულა. 16 წლის მოციგურავეს კალგარიში ცუდად ნამდვილად არ უსრიალია, თუმცა ლიონსა და ტურინში უფრო ნაკლები შეცდომები დაუშვა და შესაბამისად უკეთეს ადგილებზეც გავიდა.

ელენეს „ჩავარდნის“ მიზეზებზე ოდნავ ქვემოთ მოგახსენებთ. ისე კი ქართველების ამბავი გასაკვირია — რადგან ამ უნიჭიერესმა გოგონამ ევროპის ჩემპიონატზე ფურორი მოახდინა და მეხუთე პოზიციაზე გავიდა, მისგან ყველა ტურნირზე უმაღლეს შედეგებს ველით. მაქსიმალისტობით გამორჩეულ ქართველ ქომაგს ის კი ავიწყდება, რომ ელენე ჯერ მხოლოდ 16 წლისაა და წლევანდელი მისი გამოსვლა სადებიუტო იყო უმაღლესი რანგის ტურნირებზე.

აქამდე ქართველების მიერ ნაჩვენები საუკეთესო შედეგი ფიგურულ სრიალში ვახტანგ მურვანიძის მე-7 ადგილი გახლდათ ევროპის ჩემპიონატზე. გედევანიშვილმა ეს მაჩვენებელი მისთვის სადებიუტო ევროპის ჩემპიონატზე ორი საფეხურით გააუმჯობესა, ტურინის ოლიმპიადაზე კი მეათე ადგილზე გავიდა და უკან თავისზე ბევრად უფროსი და გამოცდილი სპორტსმენები მოიტოვა.

მისი სრიალისა და ურთულესი კასკადების შემხედვარე ძნელია ემოცია დაიოკო და სწორედ ამიტომაც დაიმსახურა ელენემ მაყურებლის უდიდესი სიმპათია. უდავოა, ამ გოგონას დიდი მომავალი აქვს და მისი სახით ჩემპიონი გვეზრდება, მაგრამ ამისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად უნდა იაროს, ყველა ტურნირზე თითო საფეხურით გააუმჯობესოს მაჩვენებელი. ჩვენი მხრივ კი სჯობია ავანსების გაცემისაგან თავი შევიკავოთ და გოგონას დღესვე ნუ მოვთხოვთ მსოფლიო და ოლიმპიურ ჩემპიონობას, რათა მერე მისი მოპოვებული მე-10 ან თუნდაც მე-14 ადგილი წარუმატებლობად არ შევაფასოთ.

კალგარიში გედევანიშვილის გამოსვლას ეტყობოდა, რომ გადაღლილი იყო. წინა ორ ტურნირთან შედარებით ელენე უფრო თავდაჯერებული და მშვიდი ჩანდა, მაგრამ ჩანს ემოციურმა და ფიზიკურმა დატვირთვამ თავისი გაიტანა და ქართველი მოციგურავე რამდენჯერმე დაეცა ყინულზე. თუმცა ეგ არაფერი — ელენე კი არა, მასზე ბევრად გამოცდილი მოციგურავეები ეცემოდნენ პანტაპუნტით კალგარის სარბიელზე, თვით თანამედროვეობის ერთ-ერთმა უძლიერესმა ფიგურისტმა, ამერიკელმა საშა კოენმაც კი ვერ შეინარჩუნა წონასწორობა.

სხვათა შორის, კოენი კალგარიშიც, ისევე როგორც ტურინის ოლიმპიადაზე, მეორე ადგილზე გავიდა. მსოფლიო ჩემპიონი კი ელენეს თანატოლი, ასევე ამერიკელი კიმი მეისნერი გახდა. მოკლე პროგრამის შემდეგ მეისნერი მესამე პოზიციაზე იყო, თუმცა თავისუფალში ისე შთამბეჭდავად და ლაღად ისრიალა, პლანეტის უძლიერესი ფიგურისტის სახელი სამართლიანად დაიმსახურა.

და ისევ ჩვენებურზე — ელენე საუკეთესო ათეულში რომ ვერ მოხვდა, ამის მთავარი მიზეზი საჩვენებელი გამოსვლის დროს დაშვებული შეცდომა და მე-17 პოზიციაზე დაქვეითება იყო. საჩვენებელ პროგრამაში მოპოვებული ქულები ოთხზე იყოფოდა და ისე ემატებოდა მოკლე პროგრამის მონაგარს. გედევანიშვილი რომ არ დაცემულიყო, წარმატების გაცილებით მეტი შანსი ექნებოდა, თუმცა... ათეულში შესვლა მას მაინც შეეძლო. ამისათვის თავისუფალ პროგრამაში კარგად გამოსვლა იყო საჭირო. ელენე მისთვის უჩვეულოდ ბევრჯერ — ორჯერ დაეცა ყინულზე და მიუხედავად იმისა, რომ იმ ეპიზოდისათვის მეხუთე მაჩვენებელი ჰქონდა, აშკარა იყო, ოლიმპიადაზე ნაჩვენებ შედეგს ველარ გაიმეორებდა. საბოლოოდ, ასეც მოხდა და მის შემდეგ გამოსულმა ყველა უძლიერესმა ფიგურისტმა უკეთესი ქულები მოიპოვა.

თავისუფალ პროგრამაში ნაჩვენები შედეგით ელენეც და მისი მწვრთნელიც აშკარად უკმაყოფილონი დარჩნენ და ამაზე გედევანიშვილის გამომეტყველების გარდა, სრიალის დასრულების შემდეგ შუბლზე დანანებით შემორტყმული ხელიც მეტყველებს. დარწმუნებული ვარ, იგივე გაიმეორა ტელეეკრანებთან მსხდომმა ქართველმა გულშემატკივარმაც, თუმცა გულზე ხელი დავიდოთ — რამდენიმე თვის წინ მეხუთე კი არა, 24-ე ადგილზე გასვლაზე ოცნებას თუ გავბედავდით? ელენეს ყველაფერი წინ აქვს და ამის დასტური ლიონის, ტურინისა და კალგარის ყინულზე ნაჩვენები ურთულესი ნახტომები და კასკადებია...

და კიდევ — როგორც ჩანს, ჩვენმა რუსმა „ძმებმა“ კიდევ ვერ მოიშალეს თავისი და ან ისევ საკუთარ გუბერნიად გვთვლიან, ან ცდილობენ, იხტიბარი არ გაიტეხონ. ვინც „ევროსპორტის“ რეპორტაჟებს თვალი მიადევნა, ჩემი არ იყოს, გულზე მოხვდებოდა რუსი კომენტატორების სიტყვები, — გედევანიშვილი „წარმოშობით“ თბილისელია და რამდენიმე წელია მოსკოვში რუსი მწვრთნელების მეთვალყურეობით ვარჯიშობსო... ელენე მართლაც რუსეთში ვარჯიშობს, მაგრამ „წარმოშობით“ კი არა, სულით და ხორცით ნაღდი ქართველია და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა ჩრდილოელმა „მეგობრებმა“ მოქალაქეობის შეცვლა და საუკეთესო პირობები შესთავაზეს, მას საქართველო მაცდუნებელ წინადადებაზე არ გაუცვლია. დღეს კი ეს ფაქტი უფრო ალსანიშნავია, ვიდრე ელენეს რამდენიმე საფეხურით დაქვეითება. ხვალ ის დრო დადგება, როცა ოლიმპიურ და მსოფლიო პრიზიორს ასე გამოაცხადებენ: „გედევანიშვილი, Georgia“.

ექსკლუზივი

# ქართული სენსაცია „ველური ბარათით“

„AMG ძალზე სერიოზული სააგენტოა, რომელიც ნიჭიერ ახალგაზრდებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეძებს და მერწმუნეთ, „ველურ ბარათებს“ ისინი ტყუილად არავის ურიგებენ. სწორედ ამ სააგენტოს მიწვევით მოხვდა ანა „ინდიან უელსისა“ და „ნასდაკის“ სუპერტურნირებზე. უნიჭიერესი, ძალზე მშრომელი გოგონაა და დიდი მომავალი აქვს“ — ეს სიტყვები ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ლეილა მესხს ეკუთვნის, ადრესატი კი ახალგაზრდა ქართველი ჩოგბურთელი **ანა ტატიშვილია**, რომელიც კარგა ხანია ამერიკაში, ქრის ევერტის აკადემიაში სწავლობს. ორიოდ დღის წინ 16 წლის ანა ტატიშვილმა (მსოფლიო კლასიფიკაციაში იგი 1144-ე პოზიციაზეა) „ნასდაკ 100 ოუფენის“ ტურნირზე, რომლის საერთო საპრიზო ფონდიც 6,9 მილიონი დოლარია, 41-ე ჩოგანს, ინდოელ სანია მირზას მოუგო და ხმაურიანი სენსაციის გმირად იქცა. მეორე წრეში, ტურნირზე ე. წ. „ველური ბარათით“ მოხვედრილი ქართველის მეტოქე მე-6 ნომრად განთესილი რუსი ელენა დემენტიევა გახლდათ. ჩვენებურმა აქაც ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ მსოფლიოს ერთ-ერთ



უძლიერეს ჩოგბურთელთან ვერაფერს გახდა და ორ სეტში დამარცხდა. ანა ტატიშვილი ფლორიდაში, მშობლებსა და უფროს დასთან ერთად ცხოვრობს და მსოფლიოს პირველ ჩოგნად გახდომაზე ოცნებობს. როცა მაიამიში დავურეკეთ, დემენტიევასთან მატჩი ახალი დამთავრებული იყო...

— მოლოცვისათვის დიდი მადლობა. უზომოდ გახარებული ვარ, მიუხედავად იმისა, რომ მეორე მატჩში დავმარცხდი. მირზას რის ხარჯზე მოვუგე? მნიშვნელოვან ეპიზოდებში მასზე კარგად ვთამაშობდი. სხვათა შორის, სამი მატჩ-პოინტის გადარჩენა მოვახერხე, აქედან ორი — სანიას მოწოდების დროს...

— **მატჩი რომ დამთავრდა, რა იგრძენი?**

— აღფრთოვანებული ვიყავი. კორტზე დავხტოდი და აღარ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. მერე ხელები ავწიე და მირზას მადლობა გადავუხადე. ძალიან ბევრი გულშემატკივარი მყავდა და ბედნიერი ვარ, რომ მათმა მხარდაჭერამ ფუჭად არ ჩაიარა...

— **მეტოქეზე რაღას იტყვი?**

— სანია მირზა ძალიან კარგი ჩოგბურთელია. მსოფლიო რეიტინგში 41-ე პოზიციაზე შემთხვევით ხომ ვერ მოხვდებოდა? ბუნებრივია, ჩემთან მარცხი მისთვისაც მოულოდნელი იყო, მაგრამ მატჩის შემდეგ გულწრფელად მომილოცა.

— **დემენტიევასთან მოგების რამე შანსი თუ გქონდა?**

— ელენა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელია და ამ ტურნირზეც მე-6 ნომრად არის განთესილი. მატჩის წინ ამბობდა, მირზასთან შეხვედრა მერჩივნა, არ მიყვარს უცნობი მეტოქეებიო. თუმცა ჩემთან პრობლემა არ შეჰქმნია, მიუხედავად იმისა, რომ პირველ სეტში საკმაოდ კარგად ვითამაშე. დემენტიევას მსგავსი სპორტსმენების დამარცხებაზე ფიქრი ჯერ ნაადრევია, ისე კი ამის დროც მოვა...

— **ინდოელი ჩოგბურთელის დამარცხების შემდეგ თქვი, წელს ასეულში შესვლა მინდაო. ძალზე ხმამაღალი განცხადება ხომ არ არის? რაც უნდა იყოს, ჯერ ათასი საუკეთესო ჩოგბურთელის რიგებშიც არ შედიხარ...**

— მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მკითხეს, რას აპირებო და ვუთხარი, მინდა მსოფლიოს პირველი ჩოგანი გავხდე, წელს კი ასეულში შესვლა კარგი შედეგი იქნებოდა-მეთქი. ვარჯიში არ მეზარება და მინდა, რაც შეიძლება მეტი მატჩი მოვიგო. რამდენიმე დღეში იგივე ტურნირი, ოღონდ ახალგაზრდებს შორის, უნდა გაიმართოს და იქ შევეცდები ჩემი სიტყვების დამტკიცებას.

— **შენს დადებით და უარყოფით მხარეებზეც გვითხარი ორიოდ სიტყვა...**

— ჩემი კოზირი უკანა ხაზზე კარგი თამაშია. მოწოდებაც საკმაოდ ძლიერი მაქვს, თუმცა ამ მხრივ სამუშაო ბევრია. კორტზე მოძრაობაც გასაუმჯობესებელი მაქვს.

— **სანიას დამარცხების მერე საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექეცი. ამხელა აჟიოტაჟი ცუდ სამსახურს ხომ არ გაგიწევს?**

— იმას გულისხმობთ, ვარსკვლავური სენი ხომ არ შემეყრება? მერწმუნეთ, ამის საშიშროება ნამდვილად არ არის. ჩემი შესაძლებლობები კარგად ვიცი და ფუჭი ილუზიების ტყვეობაში არ მოვექცევი. ჯერ ისეთი არაფერი გამიკეთებია, საკუთარ თავზე დიდი შეხედულება შემექმნეს.

— **ამერიკაში როგორ მოხვდი?**

— პირველად ამერიკაში შვიდი წლის ასაკში ჩამოვედი. აქ მამიდაჩემი ცხოვრობს. 10 წლისა უკვე სავარჯიშოდ ჩამომიყვანეს. ყველაზე მეტად ქრის ევერტის საჩოგბურთო აკადემია მოგვეწონა და მას მერე სწორედ იქ ვვარჯიშობ. ქრისი მეხმარება, უზომოდ ყურადღებიანია და როცა მირზა დავამარცხე, ძალიან გაუხარდა.

აქ მშობლებსა და ორი წლით უფროს დასთან ერთად ვცხოვრობ. ჩვენი სახლი მაიამიდან ნახევარი საათის სავალზეა და „ნასდაქის“ ტურნირი, ფაქტობრივად, „ჩემს მოედანზე“ იმართება.

— **საქართველოში ბოლოს შემოდგომაზე ბათუმის საერთაშორისო ტურნირზე ითამაშე. კიდევ როდის გვესტუმრები?**

— სამშობლოში ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვითამაშებ, მაგრამ წელს მოვახერხებ თუ არა, ვერ გეტყვით.

— **მაიამიმდე ქართული პრესა თუ აღწევს?**

— „კვირის პალიტრა“ ნიუ-იორკში კი ჩამოაქვთ, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენამდე არ მოდის. არადა დიდი სიამოვნებით გავეცნობოდი ქართულ სიახლეებსა და ამ ინტერვიუსაც წავიკითხავდი. საქართველო ძალიან გვენატრება და თქვენი გაზეთის მეშვეობით ყველას მოკითხვას გითვლით...

# „ჩემი მარცხი ლოგიკური იყო“

გასულ კვირას, ოსაკაში დასრულებულ ბაშოზე უარყოფითი ბალანსი ჰქონდა ქართველ სუმოისტ ლევან ცაგურიას. კოკაისგან ბოლო დროს ისე მივეჩვიეთ წარმატებულ ჭიდაობას, რომ მარტის ტურნირზე მისი ხშირი მარცხი მოულოდნელი გამოდგა. არადა, ამ ყველაფერს ობიექტური მიზეზი აქვს — სუპერტურნირის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, კოკაის მამა გარდაეცვალა და თბილისიდან იაპონიაში დაბრუნებულმა საბრძოლველად ბოლომდე განწყობა ვერაფრით შეძლო. ლევანი საქართველოში ძმასთან — გიორგი ცაგურიასთან (ცუკასაუმი) ერთად იმყოფებოდა. გიორგი მეორე ელიტარულ დივიზიონში ასპარეზობს და როგორც ჩანს, მობილიზება უფროს ძმაზე უკეთ მოახერხა, რაზეც შედეგებიც მეტყველებს. ცუკასაუმიმ მარტის ბაშოზე საწყისი ექვსი ბრძოლა მოიგო და მხოლოდ ბოლო, გადამწყვეტ შეხვედრაში დამარცხდა. ქართველმა მოჭიდავემ უაღრესად გამოცდილ სუმოისტ მაეტასთან წააგო და სანდანმეს დივიზიონის ჩემპიონობაც მას დაუთმო. აღსანიშნავია, რომ გიორგიმ ტიტული წინა ბაშოზეც ბოლო ორთაბრძოლაში დაკარგა, თუმცა, ეგ არაფერი... მთავარია, რომ ახალგაზრდა სუმოისტი დღითი დღე აუმჯობესებს თავის შედეგებს. და შორს არც ის დრო უნდა იყოს, უფროსი ძმის მსგავსად, მძლეთამძლე ჩემპიონებს რომ შეეჭიდება. **ლევან ცაგურიას** ოსაკაში გამართული ბაშოს შესაფასებლად დავურეკეთ.

— ამ ტურნირისათვის მართლა კარგად ვიყავი მომზადებული, თუმცა, ბაშოს დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე მამა გარდამეცვალა



და თბილისიდან დაბრუნებულმა ბოლომდე კონცენტრირება ვერ მოვახერხე. თქვენც დამეთანხმებით, ამგვარ სიტუაციაში საბრძოლველად განწყობა ძალზე რთულია.

— **არადა, უკვე მივეჩვიეთ, რომ თითქმის ყველა ბაშოს დადებითი ბალანსით ასრულებ...**

— თითოეულ ტურნირს საბრძოლოდ დამუხტული ვხვდებოდი, ვცდილობდი აქტიურად მეჭიდავა და გამარჯვებებიც სწორედ ამის დამსახურებაა. ოსაკაში კი... ოჯახურმა ტრაგედიამ ძალიან იმოქმედა ჩემზე და ლოგიკურიც არის, ბევრი დამარცხება რომ განვიცადე.

— **ტურნირის ბოლოსთვის ზედიზედ კი დაამარცხე მეტოქეები, მაგრამ დადებითი ბალანსის მისაღებად ეს საკმარისი უკვე აღარ აღმოჩნდა...**

— დიახ, ჯერ ჰოკუტორიკის მოვუგე, მერე კი დასავლეთის მესამე მაეგაშირა — ივაკიამას. ივაკიამა გამოცდილი სუმოისტია და წონაც „შთამბეჭდავი“ აქვს — 190 კილოგრამი. ჩემი მეტოქე ისე დადგა, რომ დაჯახების ხაზიდან შორს იყო. ეს რომ დავინახე, გადავწყვიტე მოძრაობას დაიწყებდა თუ არა, ოდნავ გვერდზე გავწეულიყავი. დარწმუნებული ვიყავი, წონასწორობას ველარ შეინარჩუნებდა და დაეცემოდა. ასეც მოხდა და ოსაკაში რიგით მეხუთე გამარჯვება მოვიპოვე. ასე რომ, ტურნირის ბოლოსთვის ჩვეულ სტილში კი გავაგრძელე ჭიდაობა, მაგრამ რაღა დროს...

— **მომდევნო ბაშო როდის გელის? იმედია, ფსიქოლოგიური პრობლემების გადალახვას მანამდე მოახერხებ...**

— მომდევნო ტურნირი მაისში გაიმართება და წესით, მანამდე მობილიზება უნდა შევძლო. ფიზიკურად ოსაკას ბაშოსთვისაც კარგად ვიყავი მომზადებული, სამი კვირით სხვა კლუბშიც კი გადავედი სავარჯიშოდ, მაგრამ... მაისისთვის, ალბათ ფსიქოლოგიურ პრობლემებსაც გადავჭრი და შევეცდები, მომდევნო ტურნირი დადებითი ბალანსით დავასრულო.

— **შენმა ძმამ გიორგიმ ექვსი შეხვედრა წაუგებლად ჩაატარა, ტიტულის მომტან ბრძოლაში კი გამარჯვება მეტოქეს დაუთმო. რატომ?**

— გიორგის ასეთი კარგი გასვლა ჩემთვისაც სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, რადგან ჩვენ ერთად ვიყავით თბილისში და ათი დღის განმავლობაში მას საერთოდ არ უვარჯიშია. ამის მიუხედავად, ექვსი ბრძოლიდან ყველა მოიგო და მხოლოდ მაეტასთან დამარცხდა. ეს სუმოისტი არაპროფესიონალთა შორის იაპონიის ჩემპიონი და უაღრესად გამოცდილი მოჭიდავეა. ამის მიუხედავად, გამარჯვება გიორგისაც შეეძლო და გამოუცდელობა რომ არა, სანდანმეს ჩემპიონის ტიტულსაც შესწვდებოდა. არა უშავს — მომავალში ჩემი ძმა ამას აუცილებლად მოახერხებს.

— **როგორ ფიქრობ, გიორგის დიდი დრო სჭირდება, რათა შენსავით უმაღლეს დივიზიონში იასპარეზოს?**

— გიორგი ახლაც პროფესიონალებში, ოღონდ ქვედა დივიზიონში გამოდის. ბოლო ბრძოლა რომ მოეგო, ერთი საფეხურით მაღლა აინაცვლებდა და ელიტარულამდე მხოლოდ ერთი დივიზიონიღა ექნებოდა გასავლელი. როგორც იცით, სუმოში სულ ორი ელიტარული დივიზიონია. მე პირველში ვარ, ჩემს ძმას კი მეორემდე ორი ტიტული აშორებს: თუ ასე გააგრძელა, დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე შემომიერთდება...

# უჩვეულო ქართველი ფორვარდი

## „უკრაინაში თავს კარგად ვგრძნობ“



ტირანაში გამართულ ამხანაგურ მატჩზე კლაუს ტოპმიოლერმა თან ეროვნულ ნაკრებთან „მიუჩვეველი“ ბევრი ფეხბურთელი იახლა. ეს იძულებითი ნაბიჯი გახლდათ, რადგან 22 მარტი ამხანაგური მატჩებისთვის გამოყოფილ ოფიციალურ თარიღს არ დაემთხვა და ნაკრების ხელმძღვანელობამ კლუბებს ლეგიონერთა განთავისუფლება ვერ აიძულა. შესაბამისად, ჩვენი ნაკრების თავკაცმა „საბანი იქამდე იმყოფინა, სანამდეც გასწვდა“ და საქმეშიც ის ფეხბურთელები გამოსცადა, რომელთა „მოქუჩებაც“ ალბანეთის დედაქალაქში შეძლო. „ჯვაროსნები“ მასპინძელ „არწივებთან“ ნულოვან ფრეს გამორჩნენ, ჩვენებურთაგან კი, განსაკუთრებით, უკრაინული „კრივბასის“ ფორვარდმა **ვასილ გიგიაძემ** გამოიჩინა თავი. ვასომ „ქემალ სტაფაზე“ ქართველი ფორვარდისთვის უჩვეულო თვისებები გამოავლინა და მთელ მოედანზე თავდაუზოგავად იბრძოდა. გიგიაძემ ეროვნული გუნდის მაისური პირველად ლიტველთა წინააღმდეგ, ალენ ჟირესის ხელმძღვანელობით მოირგო, მეორე „გამოცდა“ კი კლაუს ტოპმიოლერს ჩააბარა და წესით, თავის გამოჩენის შანსი კიდევ უნდა მიეცეს...

— მგონი, ურიგოდ არ გვითამაშია. გუნდი ახალი შეკრებილი იყო და მოთამაშეთა უმრავლესობამ პირველად ნახა ერთმანეთი და მთავარი მწვრთნელი. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, უკმაყოფილების საბაბი არ უნდა გვქონდეს. მართალია ნაკრებში მხოლოდ მეორე შეხვედრა ჩავატარე, მაგრამ შებოჭილი ნამდვილად არ ვყოფილვარ — თავისუფლად ვთამაშობდი და თავი არ დამიზოგავს.

**— ალბანეთში ნაკრებს წამყვან ლეგიონერთა უმრავლესობა აკლდა. როგორ ფიქრობ, იმ ფეხბურთელებიდან, ვინც ტირანაში ითამაშა, ბევრს შეუძლია ძირითადი ბირთვის მხარდამხარ იასპარეზოს?**

— ცუდად არც ერთ მათგანს არ უთამაშია, თუმცა, რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი მართლაც „აღმოვაჩინე“, რეალურად რომ შეუძლია ეროვნულ გუნდში ფეხის მოკიდება. გვარებს ვერ დაგისახელებთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, კლაუს ტოპმიოლერი ჩემზე გაცილებით უკეთ მოინიშნავდა სასურველ მოთამაშეთა სიას.

**— მატჩის შემდეგ რა გითხრათ?**

— უკმაყოფილება არ ეტყობოდა. კარგი თამაშისთვის მადლობა გადაგვიხადა და ასე გააგრძელეთო — გვითხრა. ისიც უნდა ითქვას, რომ ალბანელებთან მატჩში თავი არავის დაუზოგავს და მწვრთნელის დავალებებიც კარგად შევასრულეთ.

**— თავად ტოპმიოლერმა როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე?**

— მისი პროფესიონალიზმის შესახებ ყველას კარგად მოეხსენება. პიროვნულადაც ძალზე უშუალო ადამიანია. ისეთი თვისებები აქვს, ძლიერი მწვრთნელისთვის აუცილებელი რომ არის. ტოპმიოლერს თამაშის „წაკითხვაც“ კარგად შეუძლია და საჭიროების შემთხვევაში, მატჩის მსვლელობის სათავისოდ შემობრუნებაც. ასეთია ორ დღეში მიღებული შთაბეჭდილება, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

**— ახლა ჩინებულ ფორმაში ხარ და ალბანეთში ნაჩვენები თამაშის მერე იმედიანადაც იქნები. გჯერა, რომ მწვრთნელს შენი დახმარება მომავალშიც დასჭირდება?**

— ეს მხოლოდ მისი გადასაწყვეტია. ჩემი მხრიდან კი ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ გერმანელი სპეციალისტის ნდობა მოვიპოვო. მართალია, გოლის გატანა ვერ მოვახერხე, მაგრამ იმედია ეროვნული გუნდის მაისურს კიდევ მოვირგებ და...

**— საკლუბო ამბებზეც გკითხავ, თქვენი გუნდი კრივოიროგის „კრივბასი“ ახლა სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილშია. წელს გუნდის ამოცანა უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება თუ უფრო მაღალი მიზნები გაქვთ?**

— არა, გასავარდნად ნამდვილად არ გვაქვს საქმე. ალბათ, სეზონს ცხრილის შუაგულში დავასრულებთ და ცოტა ზევით ანაცვლებაც თუ შევძელით, მთლად უკეთესი. უახლოეს დღეებში რამდენიმე პრინციპული მატჩი გველოდება.

**— როგორც ვიცი, „კრივბასის“ ხელმძღვანელობა გემადლიერება...**

— ჩემი თამაშით მართლა კმაყოფილი არიან... სხვაგვარად, კონტრაქტის გაგრძელებას ხომ არ შემომთავაზებდნენ? ახლა, ხელშეკრულების მიხედვით კლუბს 2007 წლამდე ვეკუთვნი.

**— როგორც ეტყობა, გუნდის გამოცვლას არ აპირებ. არადა, შენი გადაბირებით რამდენიმე კლუბი იყო დაინტერესებული...**

— შემოთავაზებები ახლაც მაქვს. თუმცა, ჯერჯერობით, „კრივბასის“ დატოვებას არ ვაპირებ. აქ თავს კარგად ვგრძნობ, ანაზღაურებითაც კმაყოფილი ვარ და სად მეჩქარება?

**— შევჩენკო და კომპანია ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფშიც ჩვენი მეტოქეა. შენი თანაკლუბელები როგორ შეხვდნენ ამ ინფორმაციას?**

— სიმართლე გითხრათ, „კრივბასში“ ამაზე ჯერ არავინ ლაპარაკობს. ეს იმის ბრალია, რომ შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე ჯერ საკმაო დროა დარჩენილი. აი, მოვა სექტემბერი და ეს თემაც აქტუალური გახდება...

## სპორტული კალეიდოსკოპი

### „ვილიარეალი“ შეიარაღდა



ევროპულ ფეხბურთში საბრძოლო განგაშია გამოცხადებული. ესპანური პრიმერადივიზიონის კლუბი ისტორიაში პირველი გუნდი გახდა, ვისაც შეუძლია საკუთარი „ბირთვული რაკეტა“ გაუშვას. ამ ცოტა ხნის წინ, ესპანურმა კლუბმა, რომელიც სამშაბათს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ მატჩს გამართავს, თავდაცვის სამინისტროსაგან ჩამოწერილი წყალქვეშა ნავი შეიძინა. საეჭვოა, სუბმარინი საიდუმლო მისიის შესასრულებლად გამოდგეს, რადგან ესპანელებს გადაწყვეტილი აქვთ, ნავი ყვითლად შეღებონ, კლუბის მუზეუმის ექსპონატებით „გამოტენონ“ და ქალაქის ცენტრში დადგან. ეს ყოველივე გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ გუნდის მეტსახელი „შუბმარინო მარილლო“ — „ყვითელი წყალქვეშა ნავია“.

### გენუა აღშფოთებულია

გენუის „სამპდორიას“ გულშემატკივრებმა კლუბის საწვრთნელი ბაზის ბლოკირება მოახდინეს. ქომაგებმა შესასვლელ კართან „ცოცხალი კედელი“ აღმართეს და „სამპდორიას“ მოთამაშეებს ბაზის დატოვების შესაძლებლობას არ აძლევდნენ. ფანების გულისწყრომა „სამპას“ ბოლოდროინდელი უსახური თამაშით არის გამოწვეული. გენუის კლუბმა ზედიზედ ხუთი მატჩი წააგო და მართალია, სერია A-ს დატოვება არ ემუქრება, მაგრამ ევროსაგზურებისთვის ბრძოლასაც გამოეთიშა. გულშემატკივრების განსაკუთრებული აგრესია ვიტალი კუტუზოვს, აიმო დიანას და სამუელე დალა ბონას დაატყდათ თავს.

### უცნაური ზეიმი

საფრანგეთის ჩემპიონატში მოთამაშე თავდამსხმელები ცდილობენ, გატანილი გოლები მუდმივად ახალ-ახალი „მეთოდებით“ აღნიშნონ. დღეისათვის, „ჰიტ-პარადის“ პირველ ადგილს არავის უთმობს „ლიონის“ ფორვარდი ფრედი. ორიოდე კვირის წინ, როცა „ეინდჰოვენის“ კარში ბურთი გაიტანა, ფეხბურთელმა საიდანღაც საწოვარა ამოიღო, პირში იტუცა და ამ გზით ქალიშვილის, ჯოვანას დაბადება იზეიმა. ბრაზილიელს არც „მონაკოს“ თავდამსხმელი, ოლივიე კაპო ჩამორჩა. „სოშოსთვის“ გატანილი გოლის შემდეგ მან გეტრი ჩამოიწია და ყველას უჩვენა დამცავ ფარზე დახატული თავისი გოგონას სურათი. „6 აპრილს ანდრეას ორი წელი უსრულდება და ამ გზით მინდოდა მისთვის მიმელოცა“, — გამოტყდა მოგვიანებით კაპო.

### ფაჩულიას სიურპრიზები



ბოლო ხანს „ატლანტის“ ქართველი კალათბურთელი ზაზა ფაჩულია ძველებურად შედეგიანად ველარ თამაშობს, რისი უმთავრესი მიზეზიც გადაღლილობაა. მიმდინარე სეზონში ზაზას ყველა მატჩში დიდი სათამაშო დრო ეძლევა და ქართველი კალათბურთელი ქულების მოპოვებასთან ერთად დიდ ენერგიასაც ხარჯავს. სწორედ ამას უნდა დავაბრალოთ ჩვენებურის ოდნავ უფერული თამაში, თუმცა ზაზა სიურპრიზებს მაინც გვთავაზობს და ხან პირად, ხანაც ლიგის რეკორდებს აუმჯობესებს.

ცოტა ხნის წინ ფაჩულიამ პირადი რეკორდი დაამყარა და 26 ქულა ჩააგდო, გასულ კვირას კი სხვა მაჩვენებლით გამოიჩინა თავი — ქართველი მოთამაშის ანგარიშზე 18 მოხსნაა, აქედან — 12 მეტოქის ფარზე, რაც NBA-ს მიმდინარე სეზონის აბსოლუტური რეკორდია. საერთოდ კი ლიგის ისტორიაში საუკეთესო მაჩვენებელი მეტოქის ფარზე 21 მოხსნა გახლავთ.

რაც შეეხება უკანასკნელ მატჩებს, ზაზას გუნდმა ორივე შეხვედრა წააგო. ატლანტელი „ქორები“ ჯერ „ფილადელფიასთან“ დამარცხდნენ, მერე კი დირკ ნოვიცკის „დალას მავერიქსთან“ წააგეს. ფაჩულიამ ვერც ერთ შეხვედრაში ვერ შეძლო ათქულიანი ზღვრის გადალახვა — „ფილადელფიას“ 8, „მავერიქსს“ კი მხოლოდ 7 ქულა ჩაუგდო. იმედია, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ძალების აღდგენას მოახერხებს და სექტემბერს კარგ ფორმაში შეხვდება. შეგახსენებთ, სწორედ შემოდგომაზე ელის ჩვენს ეროვნულ გუნდს საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები. ჩვენი კალათბურთელები ისევ კანადელი გორდონ ჰერბერტის მეთაურობით ითამაშებენ, რომელთანაც კალათბურთის ფედერაციამ კონტრაქტი გააგრძელა.

*რუბრიკა მოამზადა რატი შელეგიამ*


# განსხვავებული ჟურნალი

✔ თამუნა გაბრიელაშვილს ახალი სიყვარული ეწვია — „დაქორწინებას არ ვაპირებთ...“

✔ ანა კოშაძეს 12 წლით უფროსი ქმარი გულამოღებული სამოსის ჩაცმას სთხოვს

✔ თბილისელი ტრანსსექსუალი მეტსახელად „სექსო“ და პროცესი, რომელიც მასმედიისთვის დახურეს

✔ დათო კიკალიშვილს მანქანის საჭესთან დაჯდომა აუკრძალეს — „შეცდომა დავუშვით, ის სიუჟეტი ეთერში არ უნდა გაგვეშვა...“




+ ...და მრავალი საინტერესო სიახლე

ორშაბათობით!



# თმის გადანერგვის კლინიკა

## „ჰეალაინ ინტერნეიშნლ“



*ხელმძღვანელი პროფ. თამაზ თამაზაშვილი*

- უახლესი ატრავმატული ამერიკული ტექნოლოგიები
- უფასო კონსულტაცია, მათ შორის პროფესორის კონსულტაცია ამერიკიდან
- თმის დაზიანებათა კომპიუტერული დიაგნოსტიკა
- კონფიდენციალობა, გარანტირებული შედეგები
- შესაძლებელია თმის გადანერგვა ნაწიბურებში ტრავმისა და დამწვრობის შემდეგ
- თმა ბუნებრივად იზრდება, აღარასდროს ცვივა და იჭრება ჩვეულებრივად
- ფასი იაფი და ხელმისაწვდომი

HAIRLINE INTERNATIONAL

მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის ასოციაციების მიერ სერთიფიცირებული

ერთადერთი კლინიკა ამიერკავკასიაში



ქავთარაძის 16 (სამკერვალო კომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62

www.hairline.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფოტო განწყობისათვის



— ტამე არ გადამღო, თორემ ჩაგცხე ჯოხი თავში!



**თარაზულად:** 1. ფართო წარმომადგენლობითი კრება; 5. რადიოტალღების მიმღებ-გადამცემი მოწყობილობა; 9. რადიაქტივობის საზომი ერთეული; 11. განსაკუთრებული ნიჭი; 12. ინგლისელი მწერალი ქალი, ავტორი რომანისა „კრაზანა“; 13. უზენაესი ღვთაება სკანდინავიურ მითოლოგიაში; 14. დელფინის სახეობა; 17. პირი, რომელიც არაოფიციალურად იგზავნება სხვა ქვეყანაში საიდუმლო პოლიტიკური დავალებით; 18. მუჭი; 20. ფინური აბანო; 21. მაყურებელთა ადგილი თეატრში, რომელიც სცენის დონეზე დაბლაა; 24. მეხსიერების ნაწილობრივი ან სრული დაკარგვა; 28. ჯოგისა და ოჯახური კერის მფარველი ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 31. ქართველი მსახიობი... ხვიჩია; 32. XX ს-ის ინგლისელი ფიზიკოსი; 33. ზევსის ფარი; 34. ერთ-ერთი უდიდესი მდინარე აზიაში; 35. პოეზია.

**შვეულად:** 1. ბედ-იღბლის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 2. ერთი მხარის შეკამათება მეორესთან სასამართლო პროცესზე; 3. ანდამატი; 4. ორთაბრძოლა რაიმე იარაღით; 6. გერმანული ფაშიზმი; 7. დაკვირვება ბუნებრივ პირობებში; 8. პირი, რომელსაც ღმერთი არ სწამს; 9. ისტორიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 10. შინაური ფრინველი; 15. მთამსვლელი; 16. ზღაპრული ცხენი; 17. საქორწილო სიმღერა ან ლექსი ძველ საბერძნეთსა და რომში. 19. ამერიკელი მსახიობი ქალი; 21. ძვ. ბერძენი გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ათენის სტრატეგი; 22. უმაღლესი, საუკეთესო შედეგი რაიმე სპორტულ შეჯიბრებაში; 23. სახელმწიფო აფრიკაში; 25. კენიის დედაქალაქი; 26. სკივრი; 27. გადაჭარბებული თავმოყვარეობა; 28. სახელმწიფო კრება ძველ რუსეთში; 29. პერიოდული სხდომა; 30. იალქანი.

*შეადგინა ვანო კაჭახიძე*

### წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. კოლორიტი; 2. ქავი; 3. ტოკაი; 4. ტიტიკაკა; 5. ოსაკა; 6. ალიონი; 7. ანკარა; 8. ტოგა; 9. კარტოფილი; 10. კვინტეტი; 11. ციგა; 12. ცდა; 13. ადიტი; 14. არენდა; 15. კვარტალი; 16. ელეგია; 17. ჭადრაკი; 18. ფრი; 19. მაიაკოვსკი; 20. ნესტო; 21. პარტია; 22. ატელიე; 23. წვიმა; 24. გრიგალი; 25. ფიცი; 26. ჯო; 27. ბოსნია; 28. დუმილი; 29. დია; 30. ნატიფი; 31. ბლიცი; 32. ბრინზა; 33. რიო; 34. სეტი; 35. ფარში; 36. სერვისი; 37. ტიპიკონი.

**სურათზე:** კეტრინ ზეტა-ჯონსი, მაიკლ დუგლასი.

29/III

ახალი მთვარე








## ბრიტანელი პრინცი — ჩვეულებრივი ჯარისკაცი

უელსის პრინცის ჩარლზისა და პრინცესა დაიანას უმცროსი ვაჟი, ჰარი, სენდჰერსტის ელიტურ სამხედრო სასწავლებელს ამთავრებს. მას კავალერიის მეორე ლეიტენანტის წოდებას მიანიჭებენ.

ჰარიმ გადაწყვიტა, Blues and Royals-ის სადაზვერვო პოლკში იმსახუროს. ეს პოლკი სამობილო დაზვერვას ახორციელებს და მონაწილეობს ომებსა და სამშვიდობო ოპერაციებში. მისი ერთი ნაწილი უინძორის სასახლეს იცავს.

თუ საჭიროება მოითხოვს, შეიძლება პოლკი ერაყში საომრად გაიგზავნოს. ცხადია, პრინცი ჰარიც დაუფიქრებლად წავა...

დიდი ბრიტანეთის სამეფო ოჯახი, რასაკვირველია, არ ეწინააღმდეგება ახალგაზრდა პრინცის გადაწყვეტილებას — სამხედრო სამსახური ხომ ნამდვილი ვაჟკაცის მოვალეობაა.



## „სუვენირები“ ექსბონდს

52 წლის ირლანდიელი მსახიობი პირს ბროსნანი ძალიან განიცდის საიდუმლო აგენტის, ჯეიმს ბონდის როლთან განშორებას. ცოტათი მაინც რომ გაეხარებინათ, ბონდიანას შემქმნელებმა რამდენიმე „სუვენირი“ უძღვნეს: ჯეიმს ბონდის ავტომობილი „Aston Martin“-ი, ძვირფასი საათი „ომეგა“ და სუპერაგენტის კოსტიუმები. ბროსნანმა ერთ-ერთ ინტერვიუში დაიტრაბახა: — გაგიგონიათ, ვინმესთვის სუვენირად ავტომანქანა მიერთმიათ? ამაშიც გამიმართლა. ბონდიანადან ურიცხვი საჩუქარი და ბრწყინვალე მოგონებები დამრჩაო...



## გილოცავთ, რიზ!

ჰოლივუდის ვარსკვლავმა რიზ უიზერსპუნმა საკუთარ თავს დაბადების დღეზე (30 წლის გახდა) ბრწყინვალე საჩუქარი უძღვნა. მან გაუსწრო თავის კოლეგას, ჯულია რობერტსს, მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობი ქალების სიაში. როლისათვის ახალ საშინელებათა ფილმში, „Our family trouble“, რიზმა 29 მლნ დოლარი მიიღო, ხოლო ჯულიამ „მონა ლიზას ღიმილში“ — „მხოლოდ“ 24 მლნ იშოვა!




გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთ. რედაქტორი გიორგი თევდორაშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, ლია იაკობაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ.: რედაქცია: 33-39-54

რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com

www.kvirispalitra.ge

სარეგისტრაციო ნომერი © 1518

„კვირის პალიტრა“

გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.